

114
1985



ISSN 0182-599

გეოგრაფია



2

1985



მწერთა კავშირი

საქართველოს
მწერთა კავშირი

ქვემოთხსენიებული მწერთა კატეგორიების მხატვრული და
საზოგადოებრივი-კოლექტიური შუქნაწილი

ფულიწილი 61-0

№ 2

თბილისი, 1985 წ.

საქართველოს საზოგადოებრივი-კულტურის ორგანო

შინაარსი

პროზა, პოეზია

გიორგი ლუგანიძე — ამხანაგი გზამკვლელები, რომანი, გაგრძელება	3
მასხანა ჯაფარიძე — ლექსები	65
ზორბა ლომიძე — ლექსები	68
კარლო კობახიძე — არბუზული შა, მოთხრობა	71
გივი ალსაიშვილი — ლექსები	88
ირაკლი არაბული — ლექსები	91
ბათუ ღანელია — დღივანურიები, ლექსი	93
ნეკრატე მთავარი — ოგბადასაღილის დღივანური.	96
ზაინაბი მირიანი — დიდი ანდობი, გაგრძელება, თარგმანი ფრანგულიდან დავით წერეთლისა	105

კრიტიკა, პუბლიცისტიკა

ბუკა მანუჩიანი — დამოუკიდებელი სურვილების ნოსტალგია	129
ნონა კუპრევილი — „ჯაფოს ხრენები“: რომანი და სამეტიკალი	141
ზაქარია აფხაზიანი — ლექსიკონი თუ ლექსის კონა?	147

მეცნიერება

რეზა სიბაძე — წმინდა ნინო და „მეფე-მეფე“	153
------------------------------------------	-----

მოგონებები, ფაქტები

კალისტრატე ცინცაძე — მოგონება ილიაზე	171
--------------------------------------	-----

წიგნების მიმოხილვა

გიორგი შეთაკაური — საბავარო წიგნი მართლად	175
-------------------------------------------	-----

მთავარი რედაქტორი არჩილ სულაბაური

სარედაქციო კოლეგია:

ბრ. აბაშიძე, ი. აბაშიძე, რ. ამავუაელი (მთ. რედაქტორის მოადგილე),
მ. ბერძენიშვილი, ალ. გომიზუვილი, ბ. დონანაშვილი, ნ. ეზრაძე
(პ/მგ. მდივანი), ა. კალაძე, მ. ლასურიბა, მ. ლეგანიძე, ე. მალრაძე, ლ. მრე-
ლაშვილი, ბ. ნატროშვილი, რ. პატარიძე, ჯ. ჩარკვიანი, ნ. წულუის-
კირი, ი. ზილაძე, ბ. ხარანაული, რ. ჯაფარიძე, ბ. ჯიბლაძე.



გიორგი ლუგანიძე

17.94/1

ამხანაბი გუბერნატორი

რომანი

თავი 15

„ჩამაბარეთ იარალი“. მაზრის უფროსის შეცდომა. კოლიციის უფროსი მოახსენებს. საიდუმლო ინსპექტირება. „შენს მოსაკლავად ვართ მოსულნი“. ჯარისკაცები დაიბნენ.

სამხედრო რკინიგზის ეშელონის სა-
რდლობა გაფრთხილებული იყო: სუფ-
სისა და დიდი ჭუმათის რაიონში მოსა-
ლოდნელია წითელი რაზმელების თავ-
დასხმა. ამიტომ შემადგენლობა დიდი
სიფრთხილით მიიწვედა წინ.

ჯარისკაცები ჩუმად საუბრობდნენ,
ბუკობდნენ თავიანთ სვე-ბედზე, ხვედ-
რზე.

— მომკალი და ვერ გამოიგია, რატომ
ვეწვევით ეანდარმებისა და პოლიციე-
ლების შავიერობას, — შენიშნა ერთმა.

— გუბერნიის ერთი ბოლოდან მე-
ორეში გვერეკებიან...

— უბედურებაც ეგ არის. აქ ჩვენ
ხალხს ვეომებით, პორტ-არტური კი
მტერს ჩავებარდეთ...

— შეწყვიტეთ ლაყბობა! — შეუტია
მათ სერჟანტმა მას კიდევ რალაცის
თქმა უნდოდა, მაგრამ ამ დროს მატა-
რებლის მუხრუჭებმა დაიჭრიალა და

ვაგონების ბუფერების ჯახაჯუბმა ქუ-
ხილივით დაუარა ეშელონს. სერჟანტი
ფეხზე წამოხტა.

— იარალი! — გაისმა ბრძანება.

ჯარისკაცები აუჩქარებლად და უხა-
ლისოდ მივიდნენ ვაგონის გასწვრივ
ჩამწკრივებულ შაშხანებთან... გარედან
სროლის ხმა მოისმა.


ეშელონის უფროსმა, კაპიტანმა პო-
პოვმა, შუახნის ჩაფსკენილმა კაცმა,
ბრძანება გასცა:

— ფილოროვი და ივანოვი დაზვე-
რვაში გაარკვეეთ ვითარება!

— არის დაზვერვაში! — უპასუხეს
იმათ, სწრაფად გადმოხტნენ ვაგონიდან
და წელში მოხრილნი შემადგენლობის
გასწვრივ გაიქცნენ. მომზღურებმა შე-
ნიშნეს ისინი, მაგრამ სროლა არ აუტე-
ხეს. შვეერაგები მალე დაბრუნდნენ.

— იმ ბექობს იჭით უამრავი ხალხია
ჩასადრე... მათ ამბა-
ვი, —

* გაგრძელება. დასაწყისი იხ. „მნათობი“,
№ 11, 12 (1984), ა. წ. № 1.



გლახები არიან მეზობელი სოფლებიდან. ბევრი მათგანი შეიარაღებულია შაშხანებითა და რევოლვერებით. მემანქანემ გვითხრა, რომ მის წინ ლიანდაგი აურბიდა, ბოლო ვაგონიდანაც გვაცნობდა, რომ უკან დასახვევით გზაც გამოსულია წყობიდან.

— რა ვქნათ, ბატონებო? — მიმართა ოფიცრებს ეშელონის უფროსმა.

— დაუყოვნებლივ შევაკეთოთ ლიანდაგი და ბრძოლით გავიკლიოთ გზა. — მიუგო ახალგაზრდა ლეიტენანტმა, რომელსაც წელში გამოყვანილი მუნდირი და გაწყვილი ულვაშები ამშვენებდა.

— ეს უგუნურება იქნებოდა, — შენიშნა შტაბის უფროსმა, მალაღმა, ხმელ-ხმელმა და წითურმა კაცმა. — გზის აღდგენა ცეცხლქვეშ ამ ქვაბულში, სადაც ნებისმიერი წერტილი სამიზნედ გამოდგება, შეუძლებელია, თანაც, როგორც ჩანს, მოწინააღმდეგე ბევრად ქარბობს ჩვენს ცოცხალ ძალას.

— როგორ თუ „ქარბობს?“ ასი „ტუზემეცი“ ვერ გაუტოლდება ჩვენს ერთ ჯარისკაცს. — ამოღიღდა ლეიტენანტი.

— კმარა, ბატონებო, კმარა! ჯერ უნდა დავადგინოთ, თუ რა სურთ მათ ჩვენგან, — შემრიგებლურად ჩაილაპარაკა კაპიტანმა.

ამ დროს, თითქოს ეშელონის უფროსის ეს სიტყვები გაიგონესო, გარედან ხმა მოისმა:

— უფროსს ვთხოვთ მოსალაპარაკებლად!

კაპიტანი რამდენიმე ჯარისკაცის თანხლებით ვაგონიდან ჩამოვიდა.

— გამარჯობათ ბატონო უფროსო, — მიესალმა მას ერთ-ერთი რაზმელი, — თქვენ არაფერს გერჩით, მხოლოდ იარაღს ვთხოვთ. ოფიცრების პირად იარაღს კი არა, რევოლვერებს, ყუთებზე რომ მოვაქვთ, ჩავვაბარებთ და მერე გზა მშვიდობისა! — მტიციედ განაცხადა ბრვე ვაჟაკმა, გულმკერდზე ჯვარედინად პატრონტაშები რომ ჰქონდა გადაკვალთული, ზურგს უკან —

მოკლელულიანი შაშხანები წყნარად გრძელი ხანჯალი ეკიდა. მას რამდენიმე რაზმელი ერტყა გარს. ჩანს, ეს მათი მეთაური იყო.

— რა რევოლვერები? — ვითომ ვერ გაიგო, რომელ იარაღზე იყო ლაპარაკი, ისე შეეკითხა კაპიტანი.

— აი ის ას ორმოცდათვრამეტი რევოლვერი, რომლებიც ყუთებით მოვაქვთ.

— თურმე ნუ იტყვით, თქვენ უკეთ გცოდნიათ, რა მიგვაქვს, — მოერიდა პირდაპირ პასუხს ეშელონის უფროსი, წამით ჩაფიქრდა და მერე დაუმტაცა:

— ჩვენ მოვითათბირებთ. და ვაგონში ავიდა.

ხალხი აგუგუნდა. რაზმელები მოსცილდნენ ეშელონს და თავ-თავიანთი პოზიციები დაიკავეს.

— ვერ გავიგე, რა ხდება! ჯერ ერთი, საიდან იციან, რამდენი და რა იარაღი მიგვაქვს, — გაოგნებული ამბობდა პოპოვი. — მერედა ოზურგეთის მაზრის უფროსმა ჩემი თანდასწრებით მიმართა გუბერნატორ სტაროსელსკის და სთხოვა ჩვენი ეშელონი გაეძლიერებინა ორმოცდაათი ჯარისკაცით. მაშინ ასე ლაპარაკს ჩვენთან ვერ გაბედავდნენ. იმან კი უპასუხა: „თქვენი ძალები სრულიად საკმაოა, ესეც რომ არ იყოს, რა საჭიროა ხალხთან ომიო?“

— ღმერთო, შენ შეგვეწვი! — წამოიძახა შტაბის უფროსმა და პირჯვარი გადაიწერა. — თითქმის იგივე უპასუხა ქუთაისის გუბერნიის ჯარების სარდალმა გენერალმა შიშკოვსკიმ.

— ჩანს, მაპატიოს უფალმა, ჩვენმა უფროსებმა ჩვენს მაგიერ გადაწყვიტეს, თუ როგორ უნდა მოვიქცეთ ამ სიტუაციაში. ჩავაბაროთ იარაღი, მორჩა და გათავდა!...

— მომიტყევთ, ბატონებო, მაგრამ ეს ღმერთმა წყლის ლაჩრობა და ლალატი! — გაცხარდა ლეიტენანტი.

— ლეიტენანტო სმირნოვ, თავს ნუ გახვედით! — დაიყვირა კაპიტანმა. — გესმით, რას ლაპარაკობთ?!



და უკვე ბრძანების კილოთი განაგრობ:

— ამგვარად, ვაბარებთ იარაღს.

— მე პროტესტს ვაცხადებ!

— ლეიტენანტო სმირნოვ! შეუდექით ბრძანების შესრულებას! — მტკიცედ წარმოთქვა ეშელონის უფროსმა.

— არის! — უპასუხა ლეიტენანტმა,

— და წამსვე დაუშაბა:

— ამასთან ვითხოვ ნებართვას, უფროსს მიემართო პროტესტით.

— გაძლევთ უფლებას...

მძიმე ყუთები, „სმიტ ვესონის“ სისტემის რევოლვერებით და ვაზნებით, გადაეცა რაზმელთა მეთაურს.

მაღე რაზმელები და ჭარისკაცები ერთად შეუდგნენ გზის აღდგენას. მუშაობდნენ ხალისიანად. ამ დროს რკინიგზის მიმდებარე შარაზე ეკიპაჟი გამოჩნდა. მეეტლემ იგი ეშელონთან შეაჩერა. ეკიპაჟიდან პოლიციელთა თანხლებით გამოვიდა მაზრის უფროსი ლაზარენკო. ის გუბერნატორის დასაბუდრად მიემგზავრებოდა, გზაზე გაჩერებული სამხედრო ეშელონი რომ შენიშნა, დაინტერესდა, რაშიაო საქმე, და ოფიცერთა ვაგონს მიაშურა. ეშელონის უფროსმა დაინახა თუ არა იგი, ბრძანება გასცა:

— სმენა! — შემდეგ სამხედრო სალამი მისცა და შექმნილი მდგომარეობა მოახსენა.

— თქვენო აღმატებულებავ! სულ ახლახანს უსიამოვნო ინციდენტს ჰქონდა ადგილი. თავდასხმელების მოთხოვნით, რომელთა რიცხვი ბევრად აღემატება ჩვენს ძალებს, იძულებული ვიყავით დაგვეკმაყოფილებინა მათი მოთხოვნა და გადაგვეცა მათთვის „სმიტ ვესონის“ სისტემის ას ორმოცდათერთამეტი რევოლვერი.

— აიღეთ და ასე უბრალოდ გადაეცით ხომ?! — სარკასტული ღიმილით იკითხა ლაზარენკომ.

— ნება მომეცით, თქვენო კეთილშობილებავ, მიემართო მის აღმატებულებას, — წინ წამოდგა ლეიტენანტი სმირნოვი და მუნდირი გაისწორა.

— ნებას გაძლევთ. — უპასუხა ლეიტენანტმა.

ლაზარენკო ისმინდა ლეიტენანტის მოხსენებას მომხდარი ინციდენტის შესახებ, ნაცრისფერი ედებოდა სახეზე და თვალები ბრაზით ეჭუტებოდა.

...ამის შემდეგ ეშელონის უფროსმა გასცა ბრძანება და იარაღი მეამბოხეებს გადაეცა. — დაასრულა მოხსენება ლეიტენანტმა.

— ო, ეს დამპალი ლიბერალები, შმიშარები! — აღშფოთდა მაზრის უფროსი. — თქვენ, ლეიტენანტო, ღირსეულად მოქცეულხართ, რაკი აღუდექით ამ აქციას, გიქებთ სამსახურს, ხოლო თქვენ, — მუქარის კილოთი მიუბრუნდა იგი კაპიტანს, — სამხედრო ტრიბუნალს ვერ ასცდებით.

ისე, რომ არც დამშვიდობებია შეკრებილთ, ლაზარენკო უცებ შემობრუნდა, ჩამოვიდა ვაგონიდან და ეკიპაჟს მიაშურა.

ნახევარი საათის შემდეგ იგი სოფელ სუფსასთან სტაროსელსკის შეხვდა. გუბერნატორი ჩვეულებისამებრ წითელი რაზმელების თანხლებით მოდიოდა. ლაზარენკო ის იყო გუბერნატორის ეკიპაჟში გადაჯდა და იმ წამსვე მომხდარი შემთხვევის შესახებ მოყოლა დაიწყო.

მე ხომ უმორჩილესად ვთხოვე თქვენს აღმატებულებას, — ნაწყენი ხმით ეუბნებოდა მაზრის უფროსი სტაროსელსკის, — გაგვეძლიერებინა სამხედრო ეშელონი. ხომ ხედავთ, რა მოხდა! ახლა აუცილებელია ზოჯალაში, ჩოჩხათში და სხვა სოფლებში გავავაზუნოთ განსაკუთრებული სამხედრო რაზმი, რათა იარაღი დავიბრუნოთ და დამნაშავეები დავსაჯოთ. მინდა გაგაფრთხილოთ, რომ ამ სოფლების მოსახლეობას აგიტატორების გავლენით თავი გამომწვევად უქირავს. ჩემის აზრით, ლეიტენანტი სმირნოვი წახალისებას იმსახურებს, ხოლო კაპიტანი პოპოვი დაუყოვნებლივ უნდა გადაეცეს სამხედრო ტრიბუნალს, — სულმოუთქმელად წარმოთქვა ლაზარენკომ

და ვლადიმერ ალექსანდრეს ძეს მიაჩერდა. მაზრის უფროსი გაოცდა, როცა ნახა, რომ მისმა მონაყოლმა გუბერნატორზე მოსალოდნელი ეფექტი ვერ მოახდინა.

— ნუ ცხარობთ, მეგობარო, — მშვიდად შენიშნა ამ უკანასკნელმა.

მალე ისინი ეშელონს მიუახლოვდნენ. გზის შეკეთება თითქმის დამთავრდა და შემადგენლობა გასამგზავრებლად ემზადებოდა. სტაროსელსკიმ ეკიპაჟი შეაჩერა. მარდად გადმოხტა და ოფიცერთა ვაგონისაკენ გაეშურა. ლაზარენკო ცდილობდა არ ჩამორჩენოდა გუბერნატორს.

კაპიტანი პოპოვი პატაკისათვის მოემზადა, მაგრამ სტაროსელსკიმ მეგობრული ექსტით შეაჩერა.

— არ არის საჭირო... ჩემთვის ყველაფერი ცნობილია, ბატონებო. — შემდეგ ეშელონის უფროსს მიუბრუნდა:

— კაპიტანო პოპოვ, გიცხადებთ მადლობას საზრიანი გადაწყვეტილებისა და მოქმედებისათვის, რითაც მოსალოდნელი გართულებები თავიდან აიცილეთ. რაც შეეხება ლეიტენანტ სმირნოვს, იგი უნდა დაისაჯოს მოუფიქრებელი და საშიში წინადადების წამოყენებისათვის.

ეს რომ თქვა, სტაროსელსკიმ გზა მშვიდობისა უსურვა ოფიცრებს და ვაგონიდან ჩამოვიდა...

— ყველა ამ გაუგებრობის მიზეზის გახლავთ, რომ ცუდად ასრულებთ თქვენს უშუალო სამსახურებრივ მოვალეობას, — მოძღვრავდა გზაში სტაროსელსკი მაზრის უფროსს.

— მომიტყვეთ... — დააპირა შედაგება ლაზარენკომ, მაგრამ სტაროსელსკიმ არ აცალა.

— რამდენჯერ გაგაფრთხილეთ, გემოქმდათ ისე, რომ მოსახლეობასთან კონფლიქტს ასცდნოდით. ნუთუ არ გესმით, რომ სახალხო მოძრაობა ადიდებულ მდინარესა ჰგავს. რიონის დინება შეიძლება დროებით შეაჩერო, მერე მდინარე თავისას იზამს, ჭებირს გაარღვევს და ყველაფერს წალეკავს.

— ახლა როგორღა მთქმეტყველებთ ალმატებულეზავ, — იკითხა დაბნეულმა ლაზარენკომ. — ახლახან გახლდით ჩოხატაურში, ადგილზე მომახსენეს და ჩემი თვალებითაც ვნახე, რომ იქ რაღაც საშინელი აქცია მზადდება.

— მაინც რა აქცია? — უკმაყოფილოდ იკითხა სტაროსელსკიმ.

— ისეთი პირი უჩანს, რომ სისხლიანი აქცია იქნება, როგორც მაშინ, პრისტავი კოსტავა როცა მოკლეს თქვენ იცით ამის შესახებ.

— კი მაგრამ, რატომ ფიქრობთ, რომ მსგავსი რამ უნდა განმეორდეს?

— პატივი მქონდა მომხსენებინა თქვენთვის, რომ იმ დღეს შვიდი ათასი კაცი სამასი ბერდანკითა და შაშხანებით შეიარაღებული მიუხტა პრისტავიციდან, უბნის სამმართველოში. თქვენ მაშინ არ მომეცით უფლება გამეძლიერებინა იქ მყოფი რაზმი.

— სწორადაც მოვქცეულვარ, რომ არ მომიცია ამის ნებართვა. მიტინგი გაიმართა, რის შემდეგ ხალხი მშვიდობიანად დაიშალა. წინააღმდეგ შემთხვევაში სისხლის ღვრას ვერ ავცდებოდით.

— მაგრამ ამჯერად, ამაში სრულიად დარწმუნებული ვარ, ჩოხატაურში და ლანჩხუთში რაღაც გრანდიოზული მზადდება.

— ხომ გაგიგონიათ, შიშს დიდი თვალები აქვსო.

— ხუმრობის ხასიათზე ბრძანდებით, თქვენო ალმატებულეზავ, მე კი ჩემი დამემართა. ახლა კიდევ ამ 15მ რევოლვერის გატაცება. კვლავ უმორჩილესად ვახოვებ, რომ განსაკუთრებული სამხედრო რაზმი...

— მაინც თქვენსას არ იშლით, — გაღიზიანებით თქვა სტაროსელსკიმ. — რით ვერ გაიგეთ, რომ თქვენ მიერ შემოთავაზებული ქმედება სრულიადაც არ შეუწყობს ხელს ხალხის დამოშმინებას. პირუკუ, გაახლებს მათ.

ლაზარენკო დაიბნა, არ იცოდა, რა ეპასუხა.

— გვეყო ბაასი, თავისუფალი ბრძანდებით. მაზრის საქმეებს მიხედვით. ნახვამდის. — მშრალად მოუჭრა სტაროსელსკიმ.

ნირწამხდარი და გაოგნებული ლაზარენკო გადაჯდა თავის ეკიპაჟში და ოზურგეთისაკენ გაეშურა.

სამაზრო ცენტრში რომ დაბრუნდა კაბინეტში ჩაიკეტა და მდივანს უბრძანა, არავინ შემოეშვაო. დიდხანს, ერთ წერტილზე მიჩერებულს და მწარე ფიჭვრებში გაბმულს, თავის თავისთვის ვერაფრით ვერ აეხსნა გუბერნატორის ასეთი პოზიცია, ვერ გაეგო, როგორ შეიძლებოდა უპასუხოდ დარჩენილიყო „ბანდიტების“ თვითნებობა.

„იქნებ ეს ყველაფერი მეფისნაცვალს ვაცნობო? — ფიჭვობდა ის, — არა, არ ივარგებს! გამოვა, რომ სტაროსელსკის ვუჩივი. მას კი, როგორც ამობენ, ზევით მფარველობენო. აჯობებს თვით მას ოფიციალური წერილით მივმართო განსაკუთრებული სამხედრო რაზმის გამოყოფის თაობაზე, რომ გაინხროციოს იმ სოფლების მოსახლეობა, რომლებიც თავს დაესხა შემადგენლობას და ამოღებულ იქნას გატაცებული იარაღი. ღმერთმა უწყის, ზედა და ზეგრა ხდება?! ყოველ შემთხვევისათვის დარჩეს ასეთი დოკუმენტი“. — გადაწყვიტა მან და წერილის შედგენას შეუდგა.

უთენია დააპირა მან გუბერნატორთან ამ წერილის გაგზავნა, მაგრამ შეატყობინეს, რომ ვაფიცვის გამო ქუთაისთან სატელეგრაფო და სარკინიგზო კავშირი გაწყვეტილიაო. მაშინ ლაზარენკომ მაზრის შიკრიკს უბრძანა პაკტი ჩოხატაურის უბნის პრისტავ გავუსათვის ჩაეტანა, რათა მას, თავის მხრივ, სამტრედიის პრისტავისათვის მიეწვდინა, იმას კი ქუთაისში გადაეგზავნა. მაგრამ ესეც არ მოხერხდა. აჯანყებულებმა ყველა გზა და ბილიკი გადაკეტეს, შიკრიკი რაზმელებს ჩაუფარდა ხელში და მის შესახებ არავინ არაფერი იცოდა.

საადროს ღრუბელივით მოლუშული იჭდა შირინკინი კაბინეტში. ქუთაისიდან მოსულმა ბოლო ცნობებმა წონასწორობიდან გამოიყვანა. ორ საათზე მეტი ჩაპკირკიტებდა რალაც ქალაქს. მერე სწრაფად წამოხტა ფეხზე და ნერვიულად მოჰყვა ბოლთის ცემას. შემდეგ ტელეფონით თავის მოადგილეს ხმელივც გამოუძახა. ისიც დაუყოვნებლივ გამოცხადდა.

— მეფის ხელისუფლება ქუთაისში დამხობილია. — დაარეტიანა ახლად შემოსული შირინკინმა. — სახელმწიფო ორგანოები პარალიზებულია; პოლიციელები და ქანდარმები ან დაპატიმრებულია, ან განიარაღებული. პრაქტიკულად მთელი ხელისუფლება რევოლუციურად განწყობილ ბრძობა — ეგრეთ წოდებული გლეხთა კომიტეტების ხელშია.

— რალა თქმა უნდა, გუბერნატორის თაოსნობით?!

— აბა როგორ გგონიათ?! მე უკვე შევადგინე პეტერბურგში გასაგზავნი წერილი შინაგან საქმეთა სამინისტროს პოლიციის დეპარტამენტის სახელზე. აბა დამიგდეთ ყური სთქვა შირინკინმა და ხმაძალა დაიწყო მოხსენებითი ბარათის კითხვა:

„ქუთაისის გუბერნიაში საგანგებო მდგომარეობა შეიქმნა: სახელმწიფო ხელისუფლებას, გარდა გუბერნატორ სტაროსელსკისა, მემამბოხეები არავის არ ცნობენ, ქანდარმები განიარაღეს და რკინიგზის დასავლეთ უბანს დაეპატრონენ. თვითონ ყიდნიან ბილეთებს და თავად აწესრიგებენ მოძრაობას. ქანდარმები ხაზიდან მოხსნილია. იმის გამო, რომ ჩვენს მიერ გაგზავნილ ფელდეგერებს აკავებენ, ჩხრეკენ და დოკუმენტებს ართმევენ, ცნობებს ქუთაისიდან ვერ ვღებულობთ. მდგომარეობა კატასტროფულია...“

— ვფიქრობ, თქვენო მალალკეთილშობილებავ, წერილში უფრო გარკვევით უნდა ითქვას სტაროსელსკის ძირგამომთხრელ მოღვაწეობაზე, უნდა აგ-

რძნობინოთ, რომ გადაუდებლად მიგაჩნიათ მისი ქუთაისიდან დაუყოვნებლივ მოცილება.

— როგორც ჩანს, ეს ჩვენზე არ არის დამოკიდებული. ჯერ კიდევ მის გუბერნატორად დანიშნვამდე ვატყობინებდი პოლიციის დეპარტამენტს, რომ სტაროსელსკის შეხედულებანი გვაიძულებს ვივარაუდოთ, რომ მისი ამ თანამდებობაზე ყოფნა სავსე იქნება მოულოდნელობებით. მაგრამ რა გამოვიდა? ამ ცნობას ყური არავინ ათხოვა. ჩანს, ვიღაცა მფარველობს. დამიჯერეთ ის, რაც დღეს ხდება ქუთაისში, მხოლოდ დასაწყისია. მთავარი ამბები მაშინ მოხდება, როცა სტაროსელსკი და მისი თანამზრახველნი განახორციელებენ თავის ვერაგულ ჩანაფიქრს — მოალოებენ გუბერნიიდან ტახტის ერთგულ კაზაკთა ნაწილებს. დაიხსომეთ ჩემი სიტყვა — ამ შემთხვევაში მთელი დასავლეთ საქართველო გაწითლდება. გრამმა გადმომიგზავნა სტაროსელსკის დეპეშა, სადაც ის ამზადებს ნიადავს კაზაკების გუბერნიიდან გასაყვანად, მიუთითებს, რომ ხოპერელი კაზაკები გამომწვევად იქცევიან: ღამით დახეტიალობენ ქალაქში, აკაგებენ მშვიდობიან მოქალაქეებს, სცემენ და ძარცვებენ მათ. ამასთან დაკავშირებით შემოსულია საჩივრები, პრეტესტები და მოითხოვს სასწრაფო განკარგულებას კაზაკების ქვეითი ჯარის ნაწილებით შეცვლის თაობაზე. თურმე ნუ იტყვი, ეს აწყობს მას.

— სრული ჭეშმარიტებაა, — კვერი დაუკრა ხმელიოვმა, — ქუთაისის საგუბერნიო ეანდარმერიის სამმართველოს უფროსი გვატყობინებს, რომ გარნიზონის ჯარისკაცები დიდი ჯგუფებით ესწრებიან ქუთაისსა და მის შემოგარენში შეამზახეთა კრებებსა და მიტინგებს, რომლებზეც აგიტატორები მთავრობის საწინააღმდეგო სიტყვებს წარმოთქვამენ. ჯარისკაცებმა 30 პუნქტისაგან შემდგარი მოთხოვნაც კი წამოაყენეს: მათ შორის ითხოვენ, რომ სამხედრო სამსახური გაიარონ თავის სამშობლოში... არ უნდა დააპატიმრონ

იმის გამო, რომ ხალხის შეწყობა რძნობა გამოამქლავონ? ვინ უფროსი ვინაა ინტერესები დაიცვან. ნებისმიერი დაპატიმრება და დასჯა ჯარისკაცისა უნდა ხდებოდეს მხოლოდ მას შემდეგ, როცა ასეულის მიერ არჩეული მსაჯულები გამოიტანენ შესაბამის დადგენილებას... და კიდევ ბევრი სხვა ამისთანები. იმასაც გვატყობინებენ, რომ კრებას, სადაც ეს მოთხოვნები იყო წამოყენებული, თვით სტაროსელსკი ესწრებოდა.

— პირდაპირ ვასაოცარი! ვერაფერი გამიგია, რა ხდება? — დაიწყო აღშფოთებულმა შირინკინმა, — ნუთუ ისინი, ვისაც ეს ევალება, ვერ ხვდებიან, რომ როგორც კი მეფისა და ტახტის ერთგული ჯარის ნაწილები — ცაზაკები გურიას დატოვებენ, მას რევოლუციონერები გამოიყენებენ პლაცდარმად, საიდანაც შეამზახები აგიტაციით გადმობირებულ ჯარის ნაწილებთან ერთად, რომლებსაც მეთაურობს მოლაღატე და სამხედრო ფიცის გამტეხი ბენერალი შიშკოვსკი, დაიძრებიან ბათუმისა და თბილისისაკენ, რათა იქ აღმართონ ეგრეთწოდებული „თავისუფლების“ წითელი დროშა. სტაროსელსკი ყველაფერს აკეთებს ამ მიზნის მისაღწევად. მისი მეცადინეობით პარალიზებულია რევოლუციონერთა შავბნელი ზრახვების წინააღმდეგ მიმართული აღმინისტრაციისა და სახელმწიფო სამსახურების ნებისმიერი მეცადინეობა.

— შეხედე ერთი ამ ნაძირალას, ამ არამზადას!

— ჩვენ, ტახტისა და სამშობლოს ერთგულეებმა, ყველაფერი უნდა ვილონოთ იმისათვის, რომ ეს მოლაღატე, წითლების აგენტი რაც შეიძლება მალე გაძევებულ იქნას თავის პოსტიდან.

— მართალი ბრძანდებით, თქვენო მალაკეთილშობილებავ, რაც მალე მოხდება ეს, მით უკეთესი, წინააღმდეგ შემთხვევაში... — აქ ხმელიოვს სიტყვა გაუწყდა.

— რა „წინააღმდეგ შემთხვევაში“? — მოიღუშა გენერალი.

— იცით თქვენ თუ არა, — განაგრ-



ძო ხმელიოვმა, თითქოს შეკითხვა არც კი გაუგონიაო, — რომ ზუგდიდის მახარის უფროსი გეგამოვი, ეს ჩვენი საიმედო დასაყრდენი, მეფის უერთგულესი მსახური, სტაროსელსკიმ გადააყენა თანამდებობიდან და დასვა საკითხი მისი პასუხისგებაში მიცემის შესახებ.

— თქვენ, ალბათ, ამით იმის თქმა გინდათ, რომ მალე სტაროსელსკი ჩვენთვისაც მოიცილს, — შენიშნა შირინკინმა, — თქვენ მართალი ბრძანდებით, ვიდრე გვიან არ არის, უნდა ვიმოქმედოთ, თანაც ვიმოქმედოთ შეუცდომლად.

— ექვს გარეშეა, რომ თავის მეგობრების — კომიტეტელების რჩევით, მან უარი თქვა ჩვენს დაცვაზე და ამით გადაგვიწურა ინფორმაციის საიმედო წყარო მისი ქმედების შესახებ. როგორც ახლახანს შემატყობინა ჩვენმა აგენტმა, — განაგრძობდა შეფის გაბელებას ხმელიოვი, — მისი დაცვა შედგება წითელი რაზმელებისაგან და შვი ზღვის ფლოტის დეზერტირი მეზღვაურებისაგან.

— როგორც მღვდელია, მრევლიც ისეთი ჰყავს, — ჩაიჭირქილა შირინკინმა.

— როცა ჩვენი სამმართველოს ოფიცერმა ვოლკინმა მოახსენა სტაროსელსკის, რომ აგენტურული მონაცემებით ერთ-ერთი მისი მცველი ატარებს რაზმელის მიერ მოკლული პოლიციელი ალექსეევის იარაღს, — მან ცინიკურად უპასუხა: „ეს თქვენ მოგელანდათ“.

— აბა, გაიხსენეთ ქუთაისის საგუბერნიო ეანდარმერიის სამმართველოს მოხსენება იმის თაობაზე, რომ ადგილობრივი რევოლუციური ორგანიზაციის გამოჩენილი მოღვაწის ალექსანდრე წულუკიძის დაკრძალვის დროს კურინის სამოცდამეცხრამეტე ქვეითი პოლკის ჯარისკაცმა გვირგვინი შოიტანა წარწერით: „თავისუფლებისათვის მებრძოლ სამა წულუკიძეს კურინისა და ფოთის პოლკების ჯარისკაცებისაგან“.

— მახსოვს, როგორ არ მახსოვს! — ამ ისტორიას თავისი გაგრძელება აქვს.

— რა გაგრძელება?

— თქვენი აქ არყოფნის დროს მე მივიღე პატაკი იმის შესახებ, რომ კაპიტანი, რომელმაც ეს ჯარისკაცი სამხედრო საეველ სასამართლოს გადასცა, ამას წინათ, დღისით-მზისით, ქუთაისის ერთ-ერთ ხალხმრავალ ქუჩაზე მოკლეს. მკვლელები კი მიიმალნენ და დაუსჯელად ბოგინობენ. ამბობენ, რომ ეგრეთ წოდებულმა სახალხო სასამართლოებმა გამოუტანეს სასიკვდილო განაჩენი კიდევ რამდენიმე სამხედრო ოფიცერს, რომლებიც, მათი აზრით, იჩენენ სისასტიკეს ჯარისკაცების მიმართ. რა უნდა ქნა, როცა ეს სასამართლოები, რომლებსაც ასე ცხარედ უჭერს მხარს სტაროსელსკი, საიქიოს ისტუმრებენ სამშობლოს ერთგულ შვილებს. მართლაც, ალბათ მალე ჯერი ჩვენზეც მიდგება.

— ღმერთო ჩემო, ეს რა ხდება, ეს რა დრო დაგვიდგა! — იტაცა თავზე ხელი შირინკინმა.

სტაროსელსკისა და შიშვევიჩის ეს გამგზავრება სრული საიდუმლოებით იყო მოკლული. მის შესახებ უახლოესმა მეგობრებმაც კი არაფერი იცოდნენ...

მათ ეკიპაჟს ქალაქის აღმოსავლეთ განაპირას წითელი რაზმელების ცხენოსანთა სპატიო ესკორტი მიეგება. ორი საათის შემდეგ ტყეს მიუახლოვდნენ, აქ მათ მეგობრები ფილიპე და მიხო ელოდნენ. ყველანი ვიწრო ბლიოკით ტყის სიღრმისკენ გაემართნენ. მალე მათ წინ საგულდაგულოდ მოშანდაკებული ფართე ველი გადაიშალა. ის, რაც აქ ხდებოდა, ჭეშმარიტად გასაოცარი რამ იყო. ამ თავისებურ საწვრთნელ პლაცზე ათასობით კაცი პროფესიონალი სამხედროების (ძირითადად მეფის არმიის დეზერტირების) დახმარებით სამწყობრო მოშანდაკებას გადიოდა, სამხედრო წვრთნის ანბანს ეუფლებოდა.

— მარდნი! მარცხნი! — აღევდა ბრძანებას ერთ-ერთ ჯგუფს ზორბა აღნაგობის ჭარმაგი რუსი მეზღვაური.

— თოფ ხა! თოფ ხა!

ეს ბრძანებები შესაშური სერიოზულობითა და გულმოდგინებით სრულდებოდა. ბანაკს სწრაფად მოედო გუბერნატორისა და პოლკოვნიკ შიშკევიჩის მოსვლის ამბავი. გაისმა ბრძანება და ათასობით რაზმელი კოლონებად დაეწყო. ორკესტრმა, რომელიც ერთი მედლის, ერთი მეტუკისა და ერთი კლარნეტისტიისაგან შედგებოდა, სამხედრო მარში დაუკრა და ჯარების დათვლიერება დაიწყო. ჯერ ცხენოსანთა რაზმებმა ჩაიარეს, მას ქვეითები მიჰყვნენ. თუმცა ყველას სხვადასხვანაირად ეცვათ და სხვადასხვა იარაღით იყვნენ აღჭურვილნი, მაგრამ სანახაობა მაინც შთამბეჭდავი იყო. როცა სტაროსელსკისა და შიშკევიჩის მედროშეებმა ჩაუარეს, მათ სამხედრო სალამი მისცეს.

აი, დათვლიერება დამთავრდა.

— მხედრული გამართულობა, პირდაპირ ვიტყვი, დამაქმაყოფილებელია. — მიმართა იქვე მდგომ ათასეულებისა და ასეულების მეთაურებს, ფილიპესა და მიხოს შიშკევიჩმა. სამხედრო სპეციალისტის ამ შეფასებამ სიამაყით და გამყოფილებით აღავსო ისინი. შემდგომ სტუმრებს დაათვლიერებინეს სამხედრო საჭურვლის, იარაღის, სურსათ-სანოვაგისა და მედიკამენტების საწყობები.

— ეს ყველაფერი ნაწილობრივ ექსპროპრიირებულია, ნაწილობრივ შეძენილი, — განუმარტეს მათ.

შემდეგ შედგა ხანმოკლე სამხედრო საბჭო, რომელზედაც შიშკევიჩმა აღნიშნა პროფესიული შენიშვნების, მებრძოლთა მომზადების სისტემის, ბრძოლის ტაქტიკის, დღის რეჟიმის და სხვათა შესახებ.

მალე სტუმრები გულთბილად დაემ-

1 დამახინჩებული ქართული — „მარჯნივ“, „მარცხნივ“.

2 დამახინჩებული „თოფი მხარზე!“

შვიდობნენ მასპინძლებს და მასწავლებლებს.

* * *

ტელეფონმა დარეკა. ვლადიმერ ალექსანდრეს ძე რაღაც დოკუმენტის კითხვით ისე იყო გართული, რომ ზარის ხმას ყური არ ათხოვა. მხოლოდ მაშინ, როცა აპარატი მეორედ და უფრო საგულდაგულოდ აწკარუნდა, მან ყურმილი აიღო.

— მოგახსენებთ პოლკოვნიკი ნიკოლაევი, — გაისმა ყურმილში ალექსანდრეს ხმა. — გთხოვთ, თქვენო აღმატებულება, ფრიად მნიშვნელოვან საქმის გამო მიიღოთ ზოპერის პოლკის ხორუნიკი მილანჩენკო.

— რაშია საქმე?...

— ფრიად მნიშვნელოვანი ამბის გამო...

— ხვალ მოვიდეს თორმეტი საათისათვის.

— იქნებ როგორმე მოიცალოთ და ახლავე მიიღოთ, — დაჟინებით ითხოვა პოლკოვნიკმა. — მისი მოხსენება მეტად სერიოზულია. ჩვენ დიდად შემფოთებულნი ვართ.

— კეთილი, მობრძანდეს.

თხუთმეტი-ოცი წუთიც არ იყო გასული, რომ მორიგე მოახსენა გუბერნატორს, ვინმე მილანჩენკო გეახლათო.

კარებში გამოჩნდა მალალი და გამხდარი, არაპროპორციულად დიდთავიანი კაცი. მის სახეს სადგისივით წაწვეტილებული ცხვირი, მოუსვენარი, მოძრავი თვალები და დიდი, განზე გასული ყურები „ამშვენებდნენ“.

მან სამხედრო სალამი მისცა სტაროსელსკის, შემდეგ ფეხაკრებით საწერ მაგიდასთან მივიდა, აქეთ-იქით მიმოიხედა, ხომ არავინ გვისმენსო, და ხმადაბლა დაიწყო:

— მეფისა და სამშობლოს წინაშე ჩემს პატრიოტულ მოვალეობად მიმაჩნია, რომ ვაცნობოთ შემდგომ: თქვენო აღმატებულება, ჩემთვის ცნობილი გახდა, რომ ამ დღეებში ქართველები აპირებენ ანგარიში გაუსწორონ

რუსებს. სულ ერთიანად ამოხოცონ ისინი, პირველ რიგში განზრახულია თქვენი მოკვლა, შემდეგ კი ყველა დანარჩენების, თვით სამტრედიის საორთქლმავლო მუშებისაც კი.

სტაროსელსკი მყის მიხვდა, ვისთან ჰქონდა საქმე.

— მაშ პირველ რიგში მე უნდა მომკლან? — ირონიულად ჩაეკითხა იგი.

ხორუნიემ დაცინვა ვერ შენიშნა და დაუდასტურა:

— დიახ, დიახ, ღმერთსა ვფიცავ. სწორედ თქვენ. მერე ყველა დანარჩენები. — და გულმოდგინედ პირჯვარი გადაიწერა. — ამისათვის მათ მფრინავი რაზმები შექმნეს.

— მაშ ასე, უკლებლივ ყველა რუსს ამოწყვეტენ? — იმავე კილოთი იკითხა სტაროსელსკიმ.

— დიახ, უკლებლივ!

— კი, მაგრამ, თქვენ საიდანა გაქვთ ასეთი უტყუარი ცნობები?

— ჩემი ყურით მოვისმინე — აქ მოსულმა ხელი თავის უშველებელ, დაირასავეთ ყურზე მიიღო. — ისიც გავიგე... — აქ მას თითქოს გამხედრობა არ ეყო, წამით დაყოვნდა.

— ნუ გერიდებათ, განაგრძეთ, გეთავყვა, განაგრძეთ...

— შეთქმულებას ხელმძღვანელობს თქვენი... მოადგილე... ყიფშიძე, — სხაპასხუპით მიახალა მილანჩენკომ და თავისი წვრილი, გამჭოლი თვალები მეტრის სისწრაფით აქეთ-იქით აათამაშა.

— ოო!... ნუთუ?, — ყასიდად გაიოცა სტაროსელსკიმ.

— დიახ, დიახ, ამბობენ, რომ თქვენ ტყუილად ენდობით მას.

— კეთილი, ჩემო კარგო, გპაძლობ სამსახურისათვის.

— ვემსახურები მეფესა და სამშობლოს! — ისე დაიღრიალა სტუმარმა, რომ კარებში მკველის შემფოთებული სახე გამოჩნდა... მაგრამ რაკი შეფის სახეზე ირონიული ღიმილი შენიშნა, მაშინვე კარი მიხურა.

• • •

ხოპერის პოლკის ოფიცრებმა სადგურის რედიის რეინიზის სადგურის ერთ-ერთ ჩიხში ჩამდგარ ვაგონებში ცხოვრობდნენ. იმ დღეს, საღამოთ, რეინიზულეებმა სასწრაფოდ ვაგონების გადაანაცვლება დაიწყეს. ყარაულს აუხსნეს, ეს ყველაფერი ტექნიკური მოსაზრებებით კეთდებაო. ნაწილიდან დაბრუნებულ ხორუნიე მილანჩენკოს გაუკვირდა, როცა თავისი ვაგონი შემადგენლობის შუა ნაწილში კი არა, თავში დაინახა. იმავე ღამეს იგი რაღაც ბიძგმა გააღვიძა. გაიფიქრა, ისევ ვაგონები გადაჰყავ-ვადმოჰყავთო. მზარი იცვალა და კვლავ ძილს მისცა თავი. მაღლე ისევ გაეღვიძა, ვაგონი მთელი სისწრაფით საღლაც მიექანებოდა. მერე მძლავრად შეინჯღრა და გაჩერდა. ხორუნიე ფეხზე წამოხტა, უცებ მოესმა:

— ეი, მილანჩენკო! — და ვილაცამ ენერგიულად დააკაუნა ვაგონის კარზე. ხორუნიე ფანჯარას ეცა.

წყვილიაღში რამდენიმე ლანდს მოჰკრა თვალი.

— ვინ არის?! — დაიღრიალა მან და რევოლვერი იძრო. — მიპასუხეთ, თორემ ვისვრი!

— ნუ სულელობ, ჩვენ ბევრნი ვართ! გაისვრი და ვაგონს ავაფეთქებთ. გამოდი, საქმე გვაქვს!

ხორუნიე დაიბნა, არ იცოდა, რა მოემოქმედა.

— არ გესმის? გამოდი-მეთქი! — უბრძანა იგივე ხმამ. — დინამიტი ვაგონს დაუღეთ. სამამდე ვითვლი: ერთი...

მილანჩენკო კარისაკენ გაემართა და გააღო.

— ჩამოდი!

იგი ერთ ადგილზე გახევდა.

— ჩამოდი-მეთქი! მილანჩენკო ჩამოხტა ვაგონიდან თუ არა, შეამჩნია, რომ მეორე ლიანდაგზე ორთქლმავალი იდგა.

— ილოცე, შენი ანდერძის ასაგებად ვართ მოსულნი — ჩახლეჩილი ხმით უთხრა ვილაცამ.

„ღმერთო ჩემო, თავი სიზმარში მგონია“, გაიფიქრა ხორუნიძე.

— გადავწყვიტეთ რუსების ხოცვა გუბერნატორით კი არა, შენით დავიწყეთ. — კვლავ მოესმა იგივე ხმა.

„ეს რა უბედურებაა ჩემს თავს?“ — ფიქრობდა გაოგნებული მილანჩენკო. მან, ჟანდარმერიის ფარულმა აგენტმა, ყველაფერი იცოდა, რაც ამ პროვოკაციულ აქციას ეხებოდა. ამ ქორების გავრცელება მას ზოგიერთ სხვა პროვოკატორებთან ერთად ჰქონდა დავალებული.

— ბიჭებო, რა დროს ხუმრობაა?! — ძლივს ამოილულულა.

— სახუმაროდ არა გვცალიან, ნუთუ ვერ გაიგე, რომ შენს მოსაკლავად ვართ მოსულნი.

— მერედა რისი გულისთვის, ძმებო, თქვენ ხომ რუსები ხართ!

— სწორედ მაგაშია საქმე, რომ რუსები ვართ! ამიტომაც გადავწყვიტეთ, შენ — პროვოკატორსა და შხამიან გველს — თავი გაგიჩეჩქო!

— რისთვის, ძმებო?!

— იმისათვის, რომ არამზადა ხარ, — გაიმეორა იმავე ხმამ. — ეს შენ, ნაძირალავ და სულგაყიდულო შენ, წაუღისიანე ერთმანეთს აზერბაიჯანელები და სომხები ბაქოში, ძმათა სისხლისმღვრელი ომი გააჩაღე. იგივე გინდოდა გაგემეორებინა თბილისში, მაგრამ ვერ მოგართევს!

— კი მაგრამ, მე რა შუაში ვარ?

— შენ თუ არა, შენისთანა დაქირავებული პროვოკატორები მოქმედებდნენ. ამიტომაც ჩვენ, რუსმა რევოლუციონერებმა, თქვენი მოსპობა გადავწყვიტეთ.

ხორუნიძე მიხვდა, რომ მის სიცოცხლეს საფრთხე ემუქრებოდა, და ხვეწნა დაიწყო:

— მე დამნაშავე არ ვარ, — ნუ გამწირავთ, ძმებო, ცოლ-შვილის პატრონი ვარ!

მომხდურებმა ყასიდად ითათბირეს.

— ჟანდაბას შენი თავი, ამჭრად გვიპატიებია. ოღონდ ერთი პირობით.

ფეხით გაისეირნებ შენს წაწილამდე და ყველას, ვინც გააბრიყვებ, — დაიწყეს რუსებს ამოწყვეტენო, — ეტყვი, რომ რუსმა რკინიგზელმა მუშებმა გაიძულეს გელოარებია, რომ ეს საზიზლარი სიცრუეა, რომელსაც შენ ჟანდარმერიის დავალებით ავრცელებდი. გასაგებია?

— გასაგებია. — ყრუდ ჩაილაპარაკა პროვოკატორმა.

— ამას არ გააკეთებ და მერე რაც მოხდება, შენს თავს დააბრალე. იცოდე სიკვდილი გაქვს მისჯილი.

ამის თქმა და ყველა გაუჩინარდა. გაოგნებულ ხორუნიძეს უცებ ოთქლმაგაღმა ჩაუჭროლა.

რევოლუციური მოძრაობის განვითარებამ ცხადყო, რომ საჭიროა რსდმპ-ს გავლენის გაძლიერება ჯარისკაცთა მსებზე, მათი ხალხის მხარეს გადმობირება. ამ მიზნით ცენტრის უშუალო მითითებით ჯარის ნაწილებში გაგზავნილ იქნენ საუკეთესო კონსპირატორები, ავტორიტეტული ამხანაგები.

...მაზრის რეზერვის ყაზარმაში დილილი დილი გამოცოცხლება სუფევდა. აქ სტუმრად თვით გუბერნატორის ელოდნენ.

ყველასათვის მოულოდნელად სამოქალაქო ტანსაცმელში გამოწყობილი სტაროსელსკი მოვიდა, მხოლოდ ერთი რაზმელის თანხლებით. გულთბილად მიესალმა ჯარისკაცებს, დაინტერესდა მათი ყოფით. ერთ-ერთი ჯარისკაცი თავისი მეგობრების სახელით მზურვალედ მიესალმა სტაროსელსკის, მერე კი შესჩვილა, ხალხს რატომღაც არ ვუყვარვართ, ნორმალური სამსახურის საშუალებას არ გვაძლევენო.

— კარგად იცით კი, რა შედის თქვენს სამსახურებრივ მოვალეობაში? — შეაწყვიტინა მას ვლადიმერ ალექსანდრეს ძემ.

ჯარისკაცი დაიბნა და თვალების აქეთ-იქით ცეცხა ისე დაიწყო, თითქოს კარხახს ელოდებო.

— სახელმწიფო კანონების შესრულების უზრუნველყოფა... წესრიგი... — როგორც იქნა, ამოღებდა მან.

— იცით თუ არა, რომ კანონები ახლა სხვა და წესრიგიც სხვაგვარი უნდა იყოს?

ჭარისკაცებმა ყურები ცქვიტეს.

— უბედურებაც ის არის, რომ, — განაგრძო სტაროსელსკიმ, — ბევრს თქვენგანს დღეს სწორად არ ესმის თავისი მოვალეობა, ვერ შეუგნიათ, რომ სხვა დრო დადგა. ხალხი უკეთესი მომავლისათვის საბრძოლველად აღსდგა. თქვენ კი, ამ ხალხის შვილები, მის წინააღმდეგ გამოდიხართ. აი, ამიტომაც არ უყვარხართ. მე ვცდილობ გამოვინახო ხალხთან საერთო ენა, ამიტომაცაა, რომ არავენ არაფერს შერჩის.

— თქვენ სხვა ხართ... — გაისმა ხმები.

— რატომ სხვა? თქვენც სცადეთ და ახალ კანონებს დაუპირეთ მხარი, გააკეთეთ ის, რაც ხალხს სურს და საქმეც კარგად წავა. აი, მაგალითად, რომ გითხრათ: ხალხის საქმისათვის გამომყევით. გამომყევით თუ არა?

ჭარისკაცები დაიბნენ.

— აბა, ვინ გამომყევბა? დამიდასტურეთ ხელის აწევით.

ბევრმა ხელი ასწია.

— ყოჩაღ! მე დარწმუნებული ვიყავი, რომ თქვენ მზადა ხართ ჩემთან ერთად სისხლი დაღვაროთ სახალხო საქმისათვის. ეს ბრძოლა ძნელი იქნება და თქვენ მშრომელ ხალხთან ერთად უნდა იყოთ. ხლო ზოგიერთ თქვენგანმა არც უწყის, რას სჩადის, ღვრის უდანაშაულო სისხლს იმ ადამიანებისას, რომლებიც იბრძვიან თქვენი მამების, დედების, ღებისა და ძმების თავისუფლებისათვის. სამარადისო ხსოვნა ხალხის თავისუფლებისათვის დაცემულ მებრძოლებს! და სტაროსელსკიმ ქული მოიხადა.

ჭარისკაცებმა სამხედრო საღამით უპასუხეს:...

იმავე საღამოს, ამოძახების შემდეგ: ყაზარმაში, ერთ-ერთ მყუდრო კუთხე-

ში თავი მოიყარეს ჭარისკაცებში ერთმა მათგანმა, ოლეგ მთხარალოვმა. ჯიბიდან ოთხად დაკეცილი ქალაღლი ამოიღო და განაცხადა:

— ბიჭებო, ახლა წაგვიკითხავთ რსდმპ კავკასიის კავშირის თბილისის კომიტეტის მიმართვას ჭარისკაცებისადმი.

— ვინ მოგცა? შენ ხომ არსად არ გასულხარ და არც არავინ მოსულა შენთან. დაინტერესდა ვიღაცა.

— ეს საიდუმლოა.

— მაინც, თუ ღმერთი გწამს, მითხარი — არ ცხრებოდა ჭარისკაცი.

— „შემთხვევით“ სტუმრებს დარჩათ...

— მართლა?! — გაიკვირვეს ჭარისკაცებმა.

— წაიკითხე!..

პროკლამაციაში ნათქვამი იყო, რომ რუსეთი მღელვარე ზღვას დემსგავსა, რომლის ტალღებმა უკვე სანახევროდ დაამსხვრიეს თვითმპყრობელობის მოოჭრული ტახტი და შორს აღარ არის ის დრო, როცა მისგან მხოლოდ უსიამო ხსოვნაღა დარჩება. ფურცელში განმარტებული იყო სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის როლი, რომელიც თავის დროშის ქვეშ ცარიზმთან საბრძოლველად თავს უყრის ყველა დაჩაგრულსა და დათრგუნულს.

— როგორ დაიცავს თავს თვითმპყრობელობა? — კითხულობდა ჭარისკაცი. — თვითონ ამის თავი არა აქვს, ცოტანი, ერთი მუჭანი არიან. მაშასადამე, თვითმპყრობელობას ჰყავს ისინი, ვინც მას იცავს. დიახ, ამხანაგებო, ტირანი მეფის მხსნელები და დამცველები ჩვენ, ჭარისკაცები ვართ, გლეხებისა და მუშების შვილები, იმათი შვილები, ვინც მეფის მონობის უღელქვეშ გმინავს, ვინც შიმშილობს, ვისაც ასობით და ათასობით ხერტენ. ახლა ჩვენ ჭერჭერობით მეფის სამსახურში ვართ, მაგრამ გავა დრო და ისევ დევებრუნდებით კავსა და ფარცხს, საზენკლო დაზვას, კვლავ გლეხი და მუშა გავხდებით.

— სრული ჭეშმარიტებაა! მე და ჩე-

მეა ღმერთმა! — მოუთმენლად შესძახა ვილაყ მსმენელმა.

— მეფემ კარგად იცის, რომ ჯარისკაცი თავის მამას არ ესვრის. და მან ცბიერ ფანდს მიმართა: რუსეთის განაპირა მხარეებიდან ახალწვეულებს ცენტრში აგზავნის, ცენტრიდან კი განაპირა მხარეებში. „აჲ, ჯარისკაცები სხვის მამებს უფრო ადვილად ესვრიან“.

— რა ეშმაკობაა, ეს მართლაც ასეა?
— დაუმოწმეს ამხანაგებმა.

...როცა ჩვენ აქ უმწურო მოქალაქეებს ვესვრით, ამ დროს იქ, რუსეთში ტყვიას უშენენ ჩვენს მამებს, დედებსა და ძმებს. მაშ, ამხანაგებო, ნულარ ვესვრით მოქალაქეებს და ვუთხრათ ამის შესახებ ჩვენს ახლობლებს და შორეულთ. დაე, რუსეთის მთელმა ჯარისკაცებმა უარი თქვან სროლაზე. და ამით სიცოცხლეს შევუნარჩუნებთ

ჩვენს გაწამებულ. მშვიტრ მწყობრად, დაჩაგრულ დედებსა და მამებს! მსმენელ ვერთიანდეთ, ამხანაგებო, ხალხთან და იარაღით ხელში შევეუტიოთ ჩვენს საერთო მტერს — თვითმპყრობელობას...

აქ გაისმა მეთვალყურის ხმაბალაი ხველება. ყველამ გაუხდელად, ჩექმებითა და გიმნასტურებით თავ-თავიანთ საწოლებს მიაშურეს უცებ და საბნები წაიხურეს.

ყაზარმაში მორიგე შემოვიარდა:

— განგაშია! ყველანი მწყობრში! — დაიღრიალა მან, მყისვე გატრიალდა და სხვა ბარაკისაკენ გაეშურა. კარებთან მისულმა ანაზდად უკან მოიხედა და საბტად დარჩა: მიხაილოვის ოცეული, უკვე ჩაქმული, მწყობრში იდგა და მზად იყო სალაშქროდ.

თავი 16.

მეპაპუხირეაბი გუას გაუღგნენ. ხელში ჩაგდებულნი წერილი. ისტორია ობიექტური რეჟისორია. სამართლიანი სასჯელი. შირინიანი ახსნა-განმარტებას მოითხოვს.

თბილისის რკინიგზის სახელოსნოების ერთ-ერთ საამქროში, შესაკეთებლად მდგარ სალონ-ვაგონში, საგაფიცვო კომიტეტის წევრები შეკრებილიყვნენ და საყოველთაო გაფიცვის გამოცხადების საკითხს იხილავდნენ.

აქვე, საგუშაგოზე სანდო ამხანაგები იდგნენ. ისინი ყოველ კომიტეტელს პირადად იცნობდნენ. რკინიგზელების გარდა ვაგონში თავი მოეყარათ ადელხანოვის ტყავის ქარხნის, ბოზარჯიანის თამბაქოს ქარხნისა და სხვა საწარმოების წარმომადგენლებს. კომიტეტის სხდომას ვანო თავმჯდომარეობდა.

— ასე, ამრიგად, ამხანაგებო, რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტის წინადადებით სამი დღის შემდეგ საყოველთაო გაფიცვა უნდა გამოცხადდეს. ამი-

სათვის საჭიროა სასწრაფოდ გავავრცელოთ პროკლამაციები მოწოდებით, რომ ყველა ფაბრიკისა და ქარხანაში მხარი დაუჭირონ გაფიცულ რკინიგზელებს. მთავარია, რომ მოწოდებას მთელი საქართველო გამოეხმაუროს. მეკავშირეები საქმეს დღესვე უნდა შეუდგნენ. ამას ამხანაგმა გაბომ უნდა მოუაროს.

— რა თქმა უნდა, იოლი საქმე არ არის, ჩვენებს ძნელ პირობებში მოუხდებათ მუშაობა, — დაიწყო გაბომ. — პოლიცია და ქანდარმერია მძვინვარებენ, საჭიროა განსაკუთრებული სიფხიზლე და წინდახედულობა, რომ არც ერთ ჩავარდნას არ ექნეს ადგილი.

— ეს უკვე თქვენი და თქვენი ამხანაგების სიმარჯვეზეა დამოკიდებული,

— გამოეხმაურა ვანო, — შეკითხვები ხომ არა გაქვთ? არა? მაშ საქმეს შევეუდგეთო, სთქვა და აქვე, ავლაბრის არალეგალურ სტამბაში დაბეჭდილი პროკლამაციების დარიგება დაიწყო. ერთნი მათ ორძირიან ჩემოდნებში აწყობდნენ, ზოგი ჩექმის ყელში იღებდა, ზოგიც საიდუმლო ჯიბეში. კარგა მოზრდილი დასტა თვით გაბოს ერგო. მას უნდა გადაეცა ისინი იმ შეკავშირეებისათვის, რომლებიც მაზრებში მიემართებოდნენ. გაბომ საიარალო რკინის ყუთი გახსნა, მეორე, საიდუმლო ხუფი ახადა, შიგ პროკლამაციები ჩააწყო და გულდაგულ დაეკითა. მერე ყუთს ხელი შემოჰკრა და დამილით თქვა:

— თუ ვინმე ცნობისმოყვარე შიგ ჩახედვას მოინდომებს, საკუთარ თავზე გამოცდის ამ ყუთის წონას...

სხდომის მონაწილეები თითო-თითოდ ტოვებდნენ საამქროს და სხვადასხვა მიმართულებით უჩინარდებოდნენ.

იმ საღამოს ქუჩაში რალაც დაძაბულობა, რილაცის მოლოდინი იგრძნობოდა. კაზაკების ცხენოსანი პატრული დაქროდა წინ და უკან, პოლიციელები აკავებდნენ გამვლელს, ჩხრეკდნენ. ცხადი იყო, რომ ხელისუფალნი ინფორმირებულნი იყვნენ გაფიცვისათვის სამზადისის შესახებ და კონტროლებს ღებულობდნენ.

გაბომ მშვიდობიანად აუარა გვერდი ყველა პოსტს და სახლში მოვიდა.

— მამი, შენა ხარ? — გამოეხმაურა უფროსი ქალიშვილი სოფიკო, როცა გვიან ღამე დათქმული კაყუნი გაისმა სარკმლის მიწაზე.

გაბომ ოთახში შესვლისთანავე ქალიშვილს უთხრა:

— დღეს, შვილო, დიდი სამუშაო მოგველის, აბა სწრაფად შევეყაროთ ჩვენი ბიჭები.

სოფიკომ, ისე, რომ მამისთვის არაფერი უკითხავს, წამოისხა გახუნებული ძაყეტი და ოთახიდან გავარდა.

ერთი საათიც არ გასულა, რომ გაზოსთან შეკავშირებმა მოიყარეს თავი. მათ შორის გიმნაზისტი ვასია პეტრო-

ვიც იყო. მოსულები ერთმანეთს თბილად ესალმებოდნენ და ვის სადაც მოუხერხებოდა, იქ სხდებოდნენ. ოჯახის დიასახლისი — კატო, რომელსაც თავისი მოვალეობა კარგად ესმოდა, ეზოში გავიდა და დიდის გულმოდგინებით მთვარის შუქზე ონკანთან თეთრეულის რეცხვა დაიწყო, თანაც ქუჩას გაფაციცებით თვალს ადევნებდა: უცხოს არავის შემოებოტა.

— დავალება მეგობრებო, ფრიად სასწრაფო და არ დაგვიშალავთ, სახიფათოცაა. ხომ ხედავთ კაზაკთა პატრულები და ჯაშუშები დაგეშილი ძაღლებივით ქუჩებში დაძრწიან... დღესვე უნდა გამგზავნა ადგილებზე. შენ, გოგი — კახეთში, ისიდორე — დუშეთში, შენ კი, ვასია — ქუთაისში.

გაბომ ყველას პროკლამაციების დასტები ჩამოურიგა და მაშინვე დაიშალნენ, მხოლოდ ვასია დაყოვნდა.

— შენ, ჩემო ვასო, როგორც ხედავ ყველაზე მეტი პროკლამაცია გერგო, მაშასადამე, პასუხისმგებლობაც მეტი გექნება. კასპში, გორში, მიხაილოვოში, სამტრედიასა და რიონში ჩვენი ბიჭები დაგხვდებიან. მათ პროკლამაციებს გადასცემ იმ თანამიმდევრობით, როგორც ამ ჩანთაშია ჩალაგებული. ერთ ეგზემპლარს სასწრაფოდ გასამრავლებლად შენთვის ცნობილი მისამართით „სტარიასთან“ მიიტან. აქედან პროკლამაციები ბათუმს, სოხუმს, გურიასა და სამეგრელოში უნდა გაავრცელონ. აბა, შენ იცი და შენმა ვაჟაკობამ, ყოჩაღად იყავი, თუ რამე გაგიჭირდეს, არ შეშინდე, თუმცა რას გეუბნები: პირველად ხომ არ მიდიხარ ასეთ სახიფათო საქმეზე.

— ნუ ლეღავ, გაბო ბიძია, ყველაფერი რიგზე იქნება.

— სადგურში, წყლის ონკანთან შექრო დაგხვდება, შენ მას იცნობ. ის „თბილისი-ბათუმის“ შემადგენლობის მესამე საერთო ვაგონში შეგიყვანს, მინი გამყოლი, ოთარი, ჩვენი კაცია. თუ საშუალება გექნება, მგზავრებსაც შეაჩეჩე პროკლამაციები, მაგრამ ფრთხი-

ლად იყავი, არ ჩავარდე. აი ყველაფერი რაც მინდოდა მეთქვა. ღამე ნებისა, თუმცა, აბა ერთი თქვენებურად გზის ვადგომისას ცოტახნით ჩავიმუხლოთ და გავჩუმდეთ.

სკამზე ჩამოსხდნენ, დადუმდნენ. ვასია პირველი წამოხტა, გამოემშვიდობა და წავიდა.

კონსპირაციულ ბინაზე პარტიული კომიტეტის სხდომა მიმდინარეობდა. მას ფილიპე თავმჯდომარეობდა, თედო ახსენებდა სტაროსელსკიზე თავდასხმის პარტიული გამოძიების შედეგებს.

— უდავოდ დამტკიცებულია, — თქვა მან, — რომ ეს ინციდენტი შედეგია ხელისუფალთა მიერ ინსპირირებული პროვოკაციისა, რაზედაც ზოგიერთი ჩვენი ამხანაგი წამოეგო. როგორ მოხდა, რა გარემოებამ განაპირობა ასეთი? პირველყოვლისა იმან, რომ სიფხიზლე დაკარგეს, მერე, პარტიული დისციპლინა დაარღვიეს და ანარქიზმის გზას დაადგნენ. უფრო მეტიც: სეპარატული გადაწყვეტილება მიიღეს სტაროსელსკის მოკვლის შესახებ, და კინალამ გამოუსწორებელი შეცდომა ჩაიდინეს.

— არსებობს კი ასეთი განაჩენი? — დაინტერესდა ვილაცა.

— საქმეც ის არის, რომ არ არსებობს, და არც შეიძლება რომ ყოფილიყო.

— არავითარ პროვოკაციაზე ჩვენ არ წამოვგებულვართ, ჩემმა ჭგუფმა გამოიტანა ეს განაჩენი იმ უტყუარ დოკუმენტზე დაყრდნობით, რომელიც ხელთ ჩაგვიყარდა! — წამოიძახა ოთარმა და თავის ამხანაგებზე მუთითა, რომელთა შორის კაკო და რეზოც იყვნენ.

— რომელია ეს „შენი ჭგუფი“! ან ვინ მოკვცა ამის რწმუნება, რომ ცალკე ჭგუფი შეგექმნა — მკაცრად იკითხა ფილიპემ.

— ჩვენი, რევოლუციური ჭგუფი...

— აი, თურმე რაშია საქმე, თქვენ

რა, ჩვენგან გათიშვა გადაწყვეტილებით?

— ერთი ეს გვიბრძანეთ, რა „უტყუარ დოკუმენტზე“ ლაპარაკობთ, რა გაქვთ ხელთ, რატომ თავის დროზე არ გააცანით ეს დოკუმენტი კომიტეტს?

— იმიტომ, რომ თქვენი ლიბერალიზმი და შემრიგებლობა ყელში ამოგვივიდა, ბევრჯერ ხელი შეგვიშალეთ გაბედულად, რევოლუციურად გვემოქმედა, ბევრჯერ შეაფერხებთ სამართლიანი შურისძიება.

— შენი ეგრეთ წოდებული „ჭგუფი“, გააწყვეტინა ოთარს ფილიპემ, — და ისინი, ვისაც მისი კრედი სწამთ, ნებისით თუ უნებლიეთ მტრის წისქვილზე ასხამენ წყალს. აბა, ეს უკვე მერამდენჯერ განვიმარტავთ, რომ ხელისუფლების წარმომადგენელთა ცალკეულ მკვლევლობებით შეუძლებელია დაამსხერიონ იმპერიის სახელმწიფო მანქანა. ვეშავს ერთ თავს წააცილი, მის ადგილას კი ცხრა ახალი ამოვა... ერთხელ და სამუდამოდ შეიგნეთ, ვერც ტერორი და ვერც ანარქისტული განეკრძობება ვერ უზრუნველყოფენ გამარჯვებას. მას მივალწევთ მხოლოდ მასების შეგნებული, ორგანიზებული ერთობლივი ბრძოლით, რომელსაც პარტია წარმართავს. ვინც ამას დაივიწყებს, უთუოდ კისერს მოიტეხს. აქამდე თქვენს შეცდომებს მხოლოდ ახალგაზრდობისათვის დამახასიათებელ სიფიცხესა და აჩქარებულობას მივაწერდით, მაგრამ ამჯერად მოგთხოვთ, როგორც ეს პარტიამ იცის...

— განა ეს პირველი შემთხვევაა, როცა თქვენი სეპარატული მოქმედებით ჩირქს სცხებთ ჩვენს საერთო ბრძოლას, ამას ბოლო უნდა მოელოს, — გაცხარდა თედო.

— სწორია! დაუმოწმეს სხვებმაც. კრების მონაწილეებმა გაიხსენეს რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტის პროკლამაცია, რომელიც 1903 წლის ოქტომბერში გავრცელდა სამხედრო ოლქის სარდლის, შემდგომში მეფისნაცვლის გოლიცინის მოკვლის მცდელობასთან დაკავშირებით. პროკლამა-

17.94

ცია გმობდა ამ აქტს და მასში მითითებული იყო, რომ „ცალკეული პიროვნებების ბრძოლით ცალკეული სატრაპების წინააღმდეგ თვითმპყრობელობის დამხობა შეუძლებელია“. ცნობილია, რომ ამ ტერორისტულმა აქტმა ხელი-სუფალთა უსასტიკესი საპასუხო ზომები გამოიწვია, ბევრი ადამიანი ტყუილ-უბრალოდ იმსხვერპლა. რევოლუციურმა მოძრაობამ დიდი დანაკლისი განიცადა.

— ახლა ის უთხარი ამხანაგებს, ვინ არის და რას წარმოადგენს ეგ შენი გოგითა. — ჰკითხა ფილიპემ ოთარს.

— ბათუმის ორგანიზაციამ დახმარებისათვის ჩვენთან მოავლინა. სრული ნდობით აღჭურვილი პირია, შემოწმებული ამხანაგია, ჩინებული კონსპირატორი და მამაცი მებრძოლი ვახლავთ. — ერთგვარი პათოსით იჩქარა პასუხი ოთარმა.

— საკვირველია, ეს როგორ მოხდა, რომ „თქვენთან“ მოავლინეს და არა „ჩვენთან“ — შეეკითხა ფილიპე.

— ოთარმა არაფერი უპასუხა.

— სინამდვილეში ასე რომ ყოფილიყო, რა უჭირდა. უბედურებაც ის არის, რომ ის პოლიციის აგენტი გამოდგა, მეტსახელად „თოფრაკი“. თუმცა, სახელები ბლომად აქვს: ჰიტიკო, იგივე ტიტე, იგივე გოგითა. მან შექლო ბათუმელი ამხანაგების ნდობის მოპოვება და რამდენიმე რევოლუციის ერთგული მებრძოლი დალუბა კიდევ. საგულისხმოა, რომ სტაროსელკის მკვლელობის ცდის ჩაფუშვის შემდეგ საღლიც მიიძალა.

— ეს შეუძლებელია! — წამოიძახა გაფითრებულმა ოთარმა. მას არ სჩვეოდა პოზიციების სწრაფად დათმობა.

— რალა თქმა უნდა, ჩვენ გამოვრიცხავთ იმას, რომ შენ რაიმე იცოდი ამ გარეწრის პროვოკატორული მისიის შესახებ. მაგრამ ის კი საკითხავია, ასე იოლად როგორ შექლო თქვენი მოტყუება. ადვილი წარმოსადგენია, ამ კრიტიკულ სიტუაციაში რა მოჰყვებოდა გუბერნატორის მკვლელობას. რამ-

დენი უღანაშაულო ადამიანს სიციველად შეეწირებოდა ამ უგუნურ აქტს. მე იმას აღარ ვამბობ, რა დიდი დანაკლისი იქნებოდა რევოლუციის საქმისათვის სტაროსელკის დაკარგვა.

ფილიპე, რასაკვირველია, მართალი იყო. ჩაიფუშა პოლიციის უწყების მიერ ჩაფიქრებული პროვოკაცია: ერთი მხრივ, თავიდან მოეშორებიათ გუბერნატორი — „მეამბოხეთა ხელის შემწყობი“, ხოლო, მეორეს მხრივ, აეტებათ აურხაური და განჯაში, ეშვით საბაბი სისხლიანი ტერორით გასწორებოდნენ ხალხს მაღალი რანგის მეფის მოხელის მკვლელობისათვის.

— ნუთუ ჯერ კიდევ არ არის ნათელი ამხანაგებო, რომ ჩვენი ზნეები ოთართან და მის თანამოაზრებებთან ვაიყარა? აქედან დასკვნა: ადამიანებისაგან, რომლებიც ტერორს ქადაგებენ, შორს უნდა ვიყოთ. რაც ადრე ვავთავისუფლებით მათგან, მით უკეთესი. — თქვა კომიტეტის წევრმა ახელმა და მკაცრად შეხედა ოთარს. — დღეს პირადად მის სინდისზეა ჯამიურზას დალუბვა.

ოთარის, გვერდით მჯდომმა ვილაც ახალგაზრდამ ხელი უბიძგა. მაგრამ მას ამისათვის ყურადღება არ მიუქცევია, კვლავ გაჩქადა:

— სამაგიეროდ მოვიცილებით თავიდან პროვოკატორ გაპონს, რომელმაც რალაც უცნაურად მართო ხალხი კი არ მონუსხა, არამედ თქვენც აგიზვიათ თვალი.

— ერთი იქნება გავგანდო, რა გაქვს მხედველობაში?

— ნუთუ არ გესმით, რომ სტაროსელკი შემოგზავნილი აგენტია? თუკი ადრე ხალხთან იყო, ახლა უკვე ინილებება, გამცემლურ პოლიტიკას ეევა, სურს ჩვენს მოძრაობას თავი მოჰკვეთოს.

— შენ ცილს სწამებ მას! — აღშფოთებით თქვა ფილიპემ.

— თქვენ წარმოიდგინეთ რომ არა, ამის უტყუარი საბუთი არსებობს.

„რალა ელოდებო“ მან კაკოს გადახე-

ბათუმის

და, ამ უკანასკნელმა თედოზე ანიშნა, „დოკუმენტი მასთან არისო“, — ოთარს სახე შეეცვალა, მხრები აიჩეჩა „არაფერი მესმისო“.

დამსწრენი დიდი ცნობისმოყვარეობით მისჩერებოდნენ მათ.

— აი, მათი „საბუთი“! — და თედომ ფილიპეს პაკეტი გადააწოდა.

ფილიპემ კონვერტიდან გრაფის სახელზე გასაგზავნი სტაროსკელის „წერილი“ ამოიღო და ხმამაღლა კითხვას შეუდგა... კრების მონაწილეები გოგნებულნი და დაბნეულნი უსმენდნენ ყველაფერ ამას და თავიანთ გაოცებასა და გაკვირებას ვერ ჰფარავდნენ; „ეს რა ხდებაო?“ აქ თედომ შენიშნა:

— არ დაიჭეროთ, ამხანაგებო, ეს ეგრეთწოდებული „დოკუმენტი“ ყალბია. აქ აშკარად შირინკინის ხელწერა ჩანს. ზოგიერთი ჩვენი ამხანაგი ამ ანეკსზე წამოვტო.

— არ მესმის, რა შუაშია აქ შირინკინი?

— იმ შუაშია, რომ ეგ მისი შემოქმედებაა.

— რანაირად? — გაიოცა ოთარმა და ომების ძირამდე გაწითლდა. შუბლზე სიმწრის ოფლმა დაასხა.

— დიახ, დიახ, დოკუმენტი სწორედ რომ ყალბია. დადგინდა, რომ გუბერნატორის კანცელარიის თანამშრომელმა, პოლიციის ფარულმა აგენტმა ხავთასმა, უშუალო მონაწილეობა მიიღო ამ ყალბი „დოკუმენტის“ შედგენაში სტაროსკელსკის ჩირქს რომ სცებებს, ამ ოპერაციის განსახორციელებლად სპეციალურად თბილისიდან, შირინკინის უწყებებიდან ქუთაისში კაცი ჩამოვიდა. შემდგომ კი ყველაფერი გააკეთეს იმისათვის, რომ ეს წერილი „შემთხვევით“ თქვენ ჩაგვარდნოდათ ხელში... გოგიტამ სწორედ იმიტომ ითავა თქვენი განაჩენის სასწრაფოდ სისრულეში მოყვანა, რომ შეეშინდათ, ვაითუ გონს მოეგონ და პროვოკაცია გახსნანო.

ნირწამბდარი ოთარი თვალებს დაბნეულად აქეთ-იქით აცუცებდა.

— აი, რას ნიშნავს მარტო შენს

თავს დაენდო, ანგარიში არაკინული კომიტეტს. ასეთ მეტოქეებს, არამეტოხე მოამბეებს, ულტრა რევოლუციონერებად რომ მოაქვთ თავი! ეს უბრალო შეცდომა არაა, ეს აშკარა ბოროტმოქმედებაა, ლალატია ჩვენი საერთო საქმისა. ამის მოთმენა არ შეიძლება! წინადადება შემომაქვს: რევოლუციური სიფხიზლის მოღუწებისათვის, ტერორისტული და ფრაქციული მოქმედებისათვის, ოთარი გაირიცხოს პარტიიდან. ეგრეთ წოდებული „ჯგუფის“ დანარჩენი წევრები მკაცრად გაიკიცხონ და გაფრთხილებულ იქნენ, რომ შემდგომში პარტიული დისციპლინის მცირეოდენი დარღვევის შემთხვევაშიც კი სასტიკად დაისჯებიან.

წინადადებას კენჭი უყარეს. ოთარი ერთხმად გარიცხეს პარტიიდან. გაფრთხილებული და დარცხვენილი იდგა იგი ამხანაგების წინაშე, ხმას ვერ იღებდა, ენის წვერით გამშრალ ტუჩებს ისევ უღებდა. ფილიპემ შენიშნა:

— შენ კიდევ გაქვს საშუალება მოინანიო ცოდვები და დაგვიბრუნდე. მაგრამ იცოდდე, ის რაც იცი, ჩვენი მუშაობის შესახებ, სადმე სიტყვაც კი რომ დაგცდეს, პატიებას ნუ ელი. ახლა შეგიძლია წახვიდე. კაკო და რეზო დარჩნენ.

— თქვენ უნდა იცოდეთ, — მიმართა ფილიპემ კომიტეტის წევრებს — რომ ამხანაგები კაკო და რეზო სწორად მოიქცნენ, სიფხიზლე გამოიჩინეს, დროზე მოვიდნენ გონს და მოგვმართეს რჩევისა და დახმარებისათვის. ჩვენი წინადადებით პროვოკატორს საიმედო „თანაშემწეები“ მიუჩინეს, რომლებიც გოგიტას არ მოსცილებიან. ერთი მათგანი, საწყალი ჯაიმურზა, საბრძოლო პოსტზე დაილუპა. მოდიოთ, მეგობრებო, ფეხზე აღვამოთ, წუთიერი დუმილით ეცეთ პატივი მის ხსოვნას. ყველა ფეხზე წამოვდა.

— უბედურება ის არის, — განაგრძო ფილიპემ, როცა ყველანი დასხდნენ, — რომ პარტიის ზოგიერთი სხვა წევრიც უნდობლობით ეკიდება სტაროსკ-

ლსკის, თელის, რომ ეს ორპიროვანი იანუსია.

— საქმეც ეგ არი, არა ერთი და ორი გაფრთხილება მოგვდის ამხანაგებისაგან, რომ მას ზედმეტად ვენდობით, — დაეთანხმნენ კომიტეტის წევრები.

— სამწუხაროდ, შევკვნილ ვითარებაში ვერაფერს შევცვლით. უმკაცრესი კონსპირაციის დაცვის მიზნით არ შეგვიძლია ყველა პარტიის წევრს ვუთხრათ სრული სიმართლე. უფრო მეტიც, რევოლუციური მოძრაობის ინტერესები არა მარტო გუბერნიაში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც მოითხოვენ, რომ ის მიიჩნიონ სხვა პიროვნებად და არა პარტიის უფრთგულეს კაცად. აბა თქვენ თვითონ განსაჯეთ: რა დიდი საქმეა, რომ მტრის ბანაკში ასეთი „წითელი გუბერნატორი“ გვყავს.

კომიტეტის დღის წესრიგი ამოიწურა და შეკრებილნი დაიშალნენ.

ის, რაც კვიმატ შურისმაძიებლებს — ოთარსა და მის ამხანაგებს დაემართათ, კიდევ ერთხელ გვაფიქრებინებს ადამიანის მოქმედების შეუცნობლობაზე, ზოგჯერ ცხოვრების ლოგიკასთან, მოვლენების განვითარებასთან მის შეუსაბამობაზე. მართლაც, დაეუსვათ, რომ თეატრალური წარმოდგენის მსვლელობის დროს რომელიმე სტატისტი უმცირად გადაწყვეტს, რომ რეჟისორმა მას — ესოდენ ნიჭიერსა და სცენის დიდოსტატს, უსამართლოდ გვერდი აუარა, მთავარი როლი არ დააყისრა, და იგი საკუთარი ინიციატივით ამ „შეცდომის“ გამოსწორებას გადაწყვეტს. თავისთავად ცხადია, რომ სპექტაკლი ჩაიშლება, მაყურებელი სიცილს დააყრის თვითმარქვია გმირს. მაგრამ ძნელი წარმოსადგენია, რა შეიძლება მოჰყვეს მსგავს რამეს საზოგადოებრივ ცხოვრებაში, როცა ასიათასობით ადამიანის მონაწილეობით ვითამაშდება გრანდიოზული დრამატული მოვლენა, რომელსაც რევოლუცია ეწოდება. ცნობილია, რომ ასეთ დროს როლებს ანაწილებს ყველაზე ობიექტური და სამართლიანი რეჟისორი — ცხოვრება, იმის-

და მიხედვით, თუ ვის როგორი ნიჭი და უნარი გააჩნია. ამ დროს „სპექტაკლის“ რომელიმე რიგითი მონაწილე, რომელსაც ამოძრავებს ამბიცია, უზომო პატივმოყვარეობა და კარიერისმი, გამოფხვება ავანსცენაზე და პირველი როლის დაჩემებას დაიწყებს იმაში დარწმუნებული, რომ ისტორიამ მხოლოდ მას არგუნა იყოს ადამიანთა ბედის გამგებელი.

— რას მეტყვიან ჩემი ხალხი? ისტორია არ მპატიებს უმოქმედობას, დამძრახავს, — ირწმუნება ის. და თავისი უნიჭობისდაკვალად გაუმართლებელ, მცდარ გადაწყვეტილებებს ღებულობს, საზოგადოების ზოგიერთ ნაწილს აიყოლიებს, აბრყვებს, შეცდომაში შეჰყავს და ამით საერთო საქმეს ვნებს, ამას, თავისთავად ცხადია, დაძაბულ მომენტში შეიძლება მძიმე მსხვერპლიც კი მოჰყვეს, ისეთი, როგორიც შესაძლებელია მოჰყოლოდა სტაროსელსკის მოკვლას.

ქუთაისის საქალაქო ბაღში დღემუდამ ხალხმრავლობაა, ზამთარშიც კი. ამ დროს ციგაობა და გუნდაობა იმართება, ზაფხულის პაპანაქებაში კი ხალხი ხეების ჩრდილში შევებას პოულობს, ერთი სიამოვნებაა სკამზე ჩამოჯდომა, როცა ზემოდან ხშირი ტოტები კარავით გადაგვფოფრება. დიდი მზიარულებაა აქ ხოლმე კვირაობით, როცა გაზის ფარნებს აანთებენ და ადგილობრივი სამხედრო გარნიზონის სასულე ორკესტრი უკრავს; მაგრამ ისეთ ამინდში, როგორიც დღესაა, როგორც იტყვიან, კარგი პატრონი ძალს ვართ არ გაავდებებს. ამიტომაც ასე დაცარიელებული იყო ქალაქი. კოლხეთის დაბლობიდან მონაბერ ქარს ჭაობის მყარული სუნი მოჰქონდა და გამხმარი ფოთლებისა და წვრილი ქვიშის კორიანტელს აყენებდა. პერი ისე დატენიანდა, რომ სუნთქვა ჭირდა, ტანსაცმელი სხეულს ეკვროდა.

ბაღის ხეივანებში მხოლოდ პატრულები დადიოდნენ, ორი ქანდარმი და

ოთხი ჩაფარი ურიადნიკის მეთაურობით. მათ კიტელებზე სისხლიან ლაქებად ჩანდა გამონაჟონი ოფლი, შერეული ბალის დაფშვნილი აგურის წითელ მტვერთან.

ის-ის იყო პატრულები ბალის ბოლოში გავიდნენ, როცა მის დასაწყისში ატყდა ერთი ალიაქოთი: ხეივანი საიდანაც უცებ მოვარდნილი ზღვა ხალხით გაივსო. ყველამ დიდ ჭადარს მიამურა, — ჩანს ეს შეკრების წინასწარ დათქმული ადგილი იყო. ვიღაცა ჭაბუკი სწრაფად შეხტა ბალის სკამზე, უბიდან ფურცელი ამოიღო და ხმამაღლა დაიწყო კითხვა.

— პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შერთოდით! რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტი.

ყველა მუშისადმი!

ხალხი გაირინდა.

...ათასობით პროლეტარი ითხოვდა აღამიანურ უფლებებს. თავისუფლება ან სიკვდილი! — ასეთი იყო პეტერბურგელთა ლოზუნგი. მას მიჰყვა მოსკოვი, რიგა, ვარშავა, ოდესა, კავკასია და მთელი რუსეთი გაერთიანებული ბრძოლების ასპარეზად გადაიქცა...

ამ დროს ეანდარმებისა და ჩაფრების ჩექმების ბრავა-ბრუგი გაისმა. ისინი აქეთ გამოქანდნენ სტვენითა და ყვირილით მოითხოვდნენ, რომ ხალხი დაშლილიყო. ორატორმა ვითომც აქ არაფერიო, ანთებული მზერა გადაავლო შეკრებილთ და უცვებ ზეპირად გახაგრობა:

— ერთმანეთს შეეჯახა მეფე და პროლეტარიატი. აბა, გაიხსენეთ, მეგობრებო, უკანასკნელი თვეების ფაქტები. დააკვირდით, როგორი აღფრთოვანებით შესცქერის პროლეტარიატს სამხრეთ რუსეთის, ვოლგისპირეთის, გურიის, სამეგრელოს, იმერეთის, ქართლის, კახეთის, ქიზიყის ამზობებული გლეხობა. მოუსმინეთ, როგორი გატაცებით იმეორებს ის პროლეტარიატის ლოზუნგებს: „ძირს მეფის მთავრობა! გაუმარჯოს სახალხო მთავრობას!“

— გაუმარჯოს თავისუფლებას!

— ურა!

— ვაშა! — გამოეხმაურა ხალხს ორატორმა ჯიბიდან ფურცლების დასტა ამოიღო და მეგობრებს გადასცა. მათ კი დამსწრეებს დაურიგეს.

ჩაფრები კონდახების ტრიალით მიიკვლევდნენ გზას ორატორისკენ და როცა ხალხის სალტე გაარღვიეს, როგორც იქნა შეძლეს ჭაბუკის გადმოთრევა იმპროვიზებული ტრიბუნიდან.

— როგორ ბედავთ, თქვე თაყბედებო! — აღშფოთდა ის.

ერთ-ერთმა ჩაფარამ მუშტი მოუღერა, მაგრამ ენერგიულმა შეძახილმა შეაჩერა:

— არ გაბედო, არამზადავ! ეს როგორ, მე, ნაფიც ვექილს უნდა გამარტყა?

— თაყბედები! ძალები! — აგუგუნდა ხალხი.

ჩაფრებმა აღარ იცოდნენ, რა მოემოქმედათ, დაბნეულნი ურიადნიკს მიაციერდნენ.

— შეიბყარით! — უბრძანა მან. — ესენიც! — და იქვე მდგომ რამდენიმე ახალგაზრდა კაცზე მიუთითა.

— არა გაქვთ უფლება!

— თქვენ დაპატიმრებული ხართ! — გაიმეორა ურიადნიკმა და მოუტირებლად ერთ-ერთს ზურგში უბიძგა.

— როგორ ბედავ! — განრისხდა ახალგაზრდა და რევოლუციური იძრო.

ეანდარმები და ჩაფრები უმალ ეცნენ მას და წააქციეს, ცდილობდნენ ძალით აერთვათ იარაღი. მაგრამ ახალგაზრდამ იმარჯვა და რევოლუციური ამხანაგებს გადასცა. ამრიგად, შეიარაღებული წინააღმდეგობის „ნივთმტკიცება“ გაქრა.

შეაგროვეს რა მიმობნეული პროკლამაციები, ჩაფრებმა თოფები მიუშვირეს პატიმრებს და უბრძანეს, გამოგვეყვიეთო. დამსწრეთა აღშფოთებული შეძახილებით შეგულიანებულნი ისინი დიდხანს ეწინააღმდეგებოდნენ. დამორჩილდნენ მხოლოდ მას შემდეგ, როცა შაშხანების საკეტებმა გაიჩაბა...

— მოვითხოვთ, რომ გუბერნატორთან მიგვიყვანოთ!

— თქვენი საქმე არ არის, სადაც მივამბრძანებთ! — მკვებელ მოუჭრა ურიადნიკმა.

— დაიცადეთ თქვენ, განანებთ ამ საქციელს!

— კმარა! მაიმუნობას თავი დაანებეთ, — დაიღრიალა ურიადნიკმა.

დაპატიმრებულები მრავალრიცხოვანი ხალხის თანხლებით ბალიდან გაიყვანეს. აქ მათ უეცრად გაცოცხლებული ქუჩა დახვდათ: მოქალაქეები სახლებიდან გამორბოდნენ, აივნიებიდან დაღია ფანჯრებიდან შეძახილები ისმოდა:

— აი, თქვე სისხლის მსმელეზო!...

— ნუ გეშინიათ, ბიჭებო, დაგიხსნით! პატრულმა პატიმრებითურთ ერთ-ერთ მოსახვევს მიაშურა და დაბალ, რკინის გისოსებიან სახლს მიადგა, რომლის თუნუქის თეთრ აბრაზე შავი ასოებით ეწერა: „პოლიციის ცენტრალური უბანი“.

აქ ერთ-ერთმა დაპატიმრებულმა ხალხს გადასახა.

— არიქა, ვინმემ შეატყობინოს გუბერნატორს ჩვენი დაპატიმრების ამბავი!

ვიღაცა საგუბერნატოროსაკენ გაიქცა და სულ მალე სტაროსელსკის კაბინეტში აღმოჩნდა. მისმა მონაყოლმა აღაშფოთა გუბერნატორი. ემოციებს აყოლილმა მან ვერ განსაზღვრა, თუ ამ წუთს მიღებულ გადაწყვეტილებას შემდგომში მისთვის ზიანის მოტანა შეეძლო. ელადიმერ აღუქსანდრეს ძე არ მოერიდა თავისი, მაღალი რანგის მოხელის მდგომარეობას და პოლიციის უბნისკენ გაექანა.

ამ დროს ურიადნიკი მორიგე ოფიცერს მოახსენებდა:

— თქვენო კეთილშობილებავ! მაქვს პატრივი მოგახსენოთ: მოგგვარეთ დაპატიმრებული აგრიტატორები. ისინი ქალაქის ბაღში დანაშაულებრივად ხასიათის მოწოდებებს კითხულობდნენ — ამ სიტყვებით უბიდან ფურცლებს

დასტა ამოიღო და დადო უკიდვრად რომელიც ოთახს ორად ტრანკვილმა

ოფიცერმა მხოლოდ შეავლო თვალი ფურცლებს, მაგიდას მიუჭდა, კალმისტარი მელანში ჩააწო, ერთ-ერთ პატიმარს მიაშტერდა და წაიბურტყუნა:

— შენი გვარი?

— თქვენი გვარი! — შეუსწორა იმან.

— მალე, ხმა ამოიღე!

— არავითარი „ხმა ამოიღე“! ჩვენ უარს ვამბობთ პასუხის გაცემაზე, ვიდრე არ ინებებთ მოვგმართოთ ისე, როგორც ეს ჩვენს წოდებას, ჩინსა და საზოგადოებრივ მდგომარეობას შეეფერება.

ამ დროს უბნის პრისტავი შემოვიდა. მორიგე ფეხზე წამოხტა და უპაატაკა სახელმწიფო დამნაშავეების დაკავების შესახებ. ოფიცერმა მერე უკვე ზრდილობიანად მიმართა დაპატიმრებულებს:

— თქვენი გვარი და წოდება?

ისინიც უხალისოდ პასუხობდნენ:

— ნაფიცი ვეჭილი გელიაზაროვი...

— ნაფიცი ვეჭილი ჭაფარიძე...

— ნაფიცი ვეჭილის თანაშემწე ჩიკვაიძე...

— პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტი ელიავა...

— ამავე უნივერსიტეტის სტუდენტი ერისტოვი...

— მე მოვითხოვ, — დაიწყო გელიაზაროვმა, — ოქმში შეტანილ იქნეს, რომ ესენი, — აქ მან ურიადნიკზე და მის ხელქვეითებზე მიუთითა, — უხეშად და უტაქტოდ გვეპყრობიან, ძალადობდნენ, ქუჩური სიტყვებით მოგვემართავენ...

— თქვენი მალაქეთილშობილებავ, ტყუილს რომავს... მ... მ... ესე იგი მართალს არ ლაპარაკობს. — საქციელი წაუხდა ურიადნიკს.

— ხომ ხედავთ, თქვენი დასწრებითაც გვაყენებს შეურაცყოფას!

— ამრიგად, თქვენ ინებეთ ამ პროკლამაციების კითხვა, — თითქოს ეს რეპლიკა არც გაუგონიაო, განაგრძო ოფიცერმა დაკითხვა და სადგომზე დადებულ დასტაზე ანიშნა.

— ჩვენ კანონსაწინააღმდეგო არაფერი მოგვიმოქმედია! — მოუჭრა ჭაფარიძემ.

ოფიცერმა ერთ-ერთ ჩაფარს გადახელა.

— აი ეს ბალის სკამზე იდგა და ამ ქალაქს კითხულობდა... — მიუთითა მან გელიაზაროვზე, — თანაც გაჰყვიროდა: ჩაფარმა აქ, თავის სიტყვებისათვის მეტი დამაჯერებლობა რომ მიეცა, ერთი მაგრა შეჰკივლა:

— „ძირს სისხლისმსმელი მეფე! ძირს თვითმპყრობელობა!“

— ჩუმად, შე ყვეეჩო! — შეუტია მას პრისტავმა.

— მომიტევეთ, თქვენო მაღალკეთილშობილებავ!..

— ასე რომ, თქვენ მთავრობის საწინააღმდეგო ფურცელს კითხულობდით... დააპირა დაკითხვის გაგრძელება ოფიცერმა, მაგრამ ხმა ჩაუწყდა: ოთახში პოლიციელების ჭვლეტი შემოვარდა და აქვე, კარებთან გამწკრივდნენ, შემდეგ დინჯად, დარბაისლურად, პოლიციის-ტერი ტატივეი შემოვიდა, მას კი... თვით გუბერნატორი სტაროსელსკი შემოჰყვა. პრისტავი, სახტად დარჩა, დაიბნა, მერე როგორც იქნა სული მოითქვა, გაიჭვიმა და უპატავა:

— თქვენო აღმატებულებავ, ეს-ეს არის მოგვეგვარეს ხუთი სახელმწიფო დამნაშავე, რომლებსაც დანაშაულების ადგილზე წაუსწრეს, როცა ისინი ქალაქის ბაღში მთავრობის საწინააღმდეგო მოწოდებას კითხულობდნენ...

მორიგე ოფიცერმა მაგიდაზე პროკლამაციები დაალაგა.

— აი, ინებეთ, დოკუმენტებიც აქ გახლავთ.

სტაროსელსკიმ ზედაც არ დახედა მათ და დაპატიმრებულებს მიუბრუნდა:

— ბატონებო, იქნებ ამიხსნათ, რაშია საქმე?

მათაც ერთხმად დაიწყეს ჩივილი, — ჩაფარები და ქანდარმები უხეშად მოგვექცნენო, არ ვიცით რისთვის დაგვაპატიმრესო, უფრო მეტიც, სიტყვიერი

და ფიზიკური შეურაცხყოფა მოგვეყენესო, ხოლო ამის აღსაკვეთად ქურთადანიკმა და პრისტავმა არავითარი ზომები არ მიიღეს.

ვლადიმერ ალექსანდრეს ძემ ყურადღებით მოუსმინა მათ, შემდეგ კი ურიადნიც სტაროსელსკის შეეკითხა:

— ვინ დააპატიმრა ესენი?

— ჩვენ! ერთხმად უპასუხეს ჩაფრებმა, შექების მოლოდინში ორი ნაბიჯი წინ წადგეს და გაიჭიმნენ.

— ამთ ყველას სამ-სამი დღით პატიმრობა! — დამარცვლა სტაროსელსკიმ. მერე დაპატიმრებულებს მიუბრუნდა:

— გთხოვთ, ბატონებო, მოგვიტევეთ ეს სამწუხარო გაუგებრობა. თავისუფალი ბრძანდებით.

მათაც გულითადი მადლობა გადაუხადეს გუბერნატორს და, ფრიად კმაყოფილებმა, გამარჯვებულის ღიმილით, აუჩქარებლად დატოვეს პოლიციის უბანი. ქუჩიდან ხალხის აღფრთოვანებული გუგუნე მოისმა. ურიადნიცა და პრისტავს ვერა გაეგოთ რა, მოულოდნელობისაგან თითქოს დამუნჯდნენო, ერთმანეთს უსიტყვოდ მისჩერებოდნენ, მათ გაოგნებული მორიგე ოფიცერი შესცქეროდა. „სმენაზე“ გაჭვიშული ჩაფრები ადგილიდან არ იძვროდნენ და დაბნეულები თვალებს აქეთ-იქით აცეცებდნენ.

სტაროსელსკიმ რაღაცა ანიშნა ტატივეს, ის მიუახლოვდა მორიგე ოფიცერს და პროკლამაციები მოსთხოვა. იმან კი პრისტავს გადახელა, რა ეჭნა, როგორ მოვიქცეთ.

— ეს შეუძლებელია... თქვენო მაღალკვეთილშობილებავ! — მორიგე ოფიცერის მაგივრად უპასუხა მან. — დოკუმენტები უკვე დაურთო ოქმს და უნდა გადავაგზავნოთ... საგუბერნიო ქანდარმერიის სამმართველოში... აღელებსა და აღმფოთებისაგან პრისტავს ენა ებმოდა.

სტაროსელსკიმ ხმამალა, ყველას გასაგონად, უსაყვედურა ტატივეს:

— რამდენჯერ გამიფრთხილებინახათ:

მიუთითეთ—მეთქი ჩაფართა ურიადნი-
კებს, რომ პატრულები წინ არ აღუდ-
გნენ ხალხის ჯგუფებად შეკრებას, ხე-
ლი არ ახლონ ორატორებს.

პოლიცემისტერი მიუბრუნდა ჩაფა-
რთა ურიადნიკს სკურლიტოვს და სი-
ტყვა-სიტყვით გაიმეორა გუბერნატო-
რის მიუთითება. ურიადნიკი გაიჭიმა, სა-
მხედრო სალამი მისცა პოლიცემისტერს
და გაუბედავად გაიმეორა:

— ნაბრძანებია! არ დაეუშალოთ
ხალხს ჯგუფებათ შეკრება და ორატო-
რებს ხელი არ ვახლოთ!

ინციდენტი თითქოსდა ამით ამოი-
წურა. მაგრამ არა! სულ მალე ხრიკე-
ბის, ინტრიგებისა და დასმენების პო-
ლიციური მანქანა მთელი სიმძლავრით
ამოქმედდა.

როგორც შემდგომში გამოირკვა,
ადგილობრივი პოლიციის ხელმძღვანე-
ლობამ თავი შეიკავა ამ ინციდენტის
შესახებ თბილისში ოფიციალური ინ-
ფორმაცია გაეგზავნა. სამაგიეროდ ეს
გააკეთა ამიერკავკასიის რკინიგზის
ქანდარმერიის სამმართველოს ქუთაის-
ის განყოფილების უფროსმა გამყრე-
ლიძემ, თანაც ყველაფერი ეს წარმო-
სახა ტენდენციურად, გაზვიადებულად.
თურმე ნუ იტყვი, ის თავიდან ვარა-
უდობდა, „რომ სტაროსელსკის დანიშ-
ვნას შეიძლება მოჰყვეს მრავალი გა-
რთულება...“. ჩემი ავის მომასწავე-
ბელი წინათგანხილვა, — სწერდა ის
თბილისში, — სამუხაროდ გამართლ-
და. ფაქტები აშკარად მეტყველებენ
ამას...“ შემდეგ გამყრელიძემ დაწერი-
ლებით აღწერა ის, რაც მოხდა ქალა-
ქის ბაღში, ხაზი გაუსვა პოლიციელებ-
ის უზადო მოქმედებას და განაგრძო:
„გუბერნიის უმაღლესი ხელისუფლე-
ბის წარმომადგენელმა, შევიდა უზნის
შენობაში, ჩაფრებს დაუყვარა: „პატი-
მრობაში!“ ზოლო დაკავებულებს დაუ-
ყვავა: „თქვენ, ბატონებო, თავისუფა-
ლი ბრძანდებითო!“

რკინიგზის ქანდარმერიის სამმართვე-
ლოდან ამ მოხსენებამ კავკასიის პო-
ლიციის უფროსთან — გერარდ შირინ-

კინთან გადაინაცვლა და ამრავალ-
როსელსკიზე დოსიე კლდე ერთი მა-
კომპრომეტირებული დოკუმენტით შე-
ავსო.

რამდენიმე დღის შემდეგ თბილისი-
დან ქუთაისს ფელდგერი ეწვია. პორ-
ტფელში იდო პაკეტი გრიფით: „სრუ-
ლიად საიდუმლო, ფრიად საჭირო“. ქუ-
თაისის ქანდარმერიის სამმართვე-
ლოს უფროსისაგან შირინკინი მოით-
ხოვდა დაწვრილებით მოხსენებას ბაღ-
ში მომხდარი ამბის გამო, კერძოდ,
იმის დადასტურებას, რომ „შემოსული
ცნობების თანახმად“, თითქოს ადგი-
ლობრივმა ხელისუფლების მაღალმა
წარმომადგენელმა (ივლისხმებოდა
სტაროსელსკი) პოლიცემისტერ ტა-
ტიევის მეშვეობით გასცა განკარგულე-
ბა, რათა პოლიციელებმა არ მიიღონ
არავითარი ზომები მთავრობის საწინა-
აღმდეგო საქარო შეკრებების წინააღმ-
დეგ და არ შეუშალონ ხელი პროკლა-
მაციების გავრცელებას, ქუჩებში წი-
თელი დროშებით გამართულ მანიფეს-
ტაციებს. „...დაუყოვნებლივ გულ-
მოდგინედ შეამოწმეთ ეს ცნობები —
ავალედა შირინკინი ხელქვეითს, —
და მათი დადასტურების შემთხვევაში
დააზუსტეთ, სახელდობრ ვისგან მომ-
დინარებოდა ასეთი განკარგულება და
რა ფორმით იყო იგი გაკეთებული —
წერილობითსა თუ ზეპირი კონფიდენ-
ციალური ბრძანების ხასიათს ატარებ-
და. მიღებულია დაუჭერებელი ცნობა,
თითქოს ანალოგიური განკარგულება
გაეცეს თვით გუბერნატორს.“

მოიშველია რა სიტყვები — „დაუ-
ჭერებელი“ „თითქოს“, შირინკინს ამით
სურდა ეშმაკურად ამ ფაქტის ეჭვის
ქვეშ დაყენება, მისი დაუშვებლობა,
ასე ვთქვათ, მისთვის ვითომდა ცნობი-
ლიც კი არ იყო, კონკრეტულად ვინ
იძლეოდა ამ განკარგულებებს.

სალამოს ეამი იყო როცა მეფისნაც-
ვალს შირინკინი მოხსენებისათვის ეწ-
ვია.

...გრაფმა ხელმოკრედ გადაიკითხა
პოლიციის დარგში თავისი თანაშემწის

მოსხენება ქუთაისში მომხდარი ამბების შესახებ და ყურადღებით დააკვირდა ავტორს.

— თქვენო უგანათლებულესობავ, — გამოეხმაურა შირინკინი, — ექვს არ იწყევს ის ფაქტი, რომ სტაროსელსკი ხელს უწყობს და აქებებს რევოლუციურ გამოსვლებს.

— ხომ არ აქარბებთ!

შირინკინმა გადაწყვიტა, რომ ილარიონ ივანეს ძემ ვერ აღიქვა მისი ნათქვამი და მტკიცება დაუწყო:

— თქვენო უგანათლებულესობავ, ქუთაისის ადმინისტრაციის საქმიანობა აშკარად ეწინააღმდეგება არსებულ კანონმდებლობას, ბოროტმოქმედების აღკვეთის შესახებ და ჩემზე დაკისრებულ მოვალეობას — თვალყური ვადევნო სახელმწიფოებრივ წესრიგსა და საზოგადოებრივ უსაფრთხოებას კავკასიის სამეფისნაცვლის ფარგლებში...

გრაფი მოიღუშა და მკვახედ გააწყვეტინა გენერალს სიტყვა:

— მოწყალეო ხელმწიფევ, მე მქონდა პატრივი რამდენიმეჯერ მიმეთითებინა თქვენთვის, რომ თავი შეგეკავებინათ მენტორული ტონისაგან. წარმოიდგინეთ, მე შესანიშნავად ვიცი, რაზეც ბრძანდებით პასუხისმგებელი თქვენ, და რაზე ვაგვბ პასუხს მე სამეფისნაცვლოში.

— გთხოვთ მომიტყეოთ, — ყურის ძირებადღე გაწითლდა შირინკინი;

— მოგახსენებთ რა ყოველივე ამას, მე მხოლოდ უმორჩილესად ვითხოვ თქვენი უგანათლებულესობის შესაბამის მიითთებებს, მერწმუნეთ, მეტს არაფერს, ჩემის აზრით კი, ახლა სწორედ ის დროა, როცა გუბერნიაში სამხედრო მდგომარეობა უნდა გამოცხადდეს — არ ცხრებოდა შირინკინი.

— მოსთხოვეთ გუბერნატორს შესაბამისი ახსნა-განმარტება, მომხდარი ამბების თაობაზე — თითქოს გენერლის ბოლო წინადადება არც კი გაუგონიოთ, დასაქვანა გრაფმა და სწრაფად წამოდგა.

შირინკინმა ქუსლი ქუსლს შემოჰკრა და ოთახიდან გავიდა.

რამდენიმე დღის შემდეგ მსტაროსელსკიმ შირინკინისაგან კონფიდენციალური წერილი მიიღო. გენერალი უსაყვედურებდა მას მომხდარი ამბების გამო. განსაკუთრებით აღშფოთებული იყო იმ უკანონო ვაიკარგულებით, რომელიც მისი მაღალამატებულების, გუბერნატორის ბრძანების საფუძველზე პოლიცემისტერმა ტატიევმა მისცა ჩაფართა უფროსს — ურიადნიკ სკურლატოვს.

ამას მოსდევდა სიტყვების რახა-რუხი სახელმწიფოსა და ტახტის ინტერესებზე. შირინკინი მოუწოდებდა ვლადიმერ ალექსანდრეს ძეს განუხრელად დაეკვა იმპერიაში მოქმედი კანონმდებლობა ბოროტმოქმედების თავიდან აცილებისა და აღკვეთის შესახებ. მან „გაახარა“ გუბერნატორი:

„მივიჩნიე რა ჩემს სამსახურებრივ ვალად, მეცნობებია აღნიშნულის შესახებ კავკასიაში მისი იმპერატორობითი უდიდებულესობის მეფისნაცვლისთვის, და მეთხოვა მისი მითითება, მისმა უგანათლებულესობამ დამავალა კატეგორიულად მოვითხოვო თქვენი მაღალამატებულებისაგან შესაბამისი განმარტება“.

სტაროსელსკიმ არაოფიციალური წერილით უპასუხა შირინკინს, რომელსაც პირწმინდად უკუაგლო ყველა წამოყენებული ბრალდება და ირწმუნებოდა, რომ მისი ქმედება ცნობილი ინციდენტის დროს „მოსხენდა თქვენს აღმატებულებას ზოგიერთი არაკეთილსინდისიერი ინფორმატორის მიერ არასწორად, მრუდე სარკეში წარმოსახული“. შემდეგ სტაროსელსკი დაწვრილებით უხსნიდა საქმის ვითარებას, რომ დაპატიმრებულნი გაათავისუფლდეს, რადგან „ისინი მუდმივად ცხოვრობენ ქალაქში და საზოგადოებაში გავლენით სარგებლობენ. არც ერთი მათგანი არ აარიდებდა თავს გამოძიებასა და სასამართლოს“. ჩაფრები ვასილიევი და ისაჯენენ იმისათვის, რომ დაუშვეს უხეში, ქუჩური გინება... ჩემს მიერ პოლიცემისტერ ტატიევის მეშვეობით დანიშ-

ნული იყო ჩაფრების პატრული იმისათვის, რომ დაეცვათ წესრიგი ქალაქის ბაღში. მათ ნაბრძანები ჰქონდათ პოლიციელებთან ერთად შეძლებისდაგვარად არ დაეშვათ შეკრება, ხოლო წარუმატებლობის შემთხვევაში შეეტყობინებინათ პოლიციის უფროსი ჩინებისათვის, თავისი პასუხისმგებლობით არ გამოეყენებინათ ძალა, თუკი ამას უკიდურესი აუცილებლობა არ მოითხოვდა.

ვიმედოვნებ, რომ ამ განკარგულებაში თქვენს აღმატებულება ვერ დაინახავს ვერაფერს კანონსაწინააღმდეგოს.

მიიღეთ, თქვენო აღმატებულებაე, ჩემი თქვენდამი სრული პატივისცემისა და ერთგულების აღიარება“.

რალა თქმა უნდა, შირინკინი სტაროსელსკის ამ ახსნა-განმარტებამ ვერ დააყმაცოდილა. ის ხომ ყოველ ღონეს ხმარობდა საჭმე ისეთნაირად წარემართა, რომ აუტულებინა მეფისნაცვალ გუბერნიაში სამხედრო მდგომარეობა გამოეცხადებინა.

იმისათვის, რომ უფრო დაეძაბა მდგომარეობა და გაეღრმავებინა კონფლიქტი, გენერალი გამოედავა იმას, რომ სტაროსელსკიმ კერძო ხასიათის ბარათით უპასუხა სამსახურებრივ წერილში აღძრულ საკითხზე. ამჯერად შირინკინმა უკვე სხვა ტონით მიმართა გუბერნატორს: „...მე კვლავ მაქვს პატივი ვთხოვო თქვენს აღმატებულებას, უარი არ მითხრათ ოფიციალურ განმარტებაზე, რათა, ჩემის მხრივ, მოვახსენო მის უგანათლებულე-

სობას...“ ამ წერილზე სტაროსელსკიმ საერთოდ არ უპასუხა, რამდენადაც ციის ეს მაღალი მოხელე გააცოფდა. გენერალმა კვლავ მიმართა სტაროსელსკის და ახლა უკვე კონკრეტულად გრაფი დაიმოწმა.

„...კავკასიაში მისი იმპერატორობითი უღიღებულესობის მეფისნაცვლის ბრძანებით ვთხოვ თქვენს აღმატებულებას, დაუყოვნებლივ მაეცნობოთ მისი უგანათლებულესობისათვის მოსახსენებლად ახსნა-განმარტება იმ საგანზე, რაც აღნიშნულია ჩემს წერილში თქვენს სახელზე ამა წლის 12 სექტემბერს № 887...“ ამჯერად გუბერნატორმა პასუხი არ დააყოვნა. სტაროსელსკი უკვე ოფიციალური ფორმით იმეორებდა ადრე გამოთქმულ მოსაზრებებს. ამან საბოლოოდ გამოიყვანა გენერალი წონასწორობიდან. „...განმარტებას იმ მოტივებისა, რომლებითაც თქვენ ხელმძღვანელობდით განკარგულების გაეცემისას... მე მივიჩნევ არასაკმარისად... ეს აღემატება თქვენს ადმინისტრაციულ უფლებამოსილებას და არღვევს სასამართლო უწყების თანამდებობის პირების კომპეტენციას...“.

რალა თქმა უნდა, ამ მიმოწერის შუალედებში შირინკინი გრაფთან შეხვედრისას დროს არ კარგავდა და ცდილობდა წარმოედგინა გუბერნატორი როგორც გაყოფილებული მეტიჩარა, რომელიც პატივს არ სცემს მის უგანათლებულესობას და არის ამბოხის წამქეზებელი პიროვნება, რომლის გამოისობითაც გუბერნიაში მდგომარეობა უკიდურესად დაიძაბა და გამწვავდა.

თავი 17

ინკასატორის გაქარცვა. უშრისგება. ასე გაპარსივნი. შეტაკების წინ. ნასაკირალის ბრძოლა. მზარის უფროსნი... მიიმალა.

იმ საღამოს ყიდშიდემ მოახსენა სტაროსელსკის, რომ მისი არყოფნის დროს, პოლიციის სამმართველოდან

დარეკეს და აცნობეს, კიათურაში გატაცებულია თერთმეტი ათასი მანეთი — მესახტეების ხელფასიო. ამბობენ,

აქ ბოლშევიკების ხელი ურევიაო.

— სისულელე! — შეაწყვეტიან სტაროსელსკიმ. — აშკარა ცილისწამებაა!

— მე ადგილზე საგანგებო საქმეთა გამომძიებელი გავაგზავნე, — განაგრძო ყიფშიძემ და დაუმატა, — სანდო კაცი, რაღა თქმა უნდა.

— სწორად მოქცეულხართ. ამ ამბის მიზანია, ჩირქი მოსცხონ ბოლშევიკებს და ზოგ-ზოგებმა ხელი მოითბონ...

ცნობამ ფირმა „ჰელზენკირხენის“ ინკასატორის გაძარცვის შესახებ მთელი კითხურა შეძრა. საქმე შემდგომი იყო: მოლარემ, რომელსაც ერთი მცველი ახლდა, ის-ის იყო ბანკიდან 11 ათასი მანეთი გამოიტანა და ფაეტონში წაღებოდა, რომ მას თავს დესხა რამდენიმე კაცი. მცველი იქვე მოკლეს. მოლარეს გამოგლიჯეს პორტფელი ფულით, გადმოაგდეს ფაეტონიდან და გაუჩინარდნენ.

იმხანად კითხურაში სტალინი იყო ჩასულა, რათა საჯარო დისკუსია გამართა მენშევიკებთან, ანარქისტებთან და ესერებთან, რომლებიც ამ ბოლო დროს საგრძნობლად გააქტიურდნენ მასებზე ზეგავლენისათვის ბრძოლაში. ინკასატორის გაძარცვის ამბავი რომ შეიტყო, მან პარტიული კომიტეტის საგანგებო სხდომა მოიწვია, რომელზეც შეიმუშავეს ოპერაცია იმ მიზნით, რომ დაედგინათ ბოროტმოქმედთა პიროვნება და მიეგნოთ გატაცებული ფულისათვის.

სტალინის აქტიურობა, ჩანს, იმით აიხსნებოდა, რომ დარწმუნებული იყო, მენშევიკების ზრიკებში, ხელმძღვანელობენ რა პრინციპით — მიზნის მისაღწევად ყველა საშუალება ვარგაო და ასეთი ვერაგობა იკისრეს საჯარო დისკუსიის დაწყების წინ მათ ამ პროვოკაციით სწადლათ საზოგადოების თვალში ბოლშევიკების კომპრომეტირება.

ოპერაციის ჩატარებაში სტალინმა წითელი რაზმელების ჯგუფები ჩააბა. ისინი ქალაქში დადიოდნენ, მოწმეებს ეძებდნენ. ერთერთმა მათგანმა უამბო,

რომ თავდასხმის დროს ჩოხში გამოწყობილ მძარცველს ყაბალაზი მოსწავრა. დამსწრემ იცნო ყაჩალი, რომელიც ხშირად მონაწილეობდა სხვადასხვა თავდასხმებში და ქურდობაში. ეს იყო კიათურელი სიღამონიძე.

რაზმელები დაუყოვნებლივ მიუხტნენ მას სახლში. იქ მათ ნახეს პორტფელი, რომელშიც ცხრა ათასი მანეთი აღმოჩნდა. რომ ჰკითხეს, დანარჩენი რა უყავიო, ყაჩალი გამოტყდა, — მენშევიკებს გადავეციო. ეს უქანასენელი, მხილბუღი და შერცხვენილი, იძულებული გახდნენ ფული დაებრუნებინათ. ამგვარად გატაცებული მუშების ხელფასი მთლიანად გადაეცა ფირმას. ხალხმრავალ კრებებზე მძარცველები ერთსულოვნად შეაჩვენეს. ყაჩაღებს გამოუტანეს სასჯელი: გუბერნიიდან გაძევება და მათი ოჯახების ბოიკოტი. ერთ-ერთმა ბოროტმოქმედმა, კრების გადაწყვეტილებით უქმაყოფილომ, თავმჯდომარეს ესროლა, მაგრამ ააცილა. ის იქვე განაიარაღეს და სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტეს.

იატაის ფიცარმა ოდნავ გაიჭრაქუნა და კარის წირთხლის ქვემოდან სამად დაკეცილი ბარათი შემოსრიალდა. იგი მეტად ლაკონური იყო: „მოლაღატე! დატოვე გუბერნია. ვადა — ორი კვირა. თუ არადა — სიკვდილი!“ ხელმოწერის მაგივრად — კუმო და ჯვარი ეხატა.

ქუთაისის პოლიციის უბნის საქმეთა მწარმოებელმა ერთი გულიანად შეუცურთხა ამ ბარათის ავტორს და ფანჯარაში ფრთხილად გაიხედა. არავინ ჩანდა: ანონიმი დილის ბურუსში გაუჩინარებულიყო. ლეხეძემ ერთხელადა გადაიკითხა ბარათი, მაშინალოვრად ჯიბეში ჩაიდო და ღრმად ჩაფიქრებული ერთ წერტილს მიაშტერდა...

თვალწინ იმ დღისსურათი აღუდგა: გუბერნატორმა მიიღო ის „ფრიალ მნიშვნელოვანი საქმის“ გამო. მან ჩოხის მასრიდან ჩაუქუული ქალაქი ამოაძგ-

რინა, რომელზედაც ზუსტად იყო მითითებული საიდუმლო შეკრების დრო და ადგილი. ხატზე შეუძლია დაიფიქროს, რომ იმ წუთში კაბინეტში მხოლოდ ორნი იყვნენ — სტაროსელსკი და თვითონ. „უცნაურია, — გაიფიქრა მან, — რატომ დაიგვიანეს კახაბეშვი? მაშინ მოაგვლევს ცხენები, როცა შეკრების ყველა მონაწილე დაიშალა. ახლა კიდევ ეს ბარათი... რა იციან მათ, რომ ეს ჩემი ნახელავია?...“

— ვერაფერი გამიგია. ნუთუ?!.. ხმა-მალა აღმოხდა მას, მაგრამ საკუთარმა აზრმა იმდენად შეაშინა, რომ ხელები გაასავსავა, თითქოს აბეზარ იქვს იცილებოდა. — არა!... არა!... ეს შეუძლებელია!

სახლიდან გამოვიდა. შიშით აქეთ-იქით მიმოიხედა და თავისდაუნებურად ფრთხილი, ქურდული ნაბიჯით სამსახურისკენ გაემართა. ბარათი თავის უფროსს, პრისტავს, პეტრე ივანეს ძეს აჩვენა. ამ ტანმორჩილმა მამაკაცმა, ლოტოს კოჭს რომ მოგაგონებდათ, ჭერ გაიცინა, მერე გამომცდელი მზერა მიაპყრო საქმეთა მწარმოებელს.

— გეშინია?

— რასა ბრძანებთ! — მთლად დარწმუნებულად ვერ უპასუხა მან.

— მაინც ფრთხილად იყავი... გუბერნიიდან წასვლაზე ლაპარაკი ზედმეტია, მაგრამ მაინც ფრთხილად იყავი, — გაიმეორა პრისტავმა.

იმ დღეს ლეხეიძეს არაფერი გამოუდიოდა: ყველაფერი ხელიდან უვარდებოდა, გული ვერაფრისთვის დაედო, შეკითხვებზე დაბნეულად პასუხობდა. თითქოს სული გაეყინაო. მცირე ფაჩუნის კი აკრთობდა. ყოველ მომსვლელს დაძაბულსა და იჭვეთ საესე მზერას აპყრობდა.

რაშინა საქმე? რამ ააღელვა და დააფრთხო ასე. დღეს ულტიმატუმის ვადა ამოიწურა. შიშითა და მოლოდინით აღსავსე დრო ნელა მიიზღაწნებოდა. როგორც იქნა, ბოლო მომსვლელმა კარი გაიხურა, ოთახი დაცარიელდა. სიწყნარე ჩამოვარდა. კედლის საათის წიკწი-

კილა ისმოდა. ლეხეიძემ ისინი თქუქუქა გიდიდან ქალაღები აკრიფა, უჭრაში ჩაალაგა და დაკეტვა რომ დააპირა, უფრო იგრძნო, ვიდრე გაიგო, რომ კარს იქით ვილაცა დგას! ცოტაც და, კარი უხმაუროდ გაიღო და ადამიანის ვეება ლანდი გამოჩნდა. ზურგიდან ჩამავალი მზის სხივებით განათებული, იგი გასისხლიანებულს ჰგავდა. „დაღვა ჩემი აღსასრულის ეამი!“ გაუელვა თავში.

არა, სროლის ხმა არ გაუგია: ჩანს, წამით აღრე გონება დაკარგა და იატაკზე გაიშხლართა. ამან გადააჩრინა, ჩაფრები მოცვიდნენ. როცა ლეხეიძე გონს მოვიდა, დაინახა რომ ისინი მომხდურებს ესროდნენ. აი, ერთ-ერთი მათგანი, თითქოს გაქცევა გადაიფიქრაო, გაჩერდა, ერთხანს იღვა, მერე შეიბნა და მოცელილივით დაეცა. მეორე სახლის კუთხეს მიეფარა და გაუჩინარდა...

ლეხეიძემ იცოდა, რომ შურისძიება, ფატალური გარდუვალობით მიეწეოდა, მთელი ღამე შფოთავდა, წარამარა ელვიძებოდა, აყურადებდა ქალაქის ღამეულ ხმებს. ქარს ბუხარში საშინელი ღმუილი გაება. ახლად ამოსული მთვარე ფანჯრის მინაზე ლანდებს ათამაშებდა — უწყესრიგოდ წამოსულ ღრუბლებში ხან ერთი წუთით გამოიხედავდა, ხანაც იქვე მიიმალებოდა. ლეხეიძეს ეჩვენებოდა, რომ ეს ვილაცა დიდის ფანჯარასთან, ოთახში იხედება, აკვირდება, ათვლიერებს თავის მსხვერპლს. უცებ სარკმლის მინაზე დააკაუნეს...

ლეხეიძე შეკრთა, ერთ ადგილას გაშეშა, ხმა ჩაუვარდა...

კაკუნი ხელმეორედ გაისმა...

— ეს ხომ ხის ტოტები ეხლება ფანჯრის მინას, — სცადა თავის დამშვიდება, მაგრამ შიშმა, დაუოკებელმა შიშმა შეიპყრო მთელი მისი არსება, უძვრებოდა სულში, სუნთქვას უკაუბდა, გული ისე მძლავრად უცემდა, თითქოს მკერდიდან ამოხტომას ლამობსო.

— ღმერთო ჩემო ეს რა მემართება... აღვა, კარადიდან ჰაჭის არკით საესე

ბოთლი გამოიღო. ხელები ისე უკანკალებდა, რომ ჭიქა ძლივს გაავსო, დალია. ისევ დაისხა, მაგრამ თითქოს წყალი დაუღვია, არაფერი ეკიდებოდა.

— მოვასწრებ კი ქალაქიდან გაქცევას? — ხმაძალდა შეეკითხა თავის თავს და შეშლილის მხერგა მოავლო იქაურობას. გაუყვირა, როცა ლამპის მბუქურზე სინათლეში კედელზე თავისი გამხდარი სხეულისა და აჩენილი თმების ლანდი დაინახა. იგი რაღაც უცნაურად თრთოდა და ცახცახებდა. ხან ჭერამდე გაიზრდებოდა, ხან სულ დაპატარავდებოდა. უცებ წინაკარში რაღაცამ დაიგრუხუნა და იმწამსვე ფანჯარაში ორი ანთებული წერტილი გამოჩნდა. უბედურების მოლოდინში ლეხეიძე გაინაბა, გაშეშდა. აი, ახლა დაიგრიალეებს თოფი... ბოლოს მიხვდა — ეს ხომ მეზობლის კატაა. დაწყნარდა, მაგრამ სულ ერთი წამით. შიშის ახალი ტალღა კვლავ დაეძგერა მას და ლამის მთლად შთანთქა, სულ უფრო იმონებდა მის ნებისყოფასა და გონებას. შიშის მძლავრ კლანჭებს რომ გამოხსნოდა, ლოგინზე დაეცა, თავი ბალიშში ჩარგო, საბანი გადაიფარა... გაყურდა. მალე თითქოს ჭვესკელში ჩაეშვავა, ჩათვლიდა და მუის კოშმარული სიზმრების ტყვეობაში აღმოჩნდა. აი, უკუნეთიდან მისი მეზობლის, დავით პატარიძის შეილი — ილიკო გამოჩნდა. „ამას აქ რა უნდა? — ქვეშეცნეულად ფიქრობდა ლეხეიძე, — ის ხომ დიდი ხანია მოკვდა“.

— ჰო, ლეხეიძე, მე დიდი ხანია მკვდარი ვარ, ახლა კი შენ სულს მოვაკითხე. მე ხომ შენი დასმენით გამაციმბირეს და იქ ამომძვრა სული.

— არა, არა, მე არ დამისმენიხარ...

— მეც შენს სულს მოვაკითხე! — მოესმა სხვა ხმა.

„ეს ხომ მეზობელ მართას ქმარია“, — ლეხეიძემ იცნო ის: სამანი ჰქონდათ სადავო. მერე დაასმინა, პოლიციელის მკვლელობა დააბრალა და ჩამოახრჩვეს.

მერე ათობით სხვა შემეტყველებდნენ: ხში და ერთხმად აღრიალდნენ:

— შენი სული გვსურს! შენი სული გვსურს! და სულის ამოსახდომად ყელში წაწვდომას ლამობდნენ.

— მიშველეთო!... — აბლაღელდა ლეხეიძე და თავისივე ყვირილმა გამოავიძა. ოფლში გაღვრილი და მოცახცახე, ლოგინიდან წამოხტა და თვალები მოიფშენიდა: მზე უკვე ამოიწვერა და ჩიტების ქორო ესალმებოდა აკიაფებულ დღეს.

სწრაფად ტანთ ჩაიცვა, ნაჩქარევად ისაუბრა და გარეთ გავიდა. მიდიოდა და წამდაუწუმ უკან იხედებოდა: ეჩვენებოდა თითქოს ვილაცის მხერგა ზურგს უბურღავდა.

ის-ის იყო საწერ მაგიდას მიუჯდა, რომ მისი ყურადღება გარედან შემოსულმა ხმაურმა მიიპყრო. ფანჯარაში გაიხედა და შეძრწუნებული გაბეჯდა: ქუჩის გადაღმა ჩაფრების საგუშაგოს სამასამდე კაცი გარს შემორტყმოდა და ხმაძალდა ითხოვდნენ, მოგვეციოთ ის კაცი, გუშინ „შურისმაძიებელი“ რომ მოკლაო. ჩაფრებმა უწესრიგო სროლით უპასუხეს. ამან საბოლოოდ აღაშფოთა ხალხი და მალე საგუშაგოს შენობა ცეცხლის აღმა მოიკცა. აღმოდებულ სახლიდან ჩაფრები გამოცვივდნენ და იარაღს მომხდურებთან ყრიდნენ. მხოლოდ ორი მათგანი, ვინც მკვლელობა ჩაიდინა, სროლით გაიქცა, მაგრამ რაზმელთა ტყვიები მიეწია.

ლეხეიძე მიხვდა რომ ახლა შურისმაძიებლები მას მოაკითხავდნენ. ფანჯრიდან შეუძინეველად გადაძვრა. გვერდულად სახლის კიდეს მიაღწია და ის იყო შესახვევში უნდა გაუჩინარებულიყო, რომ ვილაცა ბიჭმა შენიშნა და დაიყვირა:

— აგერ არის, დაიჭირეთ!

რამდენიმე კაცი ყვირილით გამოუდგა.

— დადექ, შე არამზადავ, იუდავ! ხალხით გაქედილ ქუჩაში სროლას ვერ ბედავდნენ.

ანგარიშმოუცემლად, ინსტინქტის ძა-

ლას მინდობილი, თავის სახლისკენ გაიქცა. ცოტაც და შინ იქნება. მაგრამ ამ დროს გაუელვა: „მერე რა? ვანა ეს მათ ხელს შეუშლით შური რომ იძიონ? რა თქმა უნდა, არა. მეზობლები! აი ჩემი საშველი... ისინი დამეხმარებიან, დამმალავენ, გადამარჩენენ...“ მესერს გადაეგლო და დავით პატარაძის ეზოში აღმოჩნდა. ისიც ხმაურზე გამოსულიყო და კარებთან იდგა. ლეხეიძე მას მივარდა. არა, სიტყვაც არ დაუძრავს, მხოლოდ განწირულის მზერა შეაგება მეზობელს. მაგრამ ის ადგილიდან არ დაძრულა, შინ არ შეუშვა. აქედან შევლას არ უნდა ველოდეთ და ლეხეიძემ უგანა დავითს, მარჯვნივ გაიქცა.

— მიხსენი! — შეევედრა მეზობელ ქვრივს. იმანაც უხმოდ ანიშნა — გზას არ დაგიშობო.

შეშლილივით გამოვარდა და ბოლოს მაინც შინისაკენ აიღო გეზი. აჰა, სახლიც. კარი ჩარაზა, გაიჭრუნა... მაგრამ მდევართა კონდახები დაეძვება კარს და ეს ბაგაბუგი საშინელ ტკივილად ისმოდა მის გულში. აი, კარი ვეღარ უძლებს, სადაცაა...

— დადგა ჩემი აღსასრული! — ხმა-მალლა წარმოთქვა აცხაცხებულმა ლეხეიძემ, სასოწარკვეთილებით მიმოიხედა და გამომწყვდეულ ნადირივით ოთახში ბოდილი დაიწყო. ვერაფერი რომ ვერ იღონა, საწოლქვეშ შეძერა. შემონგრეული კარი იატაკზე ხმაურით დაენარცხა. მომხედურებს სამალავიდან მისი გამოთრევა არც უცდიათ, ხაფანგში მოხვედრილი მგელივით დაცხრილეს...

როცა შემთხვევის ადგილზე ჯარისკაცები მოიჭრნენ, მათ აქ აღარავინ დაუხვდათ, სახლის კედელზე ვილაცას ნახშირით გამოეყვანა: „შურისძიება“.

* * *

სალამოყამს, ის-ის იყო სტაროსელსკი სახლში შევიდა, რომ ყიფშიძემ დარეკა.

— ვლადიმერ ალექსანდროვიჩ, ახ-

ლახანს შემატყობინეს, რომ ჩოხბატყუქან რში თავს დაესხნენ უზნის სამმართველოს. მაზრის უფროსი ლაზარენკო დამსჯელი რაზმით — პლასტუნთა ბატალიონის კაზაკთა ასეულის შემადგენლობით უკვე ოზურგეთიდან დაიძრა.

— ისევ ეს ლაზარენკო, ისევ თვითნებობა; უკვე მერამდენედ გვიქმნის პრობლემებს! — წყრომით თქვა გუბერნატორმა. — ხომ არაფის მიუცია მისთვის ამის რწმუნება?

— არ ვიცი, ყოველ შემთხვევაში მე არა.

— ამჯერად ეს მას ძვირად დაუჯდება! — გაბრაზდა სტაროსელსკი.

მან დაცვის უფროსს ბეგლარს უხმო და სასწრაფოდ დაწერილი ბარათი მიაწოდა.

— გადაეცი! — და ვლადიმერ ალექსანდრეს ძემ მრავალმნიშვნელოვნად შეხედა.

ბეგლარი ყველაფერს მიხვდა, თავი დაუქნია და კაბინეტიდან გავარდა.

ბარათით სტაროსელსკი კომიტეტს ატყობინებდა, რომ ჩოხბატურელებს საფრთხე ემუქრებოდა... მათი გაფრთხილებისათვის დრო ძალზე მცირე იყო. ამიტომ გადაწყვიტეს დაუყოვნებლივ ლამის საცხენოსნო ესტაფეტა მოეწყოთ. მხედრები მოკლეზე ჰრიდნენ გზას, ერთმანეთს გადასცემდნენ დამსჯელი რაზმის მოახლოების ამბავს...

ჩოხბატურში კი აი, რა მოხდა. წყნარი, მშვიდი ოქტომბრის დილა იყო. მხოლოდ ერთი რამ იყო გასაოცარი: ამ გაცხარებულ ალოობის დროს კაცისმილი არ ჩანდა ბაღებსა და ვენახებში.

— ეს რაღაც არ მომწონს... — მეც... — ჩუმად გადაულაპარაკეს ერთმანეთს ჩაფრებმა — ფაზიროვა და დაშინანმა, უზნის სამმართველოში რომ მორიგეობდნენ. მათი მეგობრები დაიმურზიევი და ქაიცივაძე იქვე ისხდნენ და ეყვინთებოდნენ.

სამმართველოს ექვსოთახიანი შენობა სოფლის შუაგულში იდგა. ერთ-ერთ ოთახში უზნის პრისტავი გაგუა ცხოვ-

რობდა, მეორე — კანცელარიას ეკავა, ხოლო დანარჩენებში საგუშაგოები იყო განლაგებული.

იმ დილით გაგუას თითქოს ვიღაცამ გვერდში უბიძგაო, უჩვეულოდ ადრე გაეღვიდა. ჰორიზონტზე ის-ის იყო აღიონი აკიაფდა.

— ისევ ეს წყველი მეზობლის მამალი, — წაიბურტყუნა მან, ნაცნობი ყვირილი რომ შემოესმა. მაგრამ ეს რა ამბავია?! მის ყურს ხალხის ყაყანი მისწვდა, „აი, თურმე რაშია საქმე!“ — ლოგინიდან სწრაფად წამოხტა და ღია ფანჯარას ეძვერა. გული შიშისგან შეეკუმშა. ბინდბუნდში ასობით ადამიანის სილუეტი დალანდა.

ამ დროს ტყვიამ გაიზუზუნა. ჩაფრები იატაკს გაეკვრნენ, მერე კი უწყსარიგო საპასუხო სროლა ატეხეს. წამიც და გარშემო ყველაფერი ამოძრავდა, ახმაურდა. ვახურდა სროლა. როცა გაგუა, ჭრ კიდევ ძილიდან გამოურკვეველი, თმებაბურთავული და შეშინებული, ჩაფრებთან მიიჭრა, ერთი მათგანი უკვე მოკლული იყო.

— ცუდადაა საქმე! — თავისთვის ჩილაპარაკა პრისტაემა, — ისე არ მოხდეს, რომ ჩემი წინამორბედის კოსტავას ბედი მეწიოს, — და უბრძანა:

— შეწყვიტეთ სროლა! — ამ დროს ტყვიებმა ისევ გაიზუზუნა. ერთი ოთახის კედელში გაიჭედა, მეორე კერზე დაკიდებულ ლამპას მოხვდა და ჩაფრებს თავზე ნავთის ნაკადი გადაესხათ. მალე კიდევ ერთი დიჭრა.

— ასე სათითაოდ ამოგვეღეტენ, — აბუზუნდნენ ჩაფრები, — საპასუხო ცეცხლი უნდა გავხსნათ.

— სროლა არ გაბედოთ! — გაიმეორა ბრძანება გაგუამ. შემდეგ კი დაბეჯითებით წარმოთქვა: — ის გვირჩევნია, ჩვენით ჩაებარდეთ, — ამის თქმა იყო და ხელებაწეული მომხდურებთან გავიდა.

ჩაფრებმა იარაღი დაყარეს და მას გამოჰყვნენ, მერე მიმალვა სცადეს, მაგრამ იქვე დააკავეს. ხალხი უბანს მიაწყდა და რბევა დაიწყო. მათ ხელთ

იგდეს ჩაფრების იარაღი, ხელთაღიშნულნი თოფები, ადრე გლეხებს რომ წაართვეს, გადაქექეს კარადები და მემამბოხეთა სიები ამოიღეს, ნათეს სისხლის სამართლის საქმის აღსაფრეულად გამზადებული დოკუმენტები „ნივთმტკიცებანი“ — ხანჭლები, დანები, რევოლვერები. ყველაფერი ეს გაიტაცეს და მყის დაიშალნენ.

იმავ დღეს წითელრაზმელთა მეორე ჯგუფი თავს დაესხა საფოსტო განყოფილებას. შეტაკების დროს მოკლეს ჩაფარი და შაშხანა აართვეს, ხოლო განყოფილების უფროსს კეკელიძეს სახაზინო რევოლვერი წაართვეს...

...იმდღესვე რაზმელების მიერ განთავისუფლებული პრისტავი გაგუა რამდენიმე ჩაფართან, დამტარებელთან და ჩინოვნიკებთან ერთად მთელი ღამე აწესრიგებდა უბანს. თავს უყრიდნენ გაფანტულ ქალაქებს; შეაკეთეს დალუწილი სკამები და მაგიდები. ამასობაში შემოათენდათ კიდევ და ამ დროს ზარების რეკვა მოესმათ. ამ ხმამ მოსახლეობა შეაშფოთა. მალე ცნობაც მოვიდა, რომ სოფელ გორას მხრიდან აქეთკენ დამსჯელი რაზმი მოემართება.

ხალხმა სასწრაფოდ აბარგვა იწყო. ზოგმა ურმით, ზოგმაც ცხენზე ამხედრებულმა, თავი ტყეს შეაფარა, ზოგნიც მეზობელ სოფლებში, მერგობრებთან, ნათესაებთან გაიხიზნენ.

გაგუა დაფრთხა. რაზმელებს რომ მოჰკრა თვალი, მათთან მიიჭრა:

— ბიჭებო, თქვენ უნდა მიხსნათ... ვიცი, ხეირს არ დამაყრიან, — წინააღმდეგობა რატომ არ გაუწიეო, ცოცხალი რატომ დარჩიო...

— თუ ძალიან შეგვეჩვენებინა, ახლავე მოგკლავთ, — გაიხუმრეს რაზმელებმა. ერთ-ერთმა მათგანმა კი სერიოზულად შენიშნა.

— მართლაც უიდა დავებმართო. ეგ ხომ ჩვენი კაცია. მოდი „დავატყვევოთ“.

— ეს ჰკვიანურად უნდა გაკეთდეს. აქვე მოითათბიზრეს და გადაწყვიტეს, რომ გაგუა მობრუნდება და თავის თა-

ნამშრომლებს ეტყვის, თითქოს ლაზარენკოს მიერ გამოგზავნილმა ჩაფრებმა უფროსების დასახვედრად სოფელ გორასკენ წამოსვლა უბრძანეს.

...ჩოხატაურში მომხდარი ამბები რომ შეიტყო, მოთმინებიდან გამოსულმა ლაზარენკომ გადაწყვიტა ამჯერად საკუთარი პასუხისმგებლობით ემოქმედა და მკაცრად დაესაჯა მემამზებები.

„მე რაც შემიძლო გავაკეთე, გუბერნატორი თავის დროზე გაფაფრთხილე, ყური არაყინ მათხოვა. ახლა ჩემით ვიმოქმედებ“, ლაზარენკო მოულოდნელად რომ დასტყდომოდა თავს ჩოხატაურელებს უთენია კაზაკთა ასეულით, რომელსაც პოდესაული პოპეტჩენკო და ხორუნიე მოსკალენკო მეთაურობდნენ, სალაშქროდ გავიდა. რაზმი დიდი სიფრთხილით მოძრაობდა. თითქოს ცხენებიც გრძნობდნენ ამას, ყურებდაცქვეტილნი ჩუმად ფრუტუნებდნენ. სიჩუმეს მხოლოდ საჭურვლის საზიდი დროგების ჭრიალი არღვევდა.

ინათა... მზის პირველი სხივები მთების მწვერვალებს მისწვდნენ. სინათლემ ბნელეთი ქვევით, დაბლობისაკენ გამოდევნა. თანდათან ხეების, შენობების სილუეტები გამოიკვეთა. მამლებმაც ყვირის უმატეს, მათ ძაღვები გამოეხმაურნენ.

— სოფელი გორა. — შენიშნა სამაზრო სამშართველოს მთარგმნელმა ანთაძემ, ლაზარენკოს რომ ახლდა თან. — აქედან, ჩემო ბატონო, ჩოხატაურამდე დაახლოებით სამი ვერსია. — განმარტა მან.

პოდესაულმა ბრძანება გასცა შეტაკებისათვის მოემზადეთო. ის-ის იყო განკარგულების შესრულებას შეუდგნენ, რომ გზის პირას მხედრის ლანდმა გაიღევა. კაცს ეგონებოდა, — მოჩვენებააო, მაგრამ მალე გაჭენებული ცხენის ფლოკების თქარა-თქური გაისმა. რამდენიმე წუთის შემდეგ კი ზარების რეკა ატყდა. ეს სამარისებურ სიჩუმეში მიმავალი დამსჯელ რაზმს

არაღც ჰქეპა-ქუხილად მოეჩვენებოდა ისმა ახალი ბრძანება:

— მოემზადეთ!

შაშხანების საყეტებმა ჩქამი გაიღეს. შეტაკების მოლოდინში ჭარისკაცები დაიძახნენ.

ზარების რეკვას მეზობელ სამრეკლოებიდანაც გამოეხმაურნენ და სულ მალე ამ თავისებურმა ესტაფეტამ ჩოხატაურში ჩააღწია.

დამსჯელებს სურდათ თავიდანვე თავზარი დაეცათ მოსახლეობისათვის, ჩაეხშოთ მათი ნებისყოფა, მოესპოთ წინააღმდეგობის გაწევის სურვილი, ამიტომაც სროლითა და ხმამაღალი ყიყინით შევარდნენ ჩოხატაურში. მაგრამ მათ გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა უკაცური დაბა დახვდათ. გარშემო სიჩუმე და სიწყნარე სუფევდა. მოსულთ მხოლოდ უბნის მოხელეები გამოეგნენ. დამტარებელ იაგორა ჩიგოგიძის გვერდით ვეება ძალი მოძუნძულებდა. არაფერ იცის, პატრონის ახლო ყოფნით გახლებული თუ საკუთარი ძალის იმედით, იგი ღრენით და ყეფით უცებ ერთ-ერთ ამხედრებულ კაზაკს ეცა. დამფრთხალი ცხენი ვანზე გაბტა და ტლინკები აპყარა. მხედარი, რომელიც ამ დროს ქალაქის ნაგლეჯში თუთუნს ახვევდა, ამას არ მოელოდა და ცხენიდან ზღართან მიადინა. ამხანაგების დამცინავი შეტახილებით შეურაცხყოფილი და დარცხვენილი სწრაფად წამოვარდა ფეხზე, ხმალი იშისშელა და საბრალო ნაგაზს ისე გამეტებით დასცხო, რომ ორად გააპო. პატრონი ძაღლთან მიიჭრა, მაგრამ მერე ხელი ჩაიჭნია, ერთი გულიანად შეიკურთხა და ლაზარენკოსკენ გასწია. მაზრის უფროსი დაინტერესდა უბნის პრისტავი გაგუა სად არისო? გაუკვირდა, როცა უპასუხეს:

— კი მაგრამ, თქვენ თვითონ არ გამოგზავნეთ ჩაფარი დავალებით, იგი სოფელ გორასთან დაგვხვედესო?

— გამოდის, რომ გაგუა მოტყუებით დაატყუევეს? — დაასცნა გაბრახებულმა ლაზარენკომ.

ამ დროს შიშისაგან ფერწასული უბნის გამგე პეკარსკი მოვიდა. მის დანახვაზე ლაზარენკო აფეთქდა.

— ეს რა გამოვიდა, მოწყალეო ხელმწიფე?! თქვენ ცოცხალი ძალების ამოდნა დანაჰარგი გაქვთ და მომხდურებიდან არავინ დაზარალებულა, არც მოუკლავთ ვინმე, და არც დაუჭრიათ. ასე უბრალოდ უბრძოლველად ჩაბარდით ყაჩაღებს?! აი, მე და ჩემმა ღმერთმა, ამას ჰქვია ნამდვილი მეომრები! ჯარისკაცებიც ასეთი უნდა! — ბოხოქრობდა მანარის უფროსი.

— მომიტევეთ, თქვენო მაღალკეთილშობილებავ, მაგრამ იმ მომენტში მე აქ არ ვახლდით. აი, პრისტავი გაგუა...

— გეყოთ! — შეაწყვეტინა ლაზარენკო. — თქვენ სუყველა მხდალები და მოლატრები ხართ!

— მომიტევეთ, დამნაშავე ვარ, თქვენო მაღალკეთილშობილებავ, — აკანკალებული ხმით განაგრძობდა უბნის უფროსი და ხელი წამდაუწუმ ქუდისკენ მიჰქონდა. მერე, უეცრად უფროსის წინ მუხლებზე დაემხო და შეპლადდა:

— უმორჩილესად გთხოვთ, შემობრალეთ მე და ჩემი ოჯახი! ბედის ანაბარა არ დაგვტოვოთ ამ თავზეხელაღებულ ხალხის ხელში. მეც იგივე დამემართება, რაც ფოსტის უფროსს კეკელიძეს!

— იმას რაღა დაემართა? — დაინტერესდა ლაზარენკო.

— ამდენი დავიდარაბისაგან ჰქუაზე გადაცდა ის უბედური.

— კარგი, კმარა! მოემზადეთ, ჩვენთან ერთად წამოხვალთ.

ორი დღის განმავლობაში ლაზარენკო და მისი ხელქვეითნი გამოძიებას აწარმოებდნენ, შეთქმულების კვალს ეძებდნენ, მეამბოხეთა სიებს ადგენდნენ. თავისთავად ცხადია, არც ერთი მათგანი ადგილზე არ დახვდათ, ამიტომაც მათ ლანდებთან ბრძოლა მოუხდათ. გაყოფებულნი არბევდნენ, ანგრევდნენ, სძარცვავდნენ და სწვავდნენ საცხოვრებელ სახლებსა და მაღაზიებს.

ამ დროს კი წითელრაზმელები ემხადებოდნენ დამსჯელი რაზმის ღორსეული „გაცილების“ მოწყობისათვის. დილა-საღამოს მთებში, ნასაკირალის უღელტეხილზე განუწყვეტლივ ისმოდა ნაჯახების კაყუნი და ხერხის ჭრიალი. აქ გამოცდილი მეომრების მეთაურობით სასწრაფოდ საფორტიფიკაციო ნაგებობებს აშენებდნენ. ტყერებში კაფავდნენ ზოლებს, თხრიდნენ სანგრებსა და სასროლ ბუდეებს. ამას ყველაფერს იმისთვის აკეთებდნენ, რომ მანევრირების საშუალება ჰქონოდათ, და, რაც მთავარია, ყველა წერტილიდან ცეცხლით მისწვდომოდნენ მიხვეულ-მოხვეულ გზას.

ადგილობრივი ფერშალი და აფთიქარი ქალების დახმარებით ტყის შუაგულში ლაზარენკოს მართავდნენ. აქ შემოჰქონდათ სახვევი მასალა და მედიკამენტები.

— გეყოება, ივანე, კიდევ შევაწყო მორები, თუ საკმარისია? — ეკითხებოდა რაზმელი, ბრუსტვერს რომ აწყობდა, ქერაულვაშიან ვეება ახალგაზრდა კაცს, მას გახუნებული გიმნასტურა ეცვა და ხშირი ცეცხლისფერი ქორხორის ზემოთ კარტუზი ჰქონდა წამოცმული.

— რა გენანება, ერთი წყებაც დაალაგე, — ურჩია მან, მერე ერთ რაზმელს მიუბრუნდა და უბოროტოდ უთხრა:

— ეი, ჯოტო, სანგარს თხრი თუ ფლავს?

— შენთვის ვთხრი სამარეს! — გაწიწმატდა რაზმელი და გახელებულმა მიწას აძგერა წერაქვი.

— რას ბრაზობ, შე კაცო, შენთვის ვზრუნავ, უფრო ღრმად მოთხარე-მეთქი...

მომუშავე რაზმელებთან ტანდაბალი, ჯარისკაცი მოვიდა. ეტყობოდა უფროსი უნდა ყოფილიყო.

— აბა, ბიჭებო, დაუჩქარეთ! დაუჩქარეთ! დამიჯერეთ ლაზარენკო არ გვაცლის, არ დანაშუსდება, მოდი, ცოტაც დავყოვნდებო — ბიჭუნა და კაყუნა

ჯერ მზად არ არიან ჩემი საიქიოს გასამწესებლადო.

ტყის პირას, ნაძვის ტოტებიდან გაწყობილ კარავში წითელრაზმელთა სამეთაური პუნქტი იყო. აქ დროდადრო მეკავშირეები გაქაფულ ცხენებს მოაგვლებდნენ და ჩოხატაურში დამსჯელების თარეშის ამბები მოჰქონდათ. ერთ-ერთმა მეკავშირემ შეატყობინა, რომ მაზრის უფროსმა გადაწყვიტა ჩოხატაური დილის თერთმეტ საათზე დაეტოვებინა, ამრიგად ასეული ნასაკირალის უღელტეხილს ჯერ კიდევ დაღამებამდე მოადგებოდა. მაგრამ ლაზარენკო დაყოვნდა. გაჰიანურდა უბნის სამმართველოს დარჩენილი ქონების აღწერა, დალუქვა და საფოსტო განყოფილებაში სახაზინო ფულის მიღება, რომელსაც მომხდურებმა ხელი არ ახლეს. ამას ისიც დაემატა, რომ პეკარსკი დიდი დაგვიანებით გამოცხადდა თავისი ოჯახით და ბარგი-ბარხანით, რომელიც ფაქტონში ჩაგვლაგებინა... ყველაფერი ამის გამო რაზმი ჩოხატაურიდან ოთხი საათის დაგვიანებით დაიძრა.

ამ ცნობამ რაზმელები დააღონა. ოპერაციის ჩატარება დღის სინათლის პირობებში იყო გაანგარიშებული. ერთი იმედი ისღა იყო, რომ ღამე მთვარიანი იქნებოდა.

როცა რაზმელებმა საბრძოლო პოზიციის დაკავება დაიწყეს იქაურობას სიბნელე ეუფლებოდა. ახლა უკვე ბინდი სინათლეს ბარიდან მთებისკენ დევნიდა. აქ დაზვერვამ ამცნო, რომ ასეული ნაგომარს მიუახლოვდა და სადაცა ხეობაში გამოჩნდებოა, ვიცა ბრძანება: ცეცხლი არ გაიხსნას, ვიდრე მოწინააღმდეგის კოლონები ხევზე გადებულ ხიდზე არ აღმოჩნდებიან.

სამარისებური სიჩუმით დახვდა ასეულს ნაგომარი, მხოლოდ ჭრიჭინები არღვევდნენ მას. კუნაპეტ ღამეს როგორღაც აშუქებდა სადღაც შორს, აფთიაქარის სახლის სარკმელში მბუუტავი ეული სანთელი.

მაგრამ აი, მთვარემ, როგორც იქნა, ღრუბლებს თავი დააღწია, გაუბედავი,

მკრთალი შუქი მოჰფინა გზებზე და ტყის შავნადღამოსხმულ მთებზე ულს წინ რამდენიმე მზვერავი ცხენოსანი კახაკი და ორი ამხედრებული ჩაფარი მიუძღოდა. მას მოსდევდა კახაკთა პირველი ოცეული. მერე მოდიოდნენ მაზრის უფროსი ლაზარენკო, პოდესაული, ხორუნეი, რვა ჩაფარი, და — ბოლოს — ასეულის ძირითადი შემადგენლობა და საზიდები.

უღელტეხილს რომ მიუახლოვდნენ, მთვარე ისევ შავმა ღრუბლებმა შთანთქა. ხეობა სიბნელემ მოიცვა. რაზმმა მოძრაობა შეანელა. და აი, შედგეს თუ არა ფეხი მორებით გაწყობილ პატარა ხიდზე, თოფებისა და რევოლვერების ზატეხები გაისმა. რამდენიმე თვითნაკეთი ბომბიც ააფეთქეს. ცეცხლი უმთავრესად რაზმის ავანგარდსა და არაიზგარდს დაუშინდა. ერთი კახაკი მზვერავი და რამდენიმე პოლიციელი, ჩაფარი ტყვიებით განგმირულნი ცხენებიდან გადმოვარდნენ. მეალაღემაც ხელი გულზე იტაცა. წამიც და ერთმანეთში აირია სროლის ხმა, შეძახილები, სასიკვდილოდ დაჭრილთა კვნესა, ცხენების ჭიხვინი. ორი მხედარი დამფრთხალმა ცხენმა წინ გაიტაცა... რამდენიმე აიყალყა და... უფსკრულში გადაიჩხება.

მთვარე თითქოს დაინტერესდა, რა ხდება ამ ცოდვილ დედაშიწაზეო, რამდენიმე წამით ღრუბლებიდან გამოიხედა და ბრძოლის ველს მკრთალი შუქი მოჰფინა. მეწინავე ჯგუფი განადგურებული იყო. მეფაიტონე უსულოდ გადმოწოლილიყო კოფოზე. ეკიპაჟში შებმულ სამი ცხენიდან ერთიღა იყო ცოცხალი. ის ცდილობდა როგორმე დაეღწია თავი კაზმულობიდან და ფართხალებდა. ჩლიქებით უფატრავდა მუცელს დახოცილ ცხენებს, მათ სისხლში ამოსვრილს, ფეხები ამოყრილ ნაწლავებში ებლანდებოდა. საზარლად ხვიზინებდა და გაყოფებული აცეცებდა თვალებს. ხეობის ძირში ცხენი სასიკვდილო კრუნჩხვას მოეცვა და ქვეშ მოყოლილი მხედარს თელავდა. ორი ჩაფარი, რომლებიც წინ გაიჭრნენ, ხიდ-

გალმა გზის პირას დახოცილნი ეყარნენ. ლამის მნათობმა, თითქოს დაიკმაყოფილო ცნობის მოყვარეობა, ისევ ღრუბლებში შეეკრა.

— უკან დაიხიეთ მოკლე გადარბენებით! — გაისმა პოდესაულ პოპტიჩენკოს ბრძანება.

ასეულმა უმისამართო სროლით უკან დაიხია, მოკლულები და დაჭრილები თან წაიყვანეს. ერთი ვერსი რომ მოიტოვეს, მოწინააღმდეგის ტყვიებისათვის მიუწვდომელი, მყოფრო ადგილი მონახეს და სამხედრო საბჭო მოიწვიეს. რა თქმა უნდა, ამ პირობებში ალყის გარღვევაზე და ხიდის გადალახვაზე ფიქრიც არ შეიძლებოდა. ამიტომაც გადაწყვიტეს ლამის წყვილიად ამოფარებოდნენ, ფერლებით მდინარე ბახვისწყალთან ჩასულიყვნენ, გადაეკვეთათ ის და იქვე ნაპირზე ვეება ლოდებთან ჩაწოლილიყვნენ. მაგრამ ის-ის იყო ეს პოზიცია დაიკავეს და მიხედნენ, რომ შეცდომა დაუშვეს. მომხდურები-სათვის, რომლებიც მალლობზე განლაგებულიყვნენ ისინი დღის სინათლეზე შესანიშნავ სამიხნეებად გადაიქცეოდნენ. მათ გამანადგურებელი ცეცხლისაგან ვერავითარი ლოდები ვერ იხსნიდათ. ამიტომაც, გათენებამდე გადაწყვიტეს ხელახალი დისლოცირება და სხვა მიჯნების მოძებნა. წინასწარი დაზვერვით დარწმუნდნენ რა, რომ ერთერთ აქვე აზიდულ, ტყით დაფარულ მთაზე მოწინააღმდეგე არ იყო, რაში იქით გაემართა. ის-ის იყო ასეულის არიერგარდმა რის გაჭირვებით მწვერვალს მიაღწია, რომ ინათა. წითელრაზმელებმა კაზაკების გადაადგილებას რომ მოჰკრეს თვალი, ძლიერი ცეცხლი გახსნეს... მაგრამ ერთეული გასროლები თუ აღწევდა მიზანს. სროლა მთელ დღეს გაგრძელდა. ლამის წყვილიდში გაუჩინარებული რაზმელები უახლოვდებოდნენ ასეულის პოზიციებს და აქედან ცეცხლს უშენდნენ. წითელრაზმელებს კარგად ესმოდათ, რომ ალყაშემორტყმულნი სურსათისა და სამხედრო საჭურველის მიწოდების გარეშე

დიდხანს ვერ გაძლებდნენ. თქმა უნდა, მოწინააღმდეგეც იცოდა. — ამ ჯოჯოხეთს თავს ვერ დადავწევთ, თუ არა მაშეული რაზმიო. საჭიროა, სასწრაფოდ შევატყობინოთ ჩვენი გამოუვალი მდგომარეობა ოზურგეთში, ბატალიონის უფროსსო, — გადაწყვიტეს ლაზარენკომ და პოპტიჩენკომ.

ამ მიზნით ხუთი კაზაკი გამოყვეს, შესაბამისი ბარათები ჩააბარეს. დაარიგეს, მოწინააღმდეგის მიერ დაკავებულ ტყეს რომ მიუახლოვდებით, ორ ჯგუფად გაიყავით და სხვადასხვა გზებით ეცადეთ მიზანს მიაღწიოთო. დიდი სიფრთხილით მთის კალთებიდან რომ დაეშენენ, ორი გაემართა მდინარის გასწვრივ, სამმა კი გადალახა იგი და... იქვე ჩასაფრებულ რაზმელებს წააწყდა. სროლით დააპირეს უკანდახევა, მაგრამ ორი იქვე მოკლეს, მესამე კი ტყვედ ჩააბარდა. მოულოდნელად ამ შეტაკებამ ორი დანარჩენი კაზაკისათვის თვალისასახვევი მანევრის როლი შეასრულა: ისინი შეუმჩნეველად გაიჭრნენ ოზურგეთისაკენ სალ-სალამათებმა ბარათი ბატალიონის უფროსს ჩააბარეს.

მან დაუყოვნებლივ ალყაშემორტყმულთა დასახმარებლად კაზაკთა ერთი ასეული და მოლაშქრე რაზმი გაამწყესა. გზად დაშინების მიზნით სოფლებს არბევდნენ: სახლებს ცეცხლს უკიდებდნენ, ექვმიტანილებს განუკითხავად ხვრეტდნენ.

სოფელ დვაბზუს თავზე უეცრივ ავარდნილმა კვამლმა და სროლის ხმამ ნასაკირალზე განლაგებულ წითელრაზმელთა ყურადღება მიიპყრო. მალე დაზვერვამ აცნობა, რომ ლაზარენკოს რაზმს ძლიერი მაშველი ძალები მოსდის.

გადაწყდა სასწრაფოდ დაშვებულოყვნენ სუფის პირას, გადაელახათ მდინარე, აქ დაშლილიყვნენ და გაუჩინარებულოყვნენ.

ალყაშემორტყმულებმა ეს რომ შეამჩნიეს, მთიდან ძირს ჩამოსვლა იწყეს, მდინარეს მიაშურეს, სწრაფად გადავი-

დნენ და ნასაიკრალის უღელტეხილზე მაშველ რაზმს შეუერთდნენ.

ოზურგეთისკენ რომ იბრუნეს პირი, დაცარიელებულ დეაზუში კიდევ რამდენიმე ათეულ სახლს წაუყიდეს ცეცხლი...

ორი დღის შემდეგ ნასაიკრალში მომხდარი შეტაკების თაობაზე გუბერნატორის სახელზე ლაზარენკომ კარგა ვრცელი პატაკი დაწერა. დასასრულს მიუთითებდა: „...როგორც უტყუარ მონაცემებით ირკვევა, უღელტეხილზე თავდასხმაში მაზრის ყველა თემის მოსახლე მონაწილეობდა. როგორც ტყვეებმა აჩვენეს, სულ ოთხი ათასზე მეტი კაცი, განსაკუთრებით ბევრი იყვნენ დეაზუსა და ბახვის თემებიდან. ამასთან მოვახსენებთ, რომ მომხდარ ამბებთან დაკავშირებით სამაზრო პოლიციის საქმიანობა საბოლოოდ შეწყდა. ამჟამად მხოლოდ სამაზრო სამმართველო მუშაობს. პოლიციელთა და ჩაფართა ჩინები დემობილიზებულია და ნაწილობრივ სამუშაოზე არ ცხადდებიან“. პატაკში ლაზარენკო არაპირდაპირ მაგრამ მაინც ყველაფერ ამაში აღნაშთულება საგუბერნატოროს: „...მათი (ე. ი. პოლიციისა და ჩაფრების) დაკომპლექტების უფლება არა მაქვს, ვინაიდან ჩაფართა ოფიცერი საგუბერნატოროს ბრძანებით მივლინებულია ქუთაისს; ისევე როგორც სამაზრო სამმართველოს მდივანი“.

საგუბერნატოროში ამ პატაკის მიღების რამდენიმე დღის შემდეგ, სტაროსელსკიმ ლაზარენკო დაიბარა. მაზრის უფროსმა მას კვლავ დაწერილებით მოახსენა მომხდარი ამბები, თანაც ისე, რომ თავი, ასე ვთქვათ, მაღალნიკიერ სტრატეგად, მხედართმთავრად წარმოაჩინა.

სტაროსელსკი ყურადღებით უსმენდა მას, ერთხელაც არ შეაწყვეტინა. არც შეეკითხა რამე: ამან მთხრობელი ერთგვარად შეაცბუნა, ხოლო როცა, როგორც იქნა დაამთავრა, შუბლმეკრულმა გუბერნატორმა დინჯად დაიწყო:

— თქვენ სულ ცოტა ორი არსებითი

შეცდომა დაუშვით. პირველი და ყველაზე მთავარი ის გახლავთ, რომ არავის არ მოეთათბირეთ, რჩევა არ ჰქონხეთ და თვითნებურად არასაკმაო სამხედრო ძალებით გადაწყვიტეთ დამსჯელი ოპერაციის ჩატარება. და მოხდა ის, რომ თქვენი მოუფიქრებელი, უპასუხისმგებლო მოქმედების შედეგად იმპერიამ ამდენი ერთგული ჯარისკაცი დაკარგა, სახელმწიფო ხაზინამ კი რამდენიმე ათასი მანეთი იზარალა. მეორეც ის, რომ თქვენ მოახდინეთ ჩოხატურსა და დეაზუს თემის მაცხოვრებელთა გაუმართლებელი დარბევა. ეს, რა თქმა უნდა, ჩვენს საწინააღმდეგოდ შემობრუნდება, უფრო მეტად გააღვივებს ხალხის სიძულვილსა და მტრულ დამოკიდებულებას ხელისუფალთა მიმართ და ამით გაართულებს მდგომარეობას, რომელსაც ბოლო ეამს ერთგვარი გაუმჯობესება დაეტყო.

ლაზარენკოს გუბერნატორის მიერ მისი მოქმედების ასეთმა შეფასებამ თავგზა აუბნია. მან არ იცოდა, რა ეპასუხა.

— უკვე მერამდენედ მოქმედებთ საკუთარი მოსაზრებით და, როგორც წესი, ტახტის საზიანოდ...

— თქვენო აღმატებულებავ, თავს ნებას მივცემ არ დაგეთანხმო. დაიწყო შეცბუნებულმა და დაბოღმულმა ლაზარენკომ. — დეაზუში რაზმელებმა სროლა აუტეხეს ჩვენი ჯარის ნაწილებს. სწორედ ეს გახდა საბაზი საპასუხოს მოქმედებისათვის. თუმცა, როცა დავინახე, რომ სახლებს ცეცხლი წაუყიდეს, ოფიცერს შენიშვნა მივეცი. მაგრამ პოდესაულმა კასტელიანოვმა მითხრა, რომ ეს სამხედრო მოსაზრებით კეთდება...

— მეც, მოწყალეო ხელმწიფევ, გაძლევთ შენიშვნას, თანაც სრულიად პროზაული მოსაზრებით, — გამოკვეთილად თქვა გუბერნატორმა, — რომ შემდგომში თქვენ ასეთი მუშაობით ვერ გაუძლებთ მაზრას. სერიოზულად მოიფიქრეთ ეს საკითხი.

— თქვენ იმის თქმა გნებავთ, რომ

უნდა გადავდგე?! — აღლევებისაგან ხმა აუკანკალდა ლაზარენკოს. — მე, რომელიც მთელი რწმენითა და თავდადებით ვემსახურები ღმერთსა და ხელმწიფეს, უნდა გადავდგე, პოსტი დავტოვო?! ხომ მოგახსენეთ, რა ხანია პრაქტიკულად მარტო ვმუშაობ, სამაზრო აპარატის გარეშე, ვინაიდან მისი საქმიანობა მთლიანად პარალიზებულია. ადმინისტრაციული ორგანოების გაუქმების გამო, თავდაზნაურობა და ვაჭრები კონფლიქტის გადასაჭრელად მიმართავენ არა ოფიციალურ სსსამართლოს, არამედ სახალხო სამსჯავროს. სამაზრო პოლიცია ფაქტობრივად აღარ არსებობს...

— კმარა, კმარა, — ეს მე უკვე არაერთგზის მსმენია, — შეაწყვეტინა სიტყვა გუბერნატორმა. — ბედს ტყუილად ემდურით, თავად ირთულებით ცხოვრებას.

სტაროსელსკისთან ამ ბოლო საუბარმა წონასწორობიდან გამოიყვანა, და აზნია ლაზარენკო, იმ საღამოს სახლში დაბრუნებულს ძილი არ მიეკარა. უთენია წამოდგა, საშინლად სტიკოდა თავი. ტანში ამტვრევდა, სიცივემ აიტანა. თბილი პიჯამა გადაიცვა, პლედი წამოისხა და ბუხარს მიუჯდა. მაგრამ ვერა და ვერ გათბა. ისე ცახცახებდა, თითქოს ციება დაემართათ. „ჩანს, ნერვებმა მიიმტყუნა, — გადაწყვიტა მან, — თუმცა რა არის აქ გასაკვირი. კაცი კუდიდან შეიშლები, თავგზა აგებნევა, როცა არ იცი, როდის მოქმედებ სწორად და როდის არა. ანდა ამ არეულობაში რა უნდა გაუგო იმას, რაც ჩვენს გარშემო ხდება. მართლაც, იქნებ, უმჯობესია გადავდგე?!“

ამ სევდიან ფიქრებში იყო გართული ლაზარენკო, როცა ქალის საშინელმა კივილმა გამოარკვია. სავარძლიდან ელდანაკრავივით წამოხტა. ოთახში შუახნის თმაგაჩეჩილი, გამხდარი ქალი შემოვიარდა.

— კმარა! აღარ შემიძლია! აღარ შემიძლია!... ისტერიულად გაჰყოდა ის, ცრემლები ლაპალუპით ჩამოსდიოდა

და ხელებს თავში იცემდა. შემდეგ ულოდნელად, თითქოს სრულიად დაწყნარდო, ყოველი სიტყვის დამარცხლით თქვა: — ვასია, ბოლოს და ბოლოს, გადამარჩენ თუ არა ამ კომმარს?

— რა მოხდა, ჩემო ძვირფასო, რაშია საქმე?! რა დაგემართა?! — მივარდა მას ქმარი. — გემუდარები, ნასტია, დაწყნარდი, გონს მოდი.

ცოლი ნელ-ნელა დაეშვა იატაკზე, ხელები განზე გადაყარა და გაყინული მზერით ერთ წერტილს მიაშტერდა, აქაო და დამბლა დამეცაო.

ასეთი რამ ვასილ ალექსანდრეს ძისათვის უცხო არ იყო. ცოლის ისტერიკებსა და ამ ტრაგიკულ პოზებს მიჩვეული გახლდათ. იცოდა, რომ ცოლი ამას უბადლო აქტიორული ოსტატობით ასრულებდა, მაგრამ მაინც ყოველთვის შიში შეიპყრობდა ხოლმე, ვაითუ მართლაც დამბლა დამეცაო?! სცადა მისი წამოყენება, მაგრამ უშედეგოდ. ქალი მთლად მოეშვა და ადგილიდან არ იძროდა. ლაზარენკო დაიბნა, არ იცოდა, რა მოემოქმედა. ამ დროს წყლით სავე გრაფინს მოჰკრა თვალი, და მეუღლის თავზე დააპირქვევა. ისიც წამსვე „გონს მოეგო“.

— რა დაგემართა, ჩემო კარგო, გემუდარები, დამშვიდდი!

„გულშეღონებულმა“ წამოიწია, მემერე შიშმედ წამოდგა ისე, რომ ხმა არ ამოუღია. ქმარს სახეში მუჭაში დაკუჭული ჭალაღი ესროლა. ლაზარენკო სწრაფად დასწვდა მას, გაშალა. „უკანასკნელად გაფრთხილებთ, — ეწერა ბარათში, — რევოლუციური სსსამართლოს გადაწყვეტილებით სიკვდილი მოგესაჯა. დატოვე მაზრა!“

ცოლის წელზე ხელი მოხვია, ფრთხილად მიიყვანა სავარძელთან, დასვა და თვითონაც გვერდით მიუჯდა.

— ნუ გეშინია, ნასტენკა, ვერაფერსაც ვერ დაგვაკლებენ. მე ხომ დაცვა გავაძლიერე.

— გემუდარები, ახლაც მოვმორდეთ აქაურობას, თორემ ცოტაც და კუთხე შევიშლები!

მერე გადაწვა სავარძლის ზურგზე და კვლავ ისტერიული კივილი მორთო:

— აღარ შემიძლია! აღარ შემიძლია! — ცოტა ხანში ისევ დაწყნარდა და უკვე მიმტყნარებული ხმით განაგრძო:

— გაიგე, აქ მარტო ჩვენი სიკვდილ-სიცოცხლის საკითხი არ დგას. ბავშვები გვეცლება ხელიდან, ბავშვები! არ მინდა გული გატყინო, მაგრამ მეტის მოთმენა აღარ შემიძლია. წასულ კვირას ლიოზამ პირდაპირ გამომიცხადა, რომ სახლიდან წავალო, არა მსურს სისხლისსმემელის შვილი ვიყო. დიახ, დიახ, სწორედ ასე თქვა შენზე, საყუთარ მამაზე. გესმის, რა ხდება? გუშინ კი ჩვენმა ლიუბოჩკამ განაცხადა, რომ სურს მოწყალეების და გახდეს... თანაც იცი ვისთან? — აქ ანასტასია ივანეს ასულმა ხელები ტრაგიკულად აღმართა, შემდეგ თავზე შემოირტყა და იკივლა:

— წითელრაზმელებთან! წითელრაზმელებთან წავალო! — ამის თქმა იყო და ისევ „წაუვიდა გული“.

...სამაზრო სამშართველოში სახტად დარჩნენ, როცა იმ დღეს ლაზარენკომ სახლიდან დარეკა და მოადგილეს გენადი მიხეილის ძეს უბრძანა, ბინაზე რამდენიმე ჩაფარი გამოიგზავნეო. როცა ისინი გამოცხადდნენ, დაინახეს,

რომ მაზრის უფროსის სახლის კარებთან ორი ფაეტონი და რამდენიმე სახლიდარი იდგა. იქვე დენშჩიკები ტრიალებდნენ — ბარგს აწყობდნენ.

— მიეხმარეთ! — უბრძანა ლაზარენკომ ჩაფრებს.

მალე ოზურგეთში ხმა გავრცელდა: ლაზარენკომ ოჯახით აქაურობა მიატოვა და სადღაც გაემგზავრა.

— წარმოდგენა არა მაქვს, სად უნდა წასულიყო, თანაც ისე, რომ ჩემთვის არაფერი უთქვამს, — ჰკვირობდა გენადი მიხეილის ძე...

— გაიგეთ, ვლადიმერ ალექსანდროვიჩი! ლაზარენკო ინკოგნიტოდ სადღაც მიიმალა, — მეორე დღეს მოახსენებდა სტაროსელსკის ყიფშიძე.

— როგორ თუ ინკოგნიტოდ? — გუშინ შემატყობინეს, რომ სასწრაფოდ ბარგი-ბარხანა შეუტრავს და მთელი ოჯახით, ეშმაკმა უწყის, სად წასულა. ამბობენ რაზმელები სიკვდილით ემუქრებოდნენო.

— მე რომ მკითხოთ, სწორად მოქცეულა, — ჩაიქნია ხელი სტაროსელსკიმ.

მხოლოდ წლის მიწურულსლა მოვიდა მოწერილობა ლაზარენკოს ოზურგეთის მაზრის უფროსის თანამდებობიდან გადაყენების თაობაზე.

თავი 18

მანიფესტი — ფიქცია. მეფისნაცვალის არაფერს კპირდება. „ხალხი არა ხართ, ეს ხომ გავშვებია!“ ქუთაისის აჯანყება. მღვდელი კითხულობს... პროკლამაციას. ისევ სამხედრო მდგომარეობა.

წინა საღამოს თბილისში გავრცელებულმა ხმამ რაღაც მანიფესტისა თუ კონსტიტუციის შესახებ მოქალაქეები უთენია სახლებიდან გარეთ, ქუჩებში გამოიყვანა.

გოლოვინის პროსპექტი ხალხით გაიჭედა. ახალი ამბების მოლოდინში გა-

ზეთ „კავკაზისა“ და „ტიფლისკი ლისტოკის“ რედაქციებთან ტევა არ იყო. ქალაქი გაარჩლებულ სკას ჰგავდა. ჭგუფ-ჭგუფად შეკრებილნი, მოხუცი თუ ახალგაზრდა, გაცხოველებით ბასობდნენ ახალი ამბის შესახებ.

სირაჯხანაში, დუქნის შესასვლელთან

ორი მეგობარი ყარაჩოხელი ერთმანეთს გაცხოველებით ესაუბრებოდა. ორივეს გრძელსახელოიანი შავი ახალუხი ეცვა, წერილი ვერცხლის ქამრებით დამშვენებული და თავზე „წიწკა“ ქუდიები ეხურათ.

— მანელუმ, ერთი გამაგებინე, რომელ მანუფესტზე აყაყანდა ეს ღუნია ხალხი?

— ვაა, ნიუეელი არ იცი, მანუფესტი რა არი? რისი ხოშიცა გაქვს ის გააკეთო.

— კარგი, თუ ამა ხარ, მაიმუნობას თავი დაანებე, იმას გააკეთებ, რასაც გეტყვიან.

— ტუტუც, გაიგე, ეს აქამდე იყო ასე. ახლა თვითონ ხელმწიფემ ბრძანა, ჩემმა ხალხმა, თავში რაც მოგპირახება, ის გააკეთოსო და ისა სთქვასო, ჰსკაცარა?!

— ვა, რალაც არა მჭერა, შე ბემურაზო, ნაღდათ მამითურებ, ეგრე არ იქნება. აი, გუშინ ქუჩაში ხმამალა ვიკინებოდი: „ნიკოლოზა, შენი ასე და ასე-მეთქი, შე აფერისტო, ოხერო-მეთქი, ჩემ სისხლს რათა სვამ, ჭერ უნდა ჩამოგაბაროს კაცმა, მერე კი დაგვვრიტოს“. ამის თქმა და თანდარმმა მტაცა ხელი: „ნიკოლოზ მეორეს რატომ ლანძღავო?“ მე ვეუბნები: „რას ამბობ, კაცო! ჩემ მეგობარ ნიკოლოზას ვლანძღავ-მეთქი“. ის მეუბნება: „არა, შენ ნიკოლოზ მეორეს ლანძღავდი, აბა, წამო უჩიარტკამო“.

ამ დროს ჩემი მშაკაცი კაცო გამოვიდა და ეუბნება: „კაცო, თავი დაანებე მაგას, ვერა ხედავ, ცოტა აფრენსო“ „რის აფრენს, რა აფრენს, ყველაფერს სწორად ლაპარაკობსო“.

— ეს გუშინ იყო აგრე, ხვალ იმდენი შეუქურთხე შენ ნიკოლოზას, რამდენიც ხოში გექნება... შეხედე ერთი ამ ბემურაზებს, რასა შერებინა?...

გიმნაზიის მოსწავლეთა დიდ ჭგუფსა და კადეტებს ერთმანეთში შეხლა-შემოხლა აეტეხათ. ცოტაც და ხელჩართულ ბრძოლაზე გადავიდოდნენ, რომ ამ დროს ვილაცას არ დაეყვირა: „გა-

ზეთის გამყიდველები!“ ყველა-მასი წყქაძე ხელიდან ართმევდნენ პეტერბურგის სატელეგრაფო სააგენტოს საგანგებო გამოშვებას 1905 წლის 17 ოქტომბრის მანიფესტის ტექსტით. ცოტა ხნის შემდეგ „ტიფლისკი ლისტოკის“ სტამბაში გამრავლებული ეს მანიფესტი ათასობით გავრცელდა. უფრო გვიან კი იგი ქალაქის ყველა რუსულმა და ქართულმა გაზეთმა გამოაქვეყნა...

ხალხი მანიფესტს ეცნობოდა. კამათობდნენ. უმრავლესობა მისდამი უარყოფით დამოკიდებულებას გამოხატავდა.

ვილაც წვერმოშეებული გარშემო ჭგუფად შემოკრებილთ ხმამალა უკითხავდა „უმაღლესი მანიფესტის“ ტექსტს:

„შეწევნითა ღვთისათა ჩვენ, ნიკოლოზ მეორე, იმპერატორი და თვითმპყრობელი სრულიად რუსეთისა, მეფე პოლონეთისა, დიდი მთავარი ფინლანდიისა და სხვათა და სხვათა და სხვათა.

არეულობანი და მღელვარებანი ჩვენი იმპერიის დედაქალაქებში და მრავალ ადგილებში უდიდესი და მძიმე მწუხარებით ავსებენ ჩვენს გულს...“

— შეხე ამ გულქვას... მეხი კი დაგაყარე მაგ თავში, ეხლა აუჩუყდა გული... თქვა ეს და ქოქოლა მიიყარა „ამ გულქვას“ ვილაც ქალმა, ხელი ჩაიჭინა და იქაურობას გაეცალა.

„...რუსეთის სახელმწიფოს კეთილდღეობა განუყოფელია ხალხის კეთილდღეობისაგან — განაზობობდა კითხვას წვერისანი, — და ხალხის მწუხარება — მისი მწუხარებაა...“

— აფსუს, რომ ეხლა აქ არ ბრძანდება — გააწყვეტინა კითხვა ვილაც მოხუცებულმა კაცმა, — ერთი მაგრად ვეტყვოდი, რა მწუხარება და უბედურება მოაქვს მაგ შეჩვენებულს ხალხისათვის... მეტეხისა და გუბერსკის ციხეები ტუსაღებით რომ გაავსო...

— შენც ერთი ნახე, რა უკითხო ხალხს, დახიე, გადაადდე, ხელს ნუ იჭუჭყიანებ მაგ ნაჭღაბნით — უჩიარა წამკითხველს ვილაცამ.

— მართლაც... მართლაც. — დაეთანხმნენ აქეთ-იქიდან. იმანაც რამდენჯერმე გადაფხრიწა, „უმალღესი მანიფესტი“, ნახევები ზევით აყარა, ბევრმა ამის მნახველმა მას მიბაძა და მალე ქუჩები დაფხრქილი და დაფლეთილი მანიფესტის ფურცლებით დაიფარა...

შუადღისათვის კი უკვე სტიქიური მიტინგები წარმოიშვა. ერთ-ერთი ხალხმრავალი მიტინგი გოლოვინის პროსპექტისა და დავიდოვის ქუჩის შესაყარზე გაიმართა. ვილაცა, გავის ფანრის ბოძზე ასული, გაიძახოდა:

— ამხანაგებო! რევოლუციის ხომალდმა აფრები გაშალა და თავისუფლებისაკენ აიღო გეზი. ამ ხომალდს რუსეთის პროლეტარიატი მართავს. ეს გამოვიგნული კონსტიტუცია, რომელიც მეფემ დადმოგვიგდო, დროებითი დათმობაა, ფარისევლური დაპირებაა და მეტი არაფერი. თვითმპყრობელობა ცდილობს გზა გადაუღობოს სახალხო რევოლუციას. ამ მანიფესტით მას სურს შეაფერხოს ეს დიადი მოძრაობა. მაგრამ მისი ცდა ამოა, ჩვენ არ მოტყუვდებით! — აქ შეძახილები გაისმა:

— მართალია, სწორია! ვერ მოგვატყუებენ!

ორატორი ტროტუარზე ჩამოხტა, მისი ადგილი კი წამსვე ერთმა ჭარმაგმა კაცმა დაიკავა.

— როცა შეიარაღებული ხალხი პროლეტარიატს გაჰყვება და საყოველთაო აჯანყების დროსას აღმართავს, — დიწყო მან, — მხოლოდ მაშინ შეეძლებოთ ხიშტებზე დაყრდნობილი მეფის ხელისუფლების დამხობას. არა ცარიელი ფრაზები, ცარიელი დაპირებები, არაფრის მომცემი მანიფესტები, არამედ ნამდვილი შეიარაღება და შეიარაღებული აჯანყება — აი, საით უნდა მივსწრაფოდეთ დღეს მთელს რუსეთთან ერთად!

უკლეგ გაისმა შეძახილები:

— ვაშა! გაუმარჯოს ჩვენს სოლიდარობას! ძირს თვითმპყრობელობა! გაუმარჯოს შეიარაღებულ აჯანყებას!

— ჩვენი ძალა ერთობაშიაშია განსწმენილად ვართ, — მან გაფრთხილებულად დემონსტრაციაზე. ვაჩვენოთ ჩვენი სოლიდარობა და ერთიანობა! ძირს მანიფესტი!

— სწორია, ურა! ურა! ვაშა! — ყველაზე ხმაბალა ბობოქრობდა ვასიას ჯგუფი, წითელ დროშებს რომ აფრიალებდა. აქ ორატორმა ვასია შენიშნა და ხმაბალა მიმართა:

— ჭაბუკო, ეს შენ, და შენ ამხანაგებს ხედა წილად ჩვენი გამარჯვების დროშა ატაროთ.

— სწორია! მართალია! ახალგაზრდობა ჩვენთანაა!

ხალხის ნაკადი ზევივით დაიძრა გოლოვინის პროსპექტზე. როცა დემონსტრანტები სახაზინო თეატრს მიუახლოვდნენ, ვილაცამ შეამჩნია რეპეტიციაზე მიმავალი ოპერის ორკესტრანტები და გადასძახა:

— ამხანაგებო, შემოგვიერთდით, გამოგვეცევი!

მუსიკოსები ერთხანს შეყოყმანდნენ, ერთმანეთში მოითათობირეს და იქვე ხალხს შეუერთდნენ. მალე პროსპექტზე მათი შესრულებით ამალეღვებელი რევოლუციური მელოდია აუღერდა. დემონსტრანტების ათასხმოვანი ქორო მწყობრად აჰყვა მას. აი ზღვა ხალხი ერთ-ერთ მეზონინიან სახლის აივანს გაუსწორდა. სადაც რამდენიმე კაცს მოეყარა თავი. ერთმა მათგანმა ქუდი მოიხადა, ხელი ასწია და ეესტით ხალხს უურაღლებისაკენ მოუწოდა. შემდეგ აივნის მოაჯირს დაეყრდნო და ყალბი პათოსით მიმართა დემონსტრანტებს:

— ბატონებო! ჩვენმა ხელმწიფემ გვიძღვნა ჭეშმარიტად დიადი თავისუფლების ქარტია...

პასუხად გაისმა:

— დაიკარგე მანდღან! ხმა ჩაიწყვიტე! ეს თქვენ, მოლაყბეები, გაგახარათ მეფემ.

აივნისაკენ სეტყვასავით წამოვიდა ვაშლები, კიტრები, ქებები. გაისმა ჩამტვრეული მიწების ხმა. ორატორს და მის თანმხლებ პირებს ისღა დარჩათ მეფემ.

სასწრაფოდ დაეტოვებინათ „ტრიბუნა“.

მაღალი, ხმელ-ხმელი ქვერა კაცი, როგორც ჩანს, მუშა, ამხანაგების მხრებზე შედგა, დროის ტარს დაეყრდნო და დემონსტრანტებს მიმართა:

— ამხანაგებო! რევოლუცია ბობოქრობს. რუსეთის რევოლუციური ხალხი აიყალყა და ემზადება მეფის მთავრობის საიერიშოდ. ყველგან ფრიადებენ წითელი დროშები, აღიმართება ბარაკადები, ხალხი იარაღდება, უტევეს სახელმწიფო მანქანას.

ველავ გაისმის მამაცთა მოწოდება, მამ წინ, ამხანაგებო, ცარიზმის დასამხობად!

ხალხი მოწონების ნიშნად აგუგუნდა. მუშების ჯგუფმა ვიღაც მოღვექსეს სტრიქონების სკანდირება იწყო:

ძმობა-ერთობა-სიყვარულს
დავუღვათ ტახტი ქებული.
ძირს ჩამოვაგდოთ ნიკოლოზ,
ჩვენ ზურგზე გასუქებული...

— დაე, იქუხოს უფრო ძლიერად!
— განაგრძობდა ორატორი. — ახლოა გამარჯვების ეამი! გაუმარჯოს შეიარაღებულ აჯანყებას!

ეს სიტყვები აღფრთოვანებულ შეძახილებში ჩაიძირა. ვიღაცამ ფაეტონით წითელი დროშები მოიტანა და სასწრაფოდ ხალხს დაუბრია.

ერთხანს შეყოვნებულმა კოლონამ თავისი მრისხანე მსვლელობა განაგრძო. როგორც მდინარე, სულ ახალი და ახალი შენაკადებით რომ ივსება და წყალუბვი ხდება, ისე ხალხის ნიაღვარი წინსვლის კვალობაზე ახალ ძალებს იკრებდა. დემონსტრანტებმა მიხედის ქუჩა გაიარეს და ნაძალადევისაკენ გასწიეს. ვაჟთა მეორე გიმნაზიის რომ მიუახლოვდნენ, ქაშიამ ერთ ჭაბუკს უხმო და რალაცა უთხრა. იმან ნიშანი მისცა და გიმნაზიის სადარბაზოდან მწყობრი ნაბიჯით მოსწავლეთა ორკესტრი გამოვიდა. ბიჭებმა მარსელიეზა დაუკრეს. ხალხი ხმამაღლა, ალტაცებული შეძახილებით მიესალმა ნორჩ მუსიკოსებს.

ნაძალადევის ქუჩები ოცდაათიწიანი ანამ კოლონამ შეავსო. აქ მათი რკინიგზის სახელოსნოების მუშები შეუერთდნენ. გრანდიოზული მიტინგი დაიწყო. რკინიგზელთა სასაბჭოს მოაჯირი გამოყენებულ იქნა როგორც იმპროვიზებული ტრიბუნა. მასზე ავიდნენ რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტის წევრები: იოსებ სტალინი, მიხა ცხაკაია, ფილიპე მახარაძე და სხვები.

ხალხს სტალინიმა შთამაგონებელი სიტყვით მიმართა, რომელშიც მხილებული იყო მეფის მანიფესტის ფარისევლური არსი.

თავშეყრილი ხალხის შუაში მოქცეული ვასია მხურვალედ უკრავდა ტაშს და გაჟყვიროდა: „ურა!“ „ვაშა!“

— ცოტა ხმადაბლა, შვილო, დამშვიდდი, — კეთილი ღიმილით აშოშმინებდა ალტყინებულ ვასიას მის გვერდით მდგარი ვაბო.

ერთი განწყობილებით გამსჭვალული მიტინგის მონაწილენი ერთსულოვანნი იყვნენ. აი ხელების მთელი ტყე აღიმართა: ეს მათ ერთხმად მიიღეს წინადადება ხალხის მოთხოვნებით მეფისნაცვალთან დეპუტაცია გაიგზავნოს.

* * *

...ვორონცოვ-დაშკოვი, დაბოლმილი, უკმაყოფილო, მრავალრიცხოვანი ამალის თანზლებით კაბინეტში შევიდა, სადაც მას მუშათა დეპუტაცია ელოდებოდა.

— მე გავეცანი თქვენს პეტციას! — მშრალად ამოღერდა გრაფმა, — პეტის-მეტი მოგინდომებიათ, მეტის-მეტი. მაგრამ ერთი რამ მაინც გადაწყვიტეთ: განკარგულება გავეცი, რომ გაათავისუფლონ პოლიტიკური დანაშაულისათვის ახლადდაპატიმრებული პირები. ხოლო იმით ბედს, რომელთა საქმეები გამოძიების პროცესშია, სასამართლო განსჯის. რაც შეეხება სამხედრო მდგომარეობას, იგი გაუქმდება მხოლოდ მას შემდეგ, როცა ცხოვრება ნორმალურ კალაპოტში შევა, რასაც, სხვათაშორის, ამჟამად თქვენ უშლით ხელს დემონსტ-

რაციებით, ხელისუფალთა ორგანოები-სადმი ურჩობით, ისევე, როგორც საოკინიგზო მოძრაობის აღდგენას და ვაჭრობის განახლებას.

ეს თქვა და გრაფი სწრაფად წამოდგა და ისე, რომ არავეის დამშვიდობებია, კაბინეტიდან გავიდა.

მოკლე მოთათბირების შემდეგ სასახლე დატოვეს დეპუტაციის წევრებმა ცქუჩაში გამოსვლისას ისინი პოლიციელთა ალყაში მოხვდნენ. ძნელი სათქმელია, რას მოიმოქმედებდნენ „წესრიგის დამცველები“, თუ არა უამრავი ხალხი, დელეგატებს რომ დახვდა.

ხალხი:

— რაო, რა ვითხრეს?...

— რა გადაწყვეტეს?...

— მიიღეს მოთხოვნები?...

— მოიცადეთ, ამხანაგებო, გვაცადეთ, სული მოგვათქმევინეთ, — უახსუხებდნენ დელეგაციის წევრები, — აი, ვანო ყველაფერს გაიამბობთ.

— აბა, ვანო, დაიწყე! — აგუგუნდა ხალხი.

ისიც ვილაციის მიერ რესტორნიდან გამოტანილ მაგიდაზე დადგა და დაიწყო:

— რა უნდა ვითხრათ, ამხანაგებო, ისევე და ისევე ხალხის მოტყუებას მიმართავენ.

ვანო წამით შეჩერდა, მისი მსმენელები კი არ ცხრებოდნენ:

— მალე, განაგრძე, თქვი, შე კაი კაცო!

— ასე, რომ ამხანაგებო, ჩვენი საშველი არ ჩანს. ამთვან, — ვანომ აქ სასახლისკენ ხელი გაიშვირა, — კარგს ნურაფერს მოვლით. ყველაფერი — კონსტიტუცია და მანიფესტი ყალბია, მე და ჩემმა ლმერთმა, სწორადაა ნათქვამი:

„დაფრთხა მეფე-პატრონი, მანიფესტი გამოსცა, მკედრებსო — თავისუფლება, ცოცხლებს ციხით გამოცდა“.

— მხოლოდ ჩვენი თავის იმედო უნდა ვიჭონითო. მხოლოდ შეუდრეკლო-პითა და რევოლუციური ბრძოლით

დავეუფლოთ იმას, რასაც ესტენი წყნობით არ იძლევიან.

— მხოლოდ ბრძოლა, მხოლოდ შეიარაღებული აჯანყება! — გამოეხმაურა აღშფოთებული და განრისხებული ხალხი.

...აი, უკვე რამდენი დღეა თბილისში არა და არ ცხრებოდა საპროტესტო დემონსტრაციები. ხედავდა რა ყველაფერ ამას, კავკასიის სამხედრო ოლქის შტაბის უფროსი გენერალი გრიაზნოვი, „სამხედრო მდგომარეობის სული და გული“, როგორც ის ხალხმა მონათლა, სიბრაზისა და ბოლშევიკიდან ადგილს ვერ პოულობდა, წარამარა გამოდიოდა შტაბის შენობიდან, ჯდებოდა პერსონალურ ეკიპაჟში და ქალაქში დამრწოდა. აქ — განლაგებულ სამხედრო ნაწილებში გაჩერდებოდა, იქ — საღდაც სახლში ოფიცერთა ჯგუფს მოუყრიდა თავს და რაღაც საიდუმლო მოლაპარაკებას მართავდა. ბოლოს და ბოლოს მისი მეცადინეობის წყალობით მშრომელთა გამოსვლების საპირისპიროდ შევრახმელთა მანიფესტაცია მოეწყო. აი, დაიძრა გოლოვინის პროსპექტზე მათი პროცესია. ხელში ხატები და ნორუგეები ეჭირათ, მღეროდნენ: „ღმერთო, ჰვარვიდე მეფეს!“ წინ ცხენოსანი დრაგუნები მიუძლოდათ, აქეთიქიდან კაზაკები მიჰყვებოდნენ, ბოლოს ქვეითი იუნკრები და კადეტები მიაბიჭებდნენ. ვაჟთა პირველი გიმნაზიის, გაზეთ „ტიფლისსკი ლისტოკის“ რედაქციისა და სხვა შენობების წინ ჯარისკაცები ჩაირიგებულოყვნენ.

უკვე გიმნაზიასთან რაღაც ჩოჩქოლი ატყდა. გაისმა ყვირილი, შეძახილები. თურმე გიმნაზიელთა ჯგუფი არ დამორჩილა შევრახმელთა მოთხოვნას ჰიმნის მღერას აჰყევით და ქუდები მოიხადეთო. ჯერ სიტყვიერი შეხლა-შემოხლა გაიმართა, მერე მუშტი-კრივი ატყდა. ჰაბუკებმა თავის შესაფარებლად გიმნაზიის შენობას მიაშურეს. შევრახმელთა ბრძოდან ვილაციამ მათ ტყვია ესროლა. ეს სისხლიანი ანგარიშსწორების ნიშანი გამოდგა...

გაცოფებულმა შავრაზმელებმა აუტხეს სროლა არა მარტო ბავშვებს, არამედ ვაშბირზე მოსეირნე და მოზეიმე მოქალაქეებსაც, რომლებმაც ირწმუნეს მეფის მანიფესტის მიერ ბოძებული ილუზორული თავისუფლება.

შავრაზმელები გიმნაზიის შენობაში შეიჭრნენ. ხელი არ აკანკალეს იგი დაუშინეს ცეცხლი ბავშვებს, ჩეკმებით თელავდნენ, მათ იატაკზე გართბმულთ, შეწყალებას რომ ითხოვდნენ. მოძალადეების ზიშტები ფატრავდნენ არა მარტო ნორჩ სხეულებს, — პროკლამაციების ძებნაში საძილე ოთახებში ბალიშები დაფლითეს; დაარბიეს ლაზარეთი და ეკლესია. გიმნაზიის დირექტორი გამყრელიძე და მასწავლებელ-აღმზრდელეები, ამოღდნენ ემულდარებოდნენ მოძალადეებს, ბავშვები შეიბრალებოდნენ.

— რას სჩადიხართ?!...

— რას სჩადიხართ?!... გემუდარებით, შეჩერდით! ადამიანები არა ხართ? ესენი ხომ ბავშვები არიან!

ეფარებოდნენ ბავშვებს, ხელით იგერიებდნენ ზიშტებს, მაგრამ გამხეცებულ ეკზევტორებს რა დაამოშმინებდა? სამი მასწავლებელი იქვე მოკლეს. გამყრელიძე გიმნაზიის შენობაში ცხოვრობდა და თავის ბინის კარებში ჩადგა, მომხედურთ გზა გადაუღობა. აქ უმცროსკლასელები ჰყავდა დამალული.

— პატარები მაინც შეიბრალებთ!

ვილაცამ კონდახი ჩასცხო თავში. იგი შეტორტმანდა და ძირს დაენარცხა. მასთან ვასილი მიიჭრა და გონდაკარგული განზე გაათრია. გამყრელიძე ნელ-ნელა გონს მოეგო, მძიმედ, ძლივ-ძლივობით წამოდგა, ვასილის თავზე გადაუსვა ხელი, მერე მტკერი ჩამოიბერტყა, მუნდირის კალთები გაისწორა და ფილტვის პატარა ჯიბეში პენსნეს დაუწყო ძებნა, თუმცა ის წვრილი ძეწკვით ყელზე ეკიდა. თმაზე ხელი გადაისვა, გაოცებით დაიხედა სისხლით მოსვრილ თითებზე, დაბნეულმა ირგვლივ მიმოიხედა, იქვე იატაკზე დაგდებული რვა წლის გიმნაზიელი ცირკულნიკოვის გვამზე როცა შეაჩერა მხერა,

თითქოს ეხლავა ალიქვა, ^{მარცხ} ^{მონღა} უტბად არაადამიანური ხმით შეეკვირა. — მხეცებო!...

სახე მიტკალივით გაუფიქრდა, შებარბადა და მოცელილოვით დაეცა. ვასილი კვლავ მიიჭრა მასთან, ჩაიმუხლა, აღმზრდელის გაისხლიანებული თავი ხელებში ჩაიგო, გულზე მიიხუტა და დუმლით სხვიმიჭრალ თვალეში ჩააშტერდა. ამ დროს ჭაბუკის გულში ახალი ძალით ავიზგიზდა მტარვალეებისადმი სიძულვილისა და შურისძიების ჩაუქრობელი ალი.

შავრაზმელებმა იმ დღეს ორი ვაზეთის რედაქცია და რამდენიმე საზოგადოებრივი შენობაც დაარბიეს. სასტიკად გაუსწორდნენ აქ მყოფ მოქალაქეებს. შეიჭრნენ რესტორან „პურ-ღვინოში“, მოკლეს იურიევის უნივერსიტეტის სტუდენტი ვაჩნაძე და მისი ცოლი, ჭალს ბეჭდიანი თითები მოკვეთეს.

ხოცვა-ჟლეტა ქალაქის სხვადასხვა უბნებშიც მოხდა. შავრაზმელთა თავაწყვეტილ თარეშს მრავალი ადამიანი სიცოცხლე შეეწირა. ამ დარბევამ არა მარტო თბილისი, მთელი ქვეყანა შეაძრწუნა და რევოლუციურ მოძრაობას ახალი ბიძგი მისცა, საპროტესტოდ განაწყო ისინიც კი, ვინც აქამდე ზომიერებას და მომთმენლობას ქადაგებდა.

• • •

უჩვეულოდ თბილი ოქტომბერი იდგა ქუთაისში. ხეები არ ჩქარობდნენ ხასხასა მორთულობის გამოცვლას. შემოდგომას მხოლოდ ოდნავ შეეფერადებინა ფოთლები თავისი ტრელ-ტრელი საღებავებით. ფოთლებს „ძარღვებში“ ჯერ კიდევ ჭარბად მიმოედინებოდათ მაცოცლებელი წვენები და ტოტებს მკვეთრად შეზრდოდნენ. ხამუშ-ხამუშ მონაბერი ძლიერი ქარაშოტი თუ შეძლებდა მათ მოწყვეტას და ფერად-ფერად ფირფიტებად აფენდა ქვაფენილს.

იმ საღამოს სტაროსელსკის ტელეგრაფიდან დაურეკეს და აცნობეს, რომ მეტად მნიშვნელოვანი დოკუმენტის

გადმოცემას აპირებენო, და აი, სულ მალე ვლადიმერ ალექსანდრეს ძის მადგინაზე მეფის მანიფესტის დეკრეტის ტექსტი აღმოჩნდა. ამ დროს მასთან თავი მოეყარათ ვიცე-გუბერნატორს ყიფშიძესა და კომიტეტის წევრებს: ფილიპეს, მიხეილს, სილიბისტროს და სხვებს.

— ვერაფერს იტყვი, დოკუმენტი კვიანურად და ეშმაკურადაა შედგენილი და მით უფრო საშიში და ვერაგულია, — დაიწყო ფილიპემ, — თუმცა, რომ იტყვიან, შეიარაღებული თვალთაყ კარგად ჩანს მისი მიზანი — დრო მოიგონ, ყველა საშუალებით შეაფერხონ სახალხო მოძრაობა, გზაკვალი აღუბნიონ ხალხს, ზევიდან რეფორმისა და საზოგადოების რეკონსტრუქციის მცდარ გზაზე დააყენონ. რაღა თქმა უნდა, ჩვენ ყოველი ღონე უნდა ვიხმართ, ყველა საშუალებით ხელი უნდა შევეშალოთ ხალხის გაბრიყვების ამ ცდას.

— რანაირად? — დანტერესდა სტაროსელსკი, — მე ხომ ნაბრძანები მაქვს სასწრაფოდ პროპაგანდა გავუწიო ამ მანიფესტს, წარმოვაჩინო ეს დოკუმენტი როგორც მეფის მიერ ნაბრძანები ჰეშმარიტი თავისუფლება.

— მე ვხედავ, რომ ტელეგრაფით ეადმოცემულ ტექსტში არსებითი დამახინჯებანი და შეცდომებია. — თითქოს თავისთვის მრავალმნიშვნელოვნად ჩაილაპარაკა სილიბისტრომ. — რა მოხდება, თუ ჩვენ მათ „ოდნავ“ გავალრმავებთ ისე, რომ დოკუმენტმა პირუქუ, ჩვენს სასარგებლოდ იმუშაოს?

სულ მალე მანიფესტი შესაბამისი „კორექტივებით“ გადაეცა მაზრის უფროსებს გუბერნიის მთელი მოსახლეობისათვის გასაცნობად.

ორი დღის შემდეგ ადგილობრივმა პრესამ გამოაქვეყნა მანიფესტი. გამოირკვა, რომ დასტამბულ ტექსტსა და ადრე გავრცელებულ ტელეგრაფულს შორის არსებითი შინაარსობრივი განსხვავებაა. ამან სახალხო აღშფოთების ახალი გრიგალი გამოიწვია.

მეორე დღეა, რაც ქალაქი ამბობენ ბული ხალხის ხელშია. მისახლეობა ქუჩებში გამოვიდა. იმართება მიტინგები. ორატორები წარმოთქვამენ მგზნებარე სიტყვებს.

თეატრის შენობასთან უამრავ ხალხს მოუყრია თავი. ლავგარდანი ტრიბუნად გამოუყენებიათ. აქედან ერთი შუახნის მამაკაცი მიმართავს შეკრებილთ:

— თვალთმაქცობა, თალიითობა, ჩვენს „ნაქუთხ“ იმპერიაში პოლიტიკის კატეგორიამდგა აყვანილი. გუშინ მანიფესტით გამოცხადებული თავისუფლება დღეს უკვე ფიქციალ იქცა. იოტისოდენ ნდობას არ იმსახურებს ბოროტმოქმედთა და სისხლისმღვრელთა ხროვა! სანამ ძალაუფლება მეფის მთავრობის ხელთაა — სიმართლეს ვერ ვეღირებთ! ძირს ხალხის მოღალატეები! მხოლოდ შეიარაღებული აჯანყება! შევიარაღდეთ, მეგობრებო!

— შევიარაღდეთ! შევიარაღდეთ! — გრგვინავდა ხალხი.

ქალაქის ცენტრში, ბაღში ხალხმრავლობა იყო. აქ უფროსებთან ერთად ახალგაზრდობასაც მოეყარა თავი — გიმნაზისტებს, წმინდა ნინოს სასწავლებლის კურსისტებს. აი, ბალის ძელსკამზე დადგა მალალი, მოხდენილი ჭაბუკი, ხელი შემართა, ყურადღება ითხოვა.

— ჩუმად, ამხანაგებო, ჩუმად, — გაისმა შეძახილები. — ვალოდიას მოვეუსმინოთ.

— ვინ არის ეგ ვალოდია? — ჰკითხა ერთმა გოგონამ მეგობარს.

— ეს ვალოდია მთაკოვსკია, ბაღდათელი მეტყვევის შვილი, დამწყები პოეტი გახლავთ, — ირონიით მიუგო მან.

ორატორი დინჯად, დამარწმუნებლად ლაპარაკობდა. მან მოიგონა ის სისხლიანი ამბები, რაც თბილისში, პირველ გიმნაზიაში შავრაზმელების, იუნკრებისა და კაზაკების თარეშის შედეგად დატრიალდა. მას ყურადღებით უსმენდნენ. ჭაბუკის სიტყვები სულ უფრო მქუხარედ, მგზნებარედ და ტემპერამენტულად გაისმოდა. აღმაფრენას და შთაგო-

ნებას გაეცისკროვნა ლამაზი სახე. ორატორმა ახლა იროდიონ ევდომვილის პოპულარული რევოლუციური ლექსით ქართულად მიმართა აუდიტორიას:

მეგობრებო, წინ, წინ გასწით,
ნუ შედრკება თქვენი გული,
დე, მკერდს სისხლის დაღი აჩნდეს
და შებლს ოფლის ნაქადული!
წინ, წინ, მედგრად შევებრძოლოთ
ჩარხუელმართ ამ ჩვენს დროსა,
ჭირის ოფლში გავატაროთ
სიმართლის და ძმობის დროსა!

ხალხიც ექოსავით გამოეხმაურა:

დეე, ჩვენ ტოლთ, უგვანო შეილთ,
კერპის წინა ხარონ ქედი,
ფუ, იმ ვაჟაკს, ვინც ინატროს
მათი სვე და მათი ბედი!
დე, ისევ მათ ავარჯიშონ
საქვემძროზო მკლავი, ენა,
სხვა აცნესონ და ამ ცენესით
თეთ იპოვონ შვება-ლენენა...

— ძირს სისხლისმსმელები! ძირს
თვითმპყრობელობა! — გაისმა შეძახი-
ლები.

ამ დროს ქალაქს მოედო საკათედრო
ტაძრის მთავარი ზარის მქუხარე, მომ-
წოდებელი გუგუნე. ხალხიც ჯერ მკი-
რე ჯგუფებად, მერე კი ერთიან მძლავრ
ნაკადედ იქით გაემართა შეძახილებით:

— არავითარი პანაშვიდი იმპერატორ
ალექსანდრე მესამის, ამ მკვლელისა და
ჯალათის საპატივცემულოდ!...

აი, მეთაურმა კოლონამ ტაძარს მია-
ღწია. მან აქ გზა გადაუღობა შიგ შეს-
ვლის მსურველთ. წირვა დაწყებული
იყო. საეკლესიო გუნდი „მამაო ჩვენოს“
გალობდა. მღვდელი ლოცულობდა:

— უფალო, შეიწყალე მონა შენი...

მოულოდნელად სამ კაცს ხალხმა გზა
უტია. წინ მედროშე მიუძღონდა, ისინი
ტაძარში შევიდნენ. მლოცველთა თავზე
წითელი დროშა აფრიალდა, მასზე თავ-
დაყირა გამოხატული ნიკოლოზ მეორე
იყო. გაისმა ჩურჩული, ერთი მითქმა-
მოთქმა, ატყდა სიცილ-ხითხითი. გან-
რისხებულმა მღვდელმა, ისე რომ წი-

რვა არ შეუწყვეტია, აღმაცურხალ ვახე-
და ახლად მოსულებს და შეცრად გა-
ფითრდა, ხმა აუკანკალდა, — მედრო-
შეში თავისი შვილი იცნო. გონს მოს-
ვლა ვერ მოასწრო, რომ ერთ-ერთმა
შემოსულთაგანმა რალაც ქალადლი ჩას-
ჩარა ხელში და უთხრა: „წაიკითხე!“
მღვდელმა უხზოდ ჩაიკითხა ნაწერი და
გაოგნებული მიაჩერდა ქალადლის გა-
დამცემს.

— ხმამალა წაიკითხე-მეთქი! — ახ-
ლა უკვე უბრძანა მღვდელს.

ის კი გაოგნებული და დაბნეული
დუმდა, მლოცველთა შორის ჩოჩქოლი
ატყდა.

— შენ გეუბნები, წაიკითხე-მეთქი!
მღვდელმა ერთი განწირულად ჩაიქ-
ნია ხელი, ფუი ეშმაკსო, და ხმამალა,
თითქოს ქადაგებდა, საზეიმოდ მრევლს
მიმართა:

— თვითმპყრობელობასთან გადამწყ-
ვეტი ბრძოლა დაიწყო! რუსეთის რე-
ვოლუციური პროლეტარიატი სოციალ-
დემოკრატიის წითელი დროშით უტყვეს
საზიზღარი, სისხლიანი ცარიზმის უკა-
ნასკნელ პოზიციებს, — გაისმოდა ტაძ-
რის მაღალ თაღებზე რსდმპ იმერეთ-
სამეგრელოს კომიტეტის პროკლამაციის
სიტყვები, — აჯანყება პროლეტარია-
ტის წინამძღოლობით მიმდინარეობს...
მუშათა რკინის არმია საბრძოლო ას-
პარეზზე მჭიდროდ შეკავშირებული და
გამარჯვებაში მტკიცედ დარწმუნებუ-
ლი გამოვიდა...

— დიახ, ახლოვდება, ახლოვდება
გამარჯვების ეამი! ძირს თვითმპყრო-
ბელობა! გაუმარჯოს შეიარაღებულ
აჯანყებას! — შესძახა მღვდელმა და
გამალებით პირჯვარის წერა დაიწყო.
ტაძარში, არნახული ხმაური ატყდა.

— მეორედ მოსვლა, თქვენი კე-
თილშობილება, და ეგაა, — აღ-
შფოთებულმა შესჩივლა ვეება ტა-
ნის, თანდარმმა თავის ამხანაგს. — ამა-
ზე დიდი უბედურება რა უნდა იყოს
ყველაფერ ამას უყურო და უსმინო, ეს
როგორ მასხარად იგდებენ ჩვენს იმპე-
რატორს და არაფერი იღონო?! ეს პი-

რდაპირ საშინელება! ამ თავზეხელა-
ლებულებს ცხვირ-პირი უნდა დაამტე-
რიო, გამოშვიგო...

— არ შეიძლებაო... რას იზამ, ბრძა-
ნება ბრძანებაა, — უბასუბა გაფითრე-
ბულმა ამხანაგმა, და სიმწრის ოფლი
შებლიდან თითით მოიწურა...

ამ დროს ტაძრის ეზოდან აღფრთო-
ვანებული შემახილები გაისმა:

— გუმბარაბური, გუმბარაბური მო-
ვიდა!

მლოცველებმა გასასვლელს მიაშუ-
რეს. ფაეტონიდან ვლადიმერ ალექსან-
დრეს ძე გადმოვიდა და წითელპერან-
გიანი რაზმელების თანხლებით შეკრე-
ზილ საზოგადოებისაკენ გაეშურა. ხალ-
ხმა ცოცხალი კორიდორი შექმნა, გზა
მისცა გუმბარაბურს. ქარზე მოფრია-
ლვ წითელ დროშას რომ ჩაუარა, შე-
ჩერდა და სამხედრო სალაში მისცა. მე-
რე ხალხს მიუბრუნდა და ხელის აწე-
ვით მიესალმა. გაისმა ტაში, შემახი-
ლები:

— ვაშაა! ჩვენს ლაღს გაუმარჯოს!

— ამხანაგ გუმბარაბურს გაუმარ-
ჯოს!

— თქვენო კეთილშობილებავ, — მი-
უბრუნდა უნტერ-ოფიცერი ფადეევი
ქანდარმთა ვახმისტრ სობაჩინს — შე-
ხედეთ, ისევ ეს მღვდლის შვილი წი-
თელი დროში.

— დააპატიმრეთ! — აღრიალდა მო-
თმინებებიდან გამოსული ვახმისტრი. ქან-
დარმები გაემართნენ ბრძანების შესა-
სრულებლად. ხალხი ამოძრავდა, ახმა-
ურდა, მერე უცებ დაძაბული მზერა
სტაროსელსკის მიაპყრო.

— მოწყალეო ხელმწიფევ, ვინ მოგ-
ცათ უფლება ისე იმოქმედოთ, — გა-
ისმა მისი მტკიცე ხმა, — თითქოსდა
აქ უფროსი არავინ იყოს — შემდეგ
კი ხმას აუწია:

— არ გაბედოთ, ხელი არ ახლოთ!
ოფიცერს სახეზე სისხლი მოაწვა.
მიუხედავად იმისა, რომ გრილოდა, მას
ოფლი წურწურით ჩამოსდიოდა. ქული
მოიხადა და ცხვირსახოკით მელოტი
თავი აკანკალებული ხელით მოიწმინდა.

— თქვენო აღმატებულება, თქვენი
ნი ნებართვით ყველაფერს ვახსენებ
ვახსენებ სადაც ჯერ არს. — რაღაც
დაუფარავი სიძულვილითა და აღშფო-
თებით თქვა სობაჩინმა და ხმადაბლა
ქანდარმს უბრძანა:

— ეხსენ!

შემდეგ შებრუნდა და ის იყო წასვლა
დააპირა, რომ სტაროსელსკიმ დააბრუნა.

— იცოდეთ! თვითნებობისათვის
თქვენი დასჯის შესახებ დაეცვამ სა-
კითხს, — წყნარად, მაგრამ მტკიცედ
შენიშნა ვლადიმერ ალექსანდრეს ძემ.
— ახლა კი შეგიძლიათ მიბრძანდეთ!
— მერე შეკრებილთ მიუბრუნდა:

— ბატონებო! მსურს მოგესალმოთ!
და უღრმესი მადლობა გამოგიცხადოთ
ჩემდამი ესოდენ დიდი პატივისცემისა-
თვის... და იმ წესრიგისათვის, რომელ-
საც ასე მტკიცედ იცავთ.

ამ სიტყვებმა დამსწრეთა უდიდესი
ენტუზიაზმი გამოიწვია. გაისმა მარსე-
ლიეზის დიდებული ჰანგი. ათასკაციანი
გუნდი მთელი გრძნობით ამღერდა.
ზოგმა ქული მოიხადა, ზოგიც მხედრუ-
ლად გაიჭიმა და ხელი აიღო. ძხო-
ლოდ პოლიციელები, ქანდარმები, აგ-
რეთვე პანაშვილზე აქ მოსული ქუთაი-
სის საოლქო სასამართლოს პროკურო-
რის ამხანაგები — მალინოვსკი, ვერ-
გელესოვი, კაზაროვი და ზოგიერთი
სხვა ვითომც აქ არაფერიო, იღვწენ და
აქეთ-იქით იმზირებოდნენ.

მაგრამ უცებ შენიშნეს რა, რომ თა-
ვად გუმბარაბური სმენაზე იდგა, გო-
ცებულეებმა ერთმანეთს გადახედეს და
უხალისოდ ქულებთან ხელი მიიტანეს.

• • •

შირინკინი კაბინეტში აქეთ-იქით და-
ბორილავდა, გალიაში გამომწყვდეუ-
ლი ვეფხვივით. წონასწორობიდან ქუ-
თაისიდან მოსულმა მოხსენებამ გამო-
იყვანა. მას ატყობინებდნენ, რომ სტა-
როსელსკიმ მკვრების უფროსებისადმი
დაგზავნილ დეპეშებში მანიფესტის ტე-
ქსტი განზრახ დაამახინჯა. როცა ის
პრესაში გამოქვეყნდა, პარტიულმა

აგიტატორებმა მოსახლეობის უურად-
ლება გაამახვილეს მათ სხვაობაზე. აი,
ასეო, მეფე ჯერ ხალხს უფლებებს ანი-
ჭებს, მერე კი იჭვე ართმევს. ამ გარე-
მოებამ ახალი ბიზგი მისცა პროტესტე-
ბის ტალღას, მოძრაობის გაძლიერებას...

— არამზადა!... მოლაღატე!... წითე-
ლი!.. — ბობოქრობდა შირინკინი.

ტელეფონის ხარი აწკრიალდა. რე-
კავდა ქუთაისის პოლიციის სამმართვე-
ლოს უფროსი. აღელვებისაგან ხმა უკა-
ნკალბდა:

— თქვენო მაღალკეთილშობილება!
როცა თქვენი დავალებით მიემართეთ
სტატსკი სოვეტნიკ სტაროსელსკის
თხოვნით — აეხსნა, როგორ მოხდა,
რომ გაზეთებმა გამოქვეყნებულ მანი-
ფესტის ოფიციალურ ტექსტსა და შის
მიერ მაზრებში დაგზავნილ დეპეშის
ტექსტს შორის ამხელა ფაქტობრივი
განსხვავებაა, იგი ირწმუნება, რომ ტე-
ლეგრაფით გადმოცემულ ტექსტში და-
შვებული იყო ბევრი შეცდომა. ამიტო-
მაც გავასწორე ისინი ისე, როგორც ეს
მე გამეგებოდაო. ჩვენმა შემოწმებამ
დაადასტურა, რომ მასში ზოგიერთი
უზნიშვნელო დამახინჯებები მართლაც
იყო, მაგრამ ისინი არავითარ შემთხვე-
ვაში არ უნდა ყოფილიყვნენ ისე გა-
გებულნი, როგორც ეს ბატონმა სტა-
როსელსკიმ «გაასწორა»: ყველა ზემოთ
მოსხენებულ გარემოებათა გამო მაქვს
პატივი მოგახსენოთ ჩვენი დასკვნა,
რომ ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს აშ-
კარა წინასწარ განზრახულ და ჩაფიქ-
რებულ მავნე ქმედებასთან...

— როგორია ახლა ოპერატიული
მდგომარეობა გუბერნიაში? — გააწყ-
ვეტინა შირინკინმა.

— უკიდურესად ძვიმი, თქვენო მა-
ღალკეთილშობილება. გურიაში ხე-
ლისუფლება პრაქტიკულად რევოლუ-
ციური კომიტეტის ხელში გადავიდა.
ჩვენ უძულრნი ვართ რაიმე ვიღონოთ.
უფრო მეტიც, კახეთა ასეულს ოზურ-
გეთის მაზრის უფროსის მეთაურობით,
რომელიც ჩოხატაურში დამსჯელ ოპე-
რაციას ატარებდა უზნის სამმართვე-

ლოს დარბევის გამო, უკან დაბრუნე-
ბისას ნასაკირალის უღელტეხილზე შე-
ამბობებები თავს დაესხნენ და ღიდი ზი-
ანი მიაყენეს...

აქ შირინკინს ლამის დამბლა დაეცა.
ხელქვეითს არაფერი უპასუხა, უურმი-
ლი დაახეთქა და თითქოს სხვა უბედუ-
რების შესახებ ცნობების მოლოდინში,
ღიდი ხანი ტელეფონს მიჩერებული
იჭდა. მერე უცებ ფეხზე წამოხტა და
კვლავ კაბინეტში ბოლთის ცემა დაი-
წყო. შემდეგ ტელეფონს ეძგერა და
მეფისნაცვალთან სასწრაფოდ დაკავში-
რება მოითხოვა.

— თქვენო უგანათლებულესობა,
ალბათ, გაიგებდით, რომ ბატონმა სტა-
როსელსკიმ თავის თავს უფლება მის-
ცა, ისე რომ არავის არ შეჰკითხვია,
მანიფესტის სატელეგრაფო ტექსტში,
ვითომდა შეცდომების გასწორების მი-
ზნით, ისეთი კორექტივები შეეტანა,
რომლებმაც ფაქტობრივად დაამახინ-
ჯეს მეფის მანიფესტის ტექსტი. ასე,
ამგვარად, მან ჩვენს მოწინააღმდეგეებს
ხელში ჩაუვლო დოკუმენტი, რომელმაც
გურიაში პრაქტიკულისა და გამოსვლე-
ბის ახალი ტალღა გამოიწვია, ამჟამად
გურიაში პრაქტიკულად სახელმწიფო-
ბრივი ინსტიტუტები აღარ არსებო-
ბენ... უფრო მეტიც, ნასაკირალის უღე-
ლტეხილზე წითელარმიელებმა კახეთა
ასეული გაანადგურეს. საჭიროა დაუ-
ყოვნებლად იზომები.

— მე კი მისმა აღმატებულებამ
სტაროსელსკიმ მიდებეშა, რომ გუ-
ბერნიაში საყოველთაო აღფრთოვანება
სუფევს... — გააწყვეტინა შირინკინს
გრაფმა, — აქ მეფისნაცვალმა ხანმოკ-
ლე პაუზა გააკეთა და განაგრძო:

— იმედია, ამჯერად თქვენი ინფორ-
მაცია „შემოწმებულ მონაცემებს“ ეუ-
რდნობა!

გენერალი მიუხედა გრაფის ამ ქარა-
გმულ ნათქვამს და მყის უპასუხა:

— დიახ, თქვენო უგანათლებულესო-
ბა, ამჯერად ყველაფერი ისეა, როგორც
პატივი მაქვს მოგახსენოთ.

— გამოდის, რომ ზოგიერთი რადი-

კალური აქციების გამოყენება დაგვირდება. — დაეთანხმა გრაფი.

მაღე ქუთაისის გუბერნიაში სამხედრო მდგომარეობა გამოცხადდა.

თავი 19

„მიტინგი მოითხოვს...“ დამოკიდება. სადღე-გატო მატარებელი გზას გაუღვა. „ჩემი მუშენიერი გურიე გადარჩენილია!“. მზაკროვის ხლართეში.

სტაროსელსკიმ კაბინეტში სასწრაფოდ ყიფშიძე მოიწვია. იგი შესვლისთანავე მიხედა, რომ უფროსი სეროზულად შეშფოთებულია, გაფითრებული და აღეღვებული, რალაც ქალაღლით ხელში ნერვიულად ბოლთას სცემდა...

— აი. წაიკითხეთ... მორიგი ოინი...
— თქვა მან და დებეშა ყიფშიძეს გადასცა.

ვორონცოვ-დაშკოვი საიდუმლოდ იტყობინებოდა, რომ მისი მაღალი მითითებით გუბერნიაში ამიერიდან შემოღებულია სამხედრო მდგომარეობა, და რომ აქეთ კვლავ დაიძრა ჭარები აღიხანოვ-ავარსკის მეთაურობით.

— ერთი მიბრძანეთ, — დიწყუ სტაროსელსკიმ, — მანიფესტის შემდეგ, ხალხის წინაშე რითი უნდა გავამართლო ეს აქცია?!

ამ დროს ტელეფონის ზარი აწკარუნდა.

— დიახ, დიახ, ვიცი. უმორჩილესად გთხოვთ, ჭარისკაცები ყაზარმებში დააკავოთ. — თქვა ვლადიმერ აღექსანდრეს ძემ, ყურმილი დაღო და ისევ ყიფშიძეს მიუბრუნდა:

— შიშკოვსკიმ დარეკა. ცნობა გუბერნიაში სამხედრო მდგომარეობის შემოღების შესახებ რალაცნაირად სწრაფად გავრცელდა, ხალხი აღღღვა.

კარზე დააკაუნეს. დავალებათა შემსრულებელი შემოვიდა.

— თქვენო აღმატებულეებავ სამტრედიიდან დელეგაცია გეახლათ.

— სთხოვეთ!
კაბინეტში რამდენიმე კაცი შემოვი-

და. ქუღები მოიხადეს და სტაროსელსკის მდებლად დაუკრეს თავი. წინ წამოღდა ნაყუვეღიარი მამაკაცი.

— ბატონო ლადო, მე სამტრედიის რკინიგზის დეპოს მუშა გახლავარ. ეს ჩემი მეგობრები — დელეგატები. ჩვენ დავკვავალეს, გთხოვოთ, დავკრთოთ უფლება სამტრეღიაში მიტინგი მოვიწვიოთ. აქ ის წამით შეყოვნდა, მერე კი დაამატა:

— კიდევ ერთი უმდაბლესი თხოვნა, უარი არ გვითხრათ და თავად მიტინგზე დავკვსწროთ; ხალხს ინტერესებს, რაეა შეიძლებოდა ასე მომხდარიყო — მანიფესტი და უცებ — სამხედრო მდგომარეობა... სტაროსელსკიმ გადახედა ყიფშიძეს. ის თავდაბრილი იღგა, თითქოს მას რამეში ბრალი მიუძღოდა.

— რას იტყვიოთ, აღექსანდრ ფეოღოროვიჩ?

— აბა რა უნდა ვთქვა? თქვენ, რალა თქმა უნდა, მიტინგის მოწვევაზე თანხმობას მისცემთ, და, ეკვგარეშეა, დესწრებით კიდევ.

— თქვენ წარმოიდგინეთ, რომ გამოიცანით, — მიუგო სტაროსელსკიმ და დელეგატებს მიუბრუნდა:

— მიტინგი მოიწვიეთ ხვალ საღამოთი, მე აუცილებლად ჩამოვალ...

— დიდი მადლობა, ბატონო ლადო — დაბლა დაუკრეს თავი დელეგატებმა ვლადიმერ აღექსანდრეს ძეს, ხელი მაგრა ჩამოართვეს და კმაყოფილები კაბინეტიდან გავიდნენ...

იმ დღეს სამტრეღიაში, ეკლესიის გავლავანთან უამრავ ხალხს მოყარა თავი

ვი. აქ იყვნენ გლეხები, რკინიგზის სახელოსნოების მუშები. მიტინგი ის-ის იყო დაიწყო, როცა წითელრაზმელთა თანხლებით სტაროსელსკი ჩამოვიდა. ხალხის სიხარულსა და აღფრთოვანებას საზღვარი არ ჰქონდა, მისასალმებელი შეძახილებითა და ტაშით შეხვდნენ მას. მოიწვიეს ცენტრში მდგარ მაგიდასთან. ორატორი მასზე იდგა და სიტყვას წარმოთქვამდა. მის გვერდით, სკამზე იჯდა რსდმპ ადგილობრივი კომიტეტის წევრი მიხო, მიტინგს რომ თავმჯდომარეობდა, გამომსვლელთა სიას ადგენდა და თანაც დიდის ყურადღებით თვალს ადევნებდა კრების მსვლელობას. აუცილებელ შემთხვევაში წესრიგს უზრალოდ მაგიდაზე ფანქრის კაყუნით ამყარებდა. ყოველი გამოსვლა იმათთვის, ვინც ქართული არ იცოდა, რუსულად ითარგმნებოდა, ხოლო ისინი, ვინც ორივე ენას ფლობდა, თვალყურს ადევნებდნენ, რომ თარგმანი ზუსტი ყოფილიყო. აუცილებლობის შემთხვევაში იქვე შესწორება შეჰქონდათ.

მიტინგის მოთხოვნით მანიფესტიც ორივე ენაზე წაიკითხეს. ამის შემდეგ სიტყვა მისცეს ერთ ყაბალახმოხვეულ ახალგაზრდას. ის დინჯად ავიდა მაგიდაზე, ჭერ ილაპარაკა მანიფესტზე, როგორც ხელისუფალთ ეშმაკურ ფანდზე, მერე უბის ჭიბიდან ოთხად დაკეცილი ქალაქი ამოიღო და დაიწყო:

— მოქალაქენო, ამხანაგებო, მე ჩემი გამოსვლა მიინდა დავიწყო ბათუმის კომიტეტის ახლახან გამოსული პროკლამაციით ამ მეფის მანიფესტის გამო. აი რა წერია მასში:

მეფემ ხალხს უბოძა „უმოწყალები“ მანიფესტი, მან შეისწავლა მით გაძარცული რუსეთი, თავის ქვეშევრდომთა მკვლელმა და ჭალათმა გადაწყვიტა საბოლოოდ გაამასხარაოს იგივე ქვეშევრდომნი. მისთვის ცოტაა ხალხის მიერ დანთხეული სისხლ, დაღუპული ხალხი; მას კიდევ სურს სიცილი, მხიარულება და ლაზღანდარობა თავისი წინაპრებისთვის. ის მიისწრაფვის დაახუროს რუსეთს სულელის ქუდი, მაგრამ მოუ-

ფიქრებლად არ გადაუდგას მას, ეს ნაბიჯი. დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, რაც ის ღრიალებდა კონსტიტუციის მოთხოვნის გამო „უაზრო ოცნებები“, არასოდეს ნებას არ მივცემ, რომ ჩემსა და ხალხს შორის გაჩნდეს დაწერილი ქალაქის ფურცელი, ახლა კი ისეთ ნაწერს სცემს, რომლის მსგავსი უაზრო რამ ქვეყანას თავის გაჩენის დღიდან არ უნახავს... თვითმპყრობელობის ეს მანიფესტი არის ლურსმანი, მის კუბოზე ჩაქუჩით დაქედნილი... უარვყოთ ყოველი დათმობა, ვიბრძოლებთ იმ დროშის ქვეშ, რომელზედაც იქნება წარწერა — ძირს მეფის თვითმპყრობელობა! ხალხმა იქუხა.

— ძირს მეფე და მისი მანიფესტი! გაუმარჯოს თავისუფლებას.

გამომსვლელი დაელოდა, ვიდრე ხალხი იყუჩებდა და მერე მიუბრუნდა სტაროსელსკის და ყველას გასაგონად შეეკითხა:

— რას გვეტყვის ბატონი გუბერნატორი, რა კავშირშია მანიფესტი და ამჟამად სამხედრო მდგომარეობის გამოცხადება?

— გვითხარი, ბატონო ლადო, რაშია საქმე, რატომ მოხდა ასე? — გამოდის, რომ მანიფესტი მართლაც რაღაც ფანდია... — გაისმა ხმები.

— ვერაუთიარ კავშირს მე აქ ვერ ვხედავ, — მოკლედ მოჭრა სტაროსელსკიმ, — შეუძლებელია დაუკავშირო დაუკავშირებელი...

ჩანს, მიტინგის მონაწილეებს პასუხი მოეწონათ. გაისმა ტაში და შეძახილები: „სწორს ლაპარაკობს!“

— თუ თქვენც ასე მიგაჩნიათ, ლადო ბატონო, — წინ წამოდგა ჰარმაგი წვერულეაშინი გლეხი და ღრმა პატივისცემის ნიშნად გულზე ხელი მიიღო, მდაბლად დაუკრა თავი, — იქნება პატივი დაგვლო და იგივე უთხრა მეფისნაცვალს, აგვაცილო უბედურება.

— გასოვთ, ძვირფასო ლადო, თქვენი ჰირიმე, გამოგვექომაგე, დაგვიხსენი უბედურებისაგან!.. — გაისმა მუდარის ხმები.

— მეგობრებო, ხომ იცით, რარივ მიყვარხართ და რა დიდ პატივს გცემთ. რალა თქმა უნდა, ვეცდები დაგეხმაროთ. მაგრამ, სამწუხაროდ, ყველაფერი ჩემზე არაა დამოკიდებული...

— გთხოვთ, ბატონო, ლადო, გთხოვთ, არაფერი დაიშურო.

თავმჯდომარემ მაგიდაზე დააკაუნა და მყისვე სიჩუმე ჩამოვარდა. მერე წამოდგა და დაიწყო:

— მე საერთო აზრს გამოვთქვამ და დიდი თხოვნით მოგმართავთ თქვენ, ბატონო ლადო, რომ დაუყოვნებლივ გემგზავროთ თბილისს, მეფისნაცვალთან და პირადად მოახსენოთ მას ჩვენი მოთხოვნა სამხედრო მდგომარეობის გაუქმებაზე.

— სწორია, სწორია! — გაისმა ხმები. თავმჯდომარემ ხალხს მიმართა:

— მე კენჭს ვუყრი. ვინაა ამ წინადადების მომხრე? ხელების ტყე აღიმართა.

სიტყვა ერთ-ერთმა რკინიგზელმა მოთხოვა:

— ახლა აქ მოვითათბირეთ და გადავწყვიტეთ, — მართალია, ჩვენ ვაფიცვა გვაქვს, მაგრამ, ლადო ბატონო, ახლავე უზრუნველყოფით სადელეგატო მატარებელს და თქვენ „მწვანე ზღას“ მოგცემთ თვით თბილისამდე.

გაისმა ტაში და შეძახილები: „ურა!“ „ვაჰა!“ „ყოჩაღ, ბიჭებო!“

— მე თანახმა ვარ, დაუყოვნებლივ გავემგზავრო მეფისნაცვალთან... — დაიწყო სტაროსელსკიმ...

მიტინგის მონაწილეებმა არ აცალეს სტაროსელსკის სიტყვის დამთავრება, მიიჭრნენ მასთან და მიუხედავად ენერგიული წინააღმდეგობისა, ხელში აიტაცეს, იქვე მდგარ ეკიპაჟისკენ გააქანეს და სულ მალე რკინიგზის საგაფიცვო კომიტეტის წევრების თანხლებით სამტრედიის სადგურში აღმოჩნდა. მუშები დაუყოვნებლივ სადელეგატო მატარებლის შედგენის თადარიგს შეუდგნენ...

მიტინგი მთავრდებოდა, როცა ვიღაც კაბუქმა თავმჯდომარეს ბარათი გადასცა. მიზომ ის ჩაიკითხა, მეგობრებს

უხმო და სწრაფად მოეთათბირა: „შემდეგ ხელი აღმართა და ყურადღება ითხოვა.“

— ამხანაგებო, მეგობრებო! — დაიწყო მან. — ეს-ეს არის მივიღეთ ცნობა, რომ ლაბინის პოლკის ერთ-ერთი კაზაკი დააბატიმრეს. არ იკითხავთ რისთვის? იმისათვის, რომ მან თავის ამხანაგებს უთხრა: „რატომ ველომებით უიარაღო ხალხს? გამოდის, რომ ჩვენ ჯარისკაცები სამშობლოს დამცველები კი არა, ვიღაც ეანდარებები და პოლიციელები ვართ!“ ახლა ამ ჯარისკაცს სამხედრო-საველე სასამართლო ემუქრება!

ხალხი აღელდა, გაისმა ხმები: — ჩვენი მეგობარი ყოფილა, უნდა დავიხსნათ!

ორატორი განაგრძობდა: — და ესეც ისევ ამ ნაქები მანიფესტის შემდეგ. სწორეა, უნდა დავიცვათ!

— დავიცვათ, აუცილებლად დავიცვათ! — აგუგუნდა ხალხი. — დაუყოვნებლივ უნდა გაათავისუფლონი!

— რსდმპ სამტრედიის ორგანიზაციას შემოაქვს წინადადება — მიტინგის მონაწილეთა სახელით გაეგზავნოს დეპუტე მეფისნაცვალს თბილისში და გაზეთ „ვოზროდენიეს“ რედაქციაში კატეგორიული მოთხოვნით, რომ დააბატიმრებული ლაბინის პოლკის ჯარისკაცი დაუყოვნებლივ გაათავისუფლდეს. თუ ამ მოთხოვნას არ დააკმაყოფილებენ, წააწყდებიან დიდ სირთულეებს.

— მართალია ძალით გავათავისუფლებთ!

— მე კენჭს ვუყრი. ვინაა ამ დებუშის მომხრე?

ტექსტი ერთხმად იქნა მოწონებული.

• • •

სტაროსელსკი სადელეგატო მატარებლით რკინიგზის სამსახურის წარმომადგენელთა თანხლებით თბილისს მიემგზავრებოდა. ისინი უკავშირდებოდნენ ამხანაგებს, იღებდნენ ცნობებს გზის მდგომარეობის შესახებ, აძლევდნენ მითითებებს მეზობელ სადგურ-

რებს შეუფერხებელი სვლის თაობაზე...

სტაროსელსკი და მისი თანამგზავრები სამტრედიას რამდენიმე ვერსით დაშორდნენ, რომ ერთ-ერთ პატარა სადგურზე თბილისიდან მომავალ დამსჯელთა პირველი სამხედრო ეშელონი შემოხვდათ. იგი სარკინიგზო ბატალიონის რიგითებს მოჰყავდათ. მეორე ასეთივე ეშელონი მათ სადგურ მიხაილოვოში მოჰკრეს თვალი. მოგვიანებით ეს ეშელონი ძირულასთან დაკავებულ გზაზე იქნა მიღებული და მარცხი განიცადა. ეს მოხდა იმ ოფიცრის დაუდევრობით, რომელმაც სადგურ ძირულას უფროსი შეცვალა. ჭარისკაცებს კი ეგონათ, რომ ეს დივერსია იყო, ვაგონებიდან გამოცვივდნენ და იქვე მინდორში მომუშავე უღანაშაულო გლეხებს ცეცხლი დაუშინეს.

აი, სადღეღაატო მატარებელი თბილისის სადგურის ბაქანთან გაჩერდა. აქ სტაროსელსკის დახვდნენ რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტის რწმუნებულები, მუშებისა და ინტელიგენციის წარმომადგენლები. ოღნაე მოშორებით, ვასილი იდგა. ვლადიმერ ალექსანდრეს ძემ ის რომ შენიშნა, დაუძახა, მამაშვილურად გადაეხვია. სადგურის მოედანზე ფაეტონებში ჩასხდნენ და სასტუმრო „ორიანტისაკენ“ გაემართნენ. აქ სტაროსელსკის ნომერში გაიმართა სჯაბასი მეფისნაცვალთან მომავალი შეხვედრის გამო. კომიტეტის წევრები არიგვბდნენ ვლადიმერს, თუ როგორ უნდა წარემართა საუბარი გრაფთან გუბერნიაში სამხედრო მდგომარეობის გაუქმების თაობაზე.

— ჩვენ რატომღაც დარწმუნებულნი ვართ, — დაიწყო ერთ-ერთმა კომიტეტის წევრმა, რომ გრაფი ამჯერად თქვენს მიმართ სიმკაცრეს გამოიჩინს, საყვედურებით გავაცხებთ, მაგრამ ამან არ უნდა შეგაშინოთ, პირუკუ, თუ ეს ასე მოხდება, თქვენ იქით შეუტრეთ, გადადგომით დაემუქრეთ.

— მერედა რომ მიიღოს! — ჩაუბრუნო კომიტეტის მეორე წევრმა.

— ამ სიტუაციაში, ასეთ დაძაბულ მომენტში დარწმუნებულნი ვართ, გრაფი ამზე არ წავა. ამხანაგო ლადო, თუ შეამჩნევთ, რომ „შეტვის“ შემდეგ გრაფი „მოლბა“, რაც იმის მომასწავებელი იქნება, რომ თქვენი გადადგომა მას ხელს არ აძლევს, აი, აქ მთელის სიმკაცრით უნდა დავათ საკითხი სამხედრო მდგომარეობის გაუქმების თაობაზე ან არადა კატეგორიულად მოვითხოვ გადადგომას-თქო!...

იმავე დღეს შედგა სტაროსელსკის აუდიენცია მეფისნაცვალთან. ამჯერად გრაფმა ის საკმაოდ ცივად და ოფიციალურად მიიღო. საუბარში აშკარად აგრძნობინა, რომ უკმაყოფილოა მისი მოღვაწეობით, რომ მისგან მეტს მოელოდა, მეტ თანდგომასა და დახმარებას, რომ სადღაც იმედები არ გაუმართლა და სხვადასხვა...

ვლადიმერ ალექსანდრეს ძემ ყველაფერი ეს დიდის ყურადღებით მოისმინა, ისე რომ სახეზე არც ერთი ნაკვთით არ გამოუსახავს თავისი უკმაყოფილება ან სინანული. ამან გრაფი დააფიქრა და შეაცბუნა.

— მე, თქვენო უგანათლებულესობავ, — დინჯად, თავშეკავებულად და იწყო სტაროსელსკიმ, — სავსებით გეთანხმებით, უფრო მეტიც, ვიზიარებ თქვენს აზრს გუბერნატორად ჩემს უხეირო მოღვაწეობის თაობაზე. მხოლოდ ერთი რამ მაშარათლებს თქვენსა და ჩემი თავის წინაშე, ეს ის, რომ აღრევე მოგახსენეთ, ამ პოსტზე არ გამოვდგები-მეთქი. მით უმეტეს, რომ დლიდან ჩემი დანიშნისა ზოგიერთ თქვენთან დაახლოებულ პირებს თვალში არ მოუვდი, და ყველაფერს აკეთებდნენ და აკეთებენ იმისათვის, რომ ნაცვლად დახმარებისა ხელი შეუშალონ იმპერიისა და ხელმწიფის სასიკეთო და სასარგებლო ჩემს მოღვაწეობას. და აი, იქამდეც კი გაკადნიერდნენ, რომ მანიფესტის ტექსტის გაყალბებაც კი დამწამეს. ამან ერთად აღებულმა განაპირობა და იმ მდგომარეობამდე მივიყვანა, რომ დღეს ვის-

მენ თქვენს, თქვენო უგანათლებულესობავე, ასეთ გულისმომკვლელ საყვედურებსა და დახასიათებას... ამიტომაც მაქვს პატივი, უმორჩილესად გთხოვთ, დაუყოვნებლივ მიიღოთ ჩემი ვადადგომა.

ამ განცხადებამ გრადი გააკვირვა და ერთგვარად დააბნია კიდევ, ეტყობოდა, საუბრის ასეთი ფინალი მის ანგარიშში არ შედიოდა. გუმანით მიხვდა, რომ ასე კატეგორიულ ფორმაში ვადადგომის საკითხის დასმა, მარტო ამ კონკრეტულ საუბრით არ იყო გამოწვეული. — ეტყობა, მართლაც უჭირს. მისი ვადადგომა ამ დროს, ასეთ სიტუაციაში არაერთარ შემთხვევაში არ შეიძლება, ისა სჯობს, რომ შეამბობებმა მოკლან. გაიფიქრა გრაფმა, ხმაშალა კი შენიშნა:

— ახლა ვადადგომა?! ასე საკითხის დასმა ეს თქვენს სიმხდალზე ხომ არ მეტყველებს? — მერე პასუხი არ აცალა და განაგრძო — თავადვე უნდა გამოასწოროთ მდგომარეობა. ვადადგომა საკითხის გადაწყვეტას არ ნიშნავს.

„აჲ, ერთხელ კიდევ დაკრწმუნდი, რა ჭკვიანი ხალხია ეს კომიტეტლები“, — გაიფიქრა სტაროსელსკიმ.

— გაგებდავთ და არ დავგებებთ, — დაიწყო მან, — მერწმუნეთ ჩემი გადაწყვეტილება სიმხდალეს არ მიეწერება, მაგრამ როგორ უნდა გვაერთვა თავი დაკისრებულ მალალ მოვალეობას ამ სიტუაციაში? მეფის მანიფესტის შემდგომ, როცა გუბერნიის ცხოვრების ყველა სფეროში ერთგვარი გაუმჯობესება დაეტყო, ამ დროს იღებენ გადაწყვეტილებას სამხედრო წესების შემოღების თაობაზე! წინასწარ გეტყვი, ეს ისეთ სიმძლეებსა და სირთულეებს შემიქმნის, რომელთა გადალახვას ვერც შეგპირდებით და ვერც შევძლებ. ამიტომ უმორჩილესად გთხოვთ ვადამაყენოთ, ან დამითხოვოთ პენსიაზე.

— ეს, მოწყალეო ხელმწიფევე, უკვე განვიმარტეთ, — მეფისნაცვალს ტონში უმოკლესად დაეტყო

„არ გადაეჭარბო“, — გაიფიქრეს სტაროსელსკიმ და დასძინა: *გონჯლინიშენა*

— მე, თქვენო უგანათლებულესობავე, კარგად მესმის ჩემი ადგილი და მოვალეობა ამ ფრიად და ფრიად მძიმე სიტუაციაში, მაგრამ სამხედრო წესების გაუქმების გარეშე მე ოდნავაც ვერ შევძლებ მოვალეობის თავის გართმევას, მით უმეტეს, რომ ჭარის შემოყვანა ადგილობრივი მოსახლეობის გაღიზიანებასა და მდგომარეობის გაართულების მეტს არაფერს მოგვცემს. — დაყინებით გაიმეორა მან.

— მე სამხედრო წესების შემოღების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას სხვა ინფორმაციით ვხელშეწყობილი ვარ, კომპეტენტური პირების რჩევაც გავითვალისწინებ. — თითქოს თავს იმართლებსო, წარმოთქვა ვორონცოვ-დაშკოვმა. აიღო ტელეფონის ყურმილი და სთხოვა, კრიმ-გირეი დამაკავშიროთო. როცა იგი ხაზზე აღმოჩნდა უთხრა:

— ხვალვე სამხედრო საბჭო მოიწვიეთ და საფუძვლიანად, გუბერნატორის ბატონ სტაროსელსკის მონაწილეობით, განვიხილოთ შექმნილი მდგომარეობა...

მეორე დღეს, დანიშნულ დროს ვლადიმერ ალექსანდრეს ძე მეფისნაცვლის მისაღებად იყო. ამ დროს აქ, სასახლეში, საქართველოს სხვადასხვა კუთხეებიდან ჩამოსული დელეგატები მოდიოდნენ. მათ სურდათ გრაფის პირადად ნახვა, რათა პროტესტი განეცხადებინათ ქუთაისის გუბერნიაში სამხედრო წესების შემოღების გამო, მაგრამ საგანგებო დავალებათა მოხელე მათ ერთნაირ პასუხს აძლევდა:

— ავად გახლავთ, ვერ მიგიღებთ. ზოგნი მოხელეს წერილობით განცხადებებს უტოვებდნენ, სხვანი ზეპირ პროტესტს გამოთქვამდნენ. ამ დროს კი თავისი კაბინეტის ფანჯრიდან ფარდას ამოფარებული მეფისნაცვალი შემფოთებით ადევნებდა თვალს, მისი რეზიდენციის წინ თუ როგორ იყრია თავს ხალხი. აი, სასახლეს მიუახლოვდა სო-

ფელ ხაშმის გლეხების მხედართა ჯგუფი. გრაფმა პროფესიონალი კავალერისტის დაკვირვებული თვალით წმინდა ბევსურული ჯიშის ცხენები ამოიკნო. იგი თავის დროზე, როცა სახელმწიფო მეცხენეობას განაგებდა, დიდ ინტერესს იჩენდა ადგილობრივი კავკასიური და რუსული ჯიშის ცხენების შეჯარებისადმი, რათა გამოეყვანა ისეთი შთამომავლობა, რომელიც მთაში ჯარების გადაადგილებას გააადვილებდა...

ხაშმელებმა მიტინგის რეზოლუცია ჩამოიტანეს, რომელშიც კახეთი მოითხოვდა დაუყოვნებლივ შეწყვეტილიყო რეპრესიები გურიში. წინააღმდეგ შემთხვევაში კახელები „გამოვლენ გურულების დასაცავად და იბრძოლებენ სისხლის უკანასკნელ წვეთამდე...“

მალე ცხენოსნებმა სასახლე დატოვეს და „მხედრულის“ ომახიანი სიმღერით ქალაქის ქუჩებს ჩაუარეს. მოქალაქეები მათ აღფრთოვანებული შეძახილებით ხედებოდნენ და გულთბილად ესალმებოდნენ. განსაკუთრებული სიხარულით მათ ნაძალადევის მუშები მიეგებნენ...

გრაფის მისაღებში თავს იყრიდნენ სამხედრო საბჭოს სხდომაზე დაბარებულნი. კრიმ-გირეი თბილად მიესალმა სტაროსელსკის, მალამამ ოდნე დაუქრა თავი, შირინჯინმა კი თითქოს ვერც კი შეამჩნიაო. ვლადიმერ ალექსანდრეს ძე თვითონ მივიდა მასთან და გენერალიც იძულებული გახდა მისალმებოდა.

— მაქვს ბატივი, არ გავიზიარო თქვენი დასაბუთებანი სამხედრო წესების გაუქმების თაობაზე. მეამბოხეთა ულტიმატუმს ჩვენთვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს! — ჩაისისინა შირინჯინმა.

— საოცარი დამთხვევაა. არც მე ვიზიარებ თქვენს კონტეცციებს. — მოუჭრა სტაროსელსკიმ.

— ერთი რამ ვერ გამოვიგია, როგორ ახერხებთ გრაფის დარწმუნებას.

— იმით, რომ ჩემი მოთხოვნები ლოგიკური და ღრმად დასაბუთებულია.

მეფისა და სამშობლოსათვის ნასარგებლოა.

— ეს როგორ, გამოდის, რომ მე ვმოქმედებ მათ წინააღმდეგ?..

აქ მათი სიტყვიერი შეხლა-შემოხლა ზარის ხმამ შეწყვიტა. ყველანი გრაფთან მიიწვიეს.

თავიდანვე, სამხედრო საბჭოს სხდომამ ცხარე დისკუსიის ხასიათი მიიღო და გვიან ლამემდე გაგრძელდა. მეფისნაცვალმა ორივე მხარეს მოუსმინა, დარწმუნდა, რომ სტაროსელსკი არავითარ შემთხვევაში არ დათმობს პოზიციებს. შეაჯამა რა სხდომა, ვორონცოვ-დაშკოვმა მოკლედ დაასკვნა:

— ბატონებო, მე დავრწმუნდი თქვენს ერთსულოვნებაში: ქუთაისის გუბერნი-აში სამხედრო წესები უნდა გაუქმდეს! ნახვამდის!

შირინჯინმა ჯერ გაოცებული მზერა მალამას მიაპყრო, და რაკი მის გაქვავებულ სახეზე ვერაფერი ამოიკითხა, გაოგნებულმა ხელები გაასაგსავა და რალაქის თქმა მოიწადინა, მაგრამ გრაფმა ამის საშუალება არ მისცა:

— სხდომა დახურულია, — განაცხადა მან, მერე მიუბრუნდა თავის თანაშემწეს და განაგრძო: თქვენ კი, ბატონო მალამა, მოამზადეთ ალიხანოვ-ავარსკის სახელზე სათანადო სატელეგრაფო განკარგულება.

შუალამეს გადაცილებული იყო, როცა სტაროსელსკი სასტუმრო „ორიანტში“ დაბრუნდა. იგი გაოცდა, როცა ნახა, რომ აქ მას უამრავი ხალხი ელოდა: პრესის წარმომადგენლები, დეპუტაციის წევრები, უბრალო ცნობისმოყვარენი.

მიუხედავად გვიანი ეამისა და უკიდურესი დაღლილობისა, მან ყველა მიიღო, ყველას გაესაუბრა. და ისე, რომ თვალის მილულევაც კი ვერ მოასწრო, დილით სადგურისაკენ გაეშურა. აქ მას გასაცილებლად მოსული ათი ათასამდე რკინიგზელი, ქარხნებისა და ფაბრიკების მუშები, მოსწავლე ახალგაზრდობა დახვდა. ორატორების მხურვალე სიტყვებს დამსწრეთა მისასალმებელი შე-

ძახილები ფარავდა. ვაგონის კიბეზე შემდგარმა სტაროსელსკიმ შეკრებილთ მიმართა:

— ბატონებო! ის პატივი, რაც თქვენ მომაგეთ, არ შეესატყვისება ჩემს დამსახურებას. მე მხოლოდ მის უგანათლებულესობას მეფისნაცვალს მოვახსენე საქმის ჭეშმარიტი ვითარება. ის ერთსულოვნება, რამაც შეადუღაბა ორი გუბერნიის საზოგადოების ყველა ფენა, რაც გამოიხატა მეფისნაცვალთან მრავალრიცხოვანი დეპუტაციებისა და შუამდგომლობების გაგზავნაში, ისევე როგორც ეს გამოიხატა სამტრედიის მიტინგზე მიღებულ ერთსულოვანი გადაწყვეტილებით, მატარებლის გამოყოფაში, რომლითაც მე მქონდა პატივი აქ ჩამოვსულიყავი, როგორც ხალხის წარგზავნილი დელეგატი მეფისნაცვალთან, ეს ყველაფერი ბევრ რასმეს მოწმობს. პირველყოვლისა მოქალაქეობრიობისა და თვითშეგნების მაღალ დონესა და განვითარებას. ჩემს მოვალეობად მიმაჩნია, უღრმესი მადლობა ეუთხრა ამ დელეგატის მატარებლის გამოგზავნის ინიციატორებს, ყველას, ვინც თან მახლდა მგზავრობისას, და ბოლოს ხოტბა შევახა იმათ, ვინც ასე ახლო მიიტანა გულთან გურიის ვასაპირი, წინ აღუდგამ უბედურებას, რომელიც მას ემუქრებოდა.

ეს სიტყვები „ვაშასა“ და „ურას“ შეძახილებმა დაფარეს. და აი, სადღეღატო ორთქლმავალი გირლანდებით, წითელი ტილოებითა და დროშებით შემკული, ნელნელა, ქშენით ადგილიდან დაიძრა. რკინიგზელი მუშების სასულე ორკესტრმა და გაერთიანებულმა გუნდმა მარსელიეზა შეასრულა. მათ მრავალათასიანი ხალხის ხორო აპყვა... ასეთი აღფრთოვანება და სითბო თან გასდევდა სტაროსელსკის მთელი გზის მანძილზე...

ღამით ქუთაისის გუბერნიის პოლიციისა და ენდარმერის სამმართველოებში ცნობები მოვიდა, რომ ეგზეკუციის მოლოდინში გაყურსული გუბერნია კვლავ გამოცოცხლდა. მის მცხო-

ვრებთ სასიხარულო განწყობილებები ეუფლათ: რკინიგზის სადგურებში სობით ხალხი მიაწყდა. ისე როგორც დღესასწაულისას, დიდი და პატარა საზეიმოდ გამოწყობილიყო. საგანგებო მზადება იყო გაჩაღებული სადგურ ყვირილაში. აკაშაშდნენ ვაზის ფარნები. არა მარტო ბაქანი, სადგურის მიმდებარე მოედანიც ხალხით გაიჭედა. ბევრს ხელში ანთებული მამხალები და სანთლები ეჭირა. ირგვლივ გაისმოდა სიმღერები. გამოჩნდნენ წითელ ჩაქურებში გამოწყობილი გურული რაზმელები.

მალე ბოლის შავი ბოლქვებისა და ცეცხლის ნაპერწკლების კორიანტელით, გუგუნითა და კივილით შემოვრიალდა სადღეღატო მატარებელი. წინ ორთქლმავალზე წითლად კიფობდა წარწერები: „ძირს თვითმპყრობელობა!“ „გაუმარჯოს რევოლუციას!“

ბაქანზე წესრიგს წითელრაზმელები მურვეობდნენ. აი, მეთაურმა ვაგონის სარკმელში სტაროსელსკის მოჰკრა თვალი და ხმამაღლა შესძახა:

— ამხანაგებო! მოგილოცავთ! ჩვენმა გუბერნატორმა სამხედრო მდგომარეობის გაუქმებას მიიღწია. გაუმარჯოს გურიას! გაუმარჯოს რევოლუციას!

— სტაროსელსკის გაუმარჯოს! — გამოეხმაურა ხალხი. — „ვაშა!“ „ურა!“

— გაუმარჯოს დამსჯელებზე გამარჯვებას! — დაიძახა ვილაყამ.

ვაგონის კარებში ელადიმერ ალექსანდრეს ძე გამოჩნდა. მან ჭედი მოიხადა და ხალხს ხელის დაქნევით მიესალმა. აღუღებელი და გულაჩუყებული ჩანდა.

— შეგობრებო! — დაიწყო მან, — ჩვენი მშვენიერი გურია გადარჩენილია! კაზაკები და ჯარი, რომლებიც მის დასარბევად მოდიოდნენ, უკან გაიწვიეს. თავისუფლების მზე, შავმა ღრუბლებმა რომ მოიცვა, კვლავ აკიფდა, გაუმარჯოს ჩვენს გურიას! განმანთავისუფლებელ მოძრაობას! მშვიდობით! ახლა მე გურიისკენ მერქარება, სასიხარულო ამბავი უნდა ვაუწყო...

ამ სიტყვებმა კვლავ ხალხის აღფრთოვანება, ოვაციები და შეძახილები გამოიწვია. აელერტა მარსელიეზის პანგი... სადღეღვარე მატარებელმა გზა განაგრძო.

* * *

...ლაბინელების ასეული, სადაც დაპატიმრებული ჯარისკაცი ირიცხებოდა, ნიშნად სოლიდარობისა, შესაერთებლად გაემართა მეორე ასეულთან, რომელიც ყვირილის რკინიგზის სადგურთან იყო განლაგებული. აქ მათ ერთობლივი მიტინგი ჩატარეს, მხარი დაუჭირეს თავთან ამხანაგს და გადაწყვიტეს „ჩვენ პოლიციელები და ჟანდარმები არა ვართ... ეტოვებთ სამხედრო სამსახურს და ოჯახებს ვებრუნდებით!“

არაჩვეულებრივი გულთბილი და ძმური გაცილება მოუწყვეს მათ სამტრედიელებმა. პურ-მარილი არ დაუშურებიათ. რკინიგზელებმა ვაფიცვის მიუხედავად სპეციალური ეშელონიც კი გამოჰყვეს...

მეფისნაცვალს ამ ამბავმა ძალზე შეაშფოთა და დააფიქრა. შეეშინდა, რომ ეს ინციდენტი ის თოვლის გუნდა იქნებოდა, რომელიც მთიდან წამოსულ მძლავრ ზეავად გადაიქცეოდა და თავის გზაზე ყველაფერს დაანგრევდა, წალეკავდა. „გამოდის, რომ შირინკინი მართალია“, — გაუელვა აზრმა გრაფს...

სასწრაფოდ მოწვეული კავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო საბჭო ერთსულღოვანი იყო: ამბობებულმა ჯარისკაცებმა არავითარ შემთხვევაში თბილისამდე არ უნდა ჩამოაღწიონ. ამისათვის დიდი შემოწმებისა და გადამოწმების შემდეგ თავი მოუყარეს მეფის ტახტის ერთგულ დიდ სამხედრო ძალებს და ისინი ქალაქის მისადგომებთან ლაბინელებს დაახვედრეს. მათ შეძლეს აჯანყებულთა განიარაღება. და აი, ჯარისკაცებს სამხედრო-საველე სასამართლო დაემუქრა. ამ ცნობამ შეძრა მთელი საქართველო, ფეხზე დააყენა მშრომელი ხალხი. მიტინგები მიტინგებს სცვლი-

და, რომლებზედაც ხალხი ჯარისკაცების დაუყოვნებლივ განთავისუფლებას მოითხოვდა. მოგვიანებით თბილისში საყოველთაო პოლიტიკური გაფიცვა გამოცხადდა იმასთან დაკავშირებით, რომ სამხედრო-საველე სასამართლომ გაასამართლა სამეგრელოს გრენადერების პოლკის ოცდაშვიდი ჯარისკაცი, რომლებმაც მოსახლეობის წინააღმდეგ დამსჯელ ოპერაციებში მონაწილეობაზე უარი განაცხადეს.

* * *

მთელს კავკასიაში არც პოლიციაში, არც ჟანდარმერიაში არავინ ფლობდა თავის საზიზღარ ზელობას ისე სრულყოფილად როგორც შირინკინი. ნამდვილად თავის შვიც საქმეების დიდოსტატი გახლდათ. შემთხვევით არ იყო, რომ რევოლუციური მოძრაობის აღმავლობის დროს, ევრონცოვ-დაშკოვის თხოვნით „უზენაესი სახელობითი ბრძანებულებით“ დაწესებული მეფისნაცვლის თანამეწიის და კავკასიაში პოლიციის გამგის თანამდებობაზე არჩევანი სამეფო კარის პოლიციის უფროსზე „წესრიგის გამოცდილ დამცველზე“ შირინკინზე შეჩერდა. და აი, ახლა იგი ვერა და ვერ შეჰკუებოდა იმას, რომ თავისი ნიჭისა და უნარის მიუხედავად, ვერ ახერხებდა სამშობლოსა და ტახტის მოლაღატის სტაროსელსკის პოსტიდან გაძევებას. „... ამ გარეწარმა, — ფიქრობდა შირინკინი, — შეძლო თავისი მეგობრებისა და მფარველების დახმარებით გრაფის გაცურება, მისი ნდობის მოპოვება. მე მომავალში დიდი სიფრთხილე და წინდახედულობა მმართველს, რათა შეუცდომლად ვიმოქმედო. წინააღმდეგ შემთხვევაში... ხომ მაგრძნობინა ჩემმა მოადგილემ, რომ სტაროსელსკის წყალობით შეიძლება მეფისნაცვლის გულისწყრომაც კი გამოვიწვიო. ამის სიმპტომები უკვე იგრძნობა. ჩანს, აქამდე ისე არ ვმოქმედებდი, როგორც ეს საჭირო იყო. ისიც გასაუგლისწინებელია, რომ ამ ბრძანების ზურგსუკან კომიტეტელები

დგანან, გაქეპილი და ცეცხლში გამო-
ბრძმდელი ადამიანები. ეს მათ ჩაფუ-
შეს ჩვენი ოპერაცია სტაროსელსკის
გრაფისადმი „მიწერილი“ წერილის
გარშემო.

შირინკინი ამაში არ ცდებოდა. ნამ-
დვილად ისეთ ადამიანს, როგორც
ვლადიმერ ალექსანდრეს ძე იყო, ცხა-
დია, მართო გაუჭირდებოდა იმ ინტ-
რიგებში გარკვევა, რომლებსაც მის
გარშემო აწყობდნენ და ხლართავდნენ.

ცნობილია, რომ ინტრიგების მოწყო-
ბა ორლესული მახვილია ინტრიგის
ობიექტისა და თვით ინტრიგანისათვის.
ეს კარგად ესმოდა შირინკინს, ამიტო-
მაც გადაწყვიტა მომავალში დიდი და-
კვირებით და სიფრთხილით ემოქმედა.
ვიდრე თავის მდიდარი პოლიციური
არსენალიდან ყველაზე მახვილ იარაღს
შეარჩევდა, ფსიქოლოგიას მიმართა.
„ეჭვი არ არის, რომ ამ ბოლო ხანს მე-
ფისნაცვლის თვალში გუბერნატორი
პოზიციებს ჰკარგავს, მე შგონი, უკმა-
ყოფილოც უნდა იყოს მისით, — ფიქ-
რობდა ის, — საჭიროა ეს ბზარი მათ
ურთიერთობაში უფრო გაფართოვდეს
და გაღრმავდეს, ამისათვის საჭიროა
გრაფის „მტკიცეული წერტილების“
მოძებნა, მისი ხასიათის სუსტი მხარე-
ების მოსიძვრა, და, რაც მთავარია, უნ-
და გაირკვეს, უნდა მივხვდეთ, ილარიონ
ივანეს ძეს როგორი და რა ხასიათის
ეჭვი შეიძლება დაებადოს სტაროსელ-
სკისთან უშუალო ურთიერთობაში,
რომ შემდგომ ეს ეჭვი მასში დაეთესო
და „რწმუნად ვაქციო“. ამისათვის ში-
რინკინმა გადაწყვიტა მეფისნაცვლის
კატეგორიებით ემსჯელა, ასე ვთქვათ,
მის „ქურქში“ გახვეულიყო და იმ პა-
ტივმოყვარე ადამიანის პოზიციებით
ეხელმძღვანელა, რომელსაც სამეფო
კარის ინტრიგების შესანიშნავი სკოლა
ჰქონდა გავლილი. „ჩემის აზრით, —
მსჯელობდა შირინკინი, — ესე იგი
„ვორონცოვ-დაშკოვი“, სტაროსელსკი
არაკამარისი პატივისცემითა და მოწი-
წებით მეპყრობა, — თვლის, რომ ის
უფრო ჰკვიანი და განათლებულია, ვერ

ხედავს ჩემში ბრძენ სახელმწიფო მო-
ღვაწეს. ასეთი რამ განა ერთსა და ორ
მეტრიარას მოსვლია?“ „არა, არ ვარგა,
ძნელად დასამტკიცებელი ვარიანტი!
უკუვადო „გრაფის“ ეს ეჭვები ში-
რინკინმა. „...ის ყოყოჩობს, ბორო-
ტად იყენებს ჩემს ნდობას. მო-
ქმედებს ჩემი სახელით, ხალხს
ისე მოაჩვენებს, რომ მისი ყვე-
ლა კანონსაწინააღმდეგო მოქმედებანი
ჩემს მიერაა სანქციონირებული. „ორი-
ანტში“ ეს ხომ საჭვეყნოდ განაცხადა,
თანაც ტაბტის ერთგულ დამცველებს
აშინებს, ემუქრება: „მე თქვენ ვიჩვე-
ნებთ სეირს, როგორ მიბედავთ ურჩო-
ბას? მე ხომ ჩემი პირადი მეგობრის,
მისი უგანათლებულესობის მითითებით
ემოქმედებ!“ „ოჰო...! ამას თითქოს არა
უშავს რა! — წააქეზა თავისი თავი გე-
ნერალმა და განაგრძო გრაფის მაგიე-
რი მსჯელობა, — ეგვსგარეშეა, რომ ის
მეამბოხეთა იდეების გავლენის ქვეშაა,
რევოლუციონერების ხელშია... მერე-
და, რომ ისარგებლებს ჩემი ნდობით,
იმით, რომ თავისუფლად შემოესვლება
ჩემთან, კომიტეტელების დავალებას
შეასრულებს და... ამის გაფიქრებაც კი
მზარავს!.. მაგრამ ამ არეულ დროს ეს
არ გამოირიცხება. ხომ დაესხნენ თავს
ჩემს წინამორბედს გოლიცინს?!...“

— ამრიგად ჩემი მოქმედების გეზი
გაურკვეველია. — დასკვნა შირინკინ-
მა. რა ენაღვლებოდა, ან რა მნიშვნე-
ლობა ჰქონდა მისთვის, რომ ვლადიმერ
ალექსანდრეს ძისათვის, როგორც ყო-
ველი პატიოსანი ადამიანისათვის, უც-
ხო იყო ეს ყველაფერი...

— სტაროსელსკის წინააღმდეგ უნ-
და ვიმოქმედოთ უფრო წინდახედუ-
ლად და უშეცდომოდ. მისი მოსაზრებით
ჩვენ ჰუმარტი პატრიოტების ვალს
მოვიხდით, ტაბტის, მისი იმპერატო-
რობითი უღადებულესობის წინაშე
დავამტკიცებთ ერთგულებას. — ასეთი
მაღალფარდოვანი სიტყვებით დაიწყო
საუბარი შირინკინმა თავის მოადგი-
ლისთან, პოლკოვნიკ ბელიაკოვთან.

— გახსოვთ აგენტის შეტყობინება

რესტორან „ორიანტიში“? სტაროსელსკის გუბერნატორად დანიშვნის აღსანიშნავად გამართულ ბანკეტზე მან საჯაროდ რომ განაცხადა, თითქოს მისმა უგანათლებლესობამ, გრაფმა მას სრული კარტ-ბლანში უბოძა, თითქოს უთხრა: „მიდი, იმოქმედეთ, თქვენი საქმე — ჩემი საქმეა!“

— როგორ არ მახსოვს. შემდგომში კრიმ-გირეიმაც დაადასტურა, რომ გრაფმა მართლაც ასე ბრძანაო.

— ამრიგად გამოდის, — თითქოს ეს ბოლონათქვამი არც კი გაუგონიაო, განაგრძობდა შირინკინი, — რომ რასაც ის აკეთებს ღღეს ამბობების სასარგებლოდ, ყველაფერი ეს მისი უგანათლებლესობის სახელითა და დავალებით სრულდება...

— ეს როგორ? — შეცბუნდა ბელიაკოვი.

— ფანტაზია, მეტი ფანტაზია, მეგობარო!

— აა, ახლა მენიშა, — გაიღმა მოადგილემ, რაკი მიხვდა, საით უქცევს შეფი.

— ალბათ გეხსომებათ, — შექსპირის გმირმა იაგომ ოტელოსთან ბრძოლისას აირჩია ნაცადი იარაღი — ექვიანობა. პოლა, ჩვენც ვინ დავგვრახავს, თუ მსგავს რაიმე საშუალებას მივმართავთ. ჭერ უნდა ვავაგრცელოთ ვერსია, რომ სტაროსელსკი გრაფის სახელს ბოროტად იყენებს, კანონსაწინააღმდეგო განკარგულებების გაცემისას მის უგანათლებლესობას იმოწმებს, ჭეყანას ჰფენს მასთან სიახლოვისა და მეგობრული დამოკიდებულების ამბავს. ეჭვიც არ მეპარება, რომ ეს გრაფს არაფრად ეპიტნავენა. შემდეგ კი შესაბამის მომენტში ვავაგრცელებთ ვერსიას მეფისნაცვალზე თავდასხმის მზადების თაობაზე, და რომ ამის ერთ-ერთი მოთავე სტაროსელსკია. შეიძლება ამის ინსპირირებაც მოგვიხდეს.

— წუნს ვერ დასდებ, ბრწყინვალე ჩანაფიქრია! — მოიწონა გეგმა ბელიაკოვმა.

სტაროსელსკი

— თქვენ უზრუნველყავით მასხეთი ავტორული ცნობები ქუთაისიდან, მე კი ვეცდები, რომ უჩვენოდ ისინი გრაფთან მოხვდნენ.

— კი მაგრამ, რატომ არ გსურთ პირადად მოახსენოთ გრაფს?

— არავითარ შემთხვევაში! მეფისნაცვალმა იცის ჩემი დამოკიდებულება გუბერნატორთან და შეიძლება ეჭვი შეიტანოს ინფორმაციის ობიექტურობაში... დარწმუნებული ვარ, როცა მიიღებს ამ ცნობებს, თავად ჩამოაგდებს ჩემთან ამაზე ლაპარაკს, მე კი ყველა საშუალებით... დავიცავ სტაროსელსკის. — შირინკინმა შეამჩნია, რომ ამ სიტყვებმა გააოცეს პოლოცონიკი, და ღიმილით განაგრძო:

— დიახ, დიახ, დავიცავ... ამით ვუმტკიცებ ჩემს „ობიექტურობას“, და, თუ ვნებავთ, „ეკთილშობილებასაც“.

ასე გადაწყვიტეს პოლიციელებმა. სულ მალე საზიზღარი სიცრუის, ინტრიგებისა და ცილისწამების მანქანა მთელი დატვირთვით ამოძრავდა...

რამდენიმე დღის შემდეგ ვორონცოვ-დაშკოვმა გამოიძახა შირინკინი და უსაყვედურა:

— რაშია საქმე? უანდარმერისის სამართველოდან ვიღებთ ცნობებს იმის თაობაზე, რომ ქუთაისის გუბერნატორი თურმე ჩვენ გვიმოწმებს რაღაც კანონსაწინააღმდეგო აქციების ჩატარებისას, თითქოსდა ჩვენ მივეცი თათზე სანქცია. ეს ჩირქს სცხებს ჩვენს ავტორიტეტს, თქვენ კი, ჩემმა თანაშემწემ პოლიციის დარგში, არაფერი იცით ამის შესახებ, კიდევ მეტი, ჩვენამდე მოაღწია ხმებმა, რომ მზადდება რაღაც ბოროტება, წარმოუდგენელი ამბავია, პირადად ჩემს წინააღმდეგ, და ვინ გგონიათ, ვის ასახელებენ ამ აქციის სულისჩამდგმელად და უშუალო შემსრულებლადაც კი?... თვით გუბერნატორს!

აქ შირინკინის სახეზე გულწრფელი გაოცება და წყენა აღიბეჭდა. მცირეოდენი დუმილის შემდეგ მან დაიწყო:

— თქვენო უგანათლებლესობა!

ანალოგიური ცნობები ჩვენც, პოლიციაშიც, მივიღეთ, მაგრამ მე არ ვცანი საჭიროდ მომეხსენებია თქვენთვის. უპირველესად ყოვლისა იმიტომ, რომ არ ჩავთვალეთ ყურადღების ღირსად, ეს ყველაფერი გუბერნატორის მიმართ უღირს ცილისწამებად მივიჩნიეთ. აბა, თქვენ თვითონ განსაჯეთ, მართალია, სტაროსელსკიმ შეიძლება თავს ბევრი რამის უფლება მისცეს, მაგრამ საკუთარ მფარველსა და მწყალობელს რომ ასე უმუხტლოს, მისდამი ასეთი უღირრობა გამოიჩინოს, ეს დაუკერებლად მიმაჩნია. მე აქ მომახსენეს, რომ თავის დროზე, როცა ქუთაისის გუბერნიის ტერიტორიაზე დედოფალ-იმპერატორის მარია თევდორეს ასულს უნდა გაეცლო, პეტერბურგიდან ადგილობრივი პოლიცია მკაცრად გაუფრთხილებიან განსაკუთრებული მეთვალყურეობის ქვეშ აეყვანათ საქარის სანერგე, მთელი მისი პირადი შემადგენლობა და განსაკუთრებით სტაროსელსკი, ვინაიდან მათგან „შეიძლებაო მოველოდეთ ყოველგვარ გამოხდომას, თვით ტერორისტულ აქტსაც კი“.

— მერე?

— მერე არაფერი, მადლობა ღმერთს, ყველაფერმა მშვიდობიანად ჩაიარა. როგორც ჩანს, ვარაუდი მცდარი იყო.

— ხოო... — გააგრძელა შეცბულულმა გრაფმა, სახე გაუფითრდა.

— ეს ცნობები არ მოგახსენეთ სხვა მიზეზითაც, — დამშვიდებით, ვითომც არაფერიო, — განაგრძობდა შირინკინი. აქ მან განზრახ დიდი პაუზა გააკეთა.

— რა მიზეზით? — მოუთმენლად იკითხა გრაფმა.

— თქვენ რატომღაც მიგაჩნიათ, რომ მე ობიექტურობა მალატობს ვლადიმერ ალექსანდროვიჩის მიმართ. პირდაპირ გეტყვით, ეს ფრიალ მალონებს. გრაფს შეეტყო, რომ შირინკინის ასეთი „გულწრფელობა“ მოეწონა.

— რასა ბრძანებთ? რასა ბრძანებთ?... როგორ მოგივიდათ თავში მსგავსი რამ?! — პროტესტის ნიშნად მან ხელები გაასავსავე, და იმისათვის, რომ ექვი ბოლომდე გაეფანტა, დაუმატა:

— წაბრძანდით, დარწმუნებული იყავით, რომ მე თქვენი მჭერა და ყველაფერში გენდობით... ხო, კიდევ ერთი რამ მინდოდა მეთქვა... ყოველ შემთხვევისათვის დააყენეთ საკითხი სასახლის დაცვის გაძლიერების აუცილებლობის შესახებ.

ეს შირინკინმა ისე გაიგო, რომ უნდა დადგესო საკითხი „ჩემი დაცვის გაძლიერების შესახებო“.

და სწორადაც გაიგო...

თავი 20

მეგობრები კვლავ ერთმანეთს ხვდებიან. დროზე გააფრთხილეს. ორთაბრძოლა ტყეში. სიყვარულის აღიარება.

მატარებელი ქუთაისის სადგურს უახლოვდებოდა. ნინოს მოუთმენლობა სულ უფრო მეტად ემჩნეოდა. რაშია საქმე?! რაღაც უცნაური, დღემდე არგანცდილი მღელვარება მთელს მის არსებას ეუფლებოდა. ხან თავში სისხლი მოაწვევბოდა და გული გამალეხით აუძგერდებოდა, ხან სული ეხუთე-

ბოდა, ჰაერი არ ჰყოფნიდა, ფიორდებოდა. „ღმერთო ჩემო, ეს რა შემართება?! — ეკითხებოდა თავის თავს, მაგრამ პასუხის გაცემას რატომღაც ვერ ბედავდა, ეტყობოდა, ასე უცებ აღძრულმა გრძნობებმა დააბნია, სადღაც შეაშინა კიდევ, ცდილობდა სხვა რამეზე გადაეტანა ფიქრები. მზერა მი-

აპყრო ვაგონის სარკმელში გამოჩენილ პეიზაჟებს, მაგრამ რა გამოვიდა?!... ვერაფერს ხედავდა... ვერ აღიჭვა ეს სილამაზე...

გაისმა მატარებლის ბუფერების ქაბახ-ქუხი, მუხრუჭების ღრქიანი და შემადგენლობა სადგურის ბაქანთან გაჩერდა. აქ ჩვეულებრივი ხალხმრავლობა არ იყო. მხოლოდ პატრული აქეთ-იქით მიდი-მოდიოდა და თითო-ორი-ლა დამხველრი ჩანდა. მათ შორის ვასია არ იყო. „ეს როგორ? რატომ არ დამხვედა?“ — გაიფიქრა ნინომ და დაუოკებელმა წყენამ აიტანა. თვალეზზე მდლარე ცრემლები მოადგა... გაბრაზებულმა დაავლო ხელი ფუთას და ვაგონიდან ჩამოვიდა; გზას გაუთავა, უცებ ვიდაცა შეუმჩნევლად წამოეპარა, თვალეზზე ხელები ააფარა. ნინომ იგრძნო მისი ხელების სითბო და გაირინდა, გაყუჩდა. მერე კი რატომღაც ჩურჩულით იკითხა:

— ეს შენა ხარ, ვასო?

— მიცანი?! — გაიცინა მან და ახლა ნინოს წინიდან დაუდგა. მართალია, ქალიშვილმა გახარებული მხერა და ღიმილი შეაგება, მაგრამ ვაჟმა კოცნა მაინც ვერ გაუბედა, მხოლოდ მისი პატარა თბილი ხელი თავის ხელში შეაჩერა. ნინომ ნელა, მაგრამ მტკიცედ გამოითავისუფლა იგი.

სადგურიდან, პატრულსა და ჩაფრებს რომ ასცდნოდნენ, მიხვეულ-მოხვეულ ქუჩაბანდებით ქალაქკარეთ გავიდნენ. გზაში ვასილი წამდაუწუმ ხელს ჯიბეზე ისვამდა.

— რევოლვერია?

— ჰო.

მალე ქალაქი უკან მოიტოვეს, ავტო სალორის ტყეც გამოჩნდა. მისკენ ჭკუფ-ჭკუფად და ცალ-ცალკე ხალხი მიედინებოდა. ვის კალათა ეჭირა, ვის ჩანთა და პარკი. იმან, ვინც არ იცოდა, რაშიც იყო საქმე, იფიქრებდა, სადღაც დროს გასატარებლად, საქეიფოდ მიიჩქარიანო.

მალე ნინო და ვასილი ტყემ შეიფა-

რა. აქ მოულოდნელად შეხვედნენ ვეგ-მიანა:

— ახალგაზრდებო, საით?

— საით და ტყეში, — უპასუხა ღიმილით ვასილიმ.

— საით-მეთქი? — ახლა უკვე მკაცრად წამოიძახა ხის უკან მდგარმა და საფარიდან გამოვიდა. მაღალი, ხმელ-ხმელი ჭაბუკი იყო. ვასიას რომ დააკვირდა, ეტყობა იცნო, და ამჭერად შეგობრულად მიმართა:

— რატომ არ იძლევი პასუხს?

— ქეიფი გვაქვს. თორმეტმა ამხანაგმა უნდა შევიყაროთ თავი. — ღიმილით გამოეპასუხა იგი.

— მობრძანდით, მეცამეტე იქნებით. აი ამ ბილიეს გააყევით:

ისინი გზამ მალე ფართე მინდორთან მიიყვანა. აქ იმოდენა ხალხს მოყვარა თავი, რომ ტევა არ იყო, ზოგი საუბრობდა, ზოგიც ბალახზე მხართემოზე წამოწოლილი, სახელდახელოდ საჭმელს შეეჭყოდა. ჭკუფი ხალხისა „ვარშავიანკას“ მღეროდა.

...სისხლიან ბრძოლას, მართალს და წმინდას,

მუშავ, აუწყე დღეიდან ფეხი...

მერე ერთი ჭაბუკი მკვირცხლად აცოცდა ტოტეზაყრილ ვეება მუხაზე და ხმამალა შესძახა:

— მეგობრებო, ამხანაგებო! სმენა იყოს და ვაგონება!

ყველამ მუხასთან მოიყარა თავი.

— ცენტრიდან ამხანაგი იასონი ჩამოვიდა. სიტყვა მას მიეცეთ.

სტუმარი შეახნის ჩაფსკენილი მამაკაცი იყო, შავი ბლუზა ეცვა, შარვალი ხრომის ჩექმაში ჰქონდა ჩატანებული. მარჯვენა ხელი შეხვეული ჰქონდა. ხეს რომ მოუახლოვდა, ამხანაგების მხრებს დაეყრდნო და ერთ მსხვილ ტოტზე, მარდად მოექცა, ფეხზე გაიმართა, ჯანსაღი ხელი მუხის ტანს მოხვია, თავისი თაფლისფერი, მოკიაფე თვალეზით დაკვირვებით შეათვალიერა შეკრებილნი და დაიწყო:

— რაც პირადად ვნახე და განვიცა-



დღე, მეგობრებო, იმის მოყოლა მსურს. ეს ეხება თბილისის საქალაქო გამგეობაში მომხდარ უბედურებას, სისხლისღვრას. ყველაზე აღმაშფოთებელი ის არის, რომ ამაში ხელისუფლება თვით ჩვენ, დაზარალებულებს გვდებს ბრალს, გაღმა შეედავე, გამოღმა შეგრჩებაო. ვითომდაც არ დავემორჩილეთ და პირველებმა ჩვენ ავუტყხეთ სროლა კახაიებს. ეს ყოვლად უსინდისო სიცრუეა, ცილისწამებაა. თუკი მართლაც გაისროლა ვინმემ, ეს უთუოდ დაჭირებული პროვოკატორი იყო. ამით ამართლებს ამ „ოპერაციის“ ხელმძღვანელი გენერალი იაცევიჩი სისხლიანი სასაჯლოს მოწყობას იმ ავადსახსენებელ დღეს, ოთხას კაცამდე უდანაშაულო ადამიანის მოკვლას და დაჭრას.

შეკრებილთ ეტყობოდათ ორატორის ეს სიტყვები გულში ხვდებოდათ, დაუყოლებელ სიძულვილსა და აღშფოთებას იწვევდა და გაისმოდა მათი მრისხანე გუგუნი.

— მეგობართა დაღვრილი სისხლი შურისძიებისაკენ მოგვიწოდებს, — განაგრძობდა იასონი, — რამდენმა დედამ დაკარგა შვილი, ბევრნი სახლში დასახიჩრებულნი დაბრუნდნენ. ცარიზმმა უნდა აგოს პასუხი ამ ბოროტ-მოქმედებისათვის. ამ შემადარწუნებელმა ამბავმა ბევრს აუხილა თვალი, ბოლოს და ბოლოს დაარწმუნა ისინი, რომ თვითმპყრობელობას იარაღით ხელში უნდა ებრძოლო. აი, რა არის ნათქვამი ამის გამო რსდმპ კავკასიის კავშირის იმერეთ-სამეგრელოს კომიტეტის პროკლამაციაში, — ორატორმა უბიდან ფურცელი ამოიღო და კითხვა დაიწყო: ამხანაგებო! გული სცდება, სული გეხუთება და სისხლი თავში გაწეება, როცა ეს თავზარდამცემი ამბები გესმის, როცა ამ ჭოჯობითურ საშინელებას ხედავ, მოთმინების ფილა მხამითა და გესლათ ივსება... ჭალათთა სისხლი გვწყურია, მათი გამოზილი გულის ნახვა გვწადია. ამხანაგების სიკვდილი გულს გვიღრღნის და სულს გვიშფოთებს... მაგრამ არ შეგვაშინოს ამან, ამ

ახალმა სისხლის ნაკადულმა არ დაავსროს ჩვენს გულში ანთებული რევოლუციური ალი, არ შეასუსტოს ჩვენი მარჯვენა — საბრძოლველად ამართული. მეტი შეუპოვრობით, მეტი გააფთრებით, მეტი ბრაზითა და შურისძიებით გავექანოთ ჩვენ დაზოცილი ამხანაგების სისხლის ასაღებად. სიკვდილი ყოველთვის თან გვდევდა ჩვენ, ეს ჩვენთვის არ ახალია, — ძველია, მაგრამ ყოველი სისხლის წვეთი უფრო და უფრო ანთებდა ჩვენს გულში ბრძოლის ალს. აი ეს ალი დღეს ცეცხლის ზღვად გადაიქცა, მან წარღვნა მთელი რუსეთი, მთელი კავკასია... დღევანდელი დღე შეიარაღებული აჯანყების დღეა... დაყოვნება ყოვლად შეუძლებელია, მეომარნი ყოველი მხრიდან იარაღს ითხოვენ... სარევოლუციო ჯარი დარაზმულია, საჭიროა მხოლოდ იარაღი.

ამხანაგებო! ნუ დავზოგავთ ნურავითარ საშუალებას, ნურც დროს, ნურც ძალას, ნურც ფულს, უკანასკნელი პერანგი გავვიდოთ. რევოლუცია მხოლოდ იარაღით გაიმარჯვებს და ჩვენ ყოველგვარი საშუალება ვინმართთ მალე ავუშვათ შეიარაღებული აჯანყების დროშა...

გ ა უ მ ა რ ჯ ო ს შე ი ა რ ა ლ ე ბ უ ლ ა ჯ ა ნ ყ ე ბ ა ს ! ...

დი დ ე ბ ა და კ ა ტ ი ვ ი და ზ ო ც ი ლ ა მ ხ ა ნ ა გ ე ბ ს ! ...

ს ი კ ვ დ ი ლ ი მ ტ ა რ ვ ა ლ თ ! ს ი კ ვ დ ი ლ ი მ კ ვ ლ ე ლ თ ...

ნინო და ვასია, უნებლიეთ ერთმანეთს ჩაკრულნი, სულმოუთქმელად უსმენდნენ ორატორს. უცებ ქალიშვილმა უფრო იგრძნო, ვიდრე დინება, რომ ხეებს შორის ნაცნობმა ლახდმა გაიღვია. „არა, ეს შეუძლებელია!“ — შეეცადა თავიდან განედევნა უსიამოვნო მოჩვენება, მაგრამ ახლა უკვე სულ ახლოს გამოჩნდა ნაცნობი ფიგურა. და ბუჩქნარს ამოეფარა.

ნინო ორატორს აღარ უსმენდა, ვასიას ჩამოსცილდა, შეშფოთებით აცქერდებოდა შავ ლანდს. ვასილიმ თვა-

ეროვნული

ლი გააყოლა ნინოს მზერას, და ვერაფერი საეჭვო რომ ვერ დაინახა, გოცებულმა იკითხა:

— რაშია საქმე? ნაცნობს მოჰყარი თვალი?

— ჰო... არა... არაფერია... — მონუსხულივით, რაღაც გაურკვეველად უპასუხა ნინომ, თან თვალს არ აშორებდა იმ ადგილს, სადაც ის ვილაც მიიშალა. მერე მოულოდნელად დაუმატა:

— ვასო, მგონი, გვითვალთვალელებ... —

— მაინც და მაინც ჩვენ? — ირონიულად შენიშნა ჭაბუკმა. — სისულელა! შეგეშინდა და ეგ არის.

— შენ ვინ გგონივარ? — იწყინა ნინომ.

— ნუ გწყინს, ვხუმრობ — დაუყვავა ვასილმა და მხარზე ხელი ალერსიანად გადახვია. გოგონამ ფრთხილად მოიცილა. რაღაც გაურკვეველმა შიშმა აიტანა, გუჟანით იგრძნო, რომ ეს სასიხარულო და ბედნიერი წუთები შეიძლება უბედურებად გადაქცეოდათ. უცებ, რატომღაც დედის სიტყვები გაახსენდა, როცა ნინო განსაკუთრებით კარგ ხასიათზე იყო და ბევრს იციხობდა, შეიღს გააფრთხილებდა ზოლმე:

„გეყოფა ამდენი სიცილ-კისკისი, რამე არ გეწყინოსო!“

რალა თქმა უნდა, ეს გაუნათლებელი ქალი არ იცნობდა ფრანგი მეცნიერი-იდეალისტის რობინეს შრომებს, რომელიც თვლიდა, რომ ამქვეყნად ყველაფერი — სიკეთეცა და ბოროტებაც, ბედნიერებაცა და უბედურებაც, სიხარულიცა და სევდაც, რაღაც ფატალურ წონასწორობაშია.

ნინო შეეცადა განედევნა უსიამო ფიქრები. „იქნებ მომეჩვენა?“ — სცადა თავის დამშვიდება. — „არა, არ მეშლება“, — მტკიცედ და თითქმის ხმა-მალლა წარმოთქვა მან.

— ვასია, როგორღაც თავს შშვიდად ვერ ვგრძნობ, გთხოვ, წავიდეთ აქედან! — დაყინებით მოითხოვდა გოგონამ.

ამ დროს ხესთან მზირმა მოიბრინა

და კრების თავმჯდომარეს რაღაცა ქანასწორჩულა. იმან ხელი ასწია, ყურადღება ითხოვა და დინჯად დაიწყო:

— ამხანაგებო, ამწუთს შეგვატყობინეს, რომ ვილაცამ გაგვცა და ძალე აქ კაზაკები გაჩნდებიან. სასწრაფოდ უნდა დავიშალოთ. ვისაც იარაღი და პროკლამაციები აქვს, გადამალეთ.

სულ ცოტა ხანში ყველაფერი ამოძრავდა, აირია... ნინომ ვასილის ხელი სტაცა:

— ძალიან გთხოვ, გადააგდე იარაღი! — ვასილი შეუყოყმანდა.

— თუ გიყვარვარ! — თავისდაუხებურად აღმოხდა ნინოს და ჭაბუკს მიეკრა.

ვასილიმ რეველვერი სწრაფად გაახვია რამდენიმე პროკლამაციაში, ცხვირსახოცში შეფუთა და ბუჩქებში შეშალა.

— ეცადე, ეს ადგილი დაიმახსოვრო, — წყნარად უთხრა ნინოს.

მინდორი ელვის სისწრაფით დაცარიელდა. ნინომ თავის ფუთას ხელი დაავლო და ვასილის აედევნა. უკან იმავე ბილიკით დაბრუნება გადაწყვიტეს.

უეცრად ვილაცა ვასილის უკანიდან წამოეწია, ეცა და მიწაზე დაანარცხა, მოთელა, უმოწყალოდ ცემა დაუწყო. მოულოდნელობისაგან ნინომ შეჰკივლა.

— ტიტე, რას ჩადიხარ, გევედრები, გაუშვი! — ისტერიულად იკვილა ნინომ.

ვასილმა იმარჯვა და ტიტეს მუცელში წიხლი ამოსცხო. ის სიმწრისაგან მოიკრუნჩხა. ნინომ დაინახა მისი გაფითრებული, ტკივილისაგან შეშლილი სახე; ტიტე საშინელი სანახავი იყო.

ვასია ფეხზე წამოხტა, მაგრამ ტიტემ კვლავ ეძგერა, მიწაზე დაანარცხა და ყელში სწვდა...

— არამზადავ! მხეცო, რას სჩადი?! — შეჰკივლა ნინომ, ამ სასოწარკვეთილმა, ბევრის მთქმელმა შეძახილმა ტიტეში გრძნობების აღრევა გამოიწვია. მასში ერთდროულად სიძულვილისა და... სიყვარულის დაუოკებელ-

მა გრინობებმა იფეთქეს და ერთმანეთს შეჭახებულებმა მესამე—შურისძიების სურვილი გამოკვეთეს, სურვილი იმისა, რომ თავის მსხვერპლს უცებ კი არ გასწორებოდა, დაეტანჯა, დამტკბარიყო იმით, თუ როგორ ნელა აღმოხდებოდა სული. ტიტემ ცოტა ხელიც კი შეუშვა ჭაბუკს, ამოსუნთქვის საშუალება მისცა. ვასია კი ის კაცი არ იყო, რომ, დამინდეთ, ეთხოვა, ან საშველად მოეხმო ვინმე. უხმოდ იტანჯებოდა, ღონეს კარგავდა, სახედასისხლიანებული მოძალადეს ძაინც უმკლავდებოდა. ნინომ არ იცოდა, რა ელონა, უაზროდ დარბოდა მოჩხუბრების ირგვლივ. შემდეგ ცოტა ხანს ერთ ადგილას გაჩერდა, აქეთიქით დაიწყო ცქერა, თითქოს საიდანმე შველას მოელისო. უეცრად მზერა ბალახზე დაგდებულ ვასიას სათვალეზე შეაჩერა. დაბნეულად ხელში აიღო და კაბის კალთით დაუწყო წშენდა. შემდეგ ვასიას გახედა, ჭაბუკი მას მიშტერებოდა. ღმერთო! როგორ უყურებდა!.. თითქოს მხოლოდ ეხლა გამოუტყდა ნინო თავის თავს: — „მე ხომ ის მიყვარს!.. თავდავიწყებამდე მიყვარს! — ლოცვასავით ჩურჩულებდა ქალიშვილი. საიდანლაც ერთბაშად მოზვავებულმა გრინობებმა არაადამიანური ძალა შემატა. გაფთვრებით, ძუვეფხვივით ეძგერა ტიტეს, ხელემში ჩააფრინდა, სახეს უკაწრავდა, კმებდა... ტიტემ გამწარებით, მაგრად ჰკრა ხელი და მოცელოლივით მიწაზე დაანარცხა. ნინომ გონი დაქარგა. რამდენ ხახს იყო ასე, არ იცოდა. ვასილის ყრუ კენსამ გამოარაკვია. მყისვე ფეხზე წამოხტა. ტიტე შუბლიდან ხელით ოფლს იწმენდა და თან გამეტებით წიხლავდა თავის მსხვერპლს. ის უკვე არ იძვროდა...

„ვასია მომიკლა... „გაუელვა ნინოს და შურისძიების მწველი გრძნობა მთელს მის არსებას დაეუფლა. „რა კენა, რით მიუზღო საზღაური ამ მკვლელსა და ჭალათს, როგორ გავუსწორდე?!“ — ეს ფიქრები უტრიალებ-

და თავში, როცა უეცრად გახსენდა რევოლვერი! ვასიამ ხომ აქვე ბუჩქში ჩამალა. ძებნა დაუწყო და აი, შავად მოლაპლაპე ნაგანი ხელთ აქვს... დინჯად დაუმიზნა ტიტეს... მაგრამ დასუსტებულ თითებს სასახლეტი არ ეძორჩილება. მაშინ მეორე ხელიც მიაშველა... თვალები დახუჭა... თითქოს სროლის ხმა არც გაუგონიაო: რალაც უცნაურ ყრუ სიჩუმეში დაინახა, როგორ შეტოკდა სახეგავითრებული ტიტე, დაეცა და გაირინდა. საფეთქელიდან სისხლი სდიოდა.

ქალიშვილმა იარაღი გადაადგო და ვასოსთან მიიჭრა. უბედურს, სიცოცხლის ნიშანწყალი ძლივს შერჩენოდა, მძიმედ სუნთქავდა. ნინომ იფიქრა, სროლის ხმა კახაყების ყურადღებას მიიპყრობსო, მით უმეტეს, რომ ცხენების ჭიხვინი და ფლოკვების თქარათქური შორიდან უკვე მოისმოდა. 'შიშმა ახალი ძალა შემატა. რის ვაივაგლახით მოლვენთილი და დამძიმებული ვასილი მოაკილა იქაურობას, მთშორებით გადაათრია. უხმოდ იფუფქებოდა. თვლებიდან ცრემლები ღაპალუპით სდიოდა. ცხვირსახოციტ გასისხლიანებულ სახეს უწმენდა და თახნაზად ეფერებოდა, ესოყვარულდებოდა. ქერა ქოჩორზე ხელს უსვამდა. ბოლოს სიყვარულის ძალამ ქალიშვილურ მორცხვობას სძლია და შუბლზე ეამბორა და აი, საოცრება... ვასილიმ თვალები გაახილა.

— ვასო, შენი ჭირიმე, შენ გეხაცვალე! — ჩურჩულებდა ნინო და თავდავიწყებით უტოცნიდა თვლებს, დალტურჯებულ და დასისხლიანებულ ტუჩებს...

— წყალი... წყალი... — დაიკვებესა ჭაბუკმა.

ნინო წამოხტა, უმწეოდ მიმოიხედა. რა ქნას? რა იღონოს? მართალია, ძღინარე ახლოა, მაგრამ მომაცვდავი ძარტო როგორ დატოვოს?

— წყალი... — კვლავ ამოიკვებესა ვასილიმ.

ნინო იქვე დაგდებულ ფუთას, დე-

ეროვნული

დამ რომ საგზალი გამოატანა, დასწვდა, გახსნა, ლობიოთი სავე თიხის პატარა ქოთანის გაღმობირქვა, კიდევ ერთხელ აკოცა ვასილის.

— ახლავ, ჩემო კარგო... ცოტა ძოთომინე... და მდინარისაყენ გავეჩახა.

მირბოდა ისე, რომ ვერ გრძობდა, მაცულის ბუჩქის ეკლები ფეხებს როგორ უყარავდნენ, კაბის კალთებს ახვედნენ, ტოტები სახეში წყებლებით სცემდნენ.

— ჩქარა... ჩქარა... — ამხნეებდა თავს ნინო და წინ მიჰქროდა. შაგრამ აი, უცებ იგრძნო, რომ მეტი აღარ შეუძლიან, ძალა გამოეღია, გული ყელს მიებჯინა, სუნთქვა გაუჭირდა, ერთი ნაბიჯიც და გონს დაკარგავს... შეჩერდა... ქანცმილეული შეტორტმანდა და ძირს დაეცა...

ვინ იცის, რამდენ ხანს იწვა ასე, შაგრამ დანისლულ გონებას და თითქმის დახშულ სმენას მისწვდა მდინარის რაკრაკი... და თითქოს ვიღაცამ ჩასჩურჩულა: „წყალი... მწყალი მალე. შეხს ვასოს წყურვილი კლავს!“ გოგობა წამოხტა, ქოთანს დაავლო ხელი და ისევ გაიქცა. აი, მდინარეც... ნინომ წყალში ჩარგო გახურებული სახე, რამდენიმე ყლუბი მოსვა, სწრაფად გაავსო ქოთანი და უკან გაქანდა.

შაგრამ რაშია საქმე?! იქ, სადაც ვასილი დატოვა, არაეინაა. ტიტეს გვამიც სადღაც გამქრალიყო. აქეთ ეცა, იქეთ ეცა, გაოგნებული, ზღუჭუხით უკან მობრუნდა. „ნუთუ გზა ამებხა?“ — გაუღელვა. „შაგრამ მაშინ ჩემს ფუთას აქ რა უნდა? აგერ ძირს დაყრილი ჭადი და ყველი“.

ირგვლივ სიჩუმეს დაესადგურებოდა. მას მხოლოდ ჩიტუნების ელურტული არღვევდა, გეგონებოდათ, ერთმანეთს რაღაც ამბავს უზიარებენ, ჭორაობებო. აი, ჩიტუნა იქვე ნინოსთან ტოტზე შემოსკუბდა. „ამას ნამდვილად ეცოდინ-

ნება, რა იქნა ჩემი ვასო...“ მანდ გაიფიქრა გოგონამ და უცებ მთელს მის არსებას სიმარტოვის სიმწარე დაეფუფლა. სასოწარკვეთილებით შეჰყვირა:

— ვასო... საყვარელო! სადა ხარ? ვასო!.. ვასო!.. ხმა გამეც!

ტყე მოყრუებულად იმეორებდა: „ვასო!.. ვასო!.. ვასო!.. სადა ხარ?!“

ნინო დიდხანს შეჰლაღებდა ტყეს, მდელს, უხმობდა თავის შეყვარებულს. მერე მიწაზე დაემხო, ბალახში თავი ჩარგო და მწარედ, ჩუმად მოთქმა დაიწყო. გეგონებოდა შესჩიოდა, უზიარებდა ამ მწვანედ მოლახან ბალახს, მინდვრის ყვავილებს — გვირილებსა და შროშანებს, თავის უბედურებას, ასე უდიერად პირველი სიყვარულის ზღურბლზევე თავს რომ დაატყდა.

მერე იყუჩა, მიინაბა... შაგრამ, ჰოი საოცრებავ! ამას რას ხედავს? აი გამოხსნა ის, არა, კი არ მოდის, პაერში მოკურავს: მომღმარი, ბედნიერებით გაიცისკროვნებული, ასეთი ახლობელი და საყვარელი, მიუახლოვდა ხიხოს, გვერდით მიუჯდა, მერე სულ ახლოს წამოწვა ხასხასა ბალახზე. ქალიშვილს სურს მოერიდოს მის აღმოდებულ სხეულს, შაგრამ არ შეუძლია, ძალა არ შესწევს. რაღაც ანდამატოვით იზიდავს თავისკენ. აი აღერსით თმაზე ხელი გადაუსვა, ყელზე მოუთათუნა, მკერდს შეეხო... მერე შაგრად ჩაეხტა, გაძძაგებით კოცნა დაუწყო. უკოცნის თვლებს, კისერს, ტუძებს. მას კი ეს რა ეპართება? ნუთუ არ რცხვენია? თვითონაც ეკრობა ჭაბუკს, აღერსზე აღერსით პასუხობს... მერე ორივენი ვნებათა ტალღამ სადღაც გაიტაცა... ხიხომ თვალეები გაახილა. ფეერიულ ზმანებათა ტყვეობაში მყოფი ნინო ერთბაშად ვერ გამოერკვა, სად არის, რა

ხდება მის თავს, სიხარულსა და ბედნიერებას მოუცვია მისი არსება... და აი, მწარე სინამდვილე უფრო მძაფრადა და გაშიშვლებულად წარმოუდგა თვალწინ. წამოდგა, დიდხანს იღვა დაღუმებული, მწარედ ჩაფიქრებული, ერთ წერტილს მიჩერებული. არ იცოდა, რა ელონა, რა მოემოქმედა... მზე-რა წყლით სავსე თიხის ქოთანზე შეა-ხერა და უცებ ანგარიშმიუცემლად რა-ღაც სიბრაზით დასწვდა მას და შიშაზე დაანარცხა. ქვეს მიეხალა და ყრუ ქა-ხანით შუაზე გაიპო. ნინო შეკრთა: ამ ხმამ უნებლიედ საზარელი სურათი გა-ახსენა — ბათუმის ქუჩაზე მის თვალ-წინ კახაკმა ისეთი გამეტებით ჩასცხო კონდახი დემონსტრაციის ერთ-ერთ მონაწილეს, რომ ორად გაუშო თავი „ნუთუ ვასოსაც იგივე ბედი ეწია? და ახლა მკვდარი ავღია აქ?!“ ეს სურათი ისე ცოცხლად წარმოიდგინა, რომ სწრაფად ამ საბედისწერო ადგილს გა-ეცალა. რაღაც ანგარიშმიუცემლად ქა-ლაქის გზას დაჰყვა. დარდასა და სასო-წარკვეთას ატანილი ნინო საშინელი სა-ნახავი იყო. გაჩეჩილი, კუბრივით შა-ვი დალალები ძაძებივით ჩამოშლოდ-ნენ მომაკვდავივით გაფითრებულ და-წვებდაკაწრულ სახეზე, თვალებიდან ცრემლი დაბალუბით სდიოდა, მკლავე-ბი დამბლადაცემულივით ტანის გასწვ-რივ უსიცოცხლოდ ეკიდა, კაბა ერთი-ანად შემოფლეთოდა... ახლახან მძიმე სენმობილივით ფეხებს ძლივს ად-გამდა.

მზე, რომელსაც დღის საქმეები უკ-ვე მოეთავებინა, ახლა დასასვენებლად განეწყო, მოქანცული და დაღლილი მიწას უნიათო, ცივ, წითლად მოკიაფე სხივებს ჰფენდა. ალბათ ამიტომაც მოეჩვენა ნინოს, რომ ის უშველებელ ბრძოლის ველზე მიაბიჯებს: საითაც არ გაიხედავ, ყველგან სისხლია. წით-ლად არეკლილი მზის სხივები წყლის

გუბეში სისხლის გუბედ ეჩვენებოდა. ქარზე მოქანავე ხეებიც კი დაჭრილ, გასისხლიანებულ გოლიათებად ესახე-ბოდა...

ნინო ბრუნდებოდა ქალაქში და ყვე-ლაფერი ირგვლივ იმ ბედნიერების წუთებს აგონებდა, როცა ვასოსთან ერ-თად აქეთ მოდიოდა და ახლა დახაკარ-გით გამოწვეული სიმწვავე უათკაცდებოდა. თითქოს ყველაფერი მეორადებოდა, აი, ამ მოსახვევთან ვასია გაუ-ბედავად შეეხო იმის მკლავს და ამ მო-კარებამ ნინოს სუნთქვა შეუკრა, ტან-ში გააერყოლა. უნდოდა, რომ ვაეს ხელკავი გაეკეთებინა, მაგრამ დაირცხ-ვინა და თავად ზელი დაუშვა...

აქ კი, ამ ნაძვთან, გასაოცრად აღერსიანად და თბილად შეხედა. ნი-ნოს ესიაშოვნა ეს, მაგრამ რატომღაც ცივი და თითქმის მკაცრი მზერა შეა-გება...

აი, აქ, ამ ქვესთან ჩამოსხდნენ სუ-ლის მოსათქმელად. მან შეამჩნია, რომ ვასილის მის უცაბედად გაშიშვლებულ მუხლისკენ გაეპარა თვალი და სასწრა-ფოდ კაბა გაისწორა...

ამ ნაღვლიანი მოგონებებით შეკუ-რობილმა ნინომ ვერც კი შეამჩნია, რომ მიწყნარებულ და როგორღაც და-სევდიანებულ ქალაქს მიაღწია. ქუჩებს დაუყვა... გამელელი მას ზოგი გაოცე-ბითა და ზოგიც თანაგრძნობით შესე-ქროდა. „ვისთან მივიდე, ვის გავუზი-არო ჩემი უბედურება?“ — ფიქრობდა გოგონა... და როგორღაც თავისდაუნე-ბურად საგუბერნატორის შენობის ეზოში აღმოჩნდა. „ქალბატონი ნადეჟ-და, აი, ვინ გამიგებს, ვინ მითანა-გრძნობს“...

— რა დაგემართა შვილო, ჩემო გო-გონავ, — წამოიძახა ნადეჟდამ და ნი-ნო გულში ჩაიკრა.

— ვასო... ვასო მოკლეს... — ძლივს წაილულულა ნინომ.

— რას ამბობ, ჩემო კარგო, ვასო ჩვენთანაა, კახაკებმა მოიყვანეს. შართალია, კარგად ვერ არის, მაგრამ ცოცხალია...

— ცოცხალია?.. აქ არის?.. როგორღაც გაოგნებულმა გაიმეორა ნინომ, დაბარბაცდა და იქვე გულწასული მუხლებში ჩაიკეცა.

— მომეხმარეთ, გოგოებო! — შესძახა ნადეჟდამ ქალიშვილებს, და ნინოს ხელი შეაშველა.

ყველანი გოგონას მიგარტყნენ. როგორც იქნა, ტახტთან მიიყვანეს და წამოაწვინეს. ერთი წყალზე გაიქცა, მეორემ ნიშადურის სპირტი მოარბენინა. საბედნიეროდ, აქ ექიმი ვანო გომართელი აღმოჩნდა, რომელიც ვასილთან მოსულიყო. მან სასწრაფოდ ნინოს ნემსი გაუკეთა და ისიც მალე მოსულიერდა, ლოყები შეეფაკლა, თვალები გაახილა, გაიღიმა, საბუზე ბედნიერება აუკიაფდა.

□ ბ ა ზ რ ა მ ლ ი ზ ა ი მ ნ ი ა □

მანტანა ჯანაყანი

კარგად მახსოვს ყველაფერი,
ყველამ ერთად გამიღიმეთ,
და წავიდა ეს ცხოვრება
ნაბიჯ-ნაბიჯ, იმედ-იმედ.
ცოტა ცასაც შევეჩვიეთ,
ცოტა მიწაც დაეამძივით,

ცოტა თავიც მოვიტყუეთ
იმედ-იმედ-იმედ-იმედ.
ფარჩა უნდა გაგიფინო —
განა ტილო, განა ჭვავო, —
ჩემი დაიმედებული
თავი უნდა განაცვალო.

გრიგალმა თავი აიშვა,
ქარბუქი გაკადნიერდა,
ქარაშოტები ამხედრდნენ ტყეების დასალიერთან,
აჯანყდნენ ქართველები,
ქვეყანა მიაქვთ ქარიშხლებს,
ერთ ამბავშია მისტრალი;

მერეხი დელგმას არისხებს,
მეწყერმა მთების ლანქერი ნიაღვრებს ჩამოუღაგა,
ტაიფუნი და ციკლონი მიჰყიფინებენ ურაგანს,
აიკლეს შემოგარენი — საწმო და სალოლიაო...
რომელ ერთს გადაურჩები,
ჩემო დაია იაო?!

ისე ვარ, როგორც მკითხულობ,
ისე ვარ, ისე, ისე რა...
უფალმა გადმომხედა და
პირჭვარი გადაიწერა.

როგორც აქ ნებით მოვსულვარ,
ისე ვაპირებ იქ ნებით,
და თუ შენ კარგად მკითხავ,
ალბათ მეც კარგად ექნება.

სიკვდილს ვეთამაშები

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჩემი სიკვდილი!
 სიკვდილი თარეშობს თავგამოდებით!
 გვექვია სიკვდილის შეილები და უსიკვდილოდ მოვეკვდებით.
 სიკვდილს დაუდგეს თვალები,
 ყველა მოკვდავი დათარსა,
 სიკვდილსაც დავიწყებინარ: სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა!
 ვიცოცხლებთ, შენ არ მომიკვდე,
 შენ არ მოუკვდი დედაშენს,
 და დამშვიდდებით თანდათან, როგორც მდინარე დელტაში.
 ძველდება ხასიათები, მანერები და მოღები,
 ერთხელ იქნება — მოვეკვდებით,
 სიცილით მაინც მოვეკვდებით.
 ხომ ხედავ,
 არ ღვასვენებენ აჩქარებული მარშები,
 მაკალე,
 შე ს... დილე,
 ჯერ სიკვდილს ვეთამაშები.

ნოსტალგია

ვინ — მიწით და ვინ — ცით,
 იქით, ჩვენ რომ ვიცით,
 დადის ვიზიტ-ვიზიტ
 ისე, ჩვენ რომ ვიცით,
 და...
 ვერ პოულობს ვიზით
 იმას, ჩვენ რომ ვიცით.

* * *

ლექსები როგორ უნდა დაწერო,
 მით უფრო, ანა კალანდაძე რო...
 ქაღალდზე როგორ უნდა დაწერო,
 სიტყვებით როგორ უნდა დაწერო,
 საერთოდ როგორ უნდა დაწერო,
 მით უფრო, ანა კალანდაძე რო...

საყვანვილო

ეზოს დაგვა დაგვიანდა,
 ეზო დაგვინაგვიანდა,
 გამოხტება თავეი ანდა —
 ვისაც თავგის და ჰქვიან და
 ბოლოს ეზოს დაგვიან და
 ჰერს მოშლიან თავვიანთა.

* * *

რა გოგოა, რა გოგო —
 ბაროკო და როკოკო!

რა ბიჭია, რა ბიჭი —
 ნახტომს უგავს ნაბიჭი!

შრიალებენ მუხები,
 ყრია საარაკო რყო...
 და მზეს კარებს უღებენ
 რა ბიჭი და რა გოგო!

— • —

მოთა ლომსაჲ

იმ სიმღერამდე

ვარ ბედუინი. მოვა, ვისაც მე
ასე ველი? და ქვიშა ცხელია.
ჩემი სიციცხლის ოაზისამდე
ეს ერთადერთი მისასვლელია.

გრძნობახილული ვხატავ სურათებს,
გზა გასილული ვრცელზე ვრცელია.
სიყვარულიდან სიყვარულამდე
ეს ერთადერთი მისასვლელია.

ქარში გამოშრა ყველა სურვილი,
ხმა სასურველი ვის არ სმენია?

გზაზე გამტყდარი გდია ყურმილი
და გზამდე ერთი მისასვლელია.

ალო, არ ისმის, ვინ ხარ, სადა ხარ
შორი ხალისი ხმათა მსვრელია,
დარჩენილი ვარ ზღვათა გადაღმა
და ზღვამდე ერთი მისასვლელია.

ახლა ჩემს ფიქრებს სული ვერ ამხელს,
მზე მხურვალეა, სილა ცხელია.
და მე რომ ვეძებ იმ სიმღერამდეც,
ეს ერთადერთი მისასვლელია.

გ რ ი ა

გრია, გრია
ძველი გრია
მტერმა მიგვანგრ-მოგვინგრია,
და ჰე, ახლა ჩვენს წინ ჰყრია,
რაც ოდესმე გვინატრია.
— მსხვერპლო ათას ამირათა,
მაგ ჩუქურთმამ გაინათა,
შენზე ფიქრმა გადაამრია
და იდუმალ გულისთქმათა
თუ მიზეზთა სხვადასხვათა
წლად მოქციეს წამი გზათა...

მე ამ გზებით და წამებით,
ქენწნით, ცილის დაწამებით,
ფეთქვით წუთის და წამების,
ისტორიის ვისმენ გრიალს.
თუმც დღეს ბედი უფრო მეტს გვთხოვს
და ის მესხი ჯერ ვერ მესხოვს,
კვლავ იმეხებებს გრძნობა თუა,
რომ იმ ძველს და ახალს შუა,
დღეს რომ ჩვენს წინ ფერფლად ყრია,
ალიმართოს ღმერთთან გრია.

იქნებ მეც ისე გამოვლონ,
როგორც ვათელეს ელადა.
როცა შევხედე პართენონს,
თვალები გამიელამდა.

ფიქრებს გავეყვი მარტოა,
ვთქვი: — დრომ რომ ასე დამთოვოს,
ჩემი ლექსების პატრონმა
რა ნანგრევები დავტოვო.

კარგ დროს დავიწყებულო,
ავ დროს მოგონებულო,
ლექსო ჩემო ქებულო,
მაგონდები ახლა რად?
მაგონდები ახლა რად?
მი ხომ სხვათა სახრავად

სხვაგვარს ვწერდი სტრიქონებს.
შენ კი, ჩემო საჭიშე,
ჩემს ნებაზე დაგეშინს
ახლა გულს ვინ გაგიშლის..
მითხარ, ვისთან გაგიშვა,
მითხარ, ვინ შეგივრდომებს?
ველარავის ვიგონებ.

ტკილია ნუთისოფალი

(ფშაურ კილოზე)

რად არ მეც მაშინ არ მოგვედი,
შენ რომ მომიკვდი, კვირია.
დავდივარ დაღონებული,
იქნება რამე გჭირია.
იქნებ შეძახი, ველარ სძლებ,
უჩემობას სტირია...

სულ ამნაირმა ფიქრებმა
თავ თეთრი გამომირია.
მომეძალება სურვილი,
ვიტყვი: მოვნახო მწირია,
მაგრამ ეს წუთისოფელი
მაინც ვერ გამიწირია.

ჰნარ ვინაშე მისნი მელაქს

თუ ლეთის წყალობით იმ მესხთა
წყალი ჩვენც გადაგვესხმება,
ჩვენს ხეს აქამდი რაც ესხა,
იგივ ნაყოფი ესხმება.
ვენახი, ავად ნასხლავი,
თუ აღარ გამოგვესხვლება,
იგივ ხმა გადმოგვასხივებს,
რა ხმითაც სული მწეს სვდება.
ნუ გეფიქრებათ, ვერ გვათნევს
მტერი, ზოგან რომ ეს ხდება,
დარჩება მესხი მესხადვე,
მესხი არ გადამესხდება.

შენ მამალმერთო, უფალო,
ვინც ეს ბალნარი შენარა,
ზოგი ქმნა უგზო-უკვალო,
ზოგი აფრინა ზენარა,
ზოგს მიუჩინა ბალდადი,
ზოგს შირაზი და შენარა,
მაგრამ ეგ შენი ბალნარი
ვერვინ ვერ გადიშენარა.

●
შენ მზე ხარ ამა სამზეოს,
შალალი, მიუწვდომელი.
სიცოცხლის გადასაშვრო,
გვერდს მოგიდგება რომელი?
ვინა სთქვა შენებრ საზეო
სიტყვა ცათაცა მძრომელი,
სიმღერით შემომხაზველი
გზა დროთა გადამდგომელი.

●
დიდების ტახტზე დამჯდარო,
ბალიშითა და ნატიითა,
ფერხთ გისხედს მეფეთ სამსჯავრო
პორფირ-ბისონით მათითა.
ფართოა შენი დარბაზი
კარაპნებ წანამატიითა.
მოგიდგე, კარსა, ამბავი
მე ჩემი გითხრა პატიეთა.
ვერსად წაგიველ, დავბმულვარ,
მაგ თქმა ანდამატიითა.

●
შენ პაპის პაპის პაპა ხარ,
რჩეულთა ზედან რჩეული,
მე შეილიშვილი, ვაგლახად
ვერაფრით გამორჩეული.

დავდივარ, როგორც შემთვალის
სიტყვით აცრილი, გრძნეული,
ერთი მოლაშქრე, ნესტანის
საძებრად გამოსეული.

●
ბევრს რომ არა სწამს, ისა მწამს,
დღეთა ზღაპრული დინება,
ჩემთა ფიქრთა და მიზანთა
აფრენა, აღორძინება;
შემობრუნება ზაფხულის,
გზად უჩინართა ჩინება;
და სიყვარულის დაფლულის
ხელახლა გადმოფინება.

●
დღეს ეს ხმა გზად რომ შემეძებს,
მოგეგებები მე რითა?
ვარდი გაყრია ხელებზე,
ესუნთქავ მით მონაბერითა.
შენს სტრიქონს, როგორც ელექსირს
ესვამ, თუ სათქმელი ვერ ითქვა.
ვლოცულობ სამცხის სერებზე,
ცრემლებს ვიმშრალე მღერითა...
დავდივარ როგორც ერეკლე,
სულზე ასპინძა მერთა.
ეწერ ვინმე მესხი მელექსე
ამ ჩემი ბედისწერითა.

არტიზიული ჭა

რომ აღერი, რათა აღერი, აგრემც გაწყალდები
და გაღვარდები მაგასავით!
(უბრმობის რეცეპტი)

მოთხრობა

ერთი შეხედვით უჩვეულო არაფერი მომხდარა, დიდი არაფერი — ძმამ უჩივლა ძმას. კაცმა რომ თქვას, ასეთი უბრალო ამბავი ვიღას უკვირს ახლა: ან იყრებიან და ერთერთს ეჩვენება — ვიჩაგრებიო, ან უკვე გაიყარნენ და ვერც გაიყარნენ, ანდა კიდევ ცოლები ასავსავენებენ ენას — შენ გაუგებელი კაცი მოთხარი, თორემ საჩივლელსა და სადავიდარაბოს რა გამოლევს! ამასობაში, სოფელი — სასირცხვილოა, ოხრავს, — სასაცილოა და, კვდება სიცილით. ეს დალოცვილი მსაჯულია, მსაჯული, ზღაპრიდან მოსული გეგონება, ვერც ხვეწნა-მუდარით მოისყიდო, ვერც მუქარით, ვერც ოქრო-ვერცხლით, თუმცა არც გულჩვილობა ეუცხოვება, ყოველთვის ობოლთა, ქვრივ-ოხერთა, უქონელ-უპოვართა მხარეზეა. აყვირდება და, მტრისას, მთელ ქვეყანას თავისკენ მიახედებს, ოღონდ, აი მარტო დუმილი არ ეხერხება, დავიწყებით ხომ, საერთოდ, არაფერს ივიწყებს, მე შენ გეტყვი, მეხსიერება დასჩლუნგებია ოდესმე.

ვის წაკინკლავენა-წაკიდებას არ იფიქრებდა სოფელი, მაგრამ ეს მოსიყვა-

რულე ძმები თუ დაირეოდნენ, ამას ნამდვილად არ მოელოდა. როგორც აღათია და წესია, პატარამ უნდა დაუთმოს დიდს, მაინცდამაინც პატარა კი გადაირია, როგორც ხმა გამოვიდა, არც ამაგი დაუფასა, არც დედამამწვილობა ჩააგდო რამედ, ჰა და ჰა, თითქმის აღარაფერი აკლდა, კინაღამ წყალი შეუყენა. არადა, სწორედ წყლის თაობაზე მოხდა ეს ამბავი.

გაზაფხული დაგვიწვია და იმ წელიწადს: კვირტმაც გვიან გაიღვიძა და ენძელაც გვიან ამოიშალა. მერე, თითქმის ერთბაშად გამოქათათდნენ ტყემლები, კავკასიონის მთებმაც ერთბაშად წაიციხო სიჭრელე და ნიავერილსაც ერთბაშად შეერია სითბო. აღარც ნიავეწაწალამიმიტკრეოდა წვრილიანში მუქარით. მერე და მერე მზიანი დღეები დაიჭირა: ხეხილმაც მშვიდად, ბარაქიანად გამოიჩინა ნაყოფი და ვაზმაც კუსი მტევანი გამოაჩინა.

ჰოდა, ზუსტად მაშინ იყო, სოფელში უცხო ეიგული რომ გამოჩნდა — სალაყოზე გაჩერდა, ღია სარკმლიდან შოფერმა გამოყო თავი და ლაქლაქით მოთენთილ უსაქმურებს სოფლის თავ-

კაცის ნოე მინდიაშვილის ასავალ-დასავალი ჰყითხა. ამ შუადღისას სოფელში რა გააჩერებს, ან ზვარში იქნება, ან მინდორშიო. დაახლოებით კი ვიციო, საით ზვარია და საით მინდორი, მაგრამ ალაღბედზე ძებნას ისევ მეგზური სჯობიაო. მეღვინე ბენოს გაგოდრებულ ი ნუგზარა აპირებდა წაყოლას, მანქანის კარიც გამოაღო და შიგმჯდომთა ღიმილმა აკი ცივად მოატრიალა: წინ ორნი ისხდნენ — შოფერი და ქალი, უკანაც ორნი, კაცები. შენ ორი უძახე, ძლივს ეტეოდნენ ისინიც. მაშინ გაკვეთილიდან გამოგდებული, მეველე ნიკას მეოთხეკლასელი გამწლიეული თაზია თავის ჩანთიანად ჩაუსვეს ქალს კალთაში, რისი თავმჯდომარე, ეს ისეთი გვარშივამოსაკლებია, მოიწადინოს, შარშან, შუალამისას, მალახიის ყარაულს გვერდიდან ქოფაკი რომ ააცალეს, იმასაც გამოვინებო.

მანქანა თავქვე დაეშვა, ალაზნისკენ, და თვალს რომ მიეფარა, მერეღა შეხედეს ერთმანეთს სალაყბოელებმა — ნეტავ ვინ იყვნენო.

იმ დღეს რაღა იქნებოდა, მეორე დღეს გაანათლა თაზიამ უსაქმურები:

— ვინ იყვნენ და გეოლოგები, — გაპრიალბულ, გვერდელა ლოდზე დადო ჩანთა და, ემანდ არ დაეურდესო, პირდაპირ დახეეთქა ზედ, — ქალი ყოფილა მთლად უფროსი. ისე საწყლად შეკრუტუნებდნენ კაცები, ისე საცოდავად...

— შენ რა იცი, მიწავ, რაზე შეკრუტუნებდნენ! — სიგარეტს მოუყიდა აყუდებულმა ოსიამ, — გუშინ, ჰო, ვიციო, ჭიმიამ გამოგისროლა გარეთ, ახლა ერთი ეს მიბრძანე, დიდად პატივემულო, დღეს კიდევ გეოგრაფიამ ხომ არ გამოგაპანლურა, ასე ვთქვათ, ლოცვა-ქურთხევიო?

— ჯერ არ მოვსულვარ და ეგრე უცებ საიდან გაიგე?! — მართლა უკვირს თაზიას.

— რა დიდი გაგება ამას უნდა, შენზე უწინ მე არ მასწავლიდნენ? საკუთარი ჩრდილივით მთლად ტყუილად

რომ გადაგვიდებოდა ერთი, ეჭვოვნე მჭიშინვე აუბამს ხოლმე მხანას: „ქალმა და გუნებო, უკაცრავად — უგუნურებო. დასწყველოს მამაუფალმა — მეგობრობაც ეგეთი უნდა, მაშა!.. ისა, რაო, რა გვინდაო, გეოლოგებმა?“

— ნავთს ვეძებო.

— ნავთს რაღა ძებნა უნდა, ეგე, გვერდითა სოფელში შალიკო არა ჰყიდის ხოლმე?

დიდი ბიჭები სერიოზულად უსმენენ, პატარები — ხითხითებენ, საღ სოფელ-ქვეყანაში გასულ-გამოსული ოსია, საღ ასეთი უცოდინარობაო.

— ხშირად, კაცო, ხშირად, ისეთ რამეს ეძებენ, მიიხედ-მოიხედო, ყრია რამდენიც ვინდა! — ჯავრობს ოსია. თან მალულად თვალს უკრავს თავის სეხნიას, იმ სეხნიას, ცხენის ქურდობაზე რომ იჭდა და ერთი კვირის წინ ველარ იცნო ხუთი წლით ვაზრდილი თავისი ერთადერთი შვილი. დაინახა სოფელმა ოსია და სიცოცხლე გაიხსენა: როგორ გეკადრება, ამხანაგო გიგო ინსპექტორო, რა ქურდობა, რისი ქურდობა, სიყმეს გეფიცები, ჩემს ცხენში შემეშალაო. არადა, საღ ის თეთრი ცხენი, საღ თავისი წაბლა!

— მაგათი საქმე კიდევ ეგა ყოფილა, — ამბობს თაზია და უფრო მოხერხებულად ჯდება ჩანთაზე, — ვიღრე მთლად გამოილევა ნავთი თუ სხვა რამე, ვითომ მანამდე არა სჯობია მიდგომ-მოდგომა?

— ნამდვილად! — ეთანხმება აყუდებული ოსია, — საღ უნდა ვეძებოთ ნავთიო?

— ნადარბაზვეის ზვარებშიო.

— იქ აკი გუშინწინაც ვიყავი, მაგრამ, ტყუილი როგორა ვთქვა, არც ნავთი მინახავს, არც სუნი მცემია საიდანმე!.. ჰო, გამახსენდა: ზვარების თავში, საურმე როა, შავი რაღაც წასცხობოდა ბალახს. დავიხარე, დეკავირდი — საპოხი ზეთი იყო ისა, ჰანჭიკი მოეშვებოდა და ტრაქტორი მოიწველიდა.

— ეგრე კი არაო, — ელიმება თაზი-

ას, — მიწაში ვეძებთო, მიწა უნდა გავ-
ბურლოთო.

— შე კაი კაცო, ეგრე გეტქვა ადრე-
ვე!... ნავთის ნაცვლად ღვინომ რო ამო-
ხეთქოს, რა ოინი იქნება!

— ჭერ უნდა დავზვეროთო, ისეო,
პაპარათო.

— დაზვერვა თუ უნდოდა, ქვეიდან
მოველოთ ღელე-ღელე, ნოე თამჯდო-
მარეს რალას ეუბნებოდნენ, ვითომ ამ-
სა სკოდნია და ვითომ გაზეთში გამო-
უქვეყნებიათ მეოთხე გვერდზე.

გზაზე მანქანები მიდი-მოდინ. გზა
იმისია, მანქანები უნდა მიდი-მოდინ-
დნენ, ამიტომ ბიჭები მათ გაქროლ-გა-
მოქროლებასა და ხმაურს ყურადღებას
არ აქცევენ. ეს უკვე იმდენად ჩვეუ-
ლებრივი ამბავია, ხანდახან გზა რომ და-
ცარიელდება, რალაც აკლიათ, რალაც
ეხამუშებათ. ამას მხოლოდ მაშინ ხედუ-
ბიან, როცა მანქანა და მისი ხმაური
ისევ მიაწყდება ხოლმე მათ თვალსა და
ყურს. მაგრამ ახლა ისეთი გაოცებული
მიჩერებიან მკვეთრი მოსახვევიდან თი-
თქოს ძლიერდობით დაძრულ მძიმე
მანქანას, ვითომ ეგ არის და პირველად
ხედავენო. მანქანამ მოკლე აღმართი გა-
ანახებრა, მარჯვნივ, საუბნო გზაზე გა-
უხვია და ალაზნისკენ დაეშვა —
გრძლად გადმოშვერილი მილები ჭახ-
ნით ეხეთქებოდა ერთმანეთს და ისე
არხედა ბოლოს, თითქოს ხელს იქ-
ნევენო.

— ეტყობა მართლა აღარა ხუმრო-
ბენი — თქვა აყუდებულმა ოსიამ, თან
ისევ იჭით იხედებოდა, საითაც მიწის
საბურღმა მანქანამ ჩაიარა და თვალს
მიეფარა.

ასეთი მანქანა სოფლის თავშიც ენა-
ხათ ბიჭებს, მაშინ წყალს ეძებდნენ.
მთელი თვე იწვალეს, ივაგლახეს, იცო-
დვილეს და, წყალზე რა მოგახსენოთ,
ღვინის ბურნა ნოდარა კი ნამდვილად
იპოვნეს; იპოვნეს, დაუძმაკაცდნენ და
ისე ჩაუტკბნენ სასმელს, ვიდრე უფროსი
არ ჩამოუვარდათ ქალაქიდან და არ
მოხსნა სამივენი, მანამდე არც გამოფ-
ხიზლებულან...

პო, გეოლოგების გამოჩენიდან...
კვირაც არ იყო გასული, რისი ნავთი,
რა ნავთი, წყალმა არ ამოხეთქა? თანაც
ისე ახლოს იყო, ას მეტრამდეც არ ჩა-
სულან. შეამოწმეს — დასალებად უკე-
თეს ვერ ინატრებდა კაცი, მაგრამ სო-
ფელს არ აკლდა წყალი და აკი ისეც
მიიღეს, ვითომც არაფერი მომხდარა.

გეოლოგებმა წყლის ჩაქეტვა და
სხვაგან გადანაცვლება მოინდომეს. მა-
გრამ ნოე მინდიაშიღმა სოფლის თავ-
კაცის უფლებები მოიშველია და რაი-
ონში ჩავიდა — ვენახების შესაწამლად
პირდაპირ მისწრებია. როგორც სახე-
ლდახელო გამოანგარიშებით ჩანდა, მა-
რთლაც მისწრება იყო: ალაზნის არხი-
დან აღარ მოუწევდათ წყლის ამოზი-
და — ცალკე საწვავის ეკონომია, ცალ-
კე მანქანის სხვა საქმეზე გამოყენება
და ამით, სულ ცოტა, ორმოცი ათასი
მანეთი მიინც დაიზოგებოდა წელიწად-
ში, ხუმრობა! მოუწონეს — სასარგე-
ბლო ჩანაფიქრიაო. ჩანაფიქრს კი, ხელ-
მძღვანელი ამხანაგის სიტყვებით რომ
ეთქვათ, ფრთების შესხმა, ანუ განზო-
რციელება უნდა და აკი საქმესაც მეო-
რე დღესვე შობა თავი: ცემენტისა და
არმატურის საშოვნელად მიღგა-მოღვა.
პირიანი კაციო — ვინ არუქა, ვინ ასე-
სხა, ვინ ანისიავა და რეზერვუარის სას-
წრათოდ ასაშენებლადაც გაიჩარხა სა-
ქმე...

ნოე იმ დღესაც გვიან დაბრუნდა შინ
და ძმა ეზოში რომ დახვდა, გაუკვირ-
და. ამ დროს მისი ერთადერთი ძმა, ლა-
ზარე, მაგიდას უჭდა ხოლმე — ან სა-
კონტროლო რვეულებს უკირკიტებდა,
ან წიგნს კითხულობდა, ანდა სწერდა.
სწერდა, მაგრამ რას სწერდა! — სო-
ფელში ვის აღარ ჰქვია თიკუნი. სწო-
რედ ამ უცნაური, ხშირად — უხერხუ-
ლი თიკუნების შეგროვებით იღლიდა
ხელს და გონებას, და კიდევ: ნიარ-ნა-
ირი წყევლით. თავის სოფელსა და სო-
ფლელებს რომ მორჩა, ახლა სხვაგან
გაიხედ-გამოიხედა. კაცი, რომელსაც
არასოდეს წამოსცდენია ძვირი, უსუ-
ფთაო სიტყვა, ამგვარ, გაბრიყვებულ

საქართველო

საზღვრის დაცვა

სიტყვებს ქალაღზე მშვენივრად ჩააკიწიწებდა ხოლმე — ენის სიდიდე ამითაც იზომებაო. ნოე, თავმჯდომარის კვალობაზე, რა თქმა უნდა, დაწმინდავებული ენის პატრონი არ იყო, მაგრამ ფილოლოგი ძმისაგან მაინც ეხამუშებოდა, ბოლო-ბოლო, მასწავლებელიაო...

ლაზარე ლობესთან მიმდგარიყო, — ლელეში ჩავუბებულ სიბნელეს ტყიდან მონადენი მანქანის შუქი ტალღა-ტალღა რომ ანაკუწებდა, იმას აყოლებდა თვალს. ფანჯარაზე აკრულ მორჩილ ისამანს დროდადრო არხევდა ნიავი და ირიბად გამომკრთალი სინათლეც ისე გადაუვლიდა ხოლმე ეზოს, თითქოს ეფერება, ანდა რალაცას ეძებსო.

— რას ეძებ, ბიჭო, მაგ უპატრონო სიბნელეში! — ღიმილით დაიხედა ნოემ ფოსფორის ციფერბლატიან საათზე, — პირველი დაიწყო უკვე!

— საძებნი რომ გამოგელევა, ბარემ ის დროა, შენი ფეხით წახვიდე სასაფლაოზე, — შეტრიალდა, ძმისკენ წავიდა ლაზარე, — ხვალ რომელ საათზე იქნები კანტორაში?

— ექვსზე, ჩვეულებრივ. რა ამბავია?

— საქმე მაქვს.

— ახლა ვერ მეტყვი?

— აქ საიმისო ადგილი არ არის... ხომ არ ივანშემებ?

— არა, გვიან ვისადილე.

— მაშინ წავსულვართ სიზმარეთში.

ფეხაკრეფით აიარეს კიბე, ავიდნენ აივანზე და, ცოლ-შვილი არ გავადვიძოთო, ასევე ქურდულად შეაღეს თავთავიანთი ოთახის კარი. ერთ სახლში ცხოვრობდნენ ძმები, მამისეულ მოზრდილ სახლში. რაც წამოიზარდნენ, ამ სახლისთვის არაფერი მოუმატებიათ სიგრძე-სიგანეში, ერთი ეგ იყო, მიალამაზ-მიალამაზეს შიგნი-გარეთ, ავეჯი და სახურავი გამოუცვალეს მარტო. ცხოვრობდნენ მშვიდად, უხმაუროდ. მათ ცოლებსაც კარგად ესმოდათ წუთისოფლის წარმავლობისა და აკი არც ქვეყნის სალაპარაკონი გამხდარან ოდესმე.

შეორე დილით, ის-ის იყო, წავიდა

ნოე სამსახურში და ლაზარეც დაეწყო ალო ჭიშკარი. დედაც ამდგარიყო უკვე, საევენს უყვრიდა ფრინველს. ამ უთენია სავარეოდ ჩაცმული ლაზარე რომ დაინახა, ცუდად ენიშნა, მაგრამ არაფერი უკითხავს, კარგად იცოდა შვილის ხასიათი — ალბათ სათქმელი არ იყო, თორემ თვითონ მეტყვოდაო. ყოველ შემთხვევისთვის რძლები გააღვიდა. არც ჩვენ ვიცითო. რალაც თუ აიჩემა, მტრისას და ავისასო, გულს შემოეყარათ ქალებს.

მიდიოდა ლაზარე და ხედავდა: ცისა და მიწის შემყურე ხალხს გარედან უკვე ჩაერაზა ჭიშკარი. მინდვრისა და ბალ-ვენახის საქმე რომ მოაწვება, მაშინ, ბევრიც ეცადოს, მზე მაინც ვერ მოასწრებს გადმოხედვას, ჩასვლითაც მათი ოფლის ციმციმით ჩადის. თუმცა როდის არ მოსწოლიათ საქმე! ასე მიდის დრო და ასე მიიყოლებს ცხოვრებას. ასე ენაცვლება ერთმანეთს წელი, საუკუნე, ადამიანის საფიქრალი...

თავმჯდომარის მისაღებში ორი კაცი დახვდა — მონუსხულებივით იღვნენ: დაბამბულ კარს არ აცილებდნენ მზე-რას. ლაზარე თავის დაკვირვით მიესალმა და ციმციმ დაქდა სკამზე. თითქოს ახალა დაინახესო, იმ ორმაც მაშინვე აპტრიალა სკამები. ორივეს კარგად იცნობდა ლაზარე, ჭირი იყო თუ ლხინი, არსად არ მიდიოდნენ უერთმანეთოდ. ბავშვობის წლებიც ერთად ჩაეთავებინათ, და ომის უთავბოლო გზებიც ერთად გაეკლოთ. რა ვება და ვარამი არ გადაეტანათ, ხალისი არ დაკარგოდათ მაინც — მარლიანი ღიმილის ფასიც იცოდნენ, უმარილო, სალდათური ხუმრობისაც, უფრო სხვათა გასართობად რომ არის მოგონილი და მონადირულ ბაჭბიუქს გარჩევით სჯობია, რაკი სალდათურში მეტია ნაცარქექიას გუდიდან ამოღებული ოინები: „აბა, მე ხო კარგად ვიცნობდი ჰიტლერსა, ომის წინა წელს ჩემმა გერგილიანმა ბიძაშვილმა, მელორე როა, გიგა, იმან დამიბატიყა ალავერდობაში, ბოლბისხევის ბაზარზე გა-



ენო. რალა ბევრი გავაგრძელო, თქვენც კარგად მოგვხსენებთ, რა დიდი ნიჭი ჰქონდა გიგას სახეღრის ნაირ-ნაირი ჭიშის გამოყვანისა, სახეღრისა და მურალა ზალახისა. იმას ვამბობდი: ამომიყვანა ჰიტლერი ალავერდობაში. როგორც კი შევაღლე თვალი, მაშინვე მეცნო, ერთხელ ჩემმა ცოლისმამ ნახშირით დახატა ფეხისალაგის კარზე და იმით ვიცანი. ღვინო არ მინდაო, იმ შობელძალმა, და ერთ ჭერზე, ისიც ვახშობისას, ერთი დუენი ჩაი არ დალია ფოჩიანი კანფეტითა?! იმ დამეს მთლად დამიჭონჯობა საბან-საგებელი. ჩემს დედაცაყს ვუთხარი, მაინც სტუმარია, ქვეყანას არ მოჰფინო-მეთქი. ტყუილს ვერ ვიტყვი, ამ ერთხელ ნამდვილად დამიჭირა! ერთი ისა მცოდნოდა, ჩხუბს გვიპირებდა, დედას ვუტორებდი, რატო მორღვეული ჰიტლაყით არ გავისროდი გარეთ!.. ჰოდა, დამწყობ ჩხუბი, დამიძახეს, წავედი და ტყვედ რო ჩავვარდი, აჰ, რამდენი ვივაყეყე, რამდენი ვიძრომიალე, მაინც მოვახერხე ჰიტლერის ნახვა, ისიც შტაბში, გენერლებთან საიდუმლო თათბირისას. რას მიედ-მოედები, რა ალავერდობა, რომელი თორმეტი ჩაი და დაჭონჯობებული საბან-საგებელიო, ვერ მიცნო. გამიკვირდა რომელია! მაშინ კი გავბრაზდი, დღისით, მზისით გამოვიპარე ტყვეობიდან, ვიარე ღელე-ღელე, ტყე-ტყე, მინდორ-მინდორ, ზალა-ზალა და როგორც იქნა მივალწიე ჩვენს სარდლობასთან. გაიხარეს და რა ვაიხარეს! ნატარი კაციც შენა ხარ, გამოცილიცი, ვაგვიწიე ანგარიში — გაბრუნდი უკან, შეიპარე შტაბში და კარგად დააკვირდი ჰიტლერს — უღეაში ხო არ გაიპარსა, ტყვეთ რო ჩავიგდებთ, სათო მათუზოვი არ შეგვეშალოსო“. ეს სათო მათუზოვი ომის დროს სოფლსაბჭოს თავმჯდომარე იყო და მამაკაცურად შეკრეჭილ-ჩაცმულ-აბუხუნებულ დააქუნებდა ხოლმე სხვათა შიშით გამეტებულ ცხენებს“.

— კაცო, გიო, აღარ იტყვით რამ დაგაღონათ? — კისერზე ნატყვიარი

რომ უჩანს, იმ კაცს ეკითხება ლხარე

— ვფიქრობთ, — თავი ასწია გიომ, — ამ საჭმეს სასიკეთოდ თუ არ მოველო, მერე კიდევ ვის დაბამულ კარს მივადგეთო.

— რა მოხდა?
— საცოდავი ვასოს ბიჭი, რეზო, გადმოსვა მანქანიდან, დღემუდამ სალაცხოზე დაუღლებულ შიოს ეგრე გამეტებით რათა სცემეო... კიდევ კარგათ ვერა სცემა.

— საინტერესოა, როგორ დაემართა, წყნარი ბიჭია, ავკარგიანი.

— მაღაზიასთან უცხო ქალ-ვაყემა ჩამოიარა, თავისთვის მიუქუქუყებდნენ, ამ შიომ კიდევ ატრია, უბედურად ატრია. მაშინ მაღაზიაში ვიყავით მე და ესა, ლევანა. ვიდრე გარეთ გამოვიდოდით, რეზო გამოვარდა და გემრიელად მიასიკვილა — ძლივს გავაგდებინეთ ხელიდან... ჭერ გაიგოს, რა მოხდა და მერე წაართვას მანქანის გასაღები. შენს მამს უთქვამს...

— თავმჯდომარეს.

— თავმჯდომარეს უთქვამს, რო შემოკვდომოდა, მერეო? მერე სოფელი დაითალხებოდა, ხო იცი! გინდ მკვდარი ყოფილა და გინდ უსაქმური, ზედ — ყბედიც, რა განსხვავებია?.. სამსახურიდან ეგრე თუ დავითხოვეთ სათვალიო ხალხი, ნამდვილად კაი დახლი დაგვიღება.

— ნაღლე მიზეზი არ ეცოდინებოდა.

— ჩვენც ეგ ვიფიქრეთ და აკი ამიტომაც მოვედით.

დაბამული კარი გაიღო და უკან-უკან, „მადლობთ შენი ჰირიმით“ გამოვიდა ქაიხოსრო ცივაძე. სეტყვის ღრუბლებს რაკეტებს რომ უშენს ისა; ფრთხილად მიხურა ყურთამდე მოლიყვებული კარი, მარტო ლაზარეს მიესალმა და აჩქარებული გვიდა აივანზე.

— იჩქარე, თორემ წაიღო სეტყვამ ქვეყანა! — ჩაელიმა გიოს, — ვის იჭერენ და ვის კიდევ აჯილდობენ, აღარ იტყვით?.. ისე გამოგვიწერენ ხოლმე სეტყვას, უარესს ალაც დალაგებული მტერი გიზამს! ახლა არ თქვათ, მოგზა-

ენილები არ აიანო! ვაი, მე მაგათი!.. რაღას უყურებ, შედი, ლაზარე!

— რიგი რიგია, — თქვა ლაზარემ და სინანულით გაეღიმა.

— რაკი ეგრეთა, მალე გამოვალთ.

მალეც გამოვიდნენ. გიომ თვალის ჩაკერით ანიშნა ლაზარეს, ყველაფერი რიგზეაო, მერე მიბრუნდა, კარის მიხურვას აპირებდა, მაგრამ ლაზარე წამოდგა და სახლურსაც მაშინვე გაუშვა ხელი.

ნოე რაღაცას სწერდა აჩქარებით, კარის კრიალზე თავი ასწია და მძა რომ დანახა, გვერდზე გადადო კალამი:

— შემოდი, ბიჭო, რა უტახოსავით იქცევი!

სკამი გამოსწია ლაზარემ, დაჯდა, საზურგეზე მიესვენა და ისე მიანერდა ნოეს, თითქოს სათქმელი დაეიწყებოდა:

— რას უშვრები იმ დაბურღულ წყალს?

— ორ კვირაში დანახავ.

— მაინც?

— რეზერვუარში უნდა ჩავეშვა.

— და ზერები შეწამლო, არა?

— ასე გამოდის.

— კი გამოვა, თუ დაგაცადე, — წამოდგა ლაზარე, — ვიდრე ღროა, გადაიფიქრე ეგ სისულელე, თორემ გიჩივლებ, სადამდეც ენა და კალამი მიმწვდება, ყველგან გიჩივლებ... ხომ იცი, ბევრი ლოდინი არ მიყვარს, ახლავე უნდა მითხრა გარკვევით, აპირებ თუ არა ჩაკეტვას.

— როდის აქეთ დადექი ხუმრობის გუნებაზე? — გაეღიმა ნოეს.

— მე ისიც ვერ ამიტანია, მთავარი მოსწრებააო, და კლასიდან კლასში რომ მივთარე უნიჭო, უცოდინარ, ასე ვთქვათ, მოსწავლეებს, ახლა კიდევ ეს წყალი არ გამოტყვრა?

— შენ, მგონი, მართლა იტაცე ხელი ხანჯალზე?!

— გაგაფრთხილე და, თუ მაინც არ დაიშლი, ამას რაც მოჰყვება, შენს თავს დააბრალო! სხვა იყო, ვიფიქრებდი, ალბათ არ იცის, რას აკეთებს და, ღმერ-

თის მადლო და კანონისმძალბე, შეწყნდე-მეთქი!

— აბა, ძმაო, ამის შემდეგ რილასი იმედი უნდა მქონდეს შენი.

— დღესვე ჩაკეტავ წყალს!

— ეგრე, ხომ?

— ეგრე!

— რაკი ეგრეთა, დღესვე ვიწყებ რეზერვუარის მშენებლობას!

ლაზარე წამოდგა, მაგიდას გამეტებით დასცხო მუშტი:

— მაგ წყალს არ გადაგაყოლო, აღარც კაცი ვყოფილვარ! — კარისკენ შეტრიალდა, — განა მკითხავს, ასე რამ გადაგრიაო, შეჯდა ვირზე და, ჰაილა, მიგრეკება თავისთვის!

— გაიმეორე რა მითხარი!

— ვაიკემორებ კი არა, უარესს გეტყვი!.. შენ ოღონდ ბეჭებზე მოგითათუნონ ხელი, ფეხებზე კვილია ყველაფერი!

ნოე გაფითრდა:

— ასე მიცნობ, ბიჭო?!

— ახლახან გაგიცანი ასე!.. გუუბნები, ჩაკეტე-მეთქი, თორემ თავებდს გაწყველინებ!

— ბარემ შემავინე კიდევაც და ისე წაიდი!

— შთამომავლობის გინებას რომ გადაგარჩინო, სწორედ იმიტომ უნდა გიჩივლო! — კარი გამოალო ლაზარემ, დანახა: ათამდე კაცი მოგროვილიყო მოსაცდელში. ისე შეხედეს, ექვი არ იყო, კარგად გაიგონეს ძმების აწეული ხმა.

გზაზე რომ გავიდა, გაჩერდა: არ იცოდა, საით წასულიყო. შინ მისვლას სიკვდილი ერჩივნა, ცოლი და რძალი იმდენი არაფერი, არ უნდოდა დედას ენახა ასე, სიბრაზით გაფითრებული. სკოლაში წასვლა ამჯობინა, მაგრამ ფეხს ითრევედა — დარაჯი დირექტორის მოახსენებს ყურში, რიყრაქზე მობრძანდაო. ლაზარე ხანდახან სკოლაშიც რომ ასწორებდა საკონტროლო რეკულებს, მოძღვართომძღვარს მაშინაც შიშის ქარი აუღვებოდა ხოლმე, მგონი, საჩივარს მიწერსო, ათჯერ მაინც უნდა

მოემიზებებინა უკბილო რაღაც და ასასივით დასდგომოდა თავზე. ლონედ წასული, თავდადაფრაკებული ხტუნვასირბილის მასწავლებლისაც ეშინოდა, როგორც ეტყობა, ესეც ჩემს სკამს უღარიალებს, ანუ უსახელო საჩივრის გაგზავნას აპირებს ზევით. ასე არ იყოს, რაც მე მაგას ძალღთან ვაბამ, ერთხელ მაინც როგორ არ შემობრუნებდა სიტყვასაო...

ორღობიდან „უიგული“ გამოვარდა, ქვევით აიღო გეზი, მაგრამ მაშინვე გაჩერდა, უკან-უკან წავიდა და ვიდრე მიუახლოვდებოდა, მანამდე იცნო ლაზარემ შექულებილი კარით: წაუძინე გოგის ბიჭი იყო, ანზორა. წინა კვირას, თურმე, ნასვამი მიუჭდა საჭეს და გაჩერებულ საძეკს გაეხახუნა. ასეთ გახახუნებას კოცნას ეძახიან სალაყბოელები. ანზორა სწორედ მიტეკვილი-მოტეკვილი მანქანების ხელოსანია, მაგრამ გადარეული ბიჭბუჭობის, ფულით გააღლებული ხალხისა და კანონის დამცველთა შინაურების წყალობით საკუთარი მანქანის სააქიმოდ ვერ მოიცილა ვერაფრით.

— კაცო, — მანქანიდან გადმოსვლას აპირებს ანზორა, — ჯერ გამარჯობა და მერე: გინებების ჩაწერაზე რო გადახვალ, გინებებისა, არ დაგვიწყდე, იგეთი რამეები უნდა მოგართვა, იგეთი, ემანდ სხვას არ უთხრასო, ქალაღის მისაბარებლადაც ვერ გაიმეტო. ის ლექსი გეცოდინება: „კაჭკაჭმა უთხრა ყვავისაო, მოგიტან ვედრით წყალსაო, თუ სულ არ დაგიღევია“...

— ვის უნდა მიართვა, კომბლე?! — მანქანაში ჩაჯდა ლაზარე.

— რა ვის უნდა მივართვა?

— გინებებზე მოგახსენებ.

— ჩასაწერად, კაცო, ჩასაწერად! — უკან მიბრუნა თავი, — ვინ აგადუღა?

— ვინც იყო. სკოლაში ამიყვანე.

— ჩემი თავი გენაცვალოს! — ერთბაშად მოსხლიტა მანქანა, — ნეტა ვის მოსძულდა თავი, იმ საცოდავს, შენც რო გაგიძლიანდეს, ნოეს მაინც საღლა წაუღვა!

— გცალია დღეს?

— შენთვის, კაცო, შენთვის?! —

სკოლა იქვე იყო, ასიოდე მეტრში — იქამდე მისვლას რა უნდოდა. მანქანიდან გამოვიდა ლაზარე:

— ერთ საათში ამოდი.

— თუ გინდა, სულაც არ წავალ.

— ერთ საათში-მეთქი.

— აქა ვარ!..

ჯერ ძალა არ ჰქონდა მზეს, დარაჯი კი უკვე ცაცხვის ჩრდილში ნებივრობდა, მწვანეზე. ლაზარეს დანახვაზე მკვირცხლად წამოღდა, გან-გან მიიქნევდა გაშეშებულ ფეხს:

— სამასწავლებლო გაგიღო?

— საკლასო ოთახში შევეალ.

დარაჯიც შეჰყვა.

— ან დირექტორის კაბინეტში შედი, ან სამასწავლებლოში, სუფთა ფურცელი მოძებნე რამე და მომიტანე, — უთხრა ლაზარემ.

— რვეული რომ იყოს?

— გამოდგება.

რვეული მიურბენინა:

— რათ გინდა რო?

— საჩივარი უნდა დაწვირო.

— ვისზე, კაცო?! — დიდად დაინტერესდა დარაჯი.

— შენზე... რა გოცებულები მიყურებ, შენზე. თანაც ყველას უნდა წავაკითხო და მერე გავგზავნო იქა — ზევით. ახლა, ვიდრე ავდგები და პანდურს ამოგკრავ, გაეთრიე აქედან! რა ენის ტრიალი აგიტყდა, შე კეთილჩაოხრებულო, ჯერჯერობით დალაგებული შვილებისა მაინც არა გრცხვენია!..

გაბეცებული დარაჯი უკან-უკან გავიდა დერეფანში.

ლაზარეს გაეღიმა, მერე რვეული გადაშალა და აუჩქარებლად დაიწყო:

„საქართველოს ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტს. სოფელ ხილოვნის საშუალო სკოლის ქართული ენა-ლიტერატურის მასწავლებლის ლაზარე მინდიაშვილის. საჩივარი

ჩემზე ადრე წაიკითხავდით: დასავლეთ გერმანიამ შევიცარიისაგან ორი

საქართველო

მდინარე იყიდა, თანაც იმ პირობით, რომ ეს ორივე მდინარე ასი წლის შემდეგ უნდა გაიყვანოს მილებით. ხედავთ, რამისშორებზე იყურებიან? ჩვენ კი, ჩვენ, ისე დაგვაბრმავე გამჩენმა, ხშირად შევილებამდეც არ მიგვიწვდებოდა თვალი, მიგვიწვდებოდეს — ამდენი უფარვისიცი ალარ იბოგინებდა აქეთიქით თუ მალლა-დაბლა. იმაზე უფრო სავაგლახო რაღაა, დაფიქრებულ ნაშინებს რომ ერცხვინება უგვანო მამის შვილობა! მერე შვილიშვილები? მერე მომდევნოები? სოფელმა ხათრი და მიფუჩხრება არ იცის, საბედნიეროდ ამ მხრივ ისეთი გაუგებელია, ისეთი ყრუა, რაღა ესა და რაღა მიწაწაფარებული ლოდი. მიწაწაფარებულს ვამბობ, თორემ მზეში ქვეც მღერის, ჩუქურთმიანი თუ კედელში ლამაზად ჩამჭდარი ქვა. ვერ წარმომიდგენია, ისე როგორ უნდა დაეცეს, ასე ვთქვათ, კაცი, საყუთარი ოჯახის კეთილდღეობის იქით ვერც ვერაფერს ხედავდეს და არც უნდოდეს დანახვა. ასეთ, ბოდიში მომიხსენებია, ადამიანებს, არ ვიცი, რატომ ავიწყლებათ ის კურთხეული აქლემი, ერთხელ მათ კართანაც რომ უნდა დაიჩოქოს და შემდეგ, ვისაც რა ეკუთვნის, მისხალ-მისხალ გამოუფინოს უყოყმანოდ, უბოდიშოდ, მოურიდებლად. ჩვენს ისტორიაში იმდენი მაგალითია საამისო, გახსენებაც გვზარავს, მაგრამ მაინც ვერ ვისწავლეთ ქვეა; თუმცა, ვინც თავისი ცხოვრების უნიათობას დინახავდა მათ სირეგენში, ეტყობა მისთვის უცხოა ამგვარი წიგნების კითხვით მორაეული უკურნებელი ავადმყოფობა—უძილობა. ამ უკეთურობის მიზეზი სულ უბრალოდ ასახსნელია: თავის წინაპრის დანაშაულზე მორალურ პასუხსაც არ აგებს შთამომავლობა, პასუხს აგებდეს, მაშინ ალბათ წინ გაიხედავდნენ ზოგ-ზოგები და ალარც ამდენი სევდა-ვარამი გაგვაცოდვილებდა. უხსენებელი წინაპრის პატრონს სიტყვას რომ გადავუკრავ ხოლმე — მე რა შუაში ვარო. ვითომ არაფერ შუაშია გენები? ბუნება საწინააღმდეგოს ამბობს და, ნუ გაგივირდებათ,

მეც ამ პატროსანი კანონმდებლის მხარეზე ვიდგე. ნამდვილად ობიექტური კანონმდებელია ბუნება, ვის და რას ალარ მოუძებნა არსებობის გამართლება, საშუალება, უფლება; რა მადლი და მბრონი არ გაიმეტა, რა სიღუბნირე და სიშავდღევე, არავის და არაფერს არც მტერი დაუღია, არც — მოყვარე. თუმცა პატარა შეცდომა მანაც დაუშვა, როცა ადამიანი მოაზროვნე ცხოველად აქცია, ანუ თავის გვირგვინად, და თითქმის ერთბაშად ისე გაათავხედა; სწორედ მისგან უჭირს თავის დაცვა, წარმოგიდგენიათ? სხვა სხვაა და წყალზე უნდა მოგახსენოთ ორიოდ სიტყვა: თურმე ნუ იტყვით, ამეამად დედამიწაზე ასობით მილონ ადამიანს ტანჯავს წყურვილი, საუკუნის დასასრულს კი მილიარდს გადააჭარბებსო — გაზეთმა მითხრა ესეც. აგვიჩემებია, წყლის მეტი რა გვაქვსო, ის ანდაზა კი გვავიწყდება, ზღვა კოვზით დაილიაო. რაც მტრად გადავეკიდეთ ტყეებს, რაც მუხლუხა ტრაქტორითა და ჩაჭვებარებით მიუვუცვივდით, მას აქეთ, ჭერ რა მიცხოვრია და, მართო ჩემს თვალწინ რამდენი წყარო დაიკარგა, ვითხრათ, ყურს არ დაუჭერებთ. ქონებას გაფრთხილება უნდა, ვინც არ გაფრთხილებია, ის ვალატაკებულა კიდევაც — ამასაც გვასწავლის ჩვენი ისტორია, მაგრამ, ეტყობა, შევირდალ არა ვვარავართ, ასე არ იყოს, რა ჯანდაბა დაგვაიწყებდა!.. ისე უდიერად ვამტყვით წყალს, ვიდრე დავლევდეთ, ჭერ ჩვენს შესანდობარს ვამბობთ. ქალაქებში რომელ წყალსაც ესვამთ, იმავე წყლით ირეცხება, ბოდიში მომიხსენებია, საჭიროების ადგილი; საყუთარი თავის ამაზე უარესად გაამაშულემა, მასხრად ავღება კიდევ შეიძლება ვითო? წყაროები წყაროებად და, ახლა არტეზიული წყლების ამბავიც იკითხეთ? ვისაც სად მოეპრიანება, იქ ბურღავს, ვინ დაეძებს კანონსა და სამართალს! ჰოდა, ან ვენახების შესაწამლად ხარჯავენ, ან ფერმებში, ანდა — კულტურულად მეფრინველეობის ფაბრიკას რომ ვეცა-

ხით, იქა — საქათმეში. მაგრამ მთლიანად... როგორ ამბობენ? ჰო: ვერ ითვისებენ და ისიც მიტყრიან თავს, მდიდის და მიხვევა ჩემი ოხვრა, ჭაერი, უღონობის ვარამი. ასე წინგაუხედავად არავინ, არავინ მოექცეოდა ჩვენზე მეტი! ჭერჭერობით არ გვაკლია წყაროები, მდინარეებიც იფილტრება და თავის გამოსაჩენად რაღას ვუვარდებით მიწაში, არ ვიცი? ეს ფასდაუდებელი ქონება გვქონდეს, ხალხნო, შევეუხახოთ შვილებს, სხვაც არა იყოს რა, სასჯელს მაინც შეგვიმსუბუქებს ოდესმე.

აგერ, ხილოვანში ნათეს რომ ეძებდნენ, წყალმა ამოხეთქა და კოლთაერემ, ნოე მინდიაშვილმა, ამით ზვრები უნდა შეეწამლოთ, ფულის ეკონომიას აკეთებს, არაკაცობის ეკონომიაზე კიდევ, რაღა მარტო ეს, ვინ აღარ არის უკაცრავად. კაცმა რომ თქვას, სხვებიც ამას სჩადიან და თითქოს არც გაემტყუნება. აქამდე იმ სხვებს არ მოეფიქრებინათ ამგვარი უთაებლობა, ეს შტერი როგორ გაბედავდა ამდენს! ჩამოღით, მარტო ამ ახლომახლო სოფლებში მიდექ-მოდექით, ნახათ, რამდენი წყალი იღვრება უმიზნოდ, რამდენი ქანგიანი ჰაბურღილია გამშრალი: ზოგი მთელი ოცი წელიწადი ადგაფუნებდა წყალს, ამოსაღები ამოიღო და დადგა, დაისვენა. დავიჯერო, არ არსებობს არტეზიული წყლების დასაცავი კანონი? თუ არსებობს, რას გაჩუმებულხართ? არ არსებობს და რაღას უყურებთ?.. ახლა არ თქვათ, პასუხს წერილობით გაცნობებთო, თორემ გადავირევი! — დავილაღე, კაცო, დავიტანჯე, აღარ შემიძლია ამდენი ჰაერზე ლაპარაკისა და დაპირებების მოსმენა. გარეგნულად თითქოს არ მემჩნევა არაფერი, მაგრამ ვაი ამ ატანას! ახლავე წამოღით, თორემ ჩვენმა კოლთაერემ ზვრების შესაწამლად თუ გაიმეტა ეს საცოდავი წყალი, ულაპარაკოდ დავცემ თოფსა და მდიეთ მერე ტყე-ტყე და ჰალა-ჰალა. საერთოდ კი: არც ჰაერს, არც ტყეებს, არც ნადირა-ფრინველს, არც მდინარეებს და არც მდი-

ნარეების ჩამომზღვეულ კრებებს, არაფერი ეტყობა მოფერებისა და, საინტერესოა, სხვა რაღაა თქვენი დასაცავი! კიდევ: სამკურნალო ბალახების ათობით ჭიში უკვე გაქრობის პირამდეა მისული, საბუთიანი დამამზადებლებისა და ექიმბაშების წყალობით. აქამდე გკოდნოდათ, ღრმად ვარ დარწმუნებული, არც ამ ბალახებს მოაკლებდით, რა ჰქვია, სათანადო ყურადღებას. ზოგჯერ ვფიქრობ, იქნებ მე მიცავენ და მადლს მარილს აყრიან, არ მეუბნებიან-მეთქი. მაგრამ მალევე გადავიფიქრებ ხოლმე: მე რომ მიცავდით, აღარც „ჩეფოლეში“ ავიდოდი ერთადერთი უდაბურა, საჭრელდაუკარებელი ტყის სანახავად, აღარც ფერდობზე დავგორდებოდი და, ექიმების რეკომენდაციით, აღარც ოშოშია ბალახს ჩამომიტანდნენ ზემორაჭვიდან, კერძოდ — ცხმორიდან, დასიებული ბარბაყის მოსარჩენად. გულწრფელად რომ მოგახსენოთ, მტკნარი წყლის თევზებს, უფრო — მდინარეებისას, ნამდვილად არ აკლია თქვენი ლოცვა-კურთხევა: რესტორან-სასადილოებში ქლორითა და დინამიტით გაუქუული, თვალბამოცვენილი ცოცხალი, არც იქით, არც აქით, კილო ოცი მანეთი ღირს ზუსტად. ჰქვიანი კაცის აწეულია ფასი: იაფი ღირდეს, ბევრს მიუწევდებოდა ჭიბე და კალმასს, ხრამულს ნაფოტას, ჰანარს, წვერას, მურწას ვინლა დაქმებს, იქნებ გამბუზიასაც „წითელ წიგნში“ ამოეყო თავი კოლოების სავაგლახოდ... ერთი სიტყვით, მგონი, ღროა, საქმეზე გადავიდით“.

რამე არ გამომჩინებს, ან არ გადავამლაშოო, ნაწერი ჩაიკითხა ლაზარემ, და ანზორაც გამოჩნდა — მანქანა დააბიპინა ეზოში. ამ პიპინს მალე თვითონაც შემოჰყვა:

— მოველი.

— გბედავ, — რვეული მიაწოდა ლაზარემ, — ახლავე წახვალ თბილისში. ამ რვეულს მიიტან... ხომ იცი, მთავრობის სახლი სად არის?

— როგორ არა, ერთხელ, კინოში მი-

ვლიოდით და ქალაქელმა დეიდაშვილ-მა დამანახვა.

— ძალიანაც კარგი! იქ იკითხავ ბუნების დაცვის კომიტეტს. მივასწავლიან. ამ რვეულს იმის რომელიმე უფროსს გადასცემ და თანაც ეტყვი, ვიდრე ვინმე არ გამომყვება, აქედან ფეხსაც არ მოვიცილი-თქო. შენი ამობის იმედი არა მჭონდეს, შენი ამობისა და სიჭიუტისა, არც დაგავალბდი.

ანზორამ რვეული გამოართვა:

— კონკრეტში რო ჩაგვედო, უფრო კულტურული არ იქნებოდა?

— არც ასე ვლანძღავთ ვინმეს.

— კეთილი. მთელი თვე დამპირდეს ლოდინი და ჭაჭლანი, მარტო არ წამოვალ მაინც. წავედი. ისე, კაცმა რომ თქვას, რა მიმაქვს?

— მანდ სწერია ყველაფერი, გზადა-გზა წაიკითხე... სხვათა შორის, საციხე საქმე არ გეგონოს, არ იფიქრო, მოწმედ გამათრევენო, და უკან არ გამობრუნდე.

კარის ზღურბლზე გაჩერდა ანზორა:

— ის ეწეროს აქა, ამისი მომტანი ქვეყნის მოლაღატეა და შეაყუდეთო, ხო გჯერა, მაინც მივიტან! ეგრე არ არის, სერგო? — იქვე, მოფარებულში მდგარა სკოლის დარაჯი და იმას უთხრა.

— ნულა იგვიანებ, ანზორ, არც ისე საჩქაროა, თავი გაიმეტო, მაგრამ წაძინებაც არ ივარგებს.

— ასე და ამგვარად, აღარაფერი დამრჩენია წასვლის მეტი... ჰო, გზას აღარ გავიმრუდებ და გააგებინე ჩვენებს ჩემი ეგრე, უცებ წასვლის ამბავი.

— ახლავე გადავალ.

— ეგრე აჯობებს...

გაკვეთილების დაწყებამდე აიძრა, აგორდა ქორი და სხვა სალაპარაკო აღარაფერი დაუტოვა უსაქმურობით თავშებურებულ ხალხს: ძმებმა, ყუროს ნუ გაიგონებ, ერთმანეთზე ისეთი გინებით გაიწიესო; რძლები წაყიდებულან და ქმრებიც დაიტაკენო; მაგათ დედას თვალით არ ეტყობა, მაგრამ მცოდნე იქიმებს უთქვამთ, ამ შემოდგომას ექლარ გაატანსო, და გასაყრე-

ლად ახლავე აღერლიანო... მისსაყრამ მოადგა პირზე, იმას უმატებდა ისედაც უთავბოლოდ წამოშლილ ქორს. მაგრამ მთავარი ის იყო, რომ ამ უჩვეულო, მოულოდნელი წაყინკლავებისა თუ წაყიდების მიზეზად ლაზარეს თვლიდა ყველა... მუშა ხალხი თითქმის ვერასოდეს ვერ იცლის ენის მოსაფხანად, უსაქმურებს კი, უსაქმურებს ლაქლაქის მეტი სხვა რაღა ემარჯვებათ! ესეც არ იყოს, ქორი ხომ, საერთოდ, სურვილის, შურისა თუ შურისძიების მკაფიო, ნათელი გამოხატულებაა ყოველთვის.

პირველი გაკვეთილი მეათე კლასში ჰქონდა ლაზარეს. სია რომ ამოიკითხა, მაშინვე წამოდგა ბესო ხირსელის ბიჭი, არამი ქონებით გაყვინებული ბესოსი — ერთი წყველა გავიგე გუშინ, იქნებ გამოგადგეთო, და ზედვე მიაყოლა: „გვარში გამოგვერჩიე, კაი ძმა შენა მყავხარო“. ლაზარეს ღიმილს სიცილი შეამშველეს მოსწავლეებმა. მალე მიიღეს ლაზარე და კლასიც ჩაწყნარდა. იმ დღეს „გვადი ბიგვა“ უნდა გაერჩიათ. ლაზარეს დაუკითხავად ბესოს ბიჭი არ წამოდგა ისე?!.. ორჯერ წავეკითხე, ვერ გავიგე თუ გავიგე, საკმაოდ შეჭანებული მგონია გვიანი, შეჭანებული პატრიოტობისა კი ბევრი არაფერი მწამსო. ვიდრე ახმაურდებოდნენ მოსწავლეები, ლაზარემ თითი გაუშვირა კარისკენ. თითქოს სხვას ეუბნებინაო, ბესოს ბიჭი მოწმენდილი დაჭდა მერბზე. ახლა სიტყვიერად უბრძანა, გაეთრიეთ. არც გაჩუჩუნებულა. მაშინ კი ქეჩოში ჩაველო ხელი და კინწისკვრით გაისროლა დერეფანში... სათანადო ლექსიკონი რომ მოვიშველიოთ, ეს პირველი შშმმთხვევა იყო, როცა არაპედაგოგიურ მეთოდს მიმართა ლაზარემ — მოსწავლე გააპანლურა გაკვეთილიდან; ორიანი ეკუთვნის და დაუწერო, ახლა მასწავლებელს არც ეს ეთვლება აღსაზრდელისადმი სანიმუშო მიდგომად... დაემუქრა ბესოს ბიჭი, ჯერ ეუთხრა მამაჩემსაო. ის ისეთი არგასაზრდელია, ნამდვილად ეტყვის.

შესვენებაზე, სამასწავლებლოში რომ

შევიდა ლაზარე, დირექტორმა ისე მოაჩვენა თავი, ვითომც სულ არაფერი გაეგონა ამ ნამდვილად უჩვეულო გამოხდომის თაობაზე. ოღონდ ეგ იყო, ავტოსაქმის მასწავლებელს გადაუღაპარაკა, რა მაგისი პასუხია და, ზოგიერთ ამხანაგს საკუთარი ძმისაც აღარ ესმის არაფერი და ბავშვის გულწრფელი ეკვისას თუ შენიშვნისას რაღას გაიგებსო...

იმ დღეს, ერთმანეთის მიყოლებით, მარტო სამი გაკვეთილი ჰქონდა ლაზარეს — აღრე დაბრუნდა შინ. მის მეუღლესა და რძალს დიდი სარეცხი ჰქონდათ, ეზოში ფუსფუსებდნენ. დედა არ ჩანდა. სხვა დროს ისე როგორ დაბრუნდებოდა სკოლიდან, ცოტა ხანს ეზოსთვის არ მოველო თვალი, ორიოდღე სიტყვა არ ეთქვა ვინმესთვის, ახლა კი აჩქარებით აიპარა კიბე, თავის ოთახში შევიდა და ტახტზე წამოწვა. ჯერ შუადღეც არ იყო, არც საქმე უკეთებია იმდენი, ჯანი დაეჭანცა, არადა, დაღლას გრძობდა. ისევ ძმასთან საუბარი უტრიალებდა თავში. ისიც გაიფიქრა, ყველა თავის ბუნაგში ითბუნება, თავის კეთილდღეობასა და დარჩენილ წლებს ეფერება, ნეტა რა ძალა მადგას, ჩემს გულს რატომ ვასკდებიო. მაგრამ ისეთი ვინმე არ იყო ლაზარე, ხალხის მოსაჩვენებლად გამოედო თავი: ერთი ეთქვა და მეორე ეკეთებინა, სამშობლოს სადღეგრძელოს რომ მოჰყვება ხოლმე, ისე. „არა, მაინც, რატომ უნდა ერქვას ცოტნე, გაქნილი არამზადის, ბესო ხირსელის შვილს?! ასეთ ხალხს რატომ აძლევენ უფლებას ჩვენი გასაცოდავებული ისტორიის გაჭურდვისას?.. რაღაც კანონი და კანონზომიერება ხომ უნდა არსებობდეს თუნდაც სახელების დარქმევაში?“

ოთახში დედა შემოვიდა. ასადგომად წამოიწია ლაზარემ.

— იწეკი, იწეკი, შვილო, — სკამზე დაჯდა, გულხელი დაიკრიფა, — რა ამბავია, შვილო, ჩემს თავს?

— არაფერი, დედი, რა უნდა იყოს?

— უმიზეზოდ არ აღავლავდება სოფელი!

— რაო, რა მოხდაო? — ლაზარე ადგა, ეზოში გადაიხედა.

— აქამდე არ გიჩხუბიათ და ახლა რომელი სალოცავის მაღლი გაგიწყრაო! — უყვირა. — ნათესავებითა ვართ სავეს და ტყბილი სიტყვითაც არავინ დაგვგმარებია მამაშენის სიკვდილის აქეთ, იმ უბედურისა! ვაჭირვებით დაგზარდეთ, გასწავლეთ, გზაზე დაგაყენეთ და ეხლა არ მოგარათ, სასაფლაოსაკენ რომ აემგზავრებულვარ?!

— ვინ გითხრა, იჩხუბესო, ადამიანო, ორიოდღე სიტყვა ვუთხარით ერთმანეთს, — ხმადაბლა, მორიდებით თქვა ლაზარემ, — მოვა და იმასაც ჰკითხე.

— მაშინ, იქ რა გაყვირებდათ, კანტორაში! ვითომ არ იცით, როგორია სოფელი, სანიფხვეს საპერანგედ აქცევს ხოლმე!.. ჯერ ისიც მობრძანდეს აქა! — მუშტი დაჰკრა მაგიდას, — ყვირილი თუ გინდოდა, ამოდენა სახლში ვერა ნახეთ ადგილი?! — წამოხტა, სკამი ხრილით შეაგდო მაგიდის ქვეშ, — ისიც მოეთრიოს აქა! გავიგებ, რა გაღრიალებდათ; და მერე ჩემი მოიხილეთ ყვირილი!.. ვერ უყუარებ, როგორ გადამიარეს თავზე?! — აჩქარებული გავიდა აივანზე, — ვიდრე თქვენ გამამწარებდეთ, მე გაგამწარებთ მანამდე — ქუჩაში ჩამოვიხრჩობ თავსა!

— სოფელს რას უსმენ, დედი, შემოდი, დაწერილებით მოგიყვები ყველაფერს.

— სოფელში ხარ და სწორედაც სოფელს უნდა უსმინო! — კიბეზე დაეშვა. სიმწრის ოფლი დაასკდა ლაზარეს, ტახტზე დაწვა, პირისახე ბალიშში ჩარგო.

რძლები ისე მშვიდად, საქმიანად უტრიალებდნენ სარეცხს, ვითომც ეზოს გადაღმიდან მოესმოდათ აწეული ხმა. სკოლიდან დაბრუნდნენ ბავშვები.

თითქოს მოსდევნო, ისეთი ფაცხა-ფუცხით შეცვივდნენ ჭიშკარში.

ნოეს ორი შვილი ჰყავდა, ორივე ბიჭი; ლაზარეს — სამი: ორი გოგო და ერთი ბიჭი. სკოლაში დადიოდნენ ყველანი. ისე უვლიდნენ ოჯახში, უცხო თვალი ვერ გაარკვევდა, რომლები ერთის იყო, რომლები — მეორესი.

ბებიამ თვალი მოავლო ბავშვებს:

— აბა, ვინ რა ნიშანი მოიტანა დღეს?

ლაზარე კი ისე ფიქრში იყო ჩაძირული, ისეე მოაწვა ნაღველი, იქნებ აჯობებდა, ხმა არ ამომეღოო. თუცა მალევე გადაიფიქრა: ამ უთქმელობით, წაყრუებით, დუმილით, პა და პა, სადაცაა, ვირი ბეზე გავაო.

რძლები ხანდახან ნამალევედ ელაპარაკებოდნენ ერთმანეთს, წუბდნენ, ნეტავ, რა მოხდაო. დიდ ოჯახს გარკვეული უნდოდა და მეზობლებში გასვლა-გამოსასვლელად არასოდეს ეცალათ, სხვანაირად ვერც სიმართლეს გაიგებდნენ, ვერც ჭორს. ვიდრე მათი ქმრები არ დასხდებოდნენ ერთმანეთის პირისპირ, მანამდე ვერ გაარკვევდნენ ვერაფერს, არადა, სურვილი, ჯავრი აწვალდებოდათ. შიმშილით აწრიალებული შვილები ფეხებში ედებოდნენ დედებს, მაგრამ მათ მისახედად ვერ იცლიდა ათასნაირად აბურღული ფიქრი და შიში იმისა, რასაც სოფლის ყბაში ჩავარდნა ჰქვია. საერთოდ, როცა ოჯახის საქმე მოაწვევდათ, დედამთილი მათთან იყო ყოველთვის, ახლა კი არ ჩანდა, ამიტომაც მოინაცლისეს.

— ბებია სად არის, მანანა? — თავის უფროს შვილს, ბებიას სეხნიას ჰკითხა ლაზარეს ცოლმა.

— წელან მარანში შევიდა.

— შეიხედე, ნახე, ერთი, რას აკეთებს.

— რომ დამინახოს?!

მართლაც მარანში იყო მანანა, დაბალ სკამზე იჯდა, მუხლებზე ხელს ირტყამდა, ტიროდა...

ლაზარეს მთელი დღე ხემსი არ ჩასვლოდა პირში, მაგრამ არც გახსენებია შიმშილი. ხან წიგნი გადმოიღო თაროდან, ხან საკონტროლო რეველებს ჩა-

უჯდა, ვერაფერს ვერ დაუღწევია, დედის აწეული ხმა, მისი შიშით შეცვლილი პირისახე ედგა თვალწინ — ვერაფრით ვერ დააღწია თავი.

ბავშვებიც მიხვდნენ, რაღაც რომ მოხდა, გაუგონარი, უჩვეულო, მოულოდნელი. შიშით უყურებდნენ დედებსა და ერთმანეთს, თან თვალი მარანსკენ ეჭირათ.

ოხვრამში, ცრემლში, უემურ ფიქრსა და ბავშვურ დუმილში გადაშუადლებდა და ლაზარეც ჩავიდა ეზოში. დიდი ბავშვები, ძმისა და თავისი, გაბუტულე-ბივით დამდგარიყვნენ ხეჭუჭურის ქვეშ და ისე ჩურჩულებდნენ, ვითომც დიდზე დიდი საიდუმლო ჰქონდათ. პატარები კი, იმ სიციხეში, დედებთან დაბორილობდნენ, ცეცხლზე შემოდგმულ საარეცხის ქვაბებიდან წამოშლილ ორთქლში.

საჩეხში შევიდა ლაზარე და გაჩერდა:

— ყველანი მოდიეთ აქ!

მეკრიცხლად მივიდნენ.

— იქნებ არ გეცალია, ან შინ არა ვართ, მაშ ვერ უნდა მოძებნოთ საქმელი? — გაბრაზდა, — წამოდიოთ! — სამზარეულოსკენ წავიდა.

მაგრამ უკვე იქ დახვდა დედა — სუფრა გაეშალა.

დედამ ნამტირალევი თვალები შეანათა შვილს, წინსაფარი შეიხსნა, ფანჯრის რაფაზე მიაგდო და საჩეხში გავიდა.

— მოიცა, დედი, — თვალი გააყოლა ლაზარემ, — რაღაც უნდა გითხრა. — ისიც მოვა და მაშინ მითხარი ეგ საქმელიც, — ნაბიჯი შეანელა.

ნოეს ბიჭი, გიორგი, თითით იხმო ლაზარემ, ჭიბიდან ფული ამოიღო, ხუთმანეთიანი ამოარჩია და მიაწოდა:

— წადი მალაზიაში და სიგარეტი ამომიტანე ამისი. დანარჩენები დანაყრდით და მაშინვე ამოდიოთ მალლა. ხომ არ გავიწყდებათ, სწავლა რომ არის ხეალაც?

ჭიშკარში რო გადიოდა გიორგი, მაშინდა დაინახა ბებიამ:

— სად მიხვალ, შვილო?

— სიგარეტზე გამგზავნა.

ქალები გაშრნენ: რაც სალდათიდან დაბრუნდა ლაზარე, მას აქეთ აღარ გააკარებია პაპიროსს.

— მომეცი ფული! — უბრძანა ბებიამ.

ბიჭმა უსიტყვოდ გაუწოდა ხუთმანეთიანი.

— შედი სამზარეულოში!

ბიჭმა ფეხი ათარია.

— შენ არ გეუბნებიან!..

ლაზარემ სამზარეულოში შებრუნებული გიორგი რომ დინახა, თვითონ დააპირა მალაზიაში წასვლა, მაგრამ ამ დროს ჭიშკართან მანქანის მუხრუჭის ხრჭიალი მოესმა და სიგარეტზე ფიჭრილი ამოუვარდა თავიდან. ეგონა, ნოვ მოვიდაო, მაგრამ დედის ხმა რომ გაიგონა, მობრძანდით, ბატონოო, ყვლაფერი მიხვდა და ისევ მოაწვა წუხილი.

ბავშვები გაფაციცდნენ. ფანჯრებს ეცნენ — ვინ მოვიდაო.

ლაზარემ მარანში გასასვლელი კარი შეაღო:

— ანზორა ძიას უთხარიო, მარანში შემოვირდეს, — მაგრამ მათი დაძახხნა აღარ დასჭირებია, ანზორაც მოვიდა.

— ვინ ჩამოიყვანე? — საქაჯავის ხვიმარას მიეყრდნო ლაზარე.

— ეტყობა, მთლად უფროსებში არ გადის, მაგრამ არც ნაკლებია.

— ხმადაბლა ილაპარაკე, ბავშვებმა არ გაიგონ. რაო, რა თქვეს?

— რაზე მეკითხები?

— რაზე უნდა გეკითხებოდე?!

— ორ საათამდე ვერ შეგიშვებთო; მამა უცხოდათ! ისე ავეყირდი, მგონი, ლაზარესაც მისწვდა ხმა და, ე, მომეშველებამეთქი. აქეთ მე, იქით — ფორშიანი ვილაკეები, კინალამ დარტყმაზე მიღდა საქმე. მერე, გაიგეს, გადაუღებელი საქმე ჰქონიაო, და თვითონვე გატოკდნენ. ერთი გოგო ჩამომშვენიერდა და იმან... კაცო, რატო არ მითხარი, პასპორტი წაიღეო?

— ამხელა გზაზე მიდიოდი და რალა ჩემი თქმა გინდოდა?!

— უპასპორტოთ ვერ აგიყვანთო. კი-

დეე კარგი, მანქანის პასპორტი მქონდეთ თან! ამიყვანეს მალა. მთლად უფროსი ვიკითხე. დღეს არ იქნებო. მომდევნოებიც სადღაც წასულიყვენ თათბირსათუ რალაცაზე. მაშინ ეგე, ეხლა დედაშენს რო ელაპარაკება, იმასთან მიმიყვანეს. დავაძრე უბიდან რვეული. წაიკითხა და მაშინვე წამოდგა, ერთი წუთით აქ ბრძანდებოდეთო. იმანაც არ მითხრას, სად მამაჩემთან წავალ შირაქის საძოვრებზე? უცებ დაბრუნდა. დასაველეთში მივედიოდი მიველინებით, მაგრამ გავაუქმებინეო.

— სულ არაფერი გითხრა საჩივარზე?

— არაფერი. აღბათ ლაპარაკზე მიმიხვდა, რა ცოდნის პატრონიცა ვარ, და რალას მეტყუდა? — გაელიმა.

— არც გზაში უთქვამს რამე?

— გზაში კი, დაბურღულ წყლებზე დამკითხა.

— რა უთხარი?

— რას ვეტყუდი — შენს წისქვილზე დავასხი წყალი; ზოგიერთმა რეგვენმა ხელმძღვანელმა ამხანაგმა, მიწაში დამალული წყალიც აღარ შეგვარჩინა, იგრე გაგუდარცვა-მეთქი. რა ექნა, ძმაო, ამითან ბრძოლით მეც სიცოცხლე გავინახევრეო. მაშინ, ლაზარე, მაშინ არ წამოვყარანტალე?! — თუ ეგრეა, რალას მომყვები-მეთქი. გაიცინა. მერე კი ვიკბინე ენაზე, მაგრამ რალა ეშველებოდა!.. კაი კაცი ჩანს, რაც ჩემს გონებაში დე ჩამოღის, მარტო იმაზე ლაპარაკობდა.

— პირდაპირ აქ მოიყვანე?

— ჭერ კანტორაში მივედიო. გავიგებ, იქნებ უფროსი არ იყოს იქა და ამსიგრძე კიბეზე ასვლა-ჩამოსვლით რისთვისღა შეგაწუხოთ-მეთქი. კარგიო. აველ. აქ არ არისო — მდივანმა. გამობრუნებებს ვაპირებდი, თავის ოთახში შემიყვანა. შენ რო წალაპარაკებულხარ, მას შემდეგ ნოეს აღარავინ შეუშვია თავისთან. მარტო ყოფილა მთელი ორი საათი. მერე ამდგარა და მდივნისათვის უთქვამს, თუ უცხო ვინმემ მიკითხოს, რაიონში

ვიქნებით. მალევე მობრუნებულა და მაშინვე დაუწერია ბრძანება, რეზერვუარის მშენებლობა შეჩერდეს.

— შეილებს გაფიცებ! — გაუხარდა ლაზარეს.

— მე რა შუაში ვარ, შალას ნათქვამს ვიმეორებ. ნათელ გონებაზე იყოს. სხვადა ჰქონდა სათქმელი, მაგრამ სტუმრისა მომერიდა და, როგორც იქნა, დავუძვეერი. ხო იცი, ხელში თუ ჩავიგდო, შეგიკლავს ლაპარაკით.

— საით წავიდეთ?

— არ მიკითხავს და, მგონი, არც თვითონ იცოდა დანამდვილებით.

— კარგი, წავიდეთ.

ეზოში რომ გავიდნენ, დაინახეს: თალარს ათვლიერებდა სტუმარი.

— კინალამ დამაფიწყდა, მამია ჰქვია, — უჩურჩულა ანზორამ.

საშუალოზე ოდნავ მაღალი იყო სტუმარი, ქერა თმა ჰქონდა და გაფითრებამდე თეთრი, თეთრი პირისაზე. იქვე იდგა ლაზარეს დედა და იმას ესაუბრებოდა:

— იმერელი ვარ, ქალბატონო და, მართალი მოგახსენოთ, მაინცდამაინც არ მიკვირს, მოვლილ ეზოებს რომ ვნახავ ხოლმე. თქვენმა ეზომ კი, სტუმრის თავაზიანობაში ნუ ჩამოშართმევთ, ნამდვილად აღმაფრთოვანა!

— ამდენი ველოლიავებით, შეილო, და რატო უკეთესად გამშვენიერებულოც არ უნდა იყოს!

— არა, აქ მარტო მოვლა არაა მთავარი, უფრო ხეხილის ნაირფეროვნება და განლაგება მაქვს მხედველობაში.

— ეგ უკვე ჩემი ქმრისა და შეილების ქუთა-გონების სიკეთეა. საცოდავი ჩემი ქმარი, გიორგი...

ანზორამ შეაწყვეტინა სათქმელი:

— მამია უფროსო, აი ეს არის ლაზარე.

შებრუნებული იდგა მამია, მიტრიალდა, ხელი გაუწოდა:

— დიდად სასიამოვნოა.

— კეთილი იყოს თქვენი მობრძანება, — ხელს ხელი შეაგება და თავიც

დაუკრა ლაზარემ, — ლაზარე: გავხედავნიათ დედაჩემი.

— თქვენი სახელი მიბრძანეთ, ქალბატონო.

— მანანა ძალოა, — უთხრა ანზორამ.

— დიდი მადლობა, ჩემო ბატონო.

— ახლა, თუ არ მიწყენთ, ცოტა ხანს დაგტოვებთ, — ცოლისა და რძლისაკენ გაიხედა ლაზარემ.

— იქნებ ჭერ ჩემი ჩამოსვლის მიზეზზე გვესაუბრა?

— შემდეგისათვის იყოს. მაშ ასე, ცოტა ხანს დაგტოვებთ.

— კეთილი.

ლაზარე და ანზორა ისევ საჩხებისაკენ წავიდნენ.

— ქალბატონო მანანა, ამ სოფელში ბევრი ცხოვრობს მინდიაშვილი? — დაინტერესდა მამია.

— სულ რვა კომლი ვართ, შეილო, განაყრები. თუმცა ერთი სხვაც შემოგვევრია, უჯიშო. რალანარი, ჩახლართული გვარი ჰქონდა, ჩემისთანების ყურს რო ეხამუშება, ისეთი. ნამდვილ მინდიაშვილებთან დაინახო, იტყვი, ეს ამათი არ არისო. თავის გვარზე უარს რო ამბობს ვინმე და სხვისას ირჩევს, თანაც ვახმაურებულ, ჰქვიანი ხალხის გვარსა, კანონი და სამართალი რატო არ უკრძალავს, დავიჭერო, არავის ხედება გულზე?

— ძნელი სათქმელია, ქალბატონო, ალბათ ამ მხრივ ამომრჩევლის სურვილი უფრო ბევრს ნიშნავს.

— ეინ იცის, როდისდან მოდის ჩვენი გვარი, რა უთავბოლობის ცეცხლი და ვარამი გამოიპარა, უცებ კი, უცებ, გამოჩნდება ვილაც მურდალი და, აღარ მინდა ჩემი გვარიო, აქეთ იხედება. ამას წინათ, იმ მინდიაშვილის ბიჭმა წაიხუთიგნა და აკი აქაურ გაზეთში გაწერეს, ხულიგანი მინდიაშვილიო. ჩვენი გვარის ამ ბუღბუღი გაუგებელი, ბრიყვი, თავზე ხელაღებული არაეინ გვირევიო... მარტო ერთმა სოფელმა თუ იცის სიმართლე, ბევრს არაფერს ნიშნავს ესა. შენ რას იტყვი, შეილო?



— არ ვიცი, ქალბატონო, არც მე ვიცი, რა ვთქვა.

— აგრემც მოვკვდები, სკამიც ვერ მოგართვით! — კიბისკენ ვიშვიშით წაივდა მანანა.

— ნუ სწუხდებით, ქალბატონო, სულ სკამზე ვარ დაკრული; ბაღჩა-ბოსტანს თუ დამათვალეებინებთ, უკეთეს სიკეთეს ვერ მიზამთ.

მანანა მობრუნდა:

— მობრძანდით, შვილო, — ლასტის კარი გაუღო და შეუძღვა, — განა ფიცრის გარანდულ კარს ვერ შევებამდით, მაგრამ ლაზარემ — ეს უფრო ლამაზი იყო. ყოველ ორ წელიწადში გავაახლებთ ხოლმე ამ ტურუსულ ღობესაც.

— ნამდვილად მშვენიერია, ქალბატონო, სოფელს სოფლობა უნდა ეტყობოდეს.

— ამოსვლისას დაინახავდი, თითქმის ყველა ეზო გალავანშია დამალული. ამხელა სოფელში მარტო ჩვენა გვაქვს ეგეთი ღობეცა და ეგეთი ფარალალა ხის ჭიშკარიც. ეგე, ღობეში ხეები რომ დგას, ზემოთა — იფანია, იმის ჩამოყოლებით — ცაცხვები. მეზობლებმა — რას აკმევიანებთ ამხელა მიწას, მაგის ნაცვლად ხეხილი დაგერგოთ, არც ჩვენ გვაწყენდაო. ჩემმა ცხონებულმა ქმარმა, გიორგიმ — ეს რომ მოსაჭრელი ყოფილიყო, არა მგონია, ამის წინანდელ პატრონს ნაჯახი არ ჰქონოდაო. იმის დროს, შვილო, ძალიანაც უჭირდათ შეშა, მაგრამ არც უფიქრიათ, წავაქციოთო. არადა, ზოგ-ზოგებმა სასაფლაოს ცაცხვები და იფნები არ დაინდეს, მშვიდობიანობისას კი წმინდა ხეს ეძახდნენ, ფერად ნაჭრებს ჰკიდებდნენ ტოტებზე, სანთლებსაც მიაკრავდნენ ხოლმე. — ნამწვით იყო შეპოჰკილი.

— დიდებული ხეზია, ქალბატონო, მაგრამ უფრო თალარმა გამოაცა, სახლსაც უხდება, ეზოსაც, თანაც როგორ ასხია, ღმერთო ჩემო, მტერსაც მოსტაცებს თვალს!

— ჩემი შვილების დარგულია. ყოველ წელიწადს ასე ისხამს. ზოგჯერ სე-

ტყვა თუ დააცარიელებს ხოლმე, ამისი ბრალია!

— ასეთი ვაშლი აქამდე არ მინახავს, სასიამოვნოდ დახუნძლულა, — დაიხარა მამია, დამბიშებულ ტოტს ისე შეუშვირა ხელი, ისე ფრთხილად ასწია, თითქოს ვარდებოდა და შეეშველაო.

— საზაფხულო ხილია, შვილო, ხომარდული. წვრილი ნაყოფი იცის, ტბილია და თანაც ისეთი სიმწკლარტე დაჰკრავს, ისეთი კარგი, აბა, რაღა ვთქვა! ეხლა დიდი, გაბრიყვებული ხეხილია მოდამი, ვილას უდგას ხომარდული! ოღონდ სათვლიო იყოს, გემოსა და სურნელს ვინღა დაეძებს, შვილო...

რძლებს არა გცალიათო, მეზობლის ქალები მოვიდნენ, მალე ადულდებო — გახჭურაზე წვრილი ჭურჭლით შემოდგეს წყალი. მერე ქათმებს წიწკნიდნენ, ლაზარე და ანზორა კი ბურჯაკა ფუფქავდნენ ვარცლში. სადაცაა რძლებიც მორჩებოდნენ სარეცხის ამოღებას. ბავშვები ზედა საართულში ასულიყვნენ და მეცადინეობის ნაცვლად სტუმარს უთვალთვალებდნენ გასუსულები...

— ქვემოთ ვცხოვრობდით, შვილო, ზედ სოფლის შუაგულში, ერთი ურმის მოტრიალება ეზო გეჭონდა. ჩემმა ქმარმა ვენახის ნახევარი დათმო ამ საკარმიდამოში. იქ ორი ოთახი გვედგა თავისი საჩეხითა და მარნით. ის დავანგრიეთ და ეს ავაშენეთ, ჰო, ომის აქთ იყო. ის ცხონებული დაჭრილი დაბრუნდა ჩხუბიდან და მაშინ მითხოვა. მანამდე ვიცნობდით ერთმანეთს. ამ სახლს რომ ვაცოდვილებდით, ნოე გყავდა მარტო. დაემათავრეთ სახლი და მერეღა მოვიცალეთ ლაზარეს მოსაყვანად. ეს ეზო-ყურე, შვილო, იმის გემოვნებით არის დალაგებული, იმ ცხონებულისა, მაგრამ ვერც ამ ეზოს გამშვენიერებას მოესწრო, ვერც შვილებში გაიხარა, ომის ჭრილობას გადაჰყვა. პატარას არ ასოვს. მერე, წამომეზარდნენ ბიჭები, დაეკადნენ და სწორედ ისე მოხედეს აქაურობას, როგორც იმ საცოდავსა ჰქონდა ჩაფიქრებული. მიწა თუ უყვარს

ადამიანს, შვილო, არც ცხოვრების, სი-
ცოცხლის ხალისს დაკარგავს, არც ადამი-
ანიანობას. შვილები გვერდში ამოშიდგ-
ნენ და შელავთიყ მიეცა ოჯახს. ხო
ნასწავლები არიან, თოხი, ბარი, სასხ-
ლავი, ქვევრის რეცხვა, არაფერი, არა-
ფერი არ ეთავილებათ, შვილო, ყველა-
ფერი გვეყავს, ხვარსტავიცა და ფრინვე-
ლიც...

— ეს რა ხეა, ქალბატონო? — წერი-
ლი ნაყოფი მოწყვეტა მამიამ, დაჩერ-
და.

— უნაბი. ამ სოფელში მართო ჩვენ
გვიდგას. უებარი წამალია წნევისა...
უცხო მიწის ხეხილმა ჩვენი ვააგლო,
შვილო, ჩვენი ნაშევდღევაი ხეხილი.
რასაც აქ უყურებ, არ იფიქრო, უგერ-
გილოები არიან და ჭიშინი ვერაფერი
უშოვნიათო — პირწმინდათ ჩვენია,
აქაური. რაც თითქმის გადაშენდა, ან-
და კიდევ გადაშენების გზაზეა დაძღვა-
რი, ყველას აქ უყრიან თავს ჩემი შვი-
ლები. აგერ ღობის ატამია — ბუსუსი-
ანი ატამი. ისა — ვაშლატამა. ესა —
ოქროქლიავა, პაპას ქლიავი, გვერდით
— დამასხი, გორიდან ჩამოვიტანეთ. მე-
რე, ხეჭეჭური, თამრო მსხალი, საკა-
ლოო მსხალი, ქართული, ჭორფლიანი
გულაბი, მწვანე ლუღვი... ის გადამეივ-
ნული ვაზი ჩვენი თითა და ხარისთვა-
ლა.

— მართლაც საინტერესოა, ქალბა-
ტონო, — ლურჯად ასივსივებულ
კვლებს გაბედა მამიამ, — თითქმის
ყოველნაირი მწვანელიც ვითესიათ. დე-
და, რა სურნელი ტრიალებს!

— მთელი ჭაბირით გაეახარეთ ომბა-
ლო.

— ტყემლის მყავე უომბალოდ რო-
გორ იქნება, ქალბატონო, კვაწარახი კი-
დეც — ომბალოთი.

— სწორი ბრძანებაა, — მანანასაც
გაეღიმა, — იმერეთიდან არ ჩამოგვი-
ტანია, შვილო, ჩვენს მთებში ნასოფ-
ლარია ერთი, საესეა იქაურობა.

— რას მელაპარაკებთ?!

— ნამგლით სათიბია პირდაპირ, მა-
აშ!

— რა მშვენიერი ტრანსლუციონაა ჩვენ
უფრო მაკლოს ვეძახით.

— ეგებ არაფერი, ზოგიერთ ბალახს
ხუთი საბელიც ჰქვია...

რძლებმა, რა ხანია, სარეცი გავი-
ნეს და აივანზე ტრიალებდნენ უკვე —
სუფრას შლიდნენ. რა ხანია, ლაზარეც
და ანზორაც მორჩნენ ბურვიაკს დაეუ-
წყვას, ხეჭეჭურის ქვეშ იდგნენ და ჭათ-
ქათა პირსახოცით იმშრალდნენ ხე-
ლებს. იქვე, ონკანიდან, წყალი მოთქ-
რიალებდა ისევ.

— რა ამბავია მანდ! — გაჯავრდა მა-
ნანა, — რას აყვირებთ წყალსა!

ანზორამ ღიმილით დაკეტა ონკანი
და გზისკენ გაიხედა: ნოე მისულიყო
ეიგულით და ჭიშკარს აღებდა.

— მე შემოვიტან, — ანზორამ პირ-
სახოცი გადაუგლო ლაზარეს.

ნოე აჩქარებით წავიდა ლაზარესკენ
და უცხო კაცი რომ დაინახა, მაშინღა
შეანელა ნაბიჯი:

— პარი-პარალეს საქმე როგოა?

— ათიოდე წუთში მზად იქნება ყვე-
ლაფერი, — პირსახოცი ხეჭეჭურის
ტოტზე ჩამოკიდა ლაზარემ, — მეზო-
ბლები გადმოგვეშველნენ.

— კარგია. უკვე ილაპარაკეთ იმაზე?

— საამისო დრო სად იყო!

ანზორამ კაპოტი ახადა მანქანას და
რალაცას უკირკიტებს.

— ჩააქრე მაინც, — უთხრა ნოემ, —
ძალიან გეხალისება მაგისი ბლულიო?

— რალაც უჭირს, — მოტორი გამო-
რთო ანზორამ და კაპოტიც დახურა, —
რალაც უჭირს და ვერ მიუხვდვი. დღე-
სვე წავიღებ ამას, საგულდაგულოდ გა-
ვისინჯავ, სატყევის ვერ გავუგებ და
სხვასაც გავასინჯებ, თორემ არ მომ-
წონს ამისი ხიხინი! გზაში არ გილალა-
ტოს, ჩემი არ იყოს, არც შენ გემარჯ-
ვება ზოზინი. მანამდე, ეგე, ჩემით გა-
დი იოლას, ორლობ-ორლობ და ხევ-ხევ
სიარული მაგას უფრო მოუხდება.

— მზეზე რას დაგიგდია, შემოიტანე,
ჩრდილში გააჩერე.

— რო მივაკეთ-მოვაკეთებ, ფერიც
უნდა გამოვეუცვალო და, რალა ძალაა!

— მართლა! — ლაზარეს შეხედა ნო-
ემ, — რა აწყენინე ბესო ხირსელს!

— შვილი გავუგდე გაკვეთილიდან.
რაო?

— გემუქრება თურმე.

— რა უნდა დამაკლოს ვითომ?

— ნეტა არ მინდა უბატონოდ გაგ-
ცეს ხმა, ჭყიმით გავაგლესავ მიწაზე!

— ჭერ ისევ ცოცხალი ვარ, მგონი.
მანანა და მამიაც გამოვიდნენ ბალ-
ჩიდან.

— ესეც ჩემი უფროსი ბიჭი, — გა-
აცნო მანანამ.

ნოემ ღიმილით ჩამოართვა ხელი:

— დედა რომ გაგაცნობს, ის კარგი
კაცია უმკველად.

— რა დედა გყავთ, რა დიდებული
დედა, ვერ წარმოიდგენთ!

— მადლობელი ვარ, შენი ჭირიმე...
დაიღლებოდით.

— რა დამლღის, ედემში ვარ!.. საჩ-
ხუბარ-სადავიდარაბო საქმეების გასა-
რჩევად თუ მოსაგვარებლად რომ დავ-
დივარ და ზოგჯერ თქვენნაირ ხალხს
გავიცნობ ხოლმე, და თანაც ასეთ ზღა-
პარსაც ვხედავ, ჭავრით აღარა ვარ კა-
ცი!.. მიმიხვდით ალბათ, რისი თქმაც
მინდოდა.

— რა თქმა უნდა.

— ეჰ, — მიწას დააჩერდა მამია, —
ხალხი, ჩემო ბატონო, სამწუხაროდ,
კარგსაც მოიკავს და ცუდსაც. რომ და-
უკვირდე, უცნაური, უცნაური კი არა,
უსამართლო დომბალია, ღმერთმანი.

მანანამ ხეჭუჭურის ტოტზე ჩამოკიდე-
ბული პირსახოცი, ჩამოიღო.

— ნომ...

— ათ...

— ჭრ...

— ედ...

— მბ...

— ეი...

— ნე...

— გაიგე, დედი? — ელიმემა...
— გამომიხებელმა დამირეკა...

იმ მინდიაშვილზე მეტუბნება, შენი ხათ-
რით შეღავათს ვაძლევთო. ჩემი სახლი-
კაცი ჰგონია.

— სახლიკაციო?! — წამოენთო მა-
ნანა, — ვერ უყურებ, რამდენს გვიბე-
დავს?

— ეგეც არაფერი, — ხელი აიქნია
ლაზარემ, — რა მოხდა მერე?.. მიდი,
დედი, მიხედე ქალებს.

— მეტი რალა უნდა მოხდეს, შვილო,
არ ვიცი, ნამდვილად არ ვიცი!

— ასე, — ჩაფიქრდა ნოე, — ვტყუ-
ოდი, ლაზარე, — მხარზე ხელი მოუ-
თათუნა, — შევაწუხებთ კაცი.

— პირიქით, აქეთ გაწუხებთ, ჩემო
ბატონო... იქნებ ჭერ კოლმეურნეობის
თავმჯდომარე გვენახა, თქვენი სუხნია?

— რომელი სუხნია! — გაიცინა ან-
ზორამ, — აქ მარტო ამასა ჰქვია ნოე
და სოფლის თავკაციც ეს არის.

— რას ბრძანებთ?!
— წელან მანანა ძალომ არ გითხრა?
ოფლი დაასკდა მამიას, პირიც გა-
უშრა:

— თუ შეიძლება, წყალი დამალევი-
ნეთ.

მანანამ ონკანი მუაშვა და ჩამოეცა-
ლა.

მამიამ პეშვით დაღია წყალი, პირი-
სახეზეც შეისხა და თვალების ხამხამით
მიაჩერდა მანანას:

— თქვენს ადგილზე რომ ვიყო, ქა-
ლბატონო, ულაპარაკოდ ვუჩივლებდი
იმ ვილაც მინდიაშვილს!



მეხი ალხაზიშვილი

• • •

რა საიდუმლოს აღარ მალავ, მიწავ ბებერო,
სხეულის ჩვენის უსწრაფესად დამმიწებელო.

გამიმეორე, რას ჩურჩულებ მიწავ, ბებერო:
აღბათ, ოდესმე შენც ამ მიწით გიწამლებენო.

ჯერ კი მივდივარ, ჯერ ვნებები ვერ დავიოკე,
ვინ შეეძერწა შენს წალკოტებს ანდა ხრიოკებს?

მიწავ მშობელო, მომლოდინე ჩვენი დაცემის,
შენს თბილ წიალში სათითაოდ ჩავინაცრებით.

შენ თბილო ფერფლო ჩვენი ძელების, ნგრევის, შენების,
შენ ხარ სასრული და საწყისი აღმოცენების.

• • •

პირველ სექტემბერს —
შემოდგომის ამ პირველ კლავისს,
სკოლის ზარივით მოწკრიალეს
და მზისფერ ბგერას,
პირველკლასელთა
ფერადოვან სიზმრებში შობილს, —
რად მოაქვს ჩემთვის სიხარული სევდანარევი?!

• • •

ლამის ცაზე უნორჩეს
მთვარის ამონათება
გამახსენებს ბავშვობას,
ანგელოზის ნატერფალს.

მოაქვს შორი სიმშვიდე
სხვა ცას ღრუბლის სარკმლიდან,
შენ მდინარეს დაჰყურებ,
ტკბები ანარეკლითაც.



შემოდგომის შეგრძნება
გაამართლებს მოლოდინს,
ჩემო გზაო, მზისფერი
სივრცით დამიბოლოვდი.

უკვე აღარ შემაკრთობს
შიში განადგურების,
კვლავ გალობენ ჩიტები —
ღმერთის სალამურები.

* * *

ისე გამძაფრდა ვარდის სურნელო
ოთახში აღარ დამედგომება.

თრთის ნეტარებით მთვრალი ჰაერი...

ვგრძნობ, ეს სურნელი უკანასკნელი,
სიკვდილის წინა ამოსუნთქვაა.

მალე დაჰკნება, ჩამოიშლება
და ფურცელ-ფურცელ წააფარფატებს
მოხეტიალე ნიავე ღამის.

ჯერ ცოცხალია,
მოჩანს, როგორც პირველი კოცნა —
დამათრობელი და მეწამული.

* * *

ყარამან კიკვაძეს

დაელოდები ნაზამთრალ მიწას
როდის შემოსავს ნორჩი სიმწვანე,
ჯერ კი ფიქრებით მალლა მიიწეე
და თვალს გიცრემლებს ფიჭვის სიმწარე.

დღეს მოემატა ორიოდ წუთი —
ანუ ორიოდ წვეთი ნათელი,
თურმე სიცოცხლე არაა ცუდი,
როდესაც ძალა შეგწევს დათმენის.

ყინვის ლოლუას ჰკიდია წვეთი, —
თებერვალს მზეზე ცრემლი უბრწყინავს,
რადგან სულერთი არაა შენთვის,
გზას ვერ გაჰყვები ძველს და უწყინარს.

ახლა ის დროა, მოგუდულ ხმაში
ღამის იფეთქოს სიტყვებმა დენთად.

როგორც ქალაქში დაკარგულ ბავშვის
თავზარდამცემმა „სადა ხარ, დედა!“

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მდინარე დროა, მიდის მარადის,
ჩენით — ტალღებით მიედინება,
ვაჟაყობ შენით, იმ სამარეთი,
სადაც ოდესმე მიმეძინება.

ყვავილობის ცაცხვი, სხვა არაფერი
მნიშვნელოვანი თითქოს არ ზღდება,
მაგრამ არ ვიცი ვინ მასხვაფერებს,
სულში მალულად ვინ მისახლდება.

აბრწყინდი წუთო, შორი ბავშვობის
მზით განათებულ დღის ანარეკლო,
ვიდრემდი ნათელს ამოაშრობენ
ჩემი ზარები უნდა დაერეკო.

კვლავ მიერთგულებს მიწა ბებერი...
თვალის გუგები გადანისლული
მომიჩანს, როგორც წყვილი ბებერა
ცრემლიანი და მზით დაისრული.

აქ უნდა ვიყო ჩემი სიკეთით,
ამ ხრიოკებით და ამ წალკობით,
დავიღუპები თუ ჩავიკეტე
და ნაადრევად გამოვცალკევდი.

პოეტ ირაკლი არაბულს დაბადების 60 წელი შეუსრულდა. ეურნალ „მნათობის“ კოლექტივი და საარქივო კოლეგია ულოცავენ პოეტს ამ თარიღს, უსურვებენ ხანგრძლივ სიცოცხლესა და შემოქმედებით გამარჯვებებს.

ირაკლი არაბული

მთაო ქუდნისლავ...

იქნება ნისლში შესული
იერს ატარებ ქურდისას!...
იქნებ ფიჭვი ხარ ხევსურის,
თვალშეუდგამო ქუდნისლავ!
იქნებ დარდი ხარ იმათი,
ვის ტრფობა კლავდა ოდიდან,
ვისთვისაც ნესტანს, თინათინს
ცრემლი ჯვონად მოსდინდა...
იქნებ — ტყვილი იმათი,
გაუმხელელი ჭრილობა,
ვის ნაპერწყალი სინათლის
ქოხში ეფინა კილოფად...
იქნებ ცრემლი ხარ იმ ქალის,
სინდიურას რომ ტიროდა!..
იქნება — აზრთა გრიგალი,
მომსკდარი სანადიროდან!...
იქნებ — იმ დღეთა ნახმევი,
ხალხმა ბრძოლით რომ გაჭედა,
იქნება — ძველი ნახმლევი —
კვალი დრო-ჟამის ნაჭრევთა...
იქნებ ნერვი ხარ ცახცახა,
ხელშესახები აზიზად,
იქნება გულის თქმაცა ხარ,
ერთის კი არა ასისა!
ეგებ ატარებ სიმძიმეს
გულს დაუტევეარ ბოღმისას,
ეგება შენში ციმციმებს
ცეცხლი ვეფხის და მოყმისა!

ეგებ... ვინ იცის, ვინ უწყის,
 მტრის ტყვია მოგხვდა მზაკვრული...
 ეგება სპათაც მიუძღვი
 ომახიანი ლაშქრულით!
 იქნებ სხეას ამბობს მდინარე, —
 შენში ფიქრებად ლაგდება,
 იქნებ სულამომდინარი
 მოყმე შენს კალთებს აკედება...
 ცაში მოჩანხარ წერტილად,
 ვით ყალმით ჩამოფერილი...
 თავს ნისლი გადგას მერდინად, —
 ქვეყნად უქულო ვერ იელი...

• • •

შენთან სალექსოდ მოვსულვარ,
 მე მადევს შენი ბეგარი,
 სხვა რით გიშველო, შითხარი,
 ლექსებს თუ გეტყვი, ეგ არი.
 სიმაღლე ნუ მამიშალოს
 შენი მთების და კლდეკარის.

ვინ არ ემთხვიოს შენს მიწას,
 კოშკზე არ დაიფიცოსა.
 გულმშვიდი როგორ ჩაუვლის
 შენთა ციხეთა ლიბოსა.
 მადლი მას, ვისმა მარჯვენამ
 შენი ქვისწყობა გვიბოძა!...

დეიდავილია

მყავს ორი დეიდავილი — გურამი და ლენა.

ლენა და გურამი — ჩემი ბავშვობის ზორბლისფერი ტაძარი ორი!

იღვნენ ეს ტაძრები ერთმანეთთან ისე ახლოს,

შუაში მხოლოდ მე თუ ჩავეტეოდი!..

იზრდებოდნენ უმამოდ გურამი და ლენა, — მამა ქერჩში დაეკარგათ...

ცხოვრობდნენ ბებიასთან, ზანათში.

დეიდავილი დაქვრივების შემდეგ დედამისთან გადმოსულა...

მივემატეთ მერე ჩვენც — მე და დედა...

დავიბადე მე ნაბადაში და...

დედას სოფელში ცხრა თვის ჩამოვეყვანივარ.

გურამი და ლენა თურმე ძიგურის ბაქანზე დაგვხვდნენ.

წამოვეყვანივართ იმსიშორიდან სულ ფრიალ-ფრიალით.

გაუვარდებათო, და დედა უკან წანწალით მოგვდევდა.

მოგვდევდა, მაგრამ არაფრით არ დაუუნებებიათ.

იმდღევანდელი მათი ნაკოცნი ლოყებზე დღესაც მამჩნევია.

ჩავეყვანივართ სახლში და ბებიას კალთაში ჩავეგორებიათ.

უცვლია ბებიას, ამ ქუაშმახალეებს ბალანა შეუქამიათო!

თათხავდა ბებია მათ და ისინი თურმე კისკისებდნენ.

ელისათ ბავშვებს გასართობი. —

ღარიბ და-ძმას თოჯინები არასდროს არ უოლიათ.

ჩემზე უკეთეს თოჯინას სად იშოვიდნენ!

გამოვიღვიძებდი და — „ქამას“ არ მაეცლიდნენ. —

მოადგებოდნენ თურმე ჩემს აკვანს აქეთ-იქიდან,

როგორც ორი ლეკვი რძიან საინს და — მიდი!..

ჩვენი დედები საღამომდე კოლმეურნეობაში მუშაობდნენ.

დაეძინებოდა შუადღით მოხუცებულ ბებიას, აბა რა იქნებოდა!

გურამი და ლენა აკვნიდან ჩემს ამოყვანას ვერ ბედავდნენ.

ჩაავლებდნენ აკვანს ხელს და დაქვნიდათ.

დავდიოდი მეც მათ ჭკუაზე აკვანში ჩაწოლილი —

სახლიდან მეზობლის ალაგემდე, კიშკრამდე, ბოსტანში...

არაა მტკაველა მიწა ჩემს ეზოში, სადაც ჩემი აკვანი არ დგამულა.

ავეყვანივართ აკვნით ხეზეც, ბალზე მაგალითად.

დამტოვებდნენ ძირს და — ჩვენი ძალღი თუნთია აკვანში ჩამლოშნიდა.

„ამომიყვანდა“ ბურჯაკი აკვნიდან და გუბისკენ გამაქანებდა. ერთი სიტყვით აკვანში ჩემი მარტოდ დატოვება არ შეიძლებოდა. გოყდებოდნენ ჩემზე ხბო და ზაჭი, ინდაური, კატაც და თაგვიც. ჩემთან საერთო ენის გამონახვის ერთი სული ჰქონიათ...
 ოცოდნენ ეს გურამმა და ლენამ, და ისინი ამას აიტანდნენ?..
 დავეყვადით ამიტომ აკვნით იქ, სადაც თვითონ საქმე ჰქონდათ. გავუყვანივართ ეზოს გადაღმაც:
 ერთ დღეს სათევზაოდ წასვლა განუზრახავთ. მდინარე აბაშა ჩვენი სახლის უკან ოციოდ ნაბიჯზე ჩამოდის. სძინებია ბებიას და, ჩემს თავს ვის დაუტოვებდნენ?!
 წავიყვანოთო, გურამს უთქვამს.
 ექნებოდა ლენას გურამზე მეტი ჰყუა? —
 ჩაუვლიათ აკვისთვის ხელი და აბაშისპირზე გავუქანებდით. ამოუდგამთ გვერდით და საღამომდე ღორჯოებს იჭერდნენ. სახლში წასვლა ბებიას კივილზე გახსენებიათ.
 დავუცდივარ მე მდინარეს და „ვასპალენია“ დამმართნია.
 მატრიალებდნენ თურმე კერიის ცეცხლზე, შესაწავი გოჭივით...
 დაუბეგვავთ გურამი და ლენა ამისთვის მაგრადა.
 სიკვარულისთვის კეთილ ბავშვებს რას ერჩოდნენ! —
 „აა ზელში ლაპარაკი და სიარული დროზე ადრე მისწავლია.

მერე დეიდაჩემი საცხოვრებლად ცალკე გადასულა. სოფლის ბოლოში, ტრიალ მინდორზე დასახლებულა. შემოუყავებია ეზო ღობეწნულით და ისლის სახლი დაუდგამს. ცხოვრობდნენ იქ გურამი და ლენა მერცხლის ბარტყებივით. სწვევით უცებ ბედნიერება:
 ერთ იქაურ შათ მეზობელს საქონელი მრავლად ჰყოლია. უჩუქნია ერთი ზაჭი და-ძმისთვის.
 უჩუქნია იმ პირობით, რომ დიდობაში „ნახევარი“ მისი იქნებოდა. კოლმეურნეობას კი დეიდაჩემისთვის ცალუღელა ხარი მიუხდვია. სახელად ლომა. ლომას უღლა სხვას ჰყოლია.
 უვლიდა და-ძმა ერთ ზაჭს და ერთ ხარს.
 ყველაფერს მათ პირში ტენიდნენ...

იმ გაზაფხულს ეზოსყანა ყველას დაუთესავს. დეიდაჩემს მოხნულიც არ ჰქონია.
 გუთნის მიმყოლი ვერ უშოვნია.
 გადაუწყვეტია, ბოლოს, მიწა თვითონ მოეხნა.
 მოუყვანიათ მინდვრიდან ლომა და მისი უღლა.
 ლენას სათესლე სიმინდი მთელს ყანაზე მოუყრა.
 გურამს დედისთვის გუთანი არ დაუენებია.
 თორმეტი წლის ბიჭი გუთნის ტარს ძლივს სწვდებოდა.
 უვარდებოდა ხელიდან და თვითონაც ზედ ეცემოდა.
 შუაღამედ ვაივავლაბით ნახევარი დაუთესიათ.
 ჩაშუადღევს ლომას უღლა პატრონს უღლიდან გამოუხსნია.
 უთქვამს: ახლა მე მჭირდებაო!
 დარჩათ ბავშვებს ნახევრად დათესილი ყანა.
 ნახევარი კი — მარცვალმოყრილი.

გაუღენიათ მინდორზე ლომაც, — ერთი ხარით რას გააწყობდნენ.
შესდგომიან მერე მარცელის დაფარვას თოხით.
იგერიებდნენ თურმე ყვავებს საღამოჯამს ბელტებით.
წარმოიდგინეთ; მოსავალი როგორი მოუვიდოდათ.
ახალი წლის მერე სიმინდს ყიდულობდნენ.
ლომა იმ ღამეს სახლში არ დაბრუნებულა.
დაეძებდნენ მეორე დღეს გურამი და ლენა, მეც დაყავდით.
დავეძებდით აბაშისა და ტეხურისპირებზე, ნატეხურზე.
არც ერთი ბარდნარი და ფშანი არ დაგვჩვენია.
გურამის ძახილი: ლომაააა! — იმ არეში დღესაც გაისმის.
ლენას ცრემლი კი ზღვას ერთვოდა.
მე შორიდან დანახული ყველა ოთხფეხა — ლომა მეგონა.
წამოვიძახებდი თურმე ალტაცებით: ჰე, ეგერაა!
ვიყავი გულმოსული ლომაზე დაკარგვისათვის.
საღამოს ლომას საქებრად მარტო გურამი წასულა.
დაბრუნებულა გვიან ღამით ატირებული: ლომას ვეღარ ვნახავთო!
უნახავს გურამს ქარსაფარში, ლომას როგორ ატყავებდნენ.
უნახავს ხის ტოტზე ლომას თავი ღიად დარჩენილი თვალთ
(ეს დიდი ხნის შემდეგ თქვა).
ახსოვს ახლაც ის ცრემლიანი თვალი და თვალები ცრემლით ევსება.
უცვნია ქურდებიც, — თავისი „კეთილისმსურველი“ მეზობლები ყოფილან.
დაიძალემა სოფელში რამე? —
ქურდებს ნაქურდალი ძიგურის ბაქნის სასადილოსთვის მიუყიდიათ.
ხარის დაკარგვისათვის დედაჩემი სასამართლოში გადაუციათ.
გაუგვია ზაქის პატრონს და და-ძმისთვის ზაქი წაურთმევია.
შეშინებია, ხარის საფასურად არ აზღვევინონო!
გურამს და ლენას ზაქის მოვლაც წყალში ჩაუცივდათ.
აყიდინებდა სასამართლო დეიდაჩემს ხარს? —
მისი ისლის სახლი ხბოსაც ვერ იყიდიდა.
უპატიებიათ ჯარისკაცის ქვრივისთვის.
გაიზარდნენ ასე გურამი და ლენა, ასეთი ბავშვობა ჰქონდათ.
ეს ყველაფერი მათი ნამბობიდან ვიცი.

მაგრამ დღეს? — დღეს ხელს ვერავენ წამოგკრავთ.
წარსულზე გული ნუ დაგწყდებათ.
ყვაილია წარსული, წიგნებში ჩადებული ყვაილი — სუნი არ აუღის.
იყო ალბათ საჭირო ისე, როგორც მოხდა.
ჩემო გურამ და ლენა, ჩემი ბავშვობის ხორბლისფერო ტაძრებო!..
იღვეით თქვენ ერთმანეთთან ისე ახლოს, რომ შუა მხოლოდ მე ვეტეოდი.
თქვენი დღესაც ტაძრები ხართ.
დაშორებულხართ ოღონდ ერთმანეთს ცოტათი.
შუაში თქვენი შვილები და შვილიშვილები გიდგანან.
გახსოვდეთ! — იქ ერთი ადგილი ჩემთვისაც იყოს!
ჩემი ბავშვობის ტაძრებო, ღმერთი თქვენს თავს ნუ წამიქცევს!
ჩემო გამზრდელებო და გადიებო, ჩემო ოჩოკოჩო და ტყაშმაფავ!
ჩემო წყვილო ცრემლო, სიკვდილის დღეს რომ ჩამომიგორდება!

ნიკოლოზ მიძევა

ომგადახდლის დღიურიდან

მე და ჩემი მეგობარი, სამხედრო ექიმის ვასილი ვოლკოვი გუშინ გამოვეწერეთ. პოლონეთის პატარა ქალაქ ვიგდოში, სანახევროდ დანგრეული პოსპიტლის ერთი ციციქა პალატაში მთელი საღი თვე გვერდებს ვიხედიდით, ორი თვის შვებულება შუბლზე რომ მიგვაწებეს, ბერლინში გამგზავრება გადავწყვიტეთ.

მადლობა ღმერთს ომი დამთავრდა... აღარ ისმოდა ქვემეხების გრუხუნი, ერთბაშად საოცარი სიჩუმე ჩამოწვა. ყველაფერი თვალსა და ხელს შუა შეიცვალა და შევიცვალეთ ჩვენც — ადამიანები...

— არა, ახლა მომავალზე ვიფიქროთ! — წამოიძახა ვოლკოვმა და რატომღაც ჩემი ექი ცაში აისროლა (მე სამოგზაუროდ სამხედრო ფორმა გავიხადე და სამოქალაქო ჩაიცვი, მაგრამ ვასილი ვერა და ვერ დავიყოლიე ჩემთვის მოებაძა).

— მომავალი იმის ხელშია, ვინც მას ქმნის და აშენებს, — ღიმილით ვუთხარი მე.

— მართალი ხარ, მაგრამ მინდა... როგორ გითხრა... ნამდვილი ცხოვრებით ვიცხოვრო...

— ერთი ისიცა თქვი, ძვირფასო, რა არის ნამდვილი ცხოვრება?

— ამაზე ჭერჭერობით ვერ გიპასუხებ. მერე, გესმის?

თვითმფრინავი დაბლა მიფრინავს. ისე დაბლა, თითქოსდა მფრინავს სურდეს ამოდენა ლაინერი ფრთებით შეეხოს ტანაწვართულ ხეთა კენწეროებს. ქვემოთ მჭიდროდ დასახლებული გერმანიაა. მიწის ყოველი ნამცეცი დაქუშავებულია, პატრონის გამრჩე ხელი ატყვია. ტყე და ტბები ჭადრაკის დაფის უჯრებს წააგავს. ყველაფერი გერმანული აკურათულობითაა მოზომილი. თითქოსდა მკაცრ გერმანულ კანონს ცხოველებიც დამორჩილებიანო. ჩვენს ქვემოთ, საძოვრებზე შავთეთრად დაწინწკლული ძროხების დიდი ჯოგი ძოვს. ისე ჰგვანან ერთმანეთს ეს ჭიშიანი ცხოველები, ტყუპის ცალები გეგოხებით.

ქვებისა და ლორლის ამ ნანგრევებს წინათ გერმანიის დედაქალაქი ერქვა. ახლა კი ძნელიც კია, ქალაქი უწოდო პირქუშ, სევდიან სასაფლაოს. საცოდავ, გულისგამაწვრილებელ ნანგრევებში აქა-იქ სახლების ნაცრისფერი ჩონჩხიც გამოჩნდება ხოლმე. დგას გამურული

უშველებელი კედლები და ასე გგონია, საცაა იხულებს და ისიც ჩაიქცევა, მიწასთან გასწორდება. ბერლინი... აქ იქმნებოდა მსოფლიოს დაპყრობისა და დამონების ბოროტი გეგმები. რამდენი წელი გლოვობდა პარიზი, შიმშილი და ბლოკადა ახრჩობდა ლენინგრადს, ბოლოს მოსკოვმა მაგრად ჩაუყეტა ფოლადის კიშკარი მეოცე საუკუნის ბარბაროსებს: ხოლო მტრების დაღუპვის მაკნე სტალინგრადი გახდა. ბერლინს უნდოდა დიდი და დიადი ქალაქების ღელ-იღლის გამგებელი ყოფილიყო.

უძველეს ქალაქთა ნანგრევები მუდამ იწვევენ დიდ სულიერ აღელვებას. წუხილს წარსულზე. რადგანაც ჩვენ მხოლოდ ნანგრევებს ვხედავთ. ალტაცებულნი დავუურებთ რომის, ათენის სიძველეებს რომელთა თითოეული ქვა მეტს ეუბნება ჩვენს გულს, ვიდრე ათასობით მათზე დაწერილი წიგნი. მაგრამ ბერლინის ნანგრევები სულ სხვა გრძნობებს აღგვიძრავს!

გერმანელებმა ოდესღაც ააშენეს ბიბლიოთეკა, ქალაქის ერთ-ერთი საუკეთესო არქიტექტურული ნაგებობა. ფაშისტებმა კი იქ, სადაც ოდესღაც კაცობრიობის სულიერი საგანძური ინახებოდა, გესტაპო მოათავეს.

თვითმფრინავი ქალაქიდან ოც კილომეტრზე, დაღვრის აეროდრომზე დაეშვა.

დაიწყო დოკუმენტების შემოწმება. ალტაცებული შეხვედრები, ხმაძალალი შეიხილები, გამოკითხვები საშობლოს, ახლობლების შესახებ, მოგონებები...

გრილა. ქარი წეწავს თეთრ თავსაფარს, თუჯია ჭაბუკის თეპობზე რომ შემოუხვევიათ. ეს ათლეტის ქანდაკებაა, რომელიც ძალიან წააგავს ბუღას.

პირიტველა წითელარმიელი გაოცებას გვატყობს და დაოცხვნილი განმარტავს:

— ჩვენ შემოვხვებით. აქ სამედიცინო-სანიტარული ბატალიონის ქალიშვილები დადიან, უხერხულია როგორც ლაც.

პოლკოვნიკმა კარპენკომ მთავრობის დაგვატყვა ოლიმპიშესდორფში. გეტეცილს ხეები შემოსჯაროვია როგორც ელურა ფენილით მოკირწყლულ ხეივანა. აქაურობა სულ მწვანეშია ჩაფლული. საოცრად აუფთა გზებია. გზისპირას აქა-იქ დამსხვრეული მანქანა ან ტანკი გდია. ქალები და მოზუცი გერმანელები სტენდთან დამდგარან და გულდაგულ კითხვობენ სტალინის სიტყვებს: „სიტორიის გამოცდილება ცხადყოფს, რომ ჰიტლერები მდლიან და მდლიან, გერმანელი ხალხი, გერმანიის სახელმწიფო კი რჩება“.

ნალვლიანი, ფიქრიანი სახე აქვთ. მხრებზე ფერადი ზურგჩანთები მოურგიათ, სადღაც ეშურებიან.

უმრავლესობას საბავშვო ეტლებიც მიჰყავს, ოღონდ ბავშვების ნაცვლად მათში ათასგვარი გადასაცვლელი ხარახურა ყრია. ახლა გერმანელის წარმოდგენაც კი ჭირს ასეთი ეტლის გარეშე. ახალგაზრდა მამაკაციბი არ ჩანან. ხოლო თუ რომელიმე მინც გამოჩნდა ან თვალი აკლია, ან ხელი, ანდა კიდვე ფეხი.

დაწალიკებით მიძავალი ადამიანები, მშვიდად და საქმიანად განაგრძობენ ისინი თავიანთ გზას ფაშისტური რეჟიმის დროს გამოშეშავებული ჩვეულები-სამებრ.

ჩვენმა მძლოლმა ჰაპიროსის ნაშწვი გადაავდო. კარგად ჩაცმულმა გერმანელმა მამინვე აილო ივი.

ოლიმპიშესდორფი. ის 1936 წელს აშენდა მსოფლიო ოლიმპიური ასპარეზობისათვის. ჰიტლერი მისი აშენებისას რომის იმპერატორებს ბაძავდა.

უდაბური, ჩრდილოვანი პარკი რამდენიმე კილომეტრზე გადაჭიშულა. ტანაწვართული ხეების ფოთლებზე დილის ნამი ბრწყინავს, ჰაერში ნორჩი, ზასხანა ბალახის სუნი ტრიალებს.

ცაცხებქვეშ მდელიოზე ახალი საფლავები და თოკებით სახელდახლოდ შეკრული საცოდავი ჳერები მოჩანან. მოპირდაპირე მხარეს კი ნგრევას გადარჩენილი ჰოსპიტალია. როგორც

გვითხრეს აქ გერმანელი ჯარისკაცები წვანან. ბერლინის უკანასკნელი დამცველები...

საავადმყოფოსთან ყავარჩენებზე შემდგარი ერთი გერმანელი ჯარისკაცი ჩვენსკენ ჯიქურ მოდის. ჩვენს წინ ჩერდება და მორცხვად პაპიროსს გვთხოვს.

— გვებძოდნი? — ეკითხება კარპენკო და პაპიროსს უწვდის.

ჯარისკაცი გულმოდგინედ იფიცება, მთელი ომის განმავლობაში უნგრეთში ვიმყოფებოდით თოფი აღმოსავლეთისაკენ საერთოდ არც გამისვრიაო. ასე გამოდის, არც ერთ მათგანს არ უოშია აღმოსავლეთის ფრონტზე. რას წარმოიდგინდა ჰიტლერი, რომ სულ რაღაც ცხრა წლის შუაგულში ამ ოლიმპიურ სოფელში საბჭოთა ოფიცრები იცხოვრებდნენ?

სალმოდებოდა, როცა ქალაქში შევედით. ფართო გზის გასწვრივ ბებერი წაბლისა და ცაცხვის ხეები აღმართულა. ბომბებისაგან დანგრეული შონადირის სახლიც გამოჩნდა. იქვე — კაფეც. კაფეში მაგიდებსა და სკამებს შორის დამტვრეული კონტრაბასი გდია. წინ ექვსსართულიანი სახლის კედელი აჩაჩხულა, რომელსაც მთელ სივანეზე გასდევს რეკლამა „ოსვალდი და კ“, „საუკეთესო ავეჯი შინ მიტანილი“. იწყება დიდი ბერლინი, უფრო სწორად ის, რასაც ოდესღაც დიდი ბერლინი, ქალაქის გული ერქვა.

პირდაპირ ქვის გალავანზე გაუკრავთ უზარმაზარი ლოზუნგი: „კაპიტულაცია? არასოდეს!“ და იქვეა საბჭოთა სარდლობის ბრძანება გერმანიის კაპიტულაციასთან დაკავშირებით.

ნანგრევები. მათი გროვის შუაში ნელა მიიზღაზნება შავი, ვიწრო ბინძური მდინარე, რომელსაც ყველა ცნობარში შპრევს სახელწოდებით იხსენიებენ. ბერლინის ნანგრევები საუკეთესო ძეგლია ჰიტლერისათვის.

ქალაქში ბინდი ჩამოწვა. ქარიც მოეშვა ბებერ ხეებს. ყოველივე ეს, — ქვებისა და ავურის ნამსხვრევებს შო-

რის მოქცეული. მაინც უნდა შევხებოდეთ, იღუმალის სიჩუმე, გავერახება გვთრგუნავს ცივი სიბერტეშითა და ავბედითი დუმით...

18. VI. 1945 წ.

შარდოტენბურგის გზატკეცილის შუაში, ვარსკვლავის მოედანზე აღმართულა სამოცამეტრიანი გამარჯვების სვეტი. მდიდრული, მაგრამ საყმაოდ უგემოვნო ნაწარმოები.

მარცხენა მხარეს რკინის კანცლერის ძეგლი დგას: „ბისმარკს მადლიერი გერმანელი ზალხისგან“.

მოედანზე კი, სადაც ჯერ კიდევ გუშინ საზეიმო მარშით დააბიჯებდნენ მოელვარე მუზარადიანი „სსოფლიოს დამპყრობნი“, გასაყვამებული ბერლინელი ძლივს მიათრევს ნაფორტებით დატვირთულ ურიკას. ერთ მოხუც ქალს ვეკითხებით: „გვეითხარით, გეთაყვა, ბისმარკის ძეგლი, ეს სვეტი და გამარჯვების ხეივანი ადრე ხომ რაიხსტაგის წინ იდგა?“ ქალმა დანაოკებულნი სახე მოიწმინდა და ძლივს დაიჩიფჩიფა: „ჰიტლერის განკარგულებით ოცდაათქმსმეტ წელს ყოველივე ეს აქ გადმოიტანეს. მან ასე ინება“. მძიმედ ამოიოხრა, კვლავ დაავლო ხელი ურიკას და სიბნელეს შეერია.

იქ, სადაც დიდებული ლიმუზინები დაქორდნენ და ადამიანს თვალს უბრძანებდა კაშკაშა სინათლე, სახლების უბადრუკი კედლებიღა აღმართულა, ნაცრისფერ მტვერში გდია რკინის თალაყინი.

უნტერ-დენ-ლინდენის განთქმული წაბლის ხეებისაგან უბადრუკი, დანასწირებული კუნძებიღა დარჩენილა. დამახინჯებული ბრანდენბურგის ჭიშკარი შავი გუშაგივით დგას სასახლეებისა და მუზეუმების უზარმაზარი სააფლავოს შესასვლელთან. ცოტა რამ გადარჩენილა ლანგჰასის ამ ნაგებობისგან, ძლივს გასარჩევია გვიანი კლასიციზმის დეტალები. იგი ასორმოცდაათ წელზე ოდნავ მეტ ხანს იდგა...

ორი კარგად ჩაცმული გერმანელი

ქალი (არა — არა, მათ არ დაეიწყებიათ, რომ დღეს შაბათია!), ნაგავში იქექება ხელმწიფის სასახლის წინ, რომლის კარიბჭეს ჰქვს აძლევენ და აშშვენებენ კლოდტის ცხენები, ნიკოლოზ პირველმა ვილჰელმ IV-ს რომ მიუძღვნა... ვიგონებთ გმირ ლენინგრადს, მის განუყოფელ სასახლებს, დიდებულ ნევას. აქ ყველაფერი სულ სხვანაირადაა. ქალაქში ქვა ქვაზე არ დარჩენილა; მართო კლოდტის ცხენები დგანან ხელუხლებელი გერმანიის დედაქალაქის ნანგრევებს შორის...

დილაა. დამით ეინკლავადა. ცა ისეთა ლავარდოვანია, როგორც ყირიმის სანაპიროზე, კვირადღეა. გამვლელი სადღესასწაულოდ არიან მორთული. შავსათვალნიან და ქოლგებიან გერმანელ ქალებს ვილჰელმის დროინდელი ვარცხნილობა ამშვენებთ. გერმანელ კაცებს თავზე მოძველებული, მაგრამ საოკრად სუფთა შლაპები ახურავთ. უნტერ-დენ-ლინდენზე დასეირნობენ ქალიშვილები იისფერი ტუჩებით (სიახლეა!), მოდური ვარცხნილობა ამშვენებთ და, მამაკაცის შარვლები აცვიან (აბა ხომ არ უნდა გადააგდონ ქმრების ტანსაცმელი!)

ბერლინის მკვიდრ ხანშესულ ისტელიგენტ ქალს გამოველაპარაკეთ. „უარესი გვეკუთვნის!“ — ამბობს იგი. — „ყველანი თითქოს გაგიუღებხო. ბრმად ემორჩილებოდნენ იმ გადარეულს. ან ებრაელები რიათვის ამოეღიტეს?... აი მე, მაგალითად, როგორც ბევრ სხვას, შემომთავაზეს ჩეხოსლოვაკიაში დაესახლებულიყავი, მომცეს იქ მიწის ნაკვეთი, სახლი, ყველაფერი, რაც მეურნეობის გაძლოლისთვისაა საჭირო. მაგრამ მოვიდნენ ჩეხები და დავრჩი მიუსაფარი, უსახლკარო. არც ოჯახი მაქვს, არც ქმარი მყავს, არც შვილები, რაც მაცვია, იმის მეტი არაფერი მშაბდია“.

სხვანაირად მსჯელობდა ზარაფხანის მოხუცი ოსტატი. მას კობტად ეცვა, ტრადიციული პენსნე, შავი ქალსტუხი

და გახამებული საყელო ჰქონდა, ხელჯობის კაკუნით მშვიდად დააბრჯებდა გამარჯვების მოედანზე. მის გულგრილ გამოხედვაში დროადარო, ალბათ მისთვისაც მოულოდნელად გამოკრთოდილუმალი წუხილი და გულგატეხილობა, როცა გამოველაპარაკეთ, გრძობებს ვერ მოერია.

— ნეტა რას ფიქრობდა ჰიტლერი! კიუსტრინის დაცემისთანავე უნდა მოეხდინა კაპიტულაცია. გერმანელებს ყველაზე დიდი უბედურება მან დაატეხა თავს.

გაოცებული ვართ! რატომ აღუშართავთ ამდენი ძეგლი სამხედროებისათვის! სადღაა შილერის, ჰაინეს, გოეთეს ძეგლები... ჩვენს თანამოსაუბრეს სახე მწარე ღიმილმა მოუღრიცა:

— ჰაინეს ქანდაკი ნამსხვრევებად აქციეს, მისი წიგნები კი უნივერსიტეტის წინ დაწვეს. დიდი ჰირი ვეჭირდა, გოცოფებული ბრბო მძვინვარებდა ქუჩებში. კოცონების გარშემო სტუდენტები ხმის ჩახლეჩამდე გაიძახოდნენ: „ჰაილ, ჰიტლერი!“ წიგნები კი იწვოდა. ვინ იფიქრებდა, რომ ბერლინს სულ მალე სხვა ბედი ელოდა — ხანძრები, ნგრევა... ჩვენ ძალიან გვიჭირს; მაგრამ როგორი ასატანი უნდა ყოფილიყო ის მიიმე წლები, რასაც რუსეთმა გაუძლო თუმცა ეს გასაგებიაა. რუსები უფრო ფართოდ, ღრმად უყურებენ ცხოვრებას, ცდილობენ ჩასწვდნენ მის პერსპექტივას, ჩვენ კი უფრო შეზღუდული პერსპექტივა გვაქვს, მხოლოდ იმაზე ვფიქრობთ, თვითონ ვიცხოვროთ კარგად, კომფორტულად; ხელისუფლების სათავეში ფაშისტების ჩადგომის შემდეგ ფიქრიც არ გვინდოდა, რომ არსებობენ სხვა ერები, სახელმწიფოები...

20. VI. 1946 წ.

თეატრალური მოედანი, საიმპერიო თეატრის ბრწყინვალე შენობა და სიმეტრიულად განლაგებული ეკლესიები შესანიშნავ არქიტექტურულ ანსამბლს ქმნიან. თუმცა ახლა ამ შენობებისგან მხოლოდ კოლოფებილა დარჩენილა, მათ

გრამ ქვის ენამ, რომელიც ხუროთმოძღვრის ნებასა და ხელოვნებას მორჩილებდა, ამ ნანგრევებითაც მოგვაჯადოვა.

ვილაც ორი კაცი ამასობაში ჩვენს „ლექიკა“ გულმოდგინედ ათვალისწინებდნენ და მოწონების ნიშნად თავს იქნევდნენ. ფრიდრიხშტრასელი ფოტოგრაფები აღმოჩნდნენ. ტომრებით მიქონდათ შინ ნანგრევებში მოგროვილი ნაფოტები. მათ კიდევ ორი შეუერთდა — საბაყლო მაღაზიის ყოფილი მკვებურები, — ცოლ-ქმარი. ისინი ერთმანეთს არ აცლიან, რათა აგვიწერონ როგორ ანგრევდნენ ქალაქს ამერიკული ცეცხლგამჩენი ბომბები.

მათ თავს ვერსად დააღწევდი. იანკები დღეში ორჯერ მოფრინავდნენ, მუდამ ერთსა და იმავე დროს. ინგლისელები მეტწილად ფუგასურ ბომბებს ყრიდნენ. მაგრამ წარმოიდგინეთ, პატარა „ცეცხლგამჩენებმა“ ბევრად უფრო დაგვაზარალეს.

ელალთმიანი გერმანელი ქალი წუწუნებს და პენსიდან გამომცდელად გვიყურებს.

— წარმოგიდგენიათ, ჩვენ გვიძულელებენ გაეასუფთაოთ ქალაქი ამ ნანგრევებასაგან! სიამოვნებით გადავიდოდი რომელიმე პატარა ქალაქში, ვიცხოვრებდი იქ ბუნების წილში. გვაჯლია (ქიმი, კარაქი. ვაჭირდა ცხოვრება. წარმოგიდგენიათ, ჩემს ქალიშვილს — ის კონსტრუქტორიაში სწავლობს, — საკრავი არ შერჩა, პიანინო დაბომბვის დროს დაიშხვრა.

ჩვენ კი ბოლომთ ვიგონებთ, რამდენხანს იძროდა მიწა კიევის მახლობლად, ფაშისტებმა ცოცხლად რომ დაჰარხეს უდანაშაულო ადამიანები, ვიგონებთ სულსახუთაეებსა და საბარჩოებლებს, დანგრეულ სასახლეებს, გაძარცულ ქალაქებს. ვიგონებთ დამშუულ ლეხინგრადელებს, მილიონობით ჩვენს ადამიანებს, რომლებიც მონობისთვის გამოარეკეს გერმანიაში.

21. VI. 1946 წ.

საქართველოს
მემკვიდრე

ერთბაშად ყურადღება იტალიისა და იაპონიის საელჩოებს მივაქციეთ. საოცარია, შენობები თითქმის გადარჩენილან. ამ ორი სასახლის ორიგინალური, ნატოფი არქიტექტურის ცქერით ვტყებოდით, როცა ახლოს ორი იტალიელი გაჩერდა. ისინი ინჟინრები აღმოჩნდნენ. აი უკვე მერამდენე წელიწადია აქაური ვარიეტეს ორკესტრში უკრავდნენ.

— რაიხსკანცელარია თუ ნახეთ? ან ავიაციის სამინისტრო? — გვეითხებიან ისინი. — აი ის ოქროცურვილი არწივებით დამშვენებული ნატრისფერი შენობები. სწორედ ეს არის „ახალი გერმანიის არქიტექტურა. მათ არქიტექტურაშიც შეიტანეს უხეში და პირქუში სტილი. მაღლობა ღმერთს, ყოველივე ამას ბოლო მოეღო. რუსებმა მოიგეთ ომი. თქვენ რომ არა, მსოფლიოს დიდხანს უნდა ეთმინა საზიზღარი ფაშიზმი.

ფრიდრიხშტრასე — ადრე ქალაქის საქმიანი და სავაჭრო ნაწილი. სამკილომეტრიან ქუჩაზე ყველა შენობა დაინგრა. მხოლოდ ერთ ადგილას ნანგრევებს შორის სასწაულად გადარჩენილა ერთადერთი ბინა მეორე სართულზე და შიგ ადამიანები ცხოვრობენ. ბერლინი გრანდიოზულობის პრეტენზიით აშენდა. მაგრამ მდიდრული იერი დროდადრო მომპეზურობაში გადადის, რასაც კიდევ უფრო აღრმავებს ათასგვარი ფრიდრიხებისა და ვილჰელმების ძეგლები. ომის თემა არა მართო ქანდაკებებშია ხორცშესხმული, არამედ არქიტექტურაშიც ბარაქიანად შეჭრილა. ქალაქის მძიმე, მედიდურ, პრეტენზიულ სახეში საუკეთესოდაა გადმოცემული ძველი პრუსიელობის მტაცებლური, აგრესიული არსი.

გამარჯვების ძეგლის კენწეროზე ავდივართ. უზრმაზარი, დანგრეული ქალაქის საშინელი ხედი იშლება. ლავარდოვან ცაზე თეთრი ღრუბლები მიცურავენ. ცაში აჭრილა ვიქტორიას რვაიმეტრიანი ბრინჯაოს ფიგურა, რო-

მელიც თითქოსდა თავის სვეტს სულაც მოსწყვეტია: გამარჯვების ძქროლავი ქალღმერთი ოქროსფრად იწვის ცისა და თეთრი ღრუბლების მომხიბვლელ ფონზე. ეს სვეტი გერმანელებმა მეცხრამეტე საუკუნის დამლევს აღმართეს საფრანგეთზე გამარჯვების აღსანიშნავად. ახლა კი იგი ორბროვნად გამოიყურება. მასზე საფრანგეთის დროშა ფრიალებს და მწარე სარკაზმად ეღერს კვარცხლბეკზე გამოყვანილი წარწერა:

„ძღვეამოსილ მხედრობას მადლიერი სამშობლოსაგან“.

ტირგარტენი ორას ორმოცდაათ პექტარზე გადაჭიმულა გამარჯვების ძეგლის ორივე მხარეს. ალბათ, ომის წინ ის ჭერი კიდევ ინარჩუნებდა ტყის იერს. ახლა ხეები დანახშირებულია, დასხვრეულა, წაქცეულა, ბევრი ფესვიანად ამოუყრიათ. ყოველ ნაბიჯზე აწყდები ნახევრად დამწვარ ტანებს, ავტომანქანებს, რომლებსაც ეანგის მუქი ლაქები ატყვია. წარსულში ტირგარტენი ბერლინელთა საყვარელი ადგილი ყოფილა. პარკში მხედართმთავართა უამრავი იეგლი აღუმართავთ, მხოლოდ ერთ თეთხეში გადაუხვევიათ წესისაგან — აქ ბეთჰოვენის, მოცარტის, ჰაიდნის იეგლები დგანან. სამი გენიოსი ერთ კვარცხლბეკზე მოთავსებულა. თითქოს მოქანდაკეს შეშინებია, მუსიკის ღმერთებმა ზედმეტი ადგილი არ დაიკაონო ამ პარკ-ყაზარმაშიო.

გამარჯვების პარკი, რომელიც პრუსიელი და ბრანდენბურგელი დამპყრობლების ქანდაკებებს გაუძსია, — უგემოვნოდ, შეიძლება ითქვას, უნიჭოდ არის შექმნილი. ის ყველაზე მდარე ობიექტულურ გემოვნებას თუ დაეკმაყოფილებს. ხეივანში სეირნობისას განსაკუთრებული სიმძაფრით გესძის სახელწოდება „ტირგარტენის“ ახრი.

დღეს კვირადღეა და ყველგან განსაკუთრებით ბევრი „ექსკურსანტია“. ისმის გარმონის ხმა. წითელარმიელი რაიხსტაგთან ზალისიანად მღერის „კარტიუსას“ მარტივ მელიდიას. მებრძო-

ლები აქ მთელი დღით მოსულან, ცინანთი საველე სამზარეულოდან; უნდათ სამუდამოდ აღიბეკონ ძესიერებაში რაიხსტაგის დანახშირებული, გაშავებული კედლები, რომლებზეც აღმართულმა გამარჯვების დროშამ მსოფლიოს აუწყა ფაშოზმის დამარცხება. ისინი ამ კედლებთან სურათებს იღებენ შვილებისა და შვილიშვილებისათვის. რაიხსტაგის კედლები ჩვენი მეტროლოგისა და მეთათურების გვარებითაა დაფარული. აქ ხომ სულ ახლახან პიტლერი და მისი ხროვა მსოფლიოს ბედ-იღბალს წყვეტდნენ. ახლა კი თავი მოუყრიათ ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხის წარმომადგენლებს. სწორედ მათ უჩვენებს მთელ მსოფლიოს საბჭოთა იარაღის ძალა და მეომრული სიმამაცე...

შედარბისათვის ომამდელი ბერლინის ფოტოსურათებს ვათვალიერებთ. აქ იყო ქალაქის ყველაზე ბრწყინვალე ნაწილი. სტერილური სისუფთავე რაღაც უსიამო განწყობილებაა აღვიძრავს. უამრავი შადრევანია და სარკესავეთ კამკამა ტბორი, ვაგზალი, სურნელოვანი ვარდების ბუჩქები. რაიხსტაგის მონუმენტური შენობა, თეატრები, ვაგზალი ხშირ ტყეშია ჩაფლული. ტირგარტენის განაპირას ბერლინელი მდიდრების დიდებული სახლები დგას. მათ კი გარს უვლის ვერცხლისფრად დაკლანილი მდინარე შპრეე. ახლა, როცა ვუყურებთ ქვისა და აგურის ნაშხვრეებს, დაბრევილ რკინას, ნაგავს, ეანგისგან წაბლისფრადქცეულ დამსხვრეულ ტექნიკას და საცოდავ წაქცეულ ხეებს, რაიხსტაგის დანახშირებულ კედლებს, შპრეეში ჩაქცეულ ხიდებს, დანგრეულ ვაგზალსა და გადამწვარ სახლებს, ძნელი დასაჯერებელია, ნანგრევების ეს ხროვა ადრე ქალაქის იერსა და პეწს რომ ქმნიდა.

საახლის ზიადით, რომელზეც მარშალილოს რვა ფიგურა აღმართულა, ხელმწიფის მოედანზე გაედივართ. აქ, გერმანელი პრინციებისა და მმართველე-

ბის სამსახურად მთელი ბერძნული მითოლოგიისთვის მოუხმიათ.

ძველი და ახალი მუზეუმის მშენებელი არქიტექტურული ანსამბლი და ეროვნული გალერეა; აქ ყველაფერი გადარჩენილია. დღესაც ახარება თვალს კაულბახის შესანიშნავი მოხატულობა. ეროვნული გალერეის ფასადთან „მიჯაჭვული პრომეთეა“ და „ამურისა და ფსიქეას“ მარმარილოს ჩინებული ასლებია. აქვეა გოეთეს წაჭედილი ძეგლი. ტირგარტენიდან ფრთხილად რომ გადმოიტანეს მებრძოლებმა. მთელ ამ ფასეულობას იცავს გუშაგი, რომელიც შორეული ყაზახეთის მკვიდრია.

კარები აქედლია. ეროვნულ გალერეაში ფანჯრიდან ძლივს შევედით. პირველ დარბაზში ინახებოდა მარმარილოს ორიგინალები და ასლები. მაგრამ ცენტრალური დარბაზის სახურავი ბომბს დაუნგრევია, ნანგრევებს ქვეშ ჩამარბულა შესანიშნავი ქანდაკებები და არქიტექტურის ქმნილებანი. ძლივს გადავძვარიტ ნანგრევებზე, რათა მომდევნო დარბაზში მოვხვედრილიყავით, მაგრამ იქ გალერეის დარაჯმა, მოხუცმა გერმანელმა და მისმა მეუღლემ პუდელი მოგვისიეს.

ვეცადეთ განგვემარტა მათთვის, გალერეის დათვალიერება რომ გვიხდოდა და მეტი არაფერი, ისედაც ხომ ცხადი იყო, როგორაც არ უნდა მოგვენდომებინა ვერაფრით ვერ მოვახერხებდით უზარმაზარი მარმარილოს ფიგურების აქედან გატაცებას. მაინც კომენტატურაში გვიკრეს თავი. საბჭოთა ოფიცერმა საქმის ვითარება რომ გაიგო, შენობის დათვალიერების ნება დაგვართო. დარაჯი და მისი ცოლიც მაშინვე დაშოშმინდნენ, გაიღიმეს, ასე განსაჯეთ, ძალიც კი ხალისიანად მოჰყვა კუდის ჭიკინს.

ხელმწიფის სასახლის მაღალი ჭიშკარი მორიგემ — იაროსლაველმა ჭორფლიანმა ჰაბუტკმა გავვილო. ეზოში ბლომად ეყარა დამსხვრეული მანქანები, ტანკები, ქვემეხები, ტყვიამფრქვევები. შიგადაშიგ დაფხრეწილი მუნდი-

რები, დამტვრეული მუხარადები, სახვევები, გაისხლიანებული პერანგები, ბუმბულგამოყრილი ბალიშები... აქ გერმანელთა პოსპიტალი იყო. დიწვა განთქმული მარმარილოს (სატახტო) დარბაზი, მუზეუმის ექსპონატები მიყრილ-მოყრილია. მაგიდაზე გლია ტყავის ძველი კაპარტი, მისგან მშვილდისრებს ამოუჩოიათ თავი. ასეთი მშვილდებით ძველი გერმანელები ისარება უშენდნენ რომაელ მხატვართა ქმნილებებს.

დანგრეულ ბერლინში ტრანსპორტი მაინც ახერხებს და ნორმალურად მუშაობს. მეტრო დიდ სიღრმეზე არ არის; მიწისქვეშა ტრანსპორტში თვალთან თითს ვერ მიიტან, ყველგან სინესტე და ტალახია. ბევრგან გვირაბები ბომბს დაუნგრევია და ახლა ბერლინელები მუშაობენ, რათა პირდაღებული ორმოები ამოავსონ.

ბევრ უბანზე მეტროს მატარებლები ესტაკადით მიემართებიან ღია ცის ქვეშ. გაკულიასს უკანვე გამოგვართვეს ბილეთები: რამდენჯერმე ყიდიან, ქალაღს ზოგავენ. ტრამვაის პატარა ყვირთელი ვაგონები, უზარმაზარი ორსართულიანი ავტობუსები ცოტაა და მეტროს მთელ სიგრძეზე როდი მუშაობენ, — ასეა თუ ისეა თავის საქმეს მაინც აკეთებენ.

შეყვარებულთა წყვილმა, რომელიც ველოსიპედით მიდიოდა, — აგვისხსა, როგორ უნდა გვევლო თეატრ „რენესანსამდე“. როგორც ჩანს, ცხოვრება მაინც თავისი გზით მიდის, სიყვარულს ნანგრევები სულაც არ უშლის ხელს, ჭალაქის საზღვრებს მიღმა, ნახევრად დანგრეულ შენობაში რალაც სასწაულით თეატრ „რენესანსის“ მაყურებელთა დარბაზი და სცენა გადარჩენილა. უბილთოდ შეგვიშვეს, თან ძალზე თავაზიანად, და პარტერში დაგვსვეს, მიდიოდა სპექტაკლი „საბინიელ ქალთა მოტაცება“. საზოგადოება ხარხარებდა, თუმცა სცენაზე მაინცდამაინც არაფერი ხდებოდა სასაცილო. სპექტაკლს სულაც არ ეტყობოდა რეჟისორის ხე-

ლი. ყველაფერი ძველმოდურად გამოიყურებოდა, მაგრამ მსახიობები კარგად თამაშობდნენ.

27. VI. 1945.

დრეზდენი ერთ ღამეში დაანგრიეს ამერიკის ბომბდამშენებმა, იმ დროს როცა საბჭოთა არმია ქალაქის კარიბჭესთან იდგა. ამბობენ, ორას ორმოცდაათი ათასი მშვიდობიანი მცხოვრები ემახვერპლათ იმ ღამეს.

ელბის პირას მდებარე საქსონიის დედაქალაქს სამართლიანად უწოდებდნენ გერმანიის ფლორენციას — ის დამანგრეველი დაბომბვის შემდეგაც გვატყვევებს თავისი დიდებული გუმბათებითა და კოშკებით. აქ ბუნება და ადამიანი გააჩიბრებიან ერთმანეთს. არქიტექტორებს მოუხერხებიათ შენობათა ჰარმონიული შერწყმა ბუნებასთან. წყალს, მწვანე მცენარეულობასა და მთებს შორის აღმართულან ადამიანის გენიის შესანიშნავი ქმნილებანი. უხურობ მათ და გრანობ, რომ სიტყვები აქ უძღურია. ხელოვნების ამ ტაძარში, ხელმწიფის ნანგრევებზე ჭერაც მოუხსნელ წყველასავით ჰკიდა ვეებერთელა ტილო წარწერით: „ამისათვის მადლობას ვუხდით ჰიტლერს!“

არა, ტყუილად როდ იზიდავდა დრეზდენი უამრავ მოგზაურს. მსოფლიოს ყველა კუთხიდან: მუსიკის, ფერწერის, არქიტექტურის მოყვარულთ, თავაწყვეტილი მხიარულობისა და წყნარი განმარტოების თავყანისმცემლებს. მისი ტყეები და სასახლეები, ბალები და მუზეუმები, საგარეუბნო ვილები, ფუნიკულორები, მისი სასწავლებლები და ბანკები, უნივერსიტეტები და ფაბრიკები, სამხატვრო აკადემიები და პირველხარისხოვანი ვაგზლები, ქუჩები და პარკები, ტემბი — ყოველივე ოდითგან იზიდავდა ადამიანს.

ციკაბო ნაპირზე მწვანე მცენარეულობაში და ბაღებში ჩაფლული ვილები და სასტუმროების გრძელი რიგია. მოვედით პილასუს გარეუბანში და შაშინვე თვალში გვეცა მდიდრული საცურაო აუზი, რამდენიმე ფუნიკული-

ორი, მოკირწყლული ქუჩები და მუხრანის რები. კომფორტის სურვილისა და შრომისმოყვარეობის დიდი ენის გვერდით აშკარად იგრძნობა სიძულელი-სა და ნგრევის ბარბაროსული სული-სკვეთება! ზოგჯერ გერმანელის უსულგულო შრომისმოყვარეობა თხუნელის შრომას გვაგონებს.

ცოტაა მიწა, მაგრამ ქალაქის ტყეში არც ერთი ხე არ მოუჭრიათ, სამაგიეროდ თითქმის ყველა სახლის სახურავზე ბოსტანია გამართული.

სასწაულით გადარჩენილ შალაზიას წავაწყდით. აქ დიდებულ რეკლამას უყვებენ წებოს: „აწებებს ყველაფერს, მათ შორის დამსხვრეულ გულებსაც“. კაცმა რომ თქვას, დამსხვრეული გულების დაწებება უფრო ადვილია, ვიდრე სიცოცხლის აღდგენა დრეზდენის ისტორიულ ცენტრში — ალტშტადტეში. აქ ყველაფერი დაუნგრევიათ და მხოლოდ ქვის გამძლეობისა და სიმკვიდრის, აგრეთვე მშენებელთა ოსტატობის შედეგად შემორჩენილა ტაძრების, მუზეუმებისა და სასახლეების ნაშუსრევი, რომლებიც მაინც მშვენიერნი არიან.

მკვიდრი თეატრალური მოედანი ძილის სამეფოს მოგაგონებთ. თითქოსდა სიცოცხლე აქ ყოველთვის ჩამკვდარი ყოფილიყოს. მაგრამ საკმარისია ოდნავ დაძაბოთ წარმოსახვის გრძნობა და თვალწინ წარმოგიდგებათ ნათელი სურათი: აი ოპერის თეატრი, ერთ-ერთი საუკეთესო თეატრალური შენობა მსოფლიოში, აქ ყოველთვის უკრავდნენ საუკეთესო ორკესტრები, დირიჟორობდნენ მსოფლიო სახელის მქონე ოსტატები. იქვე სასტუმროა — აქ ჩერდებოდნენ მსოფლიოს ყველა კუთხიდან ჩამოსული უსაქმურები და რანტიემბი, მეცნიერები და ხელოვნების წარმომადგენლები, სტუდენტები, რომლებიც უკანასკნელ ფულს არ იშურებდნენ, და მსუბუქ გართობათა მოყვარულნი. ჩამოდიოდნენ, რათა დაესვენათ, მოესმინათ სახელგანთქმული მუსიკოსებისა და მომღერლებისათვის, ეხილათ ფერ-

წერის, ქანდაკების უკვდავი ქმნილებანი. შეეძინათ ცოდნა და გამოცდილება მეცნიერებისა და მხატვრული ხელობის ნებისმიერ დარგში. ჩასწვდომოდნენ ქვის ცოცხალ ენასა და არქიტექტურის კეთილშობილ ვირტუოზულობას.

იქვე მდინარის ზემოთ იტალიური ტავერნაა. ოპერის პირდაპირ არქიტექტორ კიავერიის მდიდრული ნაგებობა — კარია კათოლიკური ორჩხომლიანი ეკლესია დგას, თვალის მომჭრელად ელვარე, ცოცხალი. ოდნავ მოშორებით ხელმწიფის ციხე-საბაზლე, რომლის არქიტექტურული სტილის კრეაქცია ყოველგვარი სტილის უარყოფა.

მოშორებით ელბას ვადმოსცქერის ცაცხვებისა და წაბლის ხეების სიმწვანეში ჩაფლული ბრიულევის განთქმული ტერასა. მასზე აღმართულია საძაბტვრო აკადემია, კარის თეატრი და მუზეუმი. ბოლოს — ხუროთმოძღვრული ხელოვნების შედეგად — ცვინგერი, გვიანი ბაროკოს სტილში ნაგები მხატვრული ანსამბლი, რომელიც 1711-1722 წელს აუშენებია არქიტექტორ პიოპელმანს. სხვათა შორის, ბევრმა დრეზდენელმა ვერ შეძლო ცვინგერის გზა სწორად ეჩვენებინა ჩვენთვის.

28. VI. 1945.

ცვინგერი! უყურებ ხელოვნების ამ უკვდავ ქმნილებას და გესმის, რას ნიშნავს სტილის სრულყოფილება. რაოდენ მკაფიოა მისი დაგეგმარება, პროპორციისა და სკულპტურული სინატიფი! არქიტექტურა აქ განასახიერებს კრისტალურად სუფთა სიხარულს, თვით ცხოვრების ჰარმონიას ხუროთმოძღვრის გენიას ერთ მთლიანობად უქცევია შენობა და ლანდშაფტი.

ჩუქურთმისანი მოხატულობა გვაოცებს თავისი სიმსუბუქით, სიკისკასითა და ღინამიკით. სრულიად გავიწყდება, რომ შენს წინაშეა ნაცრისფერი ქვა, ასე გგონია, თითქმის სასახლე ცოცხლობს, სულდგმულობს. ცვინგერის პატარა ტბორებს ფორი გადაკვერია, ცეცხლსა

და ჰვარტსა ვაუშაყვება... არქიტექტორები, ფანები, ღმერთქალები, მაგრამ მათეუს პიოპელმანის უკვდავ ქმნილებას მაინც ეტყობა სილამაზე და ჰარმონია. გულსა გტყენს სასიკვდილოდ დაქრილი ქვის საოცრება, ის ხომ მთელი ადამიანთა მოდგმის საკუთრებაა! თუ არა კულტურამ, ხელოვნებამ, მაშ რამ გამოიყვანა ადამიანი პირველყოფილი წყვილიადიდან?

ცვინგერში მოთავსებული იყო მსოფლიო მნიშვნელობის მუზეუმები. ერთ-ერთი მათგანი დრეზდენის სახელგანთქმული გალერეაა, რომელიც საძარტლიანად ითვლებოდა ერთ-ერთ უმდიდრესად ევროპაში. აქ გამოფენილი გახლდათ სახელგანთქმული იტალიელი, ფლამანდიელი, გერმანელი ოსტატების სურათები. საქმარისია გავიხსენოთ თუნდაც ტიციანი, ჰოლბაინი, რემბრანდტი, დიურერი!... აქ შორეული ქვეყნებიდანაც კი ჩამოდიოდნენ ადამიანები, რათა დამტკბარიყვნენ რაფაელის გენიალური ქმნილების „სიქსტის მადონის“ ცქერით.

ბრიულევის ტერასიდან ელბის შესანიშნავი ხედი იშლება. მდინარე მდორედ მოედინება, ოღონდ წყალი გაშავებია. შუა მდინარეში აჩოჩხილახ მეჩეხებზე გაჩხირული გემები და ბარებით გაისეირნეთ, რომელიც ლუგელმა წითელარმიელმა გვათხოვა. ოთხი წელი არ ყოფილა შინ და ბავშვებით გაახარა ჩვენთან შეხვედრამ, ვიგონებთ ლენინგრადს, ძველ ლუგას.

29. VI. 1945.

დღეს დრეზდენიც დავტოვეთ. ქუჩებში გამოჩნდა ვეებერთელა ლოზუნგები — გერმანიის კომუნისტური პარტიის მოწოდება: „რა ექნათ! სულით დავეცეთ? არა! ვიმუშაოთ!“

დანგრეული სახლის ფანჯრის ღიობს მიღმა ქარი აქანავებდა ქალიშვილის პორტრეტს...

ფრანსუა ვიიონი

ღირი ანდერძი

ორკაცი ბაღადა

იხარეთ, დატკბით, მინებდით სურვილს
ერი თუ ბერი, მონა თუ მეფე!
ნუ ეგონება თუმცაღა ნურვის,
იმ წალკოტებში სულ ვარდებს კრეფენ.
ტრფობამ მიჰხადა სოლომონს ცნობა,
ყმად გაუხადა ბაალს და შამაშს.
სამსონა თვალეზი დასთხარა ტრფობამ.
ბედნიერია, ვინც ასცდა ამას.

ორფევსს, მენესტრელა, ემზო ამური,
ჩააროკვინა ქვედაქვე შარა
და მიაყენა ჩანგ-ალამურით
ოთხთავა ცერბერს ქვესკნელის კარად.
ნარცისმა ტურფა ლანდს მოჰკრა თვალი,
გადაავიწყდა სმაცა და ჭამაც,
ჭაში ჩავარდა ტრფილით მთვრალი.
ბედნიერია, ვინც ასცდა ამას.

ტრფობამ ლომგული სარდანაპალი
საქალებოში მიუსვა სართაესს,
ჩააცვა ქალის ჭუბა-კაბანი
შევალიეს და უებრო სარდალს.
დავითმა ბაღში გადაყო თავი,
წააწყდა შიშველ თევზებს ლამაზს,
და უკან დარჩა ლეთის შიში დავითს.
ბედნიერია, ვინც ასცდა ამას.

ჰეროდემ, მთვრალმა, იხმო მცველები,
იხმო და, ეგებ არც უწყის ზოგმა,

რომ იოვანე ნათლისმცემელი
ემსხვერპლა ქალის ვნებიან გოგამანა.
ვითომ სნეულმა. ტარტალეტები
მოატანიან ამონმა თამარს,
და უცბათ, ბნელში, დას, გამეტებით...
ბედნიერია, ვინც ასცდა ამას.

ქატრინ ეოსელის გამო რიეეში
მეც შევეყარე შეაყარს შწარეს,
შიშველი ვიყავ, ვერც გავიქეცო...
გამწურეს, როგორც წურავენ სარეტებს.
იქვე, მახლობლად იდგა ნოელი
და უყურებდა მხიარულ თამაშს.
იქნებ ეს ბედი მასაც მოელის?
ბედნიერია, ვინც ასცდა ამას.

ეს ისე, თორემ განა ფასი აქვა
ყმაწვილკაცისთვის სხვათა მაგალითს,
მაინც ისწორებს ბრიყვი ხსიათს,
ვერ აპგლეჯ, გინდაც ზედ დააკალი.
ბოლოსდა მორთავს წკაეწკავს და ღნავილს,
როცა გამოცდის, რა შხამით შხამავს
სათნოც და უთნოც, თეთრიც და შავიც.
ბედნიერია, ვინც ასცდა ამას.

LXV

იგი, ვის ყმადაც ვეფიეე მაშინ,
როცა სასწრაფოდ ვტოვებდი პარიზს,
ვის გამოც ზრუნმა იძალა ხმაში,
ვის გამოც თავში ბრუნავდა ქარი,
ვინც დაბრა გული ეპვის ზაფრებით
და საქალეთი ვინც შემაზარა,
თავს თუ იქევედა, სხვა არაფერი,
ეთქვა დალოცვილს... (გეტყვის, რას არა).

LXVI

ჩემთან, ჩემს გვერდზე — ჩემი შეტყობით —
არ ეცვლებოდა წამით გუნება,
ჩემად ისმენდა, რასაც ვეტყოდი,
არც იწონებდა, არც იწუნებდა,
მეტიც, როდესაც ჩურჩულით ყურთან
დავეხრებოდი, არც ირბოდა,
იმედის ჯაჭვზე მეყეფა, სურდა,
დაბმულს შეყეფა მისი თეოდან.

LXVII

მაგრამ მთავარი ჭადო რაც არი,
ერთი სავანი სხვად მომალანდა,
სალამო — დილად, ფქვილად — ნაცარი,
ხუცესი — აღმად, ჭორი — აღამდრად,
საყდრის გუმბათად — ფილის ფსკერი,
აბატი — პაქად, ზუჩად — ბაღია...
ზის ანდაზაში და ფიქრობს შტერი:
„ბარის ბუშტია თუ სანათია?“

LXVIII

...წყალწყალა ლუდი — კამკამა ღვინოდ,
თვალის ამხელი — მტრად დაუნდობლად,
როცა უნდოდა, აღაპი — ლხინად,
ლხინი — აღაპად, როცა უნდოდა,
ცის კიბედ — თოკი, ქერში მისკვნილი,
სამოთხის ჩიტად — ყვავის ბახალა,
ციხე-დარბაზად — ქარის წისქვილი,
ისე რა გოგო — მზეთუნახავად.

LXIX

აჲე მიბამდა თვალს სიყვარული,
დაგმანულ კართან მიმაგდო ბრიყვი.
ის ვინც, — წაგიხდა ებნის ელარუნი,
მშრალზე დაგსვესო, — არ მორჩა ხეიხენს,
უნახოთ, ბატონო, თუ გაძლებს ჩემდენს,
როდესაც ტრფობა ჩემსავით დაწვავს,
გაშვება პირველ ლახვართა შემდგე,
ხელთ შეატოვებს კურტაკს და საცვალს.

LXX

ვგომბ ტრფობას, ვამსხვრევ მისეულ ყალიბს,
სისხლით და ცეცხლით ვეშართავ ბრძოლას,
წავშალე ცოდვის ყოველი კვალი
და ნაისრალი აღარსად ბოლავს.
მიედივარ ხელ- და გულცარიელი,
აწ ქება მისი, ვაცხადებ, სხვამ თქვას,
მერბქვეშ ამოვდე ჩემი ვიელი.
აღარ ვეკუთვნი მიჯნურთა ამქარს.

LXXI

ჰა. ბუმბულ-ბუმბულ ქარს ვატან ჭილას,
განდიოს, ვისაც იმედის სჭერა,
ზომ უნდა ჰყავდეს სიყვარულს ვილაც,
ვინც დაკრეფს სიზმრებს, ფუქსა და ფერადს
რაო? გაეჩუმდე? რამეს ავიტებ?

ამდენ საყვედურს ნუ ვამბობ მისას?
ვინც გაემზადა გაღმა გავიდეს,
ნებაც აიღო ყველაფრის თქმისა.

LXXII

მეწვის, ვარვარებს, მლადრავს წყურვილი,
ეტყობა, ყელში სულთახდა ჩადგა.
წყალი კი — როგორ გადაწურული!
თან გულში ხიჭვი, რამეთუ... რადგან...
„დაბერებულხარ“, თვლის ქანეტონი,
„არ გამოვდგებით საერთმანეთოდ“.
ვერ ვყივი, თორემ, შენი შენდობით,
სხვა მამლურ საქმეს გაეწევ, ქანეტონ.

LXXIII

უფლის და კიდევ ტაკ ტიბოს ნებით
მაშინ კი ბლომად შემასვეს წყალი...
ვინც მახმო დაბლა, არ-მაღლა დებით,
ანგუასური მაკბიჩა მსხალი,
ვლოცავ, შიგ რამე თუ არ შემიყვა,
ვთქვათ სიტყვა ხდომა, სიტყვა სამანი,
წარბ... ეტ ცებერა, წარწყ... ეტ რელიკვა
და მისთანანი და მისთანანი.

LXXIV

მსურს, მოადგილეც დავლოცო მისი,
ამა საქმეთა თანაზიარი,
მერჯულე ახლდათ, დავლოცოთ ისიც,
კაცი ტკბილი და თავაზიანი.
რობერს, ჩემს ოსტატს, გვერდს თუ შევევლით,
ფიცავ, ჩემს ძვალ-რბილს არ ეამება.
თანაბრად მიყვარს ეგ სამეული,
როგორც ლე ლომბარს — წმინდა სამება.

LXXV

ორმოცდათექვსმეტს, წასვლის წინადღეს,
გასაჩუქრების შევთხზე სიგელი,
ანდერძად ისე გადამინათლეს,
უბრალო მოწმეც ვერ შევიქენი.
ხელს ვიქნევ, მეტი რა დამრჩენია,
გაცხარდები და ატეხენ ხარხარს.
თქმულა, რაც ქვეყნად მართლა შენია,
კაცი არც იმის პატრონი არ ხარ.

LXXVI

არვინ შეშფოთდეს, არა მაქვს აზრად,
ღლეს გავაუქმო, რაც გაივც გუშინ.

განა დღეს ნაკლებ სიბრალულს აღძრავს
ჩემს გულში პერნე, ლა ბარის ბუში?
მახსოვს, ნოტიო ჩალა ვაჩუქე,
ახლა ზედ ვუფენ გაცვეთილ ჭილოფს,
დიდი განძია, როცა ჩაჩოქვით
ორი ექვს თათზე დადგომას ცდილობს.

LXXVII

ვთხოვ მემკვიდრეებს, არ იცილობლოთ,
დასჯერდეთ, ვისაც რას გარგუნებენ,
ეს კი მოითხოვს აუცილებლად
სანდო მემკვიდრე-განმკარგულებლებს.
ვის ენიშნავ? ფრიალ ღირსეულ გვამებს,
სახელდობრ — მოროს, პროვენს და ტურეის.
გაუგებარი თუ რჩება რამე,
სიკვდილის შემდეგ ჩამყვირონ ყურში.

LXXVIII

ჩამორიგებას დავიწყებ მყისვე,
რა გავაფრთხილებ ყველა ჩემიანს —
ჩემი მდივანი ფრემენიც მისმენს,
თუ, რა თქმა უნდა, არ ჩასთვლემია:
არ მსურს, შეიტყოს მთელმა ქვეყანამ,
ვის ყულაბაში რამდენი ვყარე.
ჭორად, ჩვენს შორის დარჩეს ჭერხანად,
ნუ გაქმეყნდება საფრანგეთს გარეთ.

LXXIX

ლაპარაკს მიშლის... თან გულიც... მახლას!
უნდა ვიჩქაროთ, სადა ხარ, ფრემენ,
აქ, სასთუმალთან დამიჯექ ახლოს,
განა მსტოვრებიც შენსავით თვლემენ.
ხმა არ გაიღო, იჯექ და წერე.
შავად, სულელი. დრო დიდი არ მაქვს.
გადათეთრებას მოასწრებ მერეც.
აბა, დავიწყოთ. შევეუდექ კარნახს.

LXXX

კურთხეულ იყოს, ამინ და ამინ,
ღმერთი, რომელიც ქალწულმა შობა,
რომ გამოსცლოდა ფარული შხამი
ადამისაგან მორთმეულ ნობათს.
დიდება ციურ არსთა კრებულებს,
წმიდან-მარტვილთა კრებულსაც დიდე...
დიდებუღია, მიცვალებულებს
პატარ-პატარა ღმერთებად თვლიდე.

LXXXI

მკვდრები... ეტყობა, არ მესმის სულელს...
სხულთა ხრწნა სიკვდილის უკან.
ხოლო ქვესენელში მოხვედრილ სულებს
გენის ცეცხლი თანაბრად ხტუქავს.
თუმცა ყოფილა ერთი ჩავარდნა,
სადა გენა იცელის ბუნებას:
წინასწარმეტყველ-მამამთავართა
საჯდომებს ნაზად ელამუნება.

LXXXII

თუ მიიხრეს: „უბედო! რა აზრებს აფრქვევ!
არ გაგვირკევე ზემო და ქვემო?
გამოგლევი, საწყალო, საქმე,
თეოლოგიის მეტრობას ჩემობ“,
იესოს იგავს ავეფარები,
სადაც ქარგაა ესევითარი:
სასუფეველში მოხვდა ღარიბი
და ჭოჭობეთში მოხვდა მდიდარი.

LXXXIII

თავად განსაჩეთ, ამათგან ერთი
ზემო თაროზე იჭდა, ეტყობა,
თორემ მეორე, — წყლის ერთი წვეთი
ბაგეს წამცხეო. — რატომ ეტყოდა,
ჩენი ღოთები, რომლებიც ხამლებს,
ჩერებს, ჭერებს სვამენ და შაინც ყვირიან,
რას ჩაიდენენ, იქ როცა ჩაკუნენ,
თუ იქ სასმელი ასე ივირია.

LXXXIV

ვახსენოთ ღმერთი კიდევ და კიდევ,
გამოვიწინოთ შიში წაწყმედის.
გაეწიოთ, ტვინი ასე თუ ვკუცობ.
ახალ რამ ცოდვას გადააწყდები,
ვბრაზობ? ო, არა, სათქმელს ვერ ვუვლი,
ადვილ არ ვბრაზობ, მით უფრო სხვაზე,
არ მჭირს ცხელება ეფემერული,
ხოლო ანდრთი იწუება ასე:

LXXXV

პირველ ყოვლისა, წმინდა სამებას
მიერთვას ჩემი საბრალო სული.
სჯერა, მიადწევს ზესთა სამეფოს,
რამიც ეყრდნობა საკუთარ სურვილს,
სჯერა, გასცდება ცხრა გარსის სამანს.

ცის ცხრავე კარი დახვდება ღია,
 და, მუნ, დადგრება ნეტარია თანა...
 ჭვარი სწერია, საეჭვო კია...

LXX XVI

იტემ, მიერთვას ჩემი სხეული
 ჩვენს ღიად დედას, საყვარელ მიწას,
 მაგრამ ვარ ისე ზორცგალეული,
 მატლს — რა საბაბი მადლობის თქმისა!
 იყავ... მიიჭეტ... საშველი არსით,
 ყველას თავისი არჩივი მიაქვს,
 თანაც ყოველი ნივთი და არსი
 თავად მიელტვის პირველქმნილ წილს.

LXX XVII

იტემ, მამაზე უტკბეს მამობილს,
 მოხუც გიიომ ვიიონს ჩემსას,
 ვინც ცხოვრებაში ჩემი წყალობით
 ბევრი შხამი და სამსალა შესევა,
 და მაინც მუდამ იყო კეთილი,
 გულს არასოდეს ამატყებდა,
 მუხლმოყრილი და ქედმოდრეკილი
 ყველაფრის გამო ვთხოვ პატიებას.

LXX XVIII

ჩემი წიგნების დასტას ვაბარებ
 და კიდევ რომანს „ეშმაკის მიჯნას“,
 გადამიწერა მეტრმა ტაბარიმ,
 კაცმა დაღლილმა სიმართლის თქმისგან.
 ოღრო-ჩოღროა მთელი რომანი,
 მაგრამ მასალა, — ვინ რას იბრძოდა,
 გახლავთ იმდენად მნიშვნელოვანი,
 მწერალური ნაკლი არც შეიგრძნობა.

LXX XIX

იტემ, ჩემს საწყალ, ჩემს ტანჯულ დედას
 მსურს დაუუტოვო ღეთისმშობლის ლოცვა.
 როცა აქ ყოფნა ტკივილი ხდება
 და უკუნეთში გზა არ ჩანს როცა,
 ღეთისმშობელია ჩემი ლამპარი,
 ბურჯ-გალავანი ნათლისკენ მხედნი,
 უკანასკნელი თავშესაფარი
 ჩემი და ჩემი საბრალო დედის.

ბალადა

ღვთისმშობლის ღოცვა, ღედისთვის
შეთხზული

მიწის მფარველო ქალბატონო, ცის დედოფალო,
 მეოხ მექმენ და განმარიდე ცოდვილთა ღიას,
 რჩეულთა გვერდით, სადაც უფლის შუქი მოგალობს,
 მომეც ადგილი შენს უბრალო ჭრისტიან ღიაცს,
 ვინც თავად უწყის, რა მცირეა, რაც საგზლად მოაქვს...
 მაგრამ ისეთი სიყვარული გადგას ნათებად,
 ისეთი აღმით აღსაყვება შენი ხატება,
 ვგრძნობ, შენი გულიც შენი ნათლის თანაბარია
 და ყველა ცოდვას უსასრულოდ აღემატება.
 მინდა, ამ რწმენით ვიცოცხლო და მოვკვდე, მარიამ.

შენს იეს, — მისი ვარ, — გადაეცი, მახსენე მასთან.
 მწამს, დამიფარავს, არ კი ვიცი, როგორ და რატომ.
 ითხო მარიამ ეგვიპტელი, თუმცა გზას ასცდა,
 და თეოფილე, თუმცა აღთქმა ეშმაკთან დადო, —
 ორთავეს ახსნა ღირწების და ზვაობის ჭადო.
 მაინც მაშორე მათი საქმე, ბნელი და კრული.
 შენ, სიხარულით ვინც აღავსე მოკვდავთა გული,
 უბრწუნელმა შობე, ვისაც ჩვენი სვე აბარია.
 მწამს ეგ დიადი საიდუმლო, მესაზე თქმული.
 მინდა, ამ რწმენით ვიცოცხლო და მოვკვდე, მარიამ.

ერთი საწყალი ღიაცი ვარ, მწირი ღიაცი,
 წიგნიც არ ვიცი, ვერ გავიგნებ სიბრძნის უღრანებს,
 კედლიც ნახატზე, ჩვენს სამრევლო ეკლესიაში,
 ვხედავ ჯოჯოხეთს, ქაჯ-ეშმაკნი ცოდვილს მდუღრავენ,
 ვხედავ სამოთხეს, ჭნარებსა და ებნებს უკრავენ,
 პირველი მზარავს და მეორე მხნეობას მმატებს,
 დიდო ქალღმერთო, მაზიარე სამოთხის ნათელს,
 რადგან თუ უყვარს და სიკეთე თუ უბარია,
 მჭერა, ცოდვილიც დაუსხლტება მაცთურის ბადეს.
 მინდა, ამ რწმენით ვიცოცხლო და მოვკვდე, მარიამ.

ვნებული ჩვენთვის, ცით მოსული, წასული ცადვი,
 იგია, ვინც ჩვენი უფალი და მაცხოვარია,
 ისე ვით ერთმა ჩვენთაგანმა, ატარე ცხრა თვე.
 ოდეს განკაცდა, იყო, სადაც მწირნი არიან,
 ნებით ითმენდა ყველა ტანჯვას, ცოდვილთა სათმენს,
 იგია, თუ რამ სიხარული მიგველის სადმე,
 მინდა, ამ რწმენით ვიცოცხლო და მოვკვდე, მარიამ.

XC

იტემ, ფარვანავ, რა მზარეს წახველ, —
როზს, ჩემს გულისვარდს ეკლის ბუჩქიდან.
არც გულს ვუტოვებ, მით უფრო ნალველს.
მით უფრო — უცებ რაც გაფურჩქნიდა.
შევცდი, ამ ბოლოს მივართვი ძღვენი,
მაგრამ, ღმერთმანი, მეტს აღარ ვიზამ,
რადგან ამდენი ფულების ტენით
სულ გარღვევია ატლასის ქისა.

XCI

ან კი რად უნდა ავიღო ქირით,
საქმე, რომელიც სხვებს ავალია,
არც საკუთარი მაკლია ჳირი,
არც კუდუსუნი მიხურს ძალიან.
გადავცემ საკითხს ბონფუტერ მიშოს,
მთელ საფრანგეთში ცნობილლაზერთანს,
მაგრამ ცოცხალი არ არი, ვშიშობ,
ვშიშობ, სანსერის მიწა აყრია.

XCII

რაღა ფასი აქვს ყმაწვილურ ამბავს,
გულუმწიფრობით რას გადაწყარეს,
თანაც ანგარიშს ვუსწორებ, ალბათ,
უფრო სიყვარულს, ვიდრე საყვარელს.
ვუსწორებ, მაგრამ რაც მთავარია,
გულის სიღრმეში რამედაც არ ვთვლი.
ვფიცავ ლამაზმან წმინდა მარიამს,
ტრფობაგადაბდილ ეგვიპტელ მარტვილს.

XCIII

ლექსს კი ვუგზავნი, ავეყები თამაშს,
ყველა სტრიქონი თავდება „რი“-ზე.
ვის გავატანო? ვის ვხედავ ამას!
ლა ბარის პერნე ისევ და ისევ!
წრეზე რომ გავლენ, თუ შეხედეს მაშინ
გოგო ცხვირმოგრიო და მოხატული,
უძღვნას და ჳკითხოს ღიმოლით ხმაში:
„წუხებლ სად იყავ, ჩემო კატუნო?“

გალადა

ჩემს გულისვარდს

ფლიდ საყვარელს ვენდე შტერი,
რალას მოვთქვამ? ვილაა ვყვედრი?
ამარტა მიგავს სახის ფერი,

ნებით ვირგე შმაგის ზვედრი.
 ხად ვიყავი მე უბირო,
 უგონ-უსმენ-უბედური?
 ათას კირზე — კიდევ კირი,
 ვილუპები უბედური.

მოეშორდები. მეყო შარი!
 არ გამოვა, ადვილ ვმღერი...
 რას გამიშვებს ტრფობის ქარი,
 ტყუილია ყველაფერი!
 ახლო იყავ, გახდი შორი.
 ოა ცოდვისთვის მეგო შური?
 გნახე რალა გულის სწორი,
 ვილუპები უბედური.

არ გაივლის ხანი ბევრი,
 შეგეცვლება ზნე და ნირი,
 დანუერდება ტანი მკვეერი,
 გაშიშვლდება ცოდვის ძირი.
 ვაჰმე, სანამ გვიდგას ჭერი,
 არც აპირებ, მიგდო ყური.
 დავთვერ, მაგრამ ჩვენი მტერი!
 ვილუპები უბედური.

პრინც-მიჯნურო, შენი დარი
 არვინ ვიცი, დამწყსოს ფური,
 გზა მასწავლე, მომეც მხარი,
 ვილუპები უბედური.

XCIV

იტემ, სიმღერა, აულ ორი სტროფი,
 მიერთვას ჩემგან იტიე მარშანს,
 მის სატრფოს ვტირი, ცხადია, ყოფილს,
 ურომლისოდაც ახლახან დარჩა.
 სახელს არ ვამბობ, უთქმელად ვწირავ,
 რადგან მეგობრის ვიცი გატანა,
 შეუწყოს ჰანგი, მომართოს ლირა
 და დააკვენისოს ეგ სულთათანა:

რონდო

ვაი, ჩემი სიკვდილი!
 საქმე ისე მიგვდის,
 ჩანს, მოვეწონვართ სიკვდილს,
 გვეპარება სიფრთხილით.
 შენი სატრფო, რაო?
 წაუყვანიო?
 ვაი, ჩემი სიკვდილი!

„სატრფოვ, სატრფოვ, მიგტირი,
მკვდარი ვარ და ვმღერ,
ცოცხლებს ვბაძავ ჭერ
ფერ- და სასომიხდილი“...
ვაი, ჩემი სიკვდილი!

XCV

იტემ, ეან კორნუს, ჩემთვის გაყიდულს,
მიერთვას ჩემგან ძღვენი იოლი,
პატარა სახლი მცირე ბალითურთ,
შესვლას რომ მოხვოდა ბობინიონი.
მეც შეკეთებას შევპირდი უცებ,
რაკი ცხელ გულზე ადვილად ვმღერაი.
მოკლედ, ეან კორნუს ექნება ფუძე
და არ ექნება, რა მოხდა, ჭერი.

XCVI

კარიც მომძვრალა, რა მოხდა მერე,
სამაგიეროდ ქარს ეფერები,
სამაგიეროდ ჩიტები მღერენ
და ვერ იჭერენ ჩიტებს ძერები,
სამაგიეროდ — ეს ერთი რად ღირს! —
თუ მიუვიდა ღამით სტუმარი,
ექნება მშვიდი, პაწია ბალი,
ძეწნის ჩრდილი და ქვის სასთუმალი.

XCVII

იტემ, სენტ-ამანს... ამ ბოლოს მისმა
მეუღლემ კბილი ცუდად დამასო,
კარგი, რაც ვნახე, ვთქვათ, ვნახე სიზმრად,
სამტროც რა გვჭირდა, ჩემო ღამაზო?
თუ ქმარიც ასე უყურებს საკითხს,
გამოდის, უნდა ვუშალო პირი,
„ულაყის“ ნაცვლად მივგვარო ქაკი
და ცოლს წავგვარო წითელი ვირი.

XCVIII

იტემ, მიერთვას ღირსეულ დენი
ესლინს, — დანახარჯს ტურეიზე დავწერ,
წმინდა ონური ნუნუას წვენი,
თორმეტი კასრი პირთამდე სავსე.
კასრებთან ტურეი ჩამოჯდეს მთერალი,
მათ გასახსნელად თუ დასახუფად,
არადა, სულაც ჩაუსხას წყალო,
ღვინომ რამდენი ნიჭი დალუპა.

XCIX

იტემ, ჩემს ვეჭილს, მეტრ შარიფოს
უბუდოდ ვაძლევ აღესილ ლახვარს,
ჭარქაშიც მუქთად თუ არ მიუვა,
არ ელის ლახვარს ჭარქაშის ნახვა.
თუ მაგ საქმეზე არ წუხს სრულიად,
ნებავეს საქმისე სხვა რამ საგანი,
მაგით ხომ, ღმერთო, მოკირწყლულია
ტამპლის შარავზა და ფილაქანი.

C

იტემ, ფურნიეს, ჩემს მორიგ დამცველს,
მორიგი ბლუჯა ჩემი ქისიდან,
მჯილს მოლუქიროს, არ გახსნას წამსვე,
ეგებ რა ჩიტი ამოიზიდა.
ეგ არაფერი, რომ უქრის სიტყვა
და ხშირად შველის კლიენტებს მუდმივს,
დამიხსნა, როცა მართალი ვიყავ,
რაც ჩემი რწმენით, სასწაულს უდრის.

CI

იტემ, რაგიე, ამჯერად ეაკი,
დაეპატრონოს „სეფე-ფილას“,
ჯერ მომეცე ოღონდ ის ოთხი პლაკი,
მაშინ რომ ყელში ჩაიწყრილა.
თავს დასტეხოდეს ეს განსაცდელი:
ვერ გაეყიდოს ხამლ-წინდა გროშად,
თუ „გირჩში“ ბრძნულად ჩანგალაწვდილი
ზის უჩემოდ და სიბრყვეს როშავს.

CII

იტემ, ლუვიეს და პიერ მერბეტს,
თუმცა ამ მერბეტს ხარის გვარი აქვს,
არც ჯუროს ვაძლევ, არც ჯუროს კერბებს,
რადგან რომელი რა მეზარეა,
არიან მექორ-მეშვევარდნენი,
მონადირენი მწვევრის კისრებით.
მიეცეთ ზოხბები — რომელს რამდენი? —
მაშველსთან ვერცხლით დასაისვრელი.

CIII

იტემ, ტურეთოვინ, გაგიხარია,
მაქვ მისაკეში ქვეყნი ვალები,
რო მეფუნდუკე, ჯადოქარია,
თუ გამაიციო, სად ვიშალები.
ეშვენად ყოფნი უფლებამ ვთმობ.

რითა მაქვ? მითა, რო გავჩნდი პარიზ.
 პუატოურად თუ ვუქცემ უფრო,
 სუ ორი გოგოა წყალობით არი.

CIV

ზედ სენ-ეენრუდთან, მოდით და ნახეთ.
 ბრეტანი გზამდინ არგადასული,
 აენ-ეიულიენ-დე-ვოვანტ აქეთ
 ცხოვრობს ლამაზი ორი ასული.
 კალთა-კალათი, აქ თუ მოდიან,
 აქეთ ვარდითა და პურ-ღვინით სავსე.
 სხვას არას ვიტყვი, გიყი როდი ვარ,
 ჩემი გვრიტები მე თვითონ გავცე.

CV

იტემ, რაგვი, ამჯერად ეანი,
 სერჟანტი ჩვენი, სმაში ნაქები...
 დილით რომ ადრე აზლანოს ტანი,
 ვუნიშნავ სილაქს, „სწორდის“ გაგებით,
 და თუ მაგაზე დამრჩება მწყურალი,
 ნებავეს და — სენის თბილი ზვირთები,
 ნებავეს და — ცივი მბაბუს წყალი...
 მისაყოლებელს ვერ დავპირდები.

CVI

იტემ, მასხრების მთავარს სალამი,
 ძღვნად — დიუ ფური, და თუ მენდობა,
 არ მოუხდება ასე არავინ
 მთავარი მასხრის თანამდებობას.
 „ახ, სატრფოე“, მიყვარს სიმღერა მისი
 და ზუმრობათა მტკნარი ყაიდა.
 კარგია, როცა შორიდან ისმის,
 და უკეთესი — თუ არსაიდან.

CVII

იტემ, ებოძოს თერთმეტ ოცეულს...
 სდექ! ღმერთო ჩემო, რა მტვერი დადგა...
 არ შეიძლება ყველას მოწვევა,
 ორს გამოვარჩევ ნიმუშად მათგან
 და გამოვიხმობ ამა ანდერსით, —
 ვალეტი, ეანი! რიშიე, დენი!
 ებრძანებ: გებოძოთ შარავანდელი,
 ფრთები და — ცისკენ! ნარნარი ფრენით!

CVIII

იტემ, კვლავ პერნე, ლა ბარის ბიჭი!
 თუმცა, ვისია, ნუ ვიკამათებთ.

ეროვნული
ზინზლირთეა

ვაძლევ, რომ უკეთ გაშალოს ნიჭი,
კარტს — ნაჩვრეტებით, ტყვიით — კამათელს.
სამ დღეს ცხელდება გათელოს პერნემ,
ერთ დღეს ცხელდება პერნე გათელოს...
მშვიდობით! ევენე, იხარე, ევენე!
ჭერ, პერნეს კარტო! ჭექ, კამათელო!

CIX

იტემ, არ მინდა, მეკასრე შოლე
გადააყვეს ხერხვას, ჩორკნას და ფხაქნას,
ვხსნი მზრიდან რანდებს, ფიცრებს და რგოლებს.
უაწიშით ეკიდებ ლიონურ დაშნას.
არ ვართმევ ჩაქუჩს ძველი განძიდან,
რომ ერს მოკლინოს ღამეულ ხმებად.
მიყვარს, მტრედევით წყნარი კაცია.
ეპ, სამწუხაროდ, ხანდახან თერება.

CX

იტემ, ეან ლელუს ეუთმობ მეძებარს,
შოლემ, საწყალმა, დაკარგა ალლო,
ლელუ ჩასუქდა, ველარ ეწევა
მეზობლის მამალს, არიქა, ძალო!
კალთიდან განზრახ ან უცაბედად
რომ არ გამოყოს თავი მამალმა,
წაიღონ ჩემი ძველი ლაბადაც,
შიგ ადვილია მამლის დამალვა.

CXI

იტემ, ათასი ჯადო-სამსუქვალი —
ეან ოქრომჭედელს, ხისმჭედლად ხმობილს.
არა იმისთვის, ფულზე, ჯანჯალით,
მოჭედოს სკვირი, ხონჩა თუ გობი,
არამედ მნებავს, ქალ-ვაჟის ზევენა
ისე გადასკენას მისხალ და მისხალ,
ძუსუებიდან იდინოს ხსენმა
და ყვერებიდან იდინოს სისხლმა.

CXII

იტემ, ეან რიუს, ამაყ კაპიტანს
და მის ასოთხმოც ამაყ მშვილდოსანს —
მგლის ეჭესი თავი, თითქმის ზლაპრიდან,
სააბგედ, მაგრამ... ხომ ჰგავს ჯილდოსაც?
და არა ნაჭრებს, მსუქანს და მოზრდილს,
რაზეც, დაღათუ ეტკობა სასას,
უააბს ნეტარი ღიმილი მოსდის,
უთანხმოება — ძალსა და უასაბს.

CXIII

მადლი ეს ისე... ძაღლებს არ ვერჩი,
მაგრამ მგლის თავიც უღირს ტარებად.
მოიხმარება ლაშქრად, კარკებში,
დიდ-დიდ ალყებში მოიხმარება.
ახ, კაპიტანო, ეან კაპიტანო,
ქურტიც მგლის გიჯობს ბეწვეგაქექილი,
არ შეიჭმუნხო შუბლი პიტალო,
რეეიმს გინიშნავს შენი ექიმი.

CXIV

იტემ, რობინე ტრასკაი ფეხით
გავლას თავილობს, ცხენს აზის ვაყას
და, ვაყას თუმცა შეპფერის კეხი,
საფერხედ მეტი არაუინ არ ჰყავს.
მიმაღავს, მაგრამ გუმანით ვხვდები,
უზურში ჩემი თახჩის ჯამი აქვს,
გაიწყყას სახლი, დაუთმობ ნებით,
რა, იმ ჯამიდან თუ მიკამია.

CXV

იტემ, მადლობით, მეტრ პერო ეირარს,
ბურლარენელთა სავარსამს ნაფიცს,
ლვედ-სამართებლებს და ტაშტებს ვწირავ.
საქაღეს ვუვსებ სპეტაკი ქაფით.
ექვსი წლის წინათ, კვირით კვირამდე,
ბინა დამოთმო მადლის სათესად,
ლორი დამიკლა, ვერც კი ინატრებ,
ჰკითხეთ დე ჰურას, ტყბილ აბატესას.

CXVI

იტემ, ოსანა ბერ-მონაზონთა
ყოველი ჭურის სამშოს თუ სადოს!
ეუწეს სერობად, ვინმცა რაზომცა
შორადმცა ვლიდეს, მკოვოს და მხადოს.
ჭერ ეაკოპენურ წეწს ვახვრეტ ნეტარს,
მერმედ ყვერულეს მივართმევ მსუქანს,
რათა ქელვით მიეცნეს ჰვრეტას
კრეტაბმელთა და კურტინთა უჯან.

CXVII

მადლობის მსგავსი არ მოიხრან რამე,
ეს — ღმერთი ტყბება მათი ქმედებით,
ეს — უმართავენ ლხინს წმინდა მამებს
ტყბილი შვილების ტყბილი ღედები.
დაწკრენ ნეტარნი! მეტადრე პარიზს!

საღმართო სიყვარულს თესავდნენ უხვად!
 მრევლია, უყვართ ცოლიც და ქმარიც,
 ცოლი, რა მოხდა, თუ უფრო უყვართ.

CXVIII

თან დე პულიემ თქვა მათი საქმე—
 რა თქვა? — ეძებო, ვერა ნახო რა —
 შედრკა, ნათქვამი საჭაროდ დაგმო
 და, რაც რამ ეთქვა, ზედ მიიყოლა.
 ქილიკობს მათზე ნატიფი მენი,
 იავოის მატეე სიტყვებს გესლიანს...
 შორს! არ მსურს სმენა ბორბოტი ენის!
 მწამს იგი, ვისაც სწამს ეკლესია!

CXIX

მეც, მეც უარყოფ ნათქვამს და ნაქნარს,
 იმასაც, რასაც ვიტყვი და ვიზამ!
 მეც, მეც შემოიპყრო სურვილმა მთაფრმა
 ასაგზის, ათასგზის არაფრის თქმისამ.
 შინ არ დავაგდებ' ერთ სიტყვას ლიტონს,
 თორემ... უცებ რომ შევდგე კათედრას!
 რამდენი ვიცი, ვერ მიხვდა თვითონ
 და მათმა ხელმა, ბრრრ, მოახვედრა...

CXX

იტემ, იმა ბოდი, მოყმე და ბერი!
 მტკიცე კარმელი, ვისიცა მჭერა!
 ვამღეე — არც ფეშხუმს, არც საღვთო წერილს —
 რკინის საფუხარს და რკინის პერანგს.
 თვითონ დე ტუსკა და მისი ხალხი
 ატაცებდნენ ლამაზს... უმტყუნათ გეშმა!
 თუ ამ ასაკშიც იარაღს არ ხრის, —
 ვიცან! არული! ვოვერის ეშმა!

CXXI

იტემ, მებეჭდე იჭდეს, როგორც ზის...
 ვერც რამ საჩუქარს ვურჩევ იშვიათს,
 ვერც კიდევ მისი ეპისკოპოსის
 როდით ჯანდაბას ვერ გამიშვია.
 ცვილ-სანთლის ლეკვით პირი გაუშრა,
 ბეჭდავს, ვერ ბეჭდავს, უთრთის ხელები,
 დუეი დააკლდა, ვუძღვნათ, რა უშავს,
 ო. მხოლოდ ბეჭდის დასასვენლები!

CXXII

იტემ, სკუპ, მააე, კობტა, პაწია,
ვინც სატუსალოს შემხსნა ქამარი!
ქალად ვახსენო? მაინც კაცია,
არადა, კაცი მაინც არ არი.
აუდიტორებს, ბოლოგამომწვრებს,
სკამ-ფეხსალაგებს ეურიგებ ნატიფს,
ერთი პირობით: ბეჭდით დამოწმდეს,
რომ მასეც ერგო გადაცლა მათი.

CXXIII

იტემ, ფრანსუა დე ლა ვაკრიზე,
ზნენი რომ შვენიის სარაინდონი,
მნებავს ვიხილო ჯაჭვი საკისრე.
ჩამოსაკმელი. არა ლითონის.
ფარ-შუბით ხელში ნახეთ ყმაწვილი!
დაყელუელაობს თეთრი იორლით!
განზე ახსენა, ისე, დაციწვით —
ვგმობ! ვასმენ! — თავად წმინდა გიორგი!

CXXIV

იტემ, თვალეზი კვლავ ეწვიის ლორანს.
რამსიწითლეა! ცრემლისგან დაცლის!
თვითონ წვეთს არა — ვილაცა ჭორავს,
მაგრამ დაფასდა მშობლების ღვაწლი.
რას შვება! ისრესს! შიგ თითებს იყოფს!
ვაძლევ საწმენდად თოფრაკის იველას.
პრელატი ვიყო? პრელატი იყოს?
ფარჩას ვუძღვნიდი პრელატი პრელატს.

CXXV

იტემ, ეს ოთხი პატარი ვალი
იმ დაცვის შემდეგ ვერ მივეც კოტარს,
როცა დენიზამ — აშარი ქალი! —
მიჩივლა, ვითომ შემემკოს ცოტა,
და ახლა როცა, ვაგლახ, ცად არი,
გამოსწორება მინდა ნაკლისა.
ღირს განა მისი ოთხი პატარი,
ჩვენში რომ დარჩეს, ამ პარაკლისად.

ბალადა

სულის მოხსენიება

ნოე, ლოთების მამამთავარო,
ლოთ, ვინც შვილებთან შეგვიცდი მთვრალი,
და შენც, იმანო, წმინდა მავანო,

ქრისტემ რომ ღვინოდ გიქცა წყალი.
შიღვით სული თქვენივე მსგავსი.
მოვლინებული ღვთისგან პარზად.
შეივრდომეთ და სამოთხეს დასვით
უმანკო სული ეან კოტარისა.

თქვენებო იღვწოდა ზაფხულ და ზამთარ.
სვამდა ჭიქებით. სვამდა ბოთლებით.
ღვინოსაც სვამდა. არაყსაც სვამდა.
ყველაფერს სვამდა წყლის გამოკლებით.
გზისპირა. თხრილებში უყუარდა წოლა
და უყუარდა სახე აღისფრად.
აფსუს. ჩვენს შორის აღარა ზრჩოლავს
უმანკო სული ეან კოტარისა.

სულაც უგროშოდ მჭდარიყო თუგინდ,
არ გაიტუნდა მაინც იხტიზარს,
გადაიხდიდა გახდილი ჭუბით.
გახდილი შარვლით გადაიხდიდა.
სიკედილმაც ისე მოუწრო ბედშავს,
პოსტი ეკავა, როგორც ჯარისკაცს.
ბანცალ-ბანცალით წავიდა ზეცას
უმანკო სული ეან კოტარისა.

პრინკო. ამქვეყნად იგვემა უღვთოდ
და რომ არ ცხონდეს, ღმერთი არ იზამს,
მაგრამ უღვინოდ ვაითუ წუხდეს
უმანკო სული ეან კოტარისა.

CXXVI

იტემ, ჩემს ჩვეება არ ვცვლი ადვილად,
მაგრამ უმაწილი მერლის ნაღვამა
ბოლოვამს ისე მომიხადირა.
მსურს ეანდო ჩემი ფულის გადაცლა.
შიართვია კლიენტს, ვით მოსდგამს გვარში,
ვით მამა-პაპა ოდით ცდილობდა,
ორ ეციუში მთელი ცხრა ტარეი,
უხდება მიჯნურს ხელგაშლილობა.

CXXVII

იტემ, ამ ბოლოს თითქმის გზადა ვარ,
გზამ და წვალეზამ რაც მიქნა, მიქნა,
მაგრამ მთლად მომსპო და გამათავა
ჩემს სამ ობოლზე ჯავრმა და ფიქრმა.
როგორ ვდარდობდი მაგ საწყალობლებს,
მერე მითხრეს და მეამა ფრიად,
ტანი აპყრიათ, თურმე სწავლობენ
და ცხვრის თავები აღარა სხმიათ.

CXXVIII

ეკ, ლათინურთან ძნელია ბრძოლა,
 ან კი რას მისცემთ ისეთს დონატი,
 სჯობს შევეუცვალო სამრევლო სკოლა
 პიერ რიშეის პანსიონატით.
 რა ცოდვები აქვთ გამოსალოცი,
 არც წაწყდომიან სარფას რიგიანს,
 ეყოფათ ერთი „ავე სალუსი“,
 თუ გვისწავლია, რა მოგვიგია?

CXXIX

კი, კი, ბრუნებაც და კანკლელობაც...
 ცოტა ზნეობაც, წყებლით და ღვედით...
 მაგრამ რა დროის დიდი კრედოა,
 თუ აურევენ კრედოში კრედიტს.
 თუმცა ეგ ღლაპებს არც ეძრახებათ,
 ტკბილი იზიდავთ ანდამატივით.
 ვკვეთ მანტიას და ვაძლევ ნახევარს
 სახარჯოდ, მათი წმინდა მარტინი.

CXXX

ისწავლონ, მაგრამ იცოდნენ მიჯნაც,
 შეტოპავ ღრმად და გაიხლართები.
 ახსოვდეთ, მაინც უფრო მეტს ნიშნავს
 ქუდი წაგდებით, ქუდზე ბალთები,
 ცერი ქამარზე, სიტყვა ლაქარდით, —
 ბრწყინვა განარჩევს ქვისგან ბრილიანტს,
 „ჰმ, ჰმ“, „კეთილით“, „დიახთ“, „ნახევამდით“,
 რომ თქვან: „კეთილებ — ! რა გაზრდილია!“

CXXXI

იტემ, გულს მაწვა ის ორი კლერეოც,
 არა, ჩემს დიპლომს როდი ვნანობდი, —
 ვერ ვუთხარ, თუკი დადებდნენ ზელჯოხს,
 გაგვახუნებდნენ ლერწამტანობით.
 გელდრის სახლიდან მივეცი წილი,
 მთელი სამსჯავრო დამიღდა გვერდით,
 მაგრამ რა? თურმე არა ჩანს ჩრდილიც,
 თურმე ყმაწვილებს მიჩაგრავს გელდრი.

CXXXII

გაჰყვნენ ბიჭები არზების ფარფატს,
 ჯოხის ცხენებზე ეფერონ რახტებს,
 ოცი-ორმოცი წელიც და, ალბათ,
 ის გახდებიან, რაც უნდა გახდნენ.
 ცელქობდეს ორი მალხაზი ბავშვი,

თუ აბეზრობას არავინ ჰყვედრის.
ამ ანგლოზებს ჩაარტყამ თავში?
ან წიხლს ამოსცხებ? ეჰ, გელდრი, გელდრი!

CXXXIII

თავშესაფარში ადგილებს ვაძლევ,
გაბმით იძინონ მთელი სამი თვე, —
ზოგჯერ ისეთი ჯაღო აქვთ ტაძრებს,
შევსება უნდა ძილს ამთავითვე,
თორემ წირვებზე... თანაც ნებვირად...
მოკლედ ვუბრძანებ გამოძინებას,
სამი თვის შემდეგ მხნედ აღგებთან,
თუ, რა თქმა უნდა, ღმერთმაც ინება.

CXXXIV

წოდების გამო, უწინ რომ მივეც,
მისი მთლიანი მასა წარმოგვიდგება ვითარცა წაღვა მოპაექრე ქალები. რამდენს მოუწესრიგებულ ტალღებშიაც ირევიან დარღვეული სიამაშის ცალკეული ნაჭრები. დამსხვრეული ხელოვნების ნაკუწები შესაძლოა უკვლევად ამას ამაღლებულის. მშვენიერებისა და მომზიბუღების ქაოსი დაარქვა. რომელიც უძველესი ქაოსის მსგავსად (მისგან, როგორც მითი გვახსენებს. მთელი სამყარო იშვა) ელის სიყვარულსა და მტრობას. რათა განაცალკევოს განსხვავებული და შედარებით ერთნაირი. მაგრამ განა არ შეიძლება ვიპოვოთ გზის გამკვლევი ძაფი, რომელსაც შეეძლება გაგვიყვანოს ან ამოუცნობი არეულობიდან. გვანახოს გასავალი ამ ლაბირინთიდან. ხომ უნდა ჰქონდეს რაღაც ახსნა თანამედროვე პოეზიის უცნაურ თავისებურებებს... იქნებ, მისი ადრეული ისტორიის სულიდანაა შესაძლებელი გავარკვიოთ აზრი მისი ამჟამინდელი სწრაფვისა, მიმართულებისა მისი განვითარებისა და მიზანი მისი მომავლისა... ამ თავსატეხი პარობლემის წინაშე იდგა მსოფლიო რომანტიზმის ერთი უპირველესი მესაძრკველი და სულისჩამდგმელი და ეს იმ განსაცვივრებელ დროს. როდესაც გერმანულმა პოეზიამ თითქმის დიდების მწვერვალებზე მიაღწია. საწუხარი აქ უფრო სხვა რამ იყო... ამ შემთხვევაში იგი მკვეთრად განსაზღვრული ეროვნული სულისკვეთების რღვევისა და ბულოვნურად შექმნილი კულტურის უპერსპექტივო შედეგებიდან ეძებდა გამოსავალს. წარსულის გამოსვლილებს" გაყნობიერებული წვდომა გადაჩენის ერთ-ერთ შესაძლო საფუძვლადაა მასში გააზრებული.

ერკული მსქელობა ეპოქის სულისკვეთისა და ეროვნული მსოფლმხედველობის სწრაფად განსხვავებულ საზროვნო სიტუაციებზე უბრალოდ ერთი რამითაა სანიშნო. ეგრძოდ. ამ ერთი შეხედვით თითქმის მაღალფარდვან რიტორიკულ მედიაციცებში ეროვნული ხასიათით აღბეჭდილი პოეზიის ისეთი ღრმა სიუყარული გამოსკვივის, რომელიც არარაობად მიიჩნევის მისი უკველგვარი სხვა ნიშნებით გამობრწყინების შესაძლებლობებს...

უკველა დროისათვის რა საერთო უყოფილა სიმშინილი, რომელსაც ალბათ მაინც ეროვნული ფესვების ნოსტალგია ჰქვია...

მურმან ლუბანიძის პოეტური სამყაროს ში. ნაგანი აზრაც და განსაუთრებით მისა პატრიოტული სულისკვეთების შეუფერადებელი გამოხატვის სურვილიც. სამშობლოს უკეთეს დღეთა ნოსტალგია. გადამღვი და მკობხველის გულს ღრმად დაქედული... სხვა უყოფილზე დამაშურალი სულის ცოცხალი მოკონცებით დამწუყრვალება და სხვა არაფერია...

„ახე ბევრია პოეზია, და მაინც არაფერია იხე იშვიათი, როგორც პოეტური ქმნილება აქედან სიმრავლე პოეტური მონახაზებისა, შტუდიებისა, ფრაგმენტებისა, ტენდენციებისა, წანგრევებისა და მასალებისა“ (ფ. შიდეგელი):

დღეს (ისევე როგორც იქ, ოდესღაც) არაა ქართული მკობხველი განებოერებული მაღალ პოეზიასთან შეხედობის ბედნიერებით... ამიტომაცაა აუცილებელი იმ იშვიათ ერთეულთა ჩვენული სულის ბერვა, რომელნიც საყუთარო შექმნადილების მიუხედავად, ეროვნული პოეზიის ცოცხალი გულისფეთქვის რწმენას ამკვიდრებენ ჩვენს სულში.

„ჯაყოს ხიზნები“: რომანი და სკექტაკლი

მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიურმა თეატრმა მნიშვნელოვან მხატვრულ ამოცანას გაართვა თავი. მხედველობაში გვაქვს თანამედროვე ქართული მწერლობის ელასიკური ნაწარმოების მიხედვით წყაბისშივის „ჯაყოს ხიზნების“ ინსცენირება, არცთუ ისე ხშირი, ალბათ, შემთხვევა, როდესაც ინსცენირებისადმი მეტ-ნაკლებად სექტატურად განწყობილი მკითხველი (მით უფრო, თუ ის სექტატლობით ლიტერატორია) სექტატლის ნახვის შემდეგ ერთგვარად განაზღვრულ აქტით უბრუნდებოდა მხატვრულ ნაწარმოებს და ამ დროს რომანისა და სექტატლის ღრმად გაახრებელი თანხედრობის სიხარულს განიცდიდა. ეს წერილიც მარჯანიშვილეთა სექტატულით შთაგონებული ფიქრია „ჯაყოს ხიზნებზე“ და მკითხველ საზღვარი თეატრალური წარმოდგენით მონიჭებულ გრძნობისა...

ჩვენი საუბრის 20-იან წლებში შექმნილი მ. ჯაყანიშვილის რომანი „ჯაყოს ხიზნები“ რთული და მრავალმანიანი ნაწარმოებია. ამ რომანის სირთულეს, უპირველეს ყოვლისა, მის „გროტესკულ-ალეგორიულ“ (აქაც ბაქრაძე) ხასიათი ქმნის, რომლის ეგზეგეზიკული-სატრაგიკული-აბოზობრივი სიბრტყეზე გადატანა მოსაძვეს ხელზე.

რომანის პირველი შემფასებლების კომენტარებიც, რომლებიც თავიანთი ხასიათით ზედლაშვილის სახლი გამართულ ცხოვრულ-ლიტერატურულ გასამართლებებს უფრო წაგავდა, მეტ-ნაკლებად ამ მიზეზით იყო გაპრობებულნი. მრავალთაგან იმთავითვე გამოიჩინა იქაც გამართული, რომელმაც „ჯაყოს ხიზნების“ გამოქვეყნებისთანავე, 1924 წელს, დახვებდა სინტეზის რეცენზია სათაურით „ჯაყოს ხიზნები“ და „ჩვენი ცხოვრება“, რომელშიც სხედისათვის ზედმეტად მაკედნებელი „მხატვრული სამოსის“ მიღმა მწერლის მოკლავტობრივი პოზიციის დანახვა შეძლო:

„...ჯაყოს ხიზნები“ თავისი შინაარსით თვალსაჩინო ლიტერატურული მოვლენაა. მის, ჯაყანიშვილი არის ანატომი, რომელიც ჰყვეთავს ქართულ ერის სხედს, რადგანაც ეს სხედელი განვითარების დღილიშია; ადამაშვილი მტკიცედ, სასტყად, ვაბედულად და შეუბრალდებლად სტრის და ალ- ამ სხედს ყოველგვან, რაც იმის განვითარებას ხელს უშლის, წინ ელობება...“ (ტერნი „ახალ გზა“, 1924 წ.).

„ჯაყოს ხიზნებში“ წარმოჩენილი სიყვითისა და ბოროტების ერთერთობის არის დანახვას პრინციპული მნიშვნელობა აქვს. ეს ცნებები რომანში რთულ-სტრაგიკული-პოლიტიკური მოვლენათა ზემოქმედების შედეგად საგრძობლად ტრანსფორმირებულია. აბოლუტურად უბრტყელია ამ სიყვეთ (თეიმურაზ ხევისთაი), რომელიც თავისი უსუსურობის გამო ბოროტების ზღვიარზე დგას, ხოლო სიყვეთევე აღმოკენებული ბოროტება (ჯაყოს ჯიყამილი), თავის შობელს საგანგაზოდ დამსგავსებელი, შენიღბული და მკედუებელი (იხ. „მთებმარტბელი, ანუ ტრაგიკული ათვი-უფლება“, 1980 წ. „მნათობი“ № 4).

თეიმურაზ ხევისთაის მხატვრულ სახეში ჩადებულ იმპოლიკას მ. ჯაყანიშვილმა თავისი დროის ერთ-ერთი უმტკივნეულესი პოობტმა დაუკავშირა. ეს იყო ქართული ინტელიგენციის ერთი ნაწილის რევილუციისთან, რევილუციურად ვარდაქნილ ახალ დროებასთან დამოკედებულების საკითხი. ოციანი წლებს სოციალურ-პოლიტიკური და ლიტერატურული ცხოვრების კარნახით ამ დამოკედებულების რაციონალურ ვადამუეუტას ქართული მწერლობისათვის სასიკიცლო მნიშვნელობა ქმინდა. რადგან ძლიერად უნდა შეეგრძნო მწერალს თავისი მოვალეობა საყვეთარ ხალხს წინაშე, რომ „ათი წლის ნაშენები და ნაყოფილარა“ ერთბაშად გაერთვია, გემინდელი რეალობა „ბუნდოვან ღინდების მარადიულ დევნილ“ მოვინთა, ხოლო წარსული

საზოგადოებრივი ცხოვრების დამამწველებლად მწველ ვაზთი, კოტლი კოპჩერატი, ძალმოკიდული ელტურელი საზოგადოება, სახალხო სახლი, უფსო კერები და თასი ფოთბოლო ჩხარკველიაობა, ფესფესი, ჩეოტელი, ლაყბობა და ენის მოსახეზი ამბავი ელიაბინა და როგორც ლიტერულ-დასასრული უკვე ლივე ამის, მოკეა ის მწარე დიალოგი, რომელიც იქნებ ნახუცარსა და ყავო უკამვილის უცნაურ დახლოდას, თეიმურაზ ზევსთავს, შორის იმართება: „რას ჩხარკველიაობდით დროს, თეიმურაზ! რას მოითხოვდით რას ეძებდით და რას მოელოდით? — არ, ამ დღეს მ... მოელოდი, არ, ამ დღეს ეკვებდი“.

ნაგვიანვე გამოფხზრების შხამი, თეიმურაზ ზევსთავის არსების განუთავყელი ხაზილი, მ. ჯავახიშვილის მწერლური ნიჭის წყალობით იმ სულსმემკრელ ტრავილდას ქვეული, რომელიც „ყავოს ხიზნებს“ მხატვრულ მხარითესა და სიამებრეს ანიჭებს. შემთხვევით არ არის ის დეტქტი, რომ ამ რომანის ავტორს თითქმის იმავე ხასიათის მრალდებები მოუხსენია (განსაკუთრებით სავეედრობდებენ მას თეიმურაზისადმი უღმობელ დამოკიდებულებას ქართული ემიგრანტები), რაც თავის დროზე ღია შეკვიპიძეს „სულიადამიანის“ შექმნისათვის, ქრის სხეულის „ანატომიური“ განკეთა, ამავე სხეულის სიქანსლისათვის — არ, მრავალათვის დღემდე განსაქიებელი შემოქმედებით პრინციპი, რომელშიც მ. ჯავახიშვილი ჩვენს საუენის მშეთთავარ ოქულეული საზოგადოებრივი ცხოვრების უღრესად სერიოზულ შეფასებამდე მიიყვანა. „...ათი ანალიზი ზვენი ინტელაგენციის ერთი ხაზლის სულიერი ვადამყოფობისა ქარ ათვის მოუცილი ჩვენს სიტყვაებმულ მწერლობაში... — მწერდა „მავე მწერლობი ივ. გომართელი. — „ყავოს ხიზნები“ არის სატირა ზვენი თავდობნაურული ინტელაგენციისა, სატირა უღმობელი, სასტილი და დედუნდობელი“. სატირა და ამასთან ერთად, ტრაგედია საუეთარი ხალხისათვის გამოუსადეგარი ფუქს ცოდნისა, განათლად მიგდებელი იფელბისა...“

ინათვის, ესითვისაც, მ. ჯავახიშვილის „გმობთა რთული და მშეთთავარ საშუარო“ მართოდენ „ერთიუოთისწინაღმდეგო ადამიანთი ბუნება-ხასიათთა გამოკლეუვა“. ხილო თეიმურაზ ზევსთავი „გზაჯარედინზე“, „არა ზეანის“ წინაშე მღგარი უნებესყოფი კაცი რომელსაც არ ზელუწიებმა ახალ ადამიანად გარდაქმნა (ე. ვალუტოვა „რომანის სენურ-სიციცხლუ“ ეფრა. „საბჭოთა ზელოვებმა“ 1984 წ. № 6), ერთი გარემოება გასათვალისწინებელი: ოკიანი წლების ქართულ პროზაში მ. ჯავახიშვილმა („ყავოს ხიზნების“ გარდა, „გვირ შედური“, „ქვერდი“, „ზეთის ამბავი“) ე. გამსაბურდისათვის, ლ. ქიპაქლიან, ხ. ლორთქიფანიძესთან, დ. შევრელიასთან ერთად,

„დგვადირების გზაზე მღგარი...“ ოდღღური არისტოკრატის...“
 „...ლთა ანუ ე. წ. ნაყავითა სა-ნეტურესო მხატვრული სახეები მოგვეს მართოდენ აქ ჩამოთვლილი მწერალთა მადან-ნიკურება როდერ განაპრობებდა გმირების მხატვრულ დამკვირებლობას. მიზეზი „რედენგოტს-სმოყ-ნეგლან სელის ხალთამდე“ (მ. ჯავახიშვილი) გაქიძული გზის, ნაყავითა ამ ქვარცმისა და გოლგოთის, მათ-ცხოვრებისა და განსაყეთობაში ე, წარსულის საფუძელთან კოდნა იყო. სწორედ ამგვარმა ცოდნამ მოტანა ზვენი მწერლობაში ეპეუსი თვალწინ ტრავილულ ნიღბებად მოარული ადამიანების ახალი სახელი — ნაყავირი. (ტერმინი „ნაყავირი“, როგორც ცნობილია, მიხ. ჯავახიშვილმა დაამკვიდრა). ამ ტერმინის მტერი სიქანსისათვის იმთავითვე უფა იქიქას, რომ ოკიანი წლებსავე ლიტერატურულ კრიტიკაში ნაყავარი ერთხანს XIX საუკუნის რუსულ მწერლობაში მიღებულ „ზედმეტ ადამიანებს“ («Лишние люди») ცნებასთან იქნა გაიკვეთული. ფერა მტერი, თეიმურაზ ზევსთავი ტურბატუვის რუდინის ორეულად გამოცხადდა (იხ. კართავა). და ეს მაშინ, როდესაც, ამ ორი საკმაოდ განსხვავებული ლიტერატურული ტერმინის შვავისებულ საფუძველი აბსოლუტურად ზედპირული: რუსულ ლიტერატურაში წარმოჩენილი „ზედმეტ ადამიანებს“ მოქმედების ფორი ერთი კონკრეტული საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმალია. ეს პირველ რიგში, გარდა ამისა, ჩაკის, პეზორინსა და ოდღანს, ამ მტრ-ბაყლებად განათლებულ და პროკრუსულად მოაზროვნე ადამიანებს, „ზედმეტ ადამიანებად“ მათი პიროვნული თვისებების გამორჩეულობა აქით, ჩაკი და ოდღანი „ზედმეტად“ განათლებულნი არიან, პეზორინი — „ზედმეტად“ შინაგან, სულიერ საშუაოს მიუერთებელი, შეიძლება ეგოისტურიც. საბოლოო ქაშირ კი ისინი თლისტერული საზოგადოების ოპორციაში მღგარი ინდივიდები არიან. მაშინ, როდესაც, მოგვიანებით ქართული მწერლობის სინამდვილეში ასახული ნაყავარები, რომლებიც გორკველი გაგებით ზედმეტ ადამიანებურ არიან, ორი ფორმაციის შექაბების ფორმე მოქმედებენ. სწორედ საზოგადოებრივ ფორმა, ციოთა შევლა და ამის გამო ახალ ცხოვრებასთან შეუფუძვლობა მათი ტრავიზმის მიზეზი და რადგანაც ნამდვილ ტრავიზმთან გვიანეს ქვე, ახალ ადამიანად გარდაქმნის შესაძლებლობაც გამოჩინებულა. „ყავოს ხიზნების“ დაციკრებულ მეთხვეუს ოციოდე ფერცლის შემდეგ უკვე მტერი არ ეპარება თეიმურაზის უოველი ახალი გაბრძოლების მოჩვენებითობისა და ამოებამში. მარგოს შეითხებავ: „ღარ მესმის, რომელთა ჩემი ქმარი, ეხილავი ბედი თუ ხილული თეიმურაზ ზევსთავი“, თეიმურაზი ძალზედ ნიშანდობლივ პასუხს იძლევა:

...მახვილო სიტყვა სთქვი, ჩემო მარგო, მაგრამ ისიც მართალია, რომ ჩვენს დროში უფრო ბედია ჩვენი პატრონი, ვიდრე ჩვენ თვითონ... მარკანიშვილელთა თეატრის სპექტაკლში (რომელზედაც ჩვენ ქვემოთ ვეგონება საუბარია) სწორედ თეიმურაზ ბევისთავის „ფენიქსისებური განახლების“ შექმნელბობა აღოგავრთობაა ხაზგასმული. პირველი სცენიდანვე თეიმურაზი უკვე ნაკაყარია, ე. ი. სწორედ ისაა, ვისზედაც თვითონ მიგვიანიშნებს განწირული ხმით: „მე არც საწყალი ვარ და არც უბედური, მე სწეული ვარ...“ (სპექტაკლში ამ რეპლიკას — „სწეული ვარ, ვიყავი...“ თეიმურაზის სულიერი „დასაფლავების“ სცენა მოსდევს) უფოოდ ანგარიშგასაწევია ის ფაქტიც, რომ „ჯაყოს ხიზნების“ რუსულად თარგმნისის მ. ჯავახიშვილმა რომანს „*Однажды*“ ე. ი. ზავი უწოდა, რითაც უშეცდომოდ მიაჩინა ისტორიულ მოვლენათა ზავის ქვეშ მკაცრილ, ფაქტურად დაღუპულ ადამიანებზე.

მ. ჯავახიშვილისათვის, თეიმურაზ ბევისთავი რომ ღრმად გააზრებული და XIX-XX საუკუნეთა მიჯნაზე ქართული საზოგადოებრივი აზრის ისტორიით ნაჯარსხვევი პერსონაჟია, ამას მოწმობს ის მინაწერიც, რომელიც ქვეთვან ჯავახიშვილის ვადმოცემით, გაუკეთებია შეწარის 1925 წელს „ჯაყოს ხიზნების“ საქარო განხილვისათვის მომზადებულ თეზისებზე: ილის მიერ „ოთარაანთ ქვრივით“ დაწყებული საქმე გაქასრულებო. თეიმურაზის მხატვრული სახე-სამბოლო, მართლაც, არჩილთ დაწყებული თემის გაგრძელებაა, უკეთ ამ თემის ამოწურვაა. მსგავსებაზე ბევრად უფრო ზელშესახებია ის თვისებები, რომლებითაც ასე განსხვავდებიან ერთმანეთისაგან არჩილი და თეიმურაზი, მაგრამ უშთავრესი განსხვავება მათ შორის საქუთარი ხალხის ერთენლი ენერგიისადმი რწმენასა (არჩილი) და ამ რწმენის უქონლობაში (თეიმურაზი) ძვეს. აქი ილიამაც ხნის იმედად ისლა დაეტოვა არჩილა და ეკოს, რომ მით უნდა ეცნოთ ითარაანთ ქვრივებისა და მათი ღირსეული შეილების ძალა. თეიმურაზ ბევისთავს რწმენის ეს დედაბობი გამოცლილი აქვს, ამიტომაც, ენგრევა თავზე იმერის ჭერა, ამიტომაც ხელიდან ეცლება ყველაფერი და ახალი ცხოვრების მიერ გარყულ ნაკაყარად იქცევა.

მედროვეობის პრობლემა, რომანის, შეიძლება ითქვას, ის შეიძლება ძირითადი თემაა, რომელიც მ. ჯავახიშვილმა ბოროტების სიმბოლური განსხვავების — ჯაყო ჭიკაშვილის მხატვრულ სახეს დაუკავშირა. ესეც ოციახი წლებს ყოველდღიურ ცხოვრებაში რეველუციური გარდაქმნების შედეგად წამოჭრილი საკითხი იყო, რომელიც არანაკლები სიმწვალით დაისვა მაშინდელ ქართულ პროზაში. მ. ჯავახიშვილისათვის მედროვეობის, როგორც მე-

ტად საშოში მოვლენის, არსის ძიება ჯაყოს ვაშვილით არ დამთავრებულა ადამიანთა ერთი ნაწილის ამ ყოვლისწამილწივი შინაგანი ვანწყობის, გარესამყაროსთან მხოლოდდაშოლოდ უტრლიტარული დამოკიდებულების კანონზომიერებათა მიკვლევის სურვილმა, ერთი კონკრეტული ერთგვრელი ხასიათის შიგაით-ზე, შწირალი კვატი კვაპანტირამდე შიყვანა. ხოლო 1928 წელს, აღმანახ „არდიფონში“ გამოქვეყნებულმა მოთხრობამ „დამპატივე“, ერთგვარად დაასრულა ეს ძიება და მედროვის ზესტად მიგნებული სიღრეტი ახალი ეუხითი გაანათა. ჯაყოს, კვაპისა და ოქროპირადამპატივეს, მიუხედავად მათ შორის არსებულ საგრძნობი განსხვავებისა, ერთი უშთავრესი თვისება აერთიანებდა: სულიერი სიღატაკე, რომელზედაც დაფუძნებულია მათი არცათე ისე ამაღლებული მიზნებისაქენ ყოველგვარი საშუალებებით (ძალმომარებით, ფარისევლობით, უტრფრობით და ა. შ.) სწრაფვის უნარი.

„ჯაყოს ხიზნების“ პირველსავე სტრიქონებს აღვება, თეიმურაზის პაისიული ხანწლი და მწვენებელი ნახიზნარისა და ნამოურავლის, ჯაყო ჭიკაშვილის, ევება ტანის ჩრდილ. გარეგნობის გროტესკული, მსუყე ფერებით ხატვა და ნაქურდალი (უკეთ რომ ვთქვათ, წინანგევი) ხანწლის აქენტირება მითხველისათვის მწელ ძალის იმოავითვე ადვილად საცნობს ხდის. ჯაყო თემცა ეშმაკია (მისი ეშმაკობა უინტელექტო კაცის კუთა), მაგრამ არა იმედნად გაწაფული, რომ ამ არეულ დროს თავისი ნამდვილი ბუნება ბოლომდე შეიღობოს: „ფეხებზე ჭილია ჯაყოს უველანი რაც გინდა ის იტყოდე, შენ ჯაყოს ნათლია კნიაზ ხარ, მარგო ნათლია კნენა ხარ. დანარჩენ ჯაყოსა ფეხებზე ჭილია! არავისაც არ გვიმინია ჯაყოსა, მაშ. მაშა! მიზნის მიღწევის შისეული ხერხები, როგორც აღენწნეთ, ტლახქია და უტრფარი. ამშია სწორედ ჯაყომის ავი ძალა. (სხვა საკითხია, თუ როგორ სახეცვლელბა ვანცდის ეს ძალა რეველუციის საბოლოო გამარჯვებამდე და გამარჯვების შემდეგ). რომანში ჯაყოს ხასიათის ამგვარად მოწოდება ჯავახიშვილისეული ბოროტების მხატვრულად გაგრების ის მეთოდია, რომელიც თავის დროზე „აკიკია-ადამიანის?!“ ავტრობა გამოიყენა და ძველი ქართული ანდაზით გააშყარა: „მოყვარეს პირში უძახე, მტერს პირს უყანათ“. ყოველივე ამის გამო კი ჯაყოს სცენურ სახის „დსკიპოლოგორად გართულება“ — გათანადრობულება (რაც ასე მოსწონს სპექტაკლის ერთ-ერთ რეკენზენტს) ავტორის მიერ მოცემულ, თეიმურაზის, მარგოსა და ჯაყოს შორის არსებულ ძალთა თანაფარდობას შოლოდ არღვეს და თითქმის ათაფრის მატებს რომანსა და სპექტაკლში გატარებულ ძირითად ხაზს.

ინსუენ რება, რომელ-ც განზორციელდა მარქანიშვილის სახელობის თეატრის სცენაზე რეჟისორ თემურ ჩხეიძის ხელმძღვანელობით, მისაღება. იმათთვის, ვისთვისაც ახლომდელია მ. ჯავახიშვილის შემოქმედება (მით უფრო რომ ეს ინსუენირება სატელევიზიო სპექტაკლის შემდეგ უდავოდ წინ გადადგმული ნაბიჯია). თუ ვინელი კლასიკური ნაწარმების ხელსაღ წყაითებით გამოწვეული მაყურებლის სიბარული ამ დროს ბუნებრივია და გასაგებია. მაგრამ მთავარი მანც თეატრალური ბედლოვნების ის დღესასწაულია, რომელიც ამჟერად არა ფარულ-ბუნდონადური, არამედ გამოხმა-ბუნდობილია საშუალებებით ბერად უფრო სა-და, დღი განზოგადების ძალის მქონე ცხოვრებისეული დრამითაა პოწეული და თეატრში მოსულ მაყურებელს აფიქრებს...

სპექტაკლის ავტორები, ცხადია, ურთულესი ამოცანის წინაშე იდგნენ. მათ სცენაზე გადმოიტანეს ჯავახიშვილის რომანის როგორც ღრმად დისკოლოგიური, ისე ალგორითული პლანიც და ამ ერთადერთი სწორი გზით შეძლეს სპექტაკლში ავტორისეული სულის ჩადება. საკმაოდ სქელტანიანი ნაწარმოებთანაც სცენური მეტაფორებისათვის (ინსუენირების ავტორები — თ. გოდერძიშვილი და თ. ჩხეიძე) შერჩეულ იქნა სწორედ ის ტექსტი, რომელმაც განსაკუთრებით გამოკვეთა თეატრის დღეიანდელ პოზიციებიდან რომანში წამოტრლი პრაბლემების ხედვისა და განსჯის უნა-რა.

თემურ ჩხეიძის სპექტაკლი ბორტების მხლებანზეა აგებული. ამორტმაც ზადგმს იგი მაყურებელში „კეთარისის“ შვენიერი განც-დას. თეიმურაზისა და მარგოს ჩაელთი „მე-დნიერების“ რეტროსპექტივის ფონად აღუ-ბუნდ გამკერავალე მულოდას (კომპოზიტორი გ. სიხარულიძე) სპექტაკლის პირველ ჰექ-მედებში აშარად ახშობს ბორკიტების აღზრ-ვების სიმბოლო — საცეკვაო მუსიკა. მაგრამ, ცხადია, არა ბოლომდე, ეს გაუმართლებლაც იქნებოდა სპექტაკლის მთლიანი არქიტექტო-ნიკისა და თვით მ. ჯავახიშვილის „ბედი-მდე-ვარის“ თეორიის მიხედვით.

სცენაზეა ფრესკებამორტეცილი ეელსიის გამოზარტული კედელი (მხატვარი გ. შესხიშვი-ლი) რომელიც ჭველ რწმენისა და ახალი დროის წინაშე ერთგვარი გაურკვევლობით წა-მსდვარი ჭვეყნის სიმბოლო უტრია, ელდრ ნაშინდარის სალოცველო (თუმცა ამ კონკ-რეტული გააზრებთაც წარმოკიდებება იგი ჭყოსა და მარგოს წერისწერის დროს). აქ გა-თამაშდება მოვლენები დროით დიდდამსმული, და პატრში გამოკიდებულვით ცელებადი — ასეთია ორი სცენური მეტაფორის — გელსიის კედელზე ჩამოკიდებული საათისა და იქ-ვე, სცენის სიღრმეში მდებარე საქანელის ახ-რობოთიე დატვირთვა. ამას ემატება სპექტაკ-

ლის ყველა მონაწილის სამოსის (განსაკუთრე-ბით კი მათი ქუდების) ხშირი მოწყვეტონბა, რაც კიდევ უფრო საცნაურს ხდის რეჟისო-რული მოვლენათა „ბუღალს“...

სცენაზე არსებობას საავტობრო ტექსტით იწყებენ თეიმურაზ ბევისთავი (ნ. მგალობლა-შვილი), ივანე ნახტყარი (დ. დვალისვილი) ნი-ნია — (თ. კილამე), მოგვიანებით მარგო (ნ. ჩიქვინიძე), რითაც შელანდება ერთბელ ამორჩეული ინსუენირების ხერხისადმი რეჟი-სორის თავისებური ერთგულება. ინფორმაცია, რომელსაც ამ დროს მაყურებელი გმირთა წარსული ცხოვრების შესახებ ღებულობს, ახ-დენს კიდევ მისი ყურადღების კონცენტრა-რებას მოვლენათა შემდგომ მსვლელობაზე. კვანძის გახსნამდე (ურბის სცენამდე) დარჩე-ნილი დროის მცირე მონაგებთში თეიმურაზსა და მარგოს შეუძლიათ გაითამაშონ თავიანთი „დანგრეული ბელით“ (ნ. ლორთქიფანიძე) შე-ტენილი „შხამიანი ლიმილი“, „ნერვიული კის-კისი“, „პოლიტკური გაზაფხულით გატაცე-ბა“, „ზანზიბარი“, „ინგლისის ახალი არჩევნე-ბა“ (მ. ჯავახიშვილი). მოკლედ ყველაფერი ის, რამაც ჭყოს ცეკვაშვილის ბუნლი სულის შემარჩუნებელი ზეიმი გამოიწვია. საერთოდ, სპექტაკლში თეიმურაზისა და მარგოს ურთი-ერთობა ასეა აგებული, როგორც ამას რომა-ნის იდეა მოითხოვდა. სცენურმა პლასტიკე-რობამ (ქორეოგრაფი ი. ზარეკი) მთლიანად იტვირთა (და შეძლო კიდევაც) ეჩვენებინა ამ ორ თვლსად ახლომელ ადამიანს, უფრო სწო-რად, კი ერთის მხრე სულს (თეიმურაზი) და მეორეს მხრე სხეულს (მარგო) შორის გაჩე-ნილი ნაზალის სიღრმე, თავისსავე საგვარე-ული მამულში ჭყოს შეზიზნული თეიმურაზი და ივანე ნახტყარი, ცხარე კამათი გათელ-ნი, თითქმის მარგოს სახის წინ იქნევენ ხე-ლებს. ამ საბჭუე კი, — გათელილი და-დამკო-რებტლი მარგარტა ბევისთავის სახეზე, — თითქმის ერთანად გაცოცხლებულან და ხი-რკი შეუსხამთ თეიმურაზის მერ აღდრ ჩადე-ნილ შეცდომებს, მის ჭინაჟამ მოლუაწობას, ეროვნული საქმისადმი თავდაუდებლობას, ბო-როტებისთან დანაშაულებრივ შემარგებლო-ბას... თეიმურაზი თუმცა ისევ ისე განარტობს კამათს, მაგრამ აქვს. მაყურებლის თვალწინ, ჭყოს ევლურ მანგზე აცეკვებული მარგოს „თავდავიწყება“, ცხადოფს მის საბოლოო მარტს.

გელსიის კედელში დატანებული კარის პრილაში სპექტაკლის მსვლელობის დროს ხე-თი ფიგურა გამოჩნდება: ჭერ კიდევ „სმოკინ-განი“ თეიმურაზ ბევისთავი, ჭყოს გამარტვე-ბის შეჩიხიანი მაცნე (ზ. სტურუა) ჭყოს მესამე ცოლი ნინა (მ. ტატიშვილი), ორეული (ჭ. მონიაე) და უკვე ინგლისურ მარაში გა-მოწყობილი, „ნაშინდარში ერთგული ძაღლი-ვით მომრუნებულა“ თეიმურაზ ბევისთავი.

გარდა იმისა, რომ ეს ფიგურები სპექტაკლის გარკვეულ ქვეთავებად აღიქმება. მათი „ქა-
 ყოს ხიზნებზე“ — რომანზე რეჟისორის მიერ
 დასმული სცენური მახვილი ჩანს. ესაა უმთავ-
 რესად ფიქრი გმირთა ამ ზეწობრივ ნორმებ-
 ზე, რომელთა დარღვევა (ნებისთინ თუ უხებ-
 ლივით) ბიროტების ურცხვ აღზევებასა და მას-
 თან ქედღელში დამარცხებულების სტაფორსა
 და ფიზიკურ კანადგურებას იწვევს. სპექტაკ-
 ლის ავტორები ვითავაზობენ რომანისა და
 სპექტაკლის შთავარი გმირს, თეიმურაზ ზე-
 ვისთავის ორ სიღრმეს. ანუ ვხვას, როგორც
 ზემოთ აღვნიშნეთ. „რედინგატსმოცინგიდან
 სემის ხალათამდე“! ამ გზის სიმძიმე ცოდვად
 მხოლოდ თეიმურაზის სუსტ მხრებს არ აწევსა
 ბრალი ედგება მის წარმოშობა საზოგადოებას.
 კლასს, რომელსაც ის ეკუთვნის და რომელმაც
 „კუტ პურობას“ თავი ვეღარ დააღწია, „ჩატე-
 ხილი ზადის“ გამოთვლება ვერ შეძლო. თე-
 იმურაზზე „ამ დღეა სისხლიდან მოდის“. ამი-
 ტომ სცილდება მისი ტრაგედია პირთვეულის
 საზღვრებს, ასეთად განასახიერებს მას მსახი-
 რები ნ. მგალობლიშვილი.

წამინდარში ჩამოსვლისას (სადაც წამინდარ-
 რელი გლეხები ეკლესიის ზარების რეკის
 ფონზე თავიანთ ნაბატონარს ისე ზედმიწე-
 რომ ეს შეხვედრა საშლოლოკო ეტერმონი-
 აღს უფრო სვეს) იგივე ქარის ტრალში ჩა-
 დგება ჩამოკოტეილი სოფლის დედასაც, ქა-
 ყოს მესამე ცოლი — ნინა, რომელიც ქაყოს
 ხიზინა, განსაუთრებით კი, მარგოს თავზე
 ჩამოწილილი უხედურების ნაწიწებელია. თე-
 იმურაზი ეილდებელია დაინაშის პირახვეულის
 (ე. ი. უფლებაყრილი) ქალის ზეღუბის მოძ-
 რაობაში გაფრთხილებას, რადაცის მიწინაწე-
 ბის სტრავილი. რაშეთ ზეალ დეაქერებელ
 რეალობად გაეხადდება — მარგარია ხეის-
 თავი იმევე ტანსაცმელში, ისევე პირახვეული.
 ზურგზე ტომარაყიდებელი, ყვედრებით სავ-
 სე დემილით ჩაივლის, მაგრამ თეიმურაზი
 ისევე სადებარშია ვართული და წინას ვერც ამ-
 ჩნეს...

ივანე ნახუცრის ერთგვარ „ქამელეონიზმთა-
 ნა“ დაპირისპირებულ თეიმურაზის ორგუ-
 ლი, რომელიც სპექტაკლში ამ თვალსაზრისით
 განგება გამოკეთილი. ორეული „აგრესიუ-
 ლი“ არაა, მომთხივენი და სამართლიანი. ეს
 ფაქტურად თეიმურაზის ღირსების ხმაა, რო-
 მელიც (მიუხედავად იმისა, დაკარგული აქვს
 თუ არა მას ეს ღირსება), ატეილებლად უხდი
 იმყოფეს სპექტაკლში. ქაყოს მოსაყვადე თე-
 10. „წამინაი“ № 2.

იმურაზის შევდილიანების დროს, *ქარის ტრალში*
 ში მღვარი ზელამართელი ორენილი *თეიმურაზი*
 უცხვ წარმოაჩენს ივანე ნახუცრის შეზირგებ-
 ლობის მოჩვენებით ხასიათს; „მოქალა, მო-
 კალი! ეს კაცი კი არა მხეცია, მხეცია“ ამ ება-
 ზოდში ივანე დროებელთ გაღვირებული ღირ-
 სების აქტურთ თანამოზიარე ზედბა.

ივანე ნახუცარი რომანშიც ბოლომდე გაუბ-
 სნელი პერსონაჲია. პირველ რიგში, ის ყურა-
 დღებმს იპყრობს, როგორც თეიმურაზის თა-
 ნამოსაბრე. ინტონაცია, რომლითაც „ახალი
 დროებისათვის აღლოს აზღუბა“ ეს კაცი „ქველ
 მოედრეკელ თეიმურაზს“ ესაბრება, ხშირად
 გაორებულა. თემცა მის მიერ დასმულ კითხ-
 ვებში აშკარად იგრძნობა თეიმურაზის ბარო-
 ენების შეფასების ავტორისებელი პოზიცია.
 მარჯანიშვილელთა სპექტაკლში ივანე ნახუც-
 რის არაერთი რეპლიკა, გმირთა დიალოგებში
 მისუელი ჩაჩვიის ხერხებზე, სცენაზე მოძრაო-
 ბა (აქ განსაკუთრებით აღსანიშნავია ნახუცრის
 რეაქცია თეიმურაზის სიტყვებზე, ქართულად
 რად გაეზღიო...) და სულ უფრო და უფრო
 ხშირად ავტორისებელი ტექსტის მოშველიება,
 ამ გმირისათვის რომანში დაკისრებული მისიის
 გასცენიერების წარმატებული ცდაა. ამიტომაც
 კამობით, რომ სწორედ იმევე ნახუცრის მიერ
 სპექტაკლის მეორე მოქმედებაში ნათქვამი სი-
 ტყეება: „მოქალა, მოქალა! ეს კაცი კი არა
 მხეცია, მხეცია“ — არის განაწენი, რომელ-
 საც სპექტაკლის ავტორები ქაყობისათვის სა-
 მართლიანად მიიზნევენ. აქ არსად იგრძნობა
 ის კომპრომისი, ქაყოს ბნელ სულში „შუქის
 ჩაზარების“ იმ ცდად რომ მიეჩინათ, რე-
 მელიც მცირე ხნით მაინც მას „წამინდარელ
 დონ ეთანად! და მით უფრო „სოყარულით
 მოუპირავ კაცად“ წარმოგადგენს (ე. გაღუ-
 სტოვა „რომანის სცენური სიღოცხლე“ თურ.
 „საბეოთა ზელოვნება“ 1984 წ. № 6). და თუ
 ეს თეისებები ქაყოს მაინც აღმოაჩნდა (რის
 წარმოჩენასაც დილობს მსახიობი გ. ჩეგუა-
 შვილი) ეს მხოლოდ და მხოლოდ იმას უნდა
 ნიშნავდეს, რომ ქაყობა, როგორც შედამ
 სკეთეს მოტმანებელი მოუღენა, ბეკრად უფ-
 რო მწელად საცნობი, ამსთაწეუ საშიშირე გა-
 მხდარა. და არამც და არამც იმას, რომ ამ
 მოუღენის არსში სკეთედ შემატდლა.

მიუხედავად იმისა, რომ ქაყო თავის ბენა-
 ვში სოფლის რეკლუტეირმა აქტივმა ჩააბ-
 რენა, იგი არ მომკედარა. ამით გამოწვეული
 სპექტაკლის ავტორების სიფრთხილე ქაყოსა-

დმი შეტრიგებლობაში ელინდება. და ეს განსაკუთრებით დეტალებში ჩანს. რომანის მიხედვით კოოპერატივისა და ეოლოტონ თეიზურაზის ვერის საქმეზე მორიგებული ივანე ნახტარი და ჯაფო ერთმანეთს ზედს ართმევენ. სპექტაკლში — ჯაფოს გამოწყვდილი ზელა მანერში რჩება. რომანში მადრაიდ, მაღალმხატვრული პროზისათვის ჩვეული დიდი შინაგანი რიტმით აღწერილია თეიზურაზის საკუთარი სახლიდან გაქცევა, ჯაფოს მიერ მისი კბეებზე დაჯორება და თეიზურაზის ლიბისისკენ გაქცევის ეპიზოდები. სცენაზე კი იგივე რიტმი და, რაც მთავარია, იგივე მხატვრულ-აზრობრივი დეტალები მიღწეულია გმირთა სხვაგვარი მოქმედებით — ჯაფო მთარახით უმსა-

ბინძლდება თავის „კნეინა მარგოსკი“ კლუბში ატს“. აქაც ჯაფოობის ნამდვიერი მიმდევრული.

სპექტაკლი „ჯაფოს ზიზნები“, როგორც აღვნიშნეთ, ბიროტების მხილებაზეა აგებული. მისი წარმატება მწერლისა და რეჟისორის შექმედებითი მრწამსის დამოუკიდებლად განპირობება. იმ მრწამსისა, რომელიც ურველგვარი ჭეშმარიტი ზელოვნების გამართლებაა, და რომლის ერთი მშვენიერი ფორმულირება ნ. გოგოლაშვილი მოგვცა: „დგება ისეთი დრო, როდესაც კაცობრიობის უნრადლების მიპყრობა მშვენიერებისკენ სხვა საშუალებით არ შეიძლება, თუ არ ჩაატელებ მას საკუთარი სისაძაგლის მიუღ სიღრმეში“.

შუპია აზრიღონიკა

ლექსიკონი თუ ლექსის კონა?

ეს კალამბური სიმარტვე-სამაზილის წიწნით არ შეგვარჩევია: იგი ამ შემოსტვევაში ზუსტად მიესადაგება განსახილველ საგანს — როგორც ფორმის, ისე შინაარსის თვალსაზრისით. ამა- ში მკითხველი კვებოთ დარწმუნდება, მანამდე კი საოქმელი მცირე შეხავლით უნდა დავიწყოთ.

ამ რამდენიმე წინს წინათ ქართველ მკითხველს იტყუა, რომ შეიქმნა კიდევ ერთი ლიტერატურული კრებული „პარალელი“, რომელშიც თავმოყრილია საქართველოს პოლიტიკური ინიტიუტი ინსტიტუტის სტუდენტებისა და თანაშრომლების ნაწარმოებები — ლექსები, მოთხრობები, წერილები, მოგონებები, თარგმანები... კრებულის სახელწოდება დავალებულია გალკტიონის ცნობილი ლექსის სათაურისაგან. სწორედ ამ ლექსით იხსნება სიზოლოურად ეს კრებულიც.

ლიტერატურული აღმანახებისა თუ კრებულების მნიშვნელობა და როლი ერთი სულიერია და ელტურული წინსვლის საქმეში საგანგებო დანახულების არ სჭირდება. ამიტომ, ბუნებრივია, „პარალელის“ გამოკვეყნების სიხარულს ავტორებთან და სატრეკციო კოლეგიათთან ერთად (და თანხარად) იზიარებენ ჩვენი მწერლებიც. რომელთა მისაღება-მიღოცვებაც აქვეა დაბეჭდილი, და, რა თქმა უნდა, მასობრივი მკითხველიც. ამიტომვე, ეჭვი არ არის, რომ ქართველი მწერლები და კრიტიკოსები (საერთოდ, კვალფიციური მკითხველი) სილოლად მილოცვებით არ შემოიფარგლებიან — სათანადოდ გამოუმზაურებიან ამ მნიშვნელოვან მოვლენას და, როგორც თვით ავტორებისათვის, ისე მთელი საზოგადოებრიობისათვის დირებულ, სასარგებლო სიტუაციას იტყვიან კრებულში მოთავსებულ ნაწარმოებთა ავტორებს.

ჩვენი უფრადდება მიიყრო ამ ხანათის გამოცემათის უჩვეულო რუბრიკამ — „ლე-

ქსიკოლოგია“, რომელიც შეიცავს ე. წ. „ქართული ომონიმების ლექსიკონს“. უჩვეულო, ვაშობოთ, რადგან, ანალოგიებს რომ მოვუხმოთ, ასეთ კრებულებსა თუ აღმანახებში მხგავსი მანალია, ჩვეულებრივ, არ იხებდება. მაგალითისათვის შეიძლება დავგვისახელებინა თუნდაც უნივერსიტეტის უკვე საქმოდ ასაკოვანი „პირველი სხივი“, რომლის მონაწილენი სტეციალობით ძირითადად ფილოლოგები არიან, და ასეთი თემატიკა მათ პრაფილის უფრო შეფერებოდა (მით უმეტეს, რომ მათი ხაყურსა, სადიპლომო თუ სადინერტიციო ნაშრომების ერთი ნაწილი სწორედ ამ თემაზე სტუდლებია).

მაგრამ საქმე შილოლ ტაქტის უპრეცედენტობაში რილია (თუმცა, შესაძლოა, „პარალელის“ ტრედაქცია სწორედ ამგვარ ორიგინალიბას ესწარფოდა): საქმე ებება იმ გაუგებრობათა სერიას, რომლებიც, — ფუფი თავაწინაობის გარეშე რომ ვთქვათ, — შეიძლება წარმოშვას (და ავი წარმოშვა კიდეც) არაკვლიფიციურობამ და მისგან გაზომდინარე დუდუტრობა-უპასუხისმგებლობამ. იქნებ მკაცრი სიტყვებია, მაგრამ ისინი კეთილშინსურნეობითა ნაკარნახები და მიზნად ისახავს, ახლად დარსებულ კრებულზე ზოგ საკითხში ამთავითვე დაწვლიოს ეახლი ილუზიებისაგან და აშით მის გაუმწახსებსასაც შეძლებისდაგვარად შეუწყოს ზელი.

დავიწყეთ თუნდაც რუბრიკის სახელწოდებით — „ლექსიკონი“. როგორც ცნობილია, ეს სიტუვა აღნიშნავს ენათმეცნიერების დარგს, რომელიც შეისწავლებს — თეორიულად — ენის ლექსიკას, ხოლო თვით ლექსიკონების შედგენას, პრაქტიკულ სალექსიკონო მუშაობას ლექსიკოგრაფია ეწოდება. აქედან გამომდინარე, რუბრიკის სახელწოდების მიხედვით მოსალოდნელი იყო თეორიული ხანისათის ნარკვევი (თუმცა თავისთავად

ამგვარი სტეციალური ნაშრომი არასტეციალის-
ტისაგან, ცხადია, მანც მოლოდენილი იყო.
ინამდვილეში კი თურამ თვით ლექსაკონ-
თან გვკონია საქმე. ამიტომ რუბრიკასაც შე-
სახამისად ლექსაკონგრაფია უნდა დარ-
ქმოდეს.

ახლა რაც შეეხება თვით ლექსიკონს. იგი,
როგორც აღინიშნა, „ქართული ომონიმების
ლექსიკონად“ იწოდება, რომლის შედგენა
უკისრია პოლიტიკური ინსტიტუტის თანა-
შრომელს ავთანდილ სიხარულიძეს, და რი-
შელოც აქ შემცირებული სახით (237 ერთეუ-
ლი) არის წარმოდგენილი, — როგორც წინა-
თხმეშია აღნიშნული, — „პაწეციკს სახით“.
„არამ ლექსიკონი ზომ შეცნირების სფეროა
და მის სიზუსტე შეეფერება. სიზუსტე კი მო-
თხოვს აღინიშნოს, რომ ლექსიკონის მოწოდ-
ების ამგვარი პრაქტიკა არაფრით არ არის
გამართლებული და იგი მხოლოდ შემდგენლი-
სა თუ რედაქციის გამოუყვლელობას უნდა მი-
წეროს ამ დარგში, თორემ თავისთავად ცხა-
დია. საქაწეციკოდ წარმოდგენილ მცირე ნაწილს
წედელო მასალისას სწორედ რომ „სალექსიკონო
მასალები“ უნდა დარქმეოდა და არა თვით
„ლექსიკონი“ (ვაჭურთნი გამოქვეყნებულ ფრა-
გმენტებს რომანებადან, პოეშეობადან და ა. შ.
ზომ აწერია ზოლმე „ნაწეციკი“?). ცხარფურ-
ცლიანი ლექსიკონი კი, ჭერ ერთი, არ არსე-
ბობს და, მეორედ, ლექსიკონები მხატვრულ
ფურცალებსა თუ კრებულებში, ჭეულებებში,
არ იხებდება. ამგვარ გამოცეშებში მხოლოდ
მასალებიდა თუ შეიძლება გამოქვეყნდეს (რე-
კომენდებული კი არ არის). მანასადამე, ეს
ფიხარება ნაშრომის სათაურშიც სათანადოდ
უნდა ასახულიყო.

ამასთან დაკავშირებით უადვილო არ იქნე-
ბოდა მცითხელისათვის მოგვეგონებინა, რომ
გამორჩეული ქართველი შეცნირების პრაფ. ილია
აბულაძის მიერ შედგენილ ფუნდამენტურ
„ძველი ქართული ენის ლექსიკონს“ სატიტურ-
ლო ფურცელზე ფრჩხილებში მიწერილი აქვს
შეკრძალებული სიტყვა „მასალები“, რაც იმა-
ზე მიანიშნებს, რომ ნაშრომი საბოლოოდ და-
მუშავებულად არ იყო მიჩნეული.

მცითხელს კარგად მოეხსენება, რომ სათა-
ურებისა და ლექსიკონის ფორმებმა მხოლოდ
ტექნიკური კუღღურის საკითხი არ არის (ანც
რომ იყოს, მით უფრო მოეხოვებოდა ტე-
ქნიკის დარგის მუშაოთ სიზუსტე და ტექნიკუ-
რი სრულყოფილება) და მისი მოუგვარებლო-
ბა შეტყველებს ლექსიკონის დანიშნულება-ხა-
სიათის გაუარებლობაზე. ეს კი წინასწარ
სკებტიკურად განაწეუბს კაცს თვად ლექსი-
კონისადმი. სამწუხაროდ, ლექსიკონის დეტა-
ლური გაყნობა ამ ეჭვს კი არ აქარწეულებს,
არამედ პირაქით, — კიდევ უფრო ამამფრებს
მას.

მაშ ასე: „პაწეციკად“ ვაუთავაზობენ „ქართული

ომონიმების ლექსიკონს“. **ქართული**
ომონიმები ზგერალობით **შეცნირების** **ლექსიკონი**
წელობით განსხვავებული სიტყვებია. ომონი-
მური სიტყვებია ქართულში: ბარკი (I. დაბ-
ლობი, ვაკიანი, ადგილი; II. სასოფლო-სამეურ-
ნელო იარაღი; III. ერთგვარი რეტორიკა...),
ბანი (I. დაბალი, ხაზი ზმა; II. მიწით დატ-
ეპნეილი სწორი, ბოხრავი სახლის...), და
(I. ერთი დედ-მამის ქალიშვილი სხვა შვილ-
ების მიმართ; II. შეერთებული კავშირი...) და
მისთ.

მსგავსად სინონიმებისა და ანტონიმებისა (ანუ
მნიშვნელობით მსგავსი და დაპირისპირებული
სიტყვებისა), ომონიმებიც ენაში მზა სახით
არსებობს. ამ გარემოებას ზაზს იმტომ ვუწ-
ვამთ, რომ ომონიმთა ლექსიკონი ენაში სწო-
რედ მზა სახით არსებულ ომონიმურ სიტყ-
ვებს უნდა შეიცავდეს; ომონიმურ მიმართებას
ფორმაცვალება ამ სიტყვებისა არ არღვევს
(მაგ., ბანი, ბანმა, ბანუე...).

ომონიმთა მსგავსი ზგერალობა გახდა საფუძ-
ველი მათი რთობებში გამოყენებისა. ჭერ კი-
დევ შუა საუკუნეებში შეიქმნა სიტყვათა თა-
მამის ერთ-ერთი სახე — მარჯამა (საბარსუ-
ლი ლექსის ერთი ფორმა). მაგამა მაქამური
რიოზეთი უმეტესწილად შეიცავს არა იმდენად
ენაში წმინდა, მზა სახით არსებულ ცალკეულ
სიტყვებს, რამდენადაც სხვადასხვა სიტყვის
ფორმაცვალებებისა და სიტყვათა შეერთების
შედგამლ მიღებულ ე. წ. ომოფორმებს. გავი-
ხსენოთ, მაგალითად, ზმა-კალამურებში გა-
ჩიბრების სცენა აკაცის „თორნიც ერისთავში“:
მასხარაო — მასხა რაო, სულე-
ლიო — სულელიო და ა. შ.

ამიტომ, თუ ომონიმების რიცხვი ამა თუ იმ
ენაში განსაზღვრულია და სასრული (თუკი
მასში საერთოდ შეიძირებულია ლექსიკა) და,
მანასადამე, ადრიცხვადი, ფორმაცვალებისა თუ
სიტყვათშეერთების საფუძველზე წარმოქმნულ
შესაძლო ზგერობრივ დაშორებათა რაოდენო-
ბა პრაქტიკულად უსასრულოა, ადურიცხველია.
აქედან გამომდინარე, ლექსიკოლოგიური
ცნება „ომონიმი“ და პოეტური ცნება „მა-
ქამა“ მხოლოდ ნაწილობრივ ფარავს ერთმა.
ნეთს: მაქამური რიოზეთში არ არის აუცილ-
ბელი ენაში არსებული ყველა ომონიმი რეა-
ლიზებული იყოს; მეორე მხრივ, ომონიმების
ლექსიკონში, თუკი მის შედგენას განვიზრახა-
ვდით, უნდა შეხედეყო მხოლოდ ისეთი სიტ-
ყვები, რომელთა შორის ომონიმური მიმარ-
თება შეარია ფორმაცვალების მიხედვად.

პატივცემულ ავთანდილ სიხარულიძეს კი
„ომონიმების ლექსიკონში“ შეუტანია, ნამდვილ
ომონიმთა გვერდით, შემთხვევით — კონტექ-
სტში თანხედენილი ფორმები თუ შეხიტვე-
ბები. აი, მათი არასრული ნუსხა (ავტორისე-
ულ ომონიმურ მიმართებას // -ით აღნიშნავთ).
ამ ოდის (// ამოდის), ამქარი (// ამ ქა-

რში), ანუღსა (// ან ეღსა), არაბი ხარ (// არ ახიარ), დავითიანი (// და ვით იანი), გაგვაჩინა რა (// გაგვაჩინარა), დიარები (// და იარები), დაღღობს (// და ღაღობს), დაღა (// და ღა), იმღეროს (// იმ ღეროს), კარი ერისთვის (// კარითვისთვის), შედვი ჩარა (// შედვიჩარა), მე ცა ვარ (// მეცა ვარ), რადგან ასე (// რად განასე), რაცაა (// რა ცაა), სხვა თამადა (// სხვათა მადა), ხან იერი (// ხანიერი)...

შოუვანელი ნინოშვიდი სხვადასხვა დროის ქართულ პოეზიაში დადასტურებული მაქაშური რითმებია, — რითმები და არა ომონიმები! აქ საგანგებოდ ისეთი „ომონიმები“ დავასახელოთ, რომლებშიც შეხიბველები მოწაწილურბს. ამ ფორზე უკვე აღარაფერს ვამბობთ ერთსიტყვიან ომონიმებზე, რომლებიც სხვადასხვა სახის ფორმაცვალების შედეგადაა შეღებული. მაგ.: ხატო (სახელის წოდებითის ფორმა და ზმნის II 3, ფორმა მეორე კავშირებითში), მეფეთა (სახელის ნათესაობითის ფორმა მკავლობაში და ზმნის I რიტეტპარის ფორმა ნამურ სრულში), კრავს (სახელის მცემითის ფორმა და ზმნის III 3, ფორმა აწმულში), ვაკანტურებო (წედსართავის წოდებითის ფორმა მკავლობითში და ზმნის აწმულის ფორმა, სხვათა სიტყვის რ-ნა წილადართული) და მისთ.

რადგან ეს ფორმებიც რითმებშია დადასტურებული, სახელებისა და ზმნების ფორმათა ნარგვარობა ლექსიკონის შემდგენლისათვის, ბუნებრივია, არავითარ დაბტკლებას აღარ წარმოადგენდა.

როგორც ვხედავთ, ომონიმების შემთხვევაში სალექსიკონო ერთეულად გამოტანილია ნებისმიერი ფორმა: სხვადასხვა ბრუნვისა თუ თანდებლობის, სხვადასხვა პარისა თუ რიცხვის და ა. შ. ფორმები. ლექსიკონის სამწყობარისათვის აუცილებელი საწყისი ფორმები, მაგ., სახელისათვის ხან ბრუნვის ფორმა, ცხადია, უგულებელყოფილია: შემდგენლის პრინციპი, ან, უფრო ზუსტად იქნებოდა ვეთქვა, ერთიანი პრინციპისა და თვალსაზრისის უქონლობა ამისათვის ბელსურედ ნიადგას კმნიდა.

უზარადავს იქცევს ლექსიკონის შემდგენლის ერთი უწყინარი „შეშაკობაც“ 3 მგერის შემცველ სიტყვებთან დაკავშირებით: ვინაჲდან ეს ბგერა საერთოდ იშვიათია ქართულ ფუძებში, მისი შემცველი სიტყვები, ბუნებრივია, ომონიმებსაც დააკლებოდა. ამიტომ შემდგენელი ომონიმებს გამოყოფისას იტრადნობა ან პ-დკარებულ ვარიანტებს, მაგ.: არამი (იქვე კი მითითებულია მარამხანა), ანდა ხ-ჩანცუღებულ ვარიანტებს, მაგ., ადახი (შდრ. აღაჰი), ხეპი (ეს უკანასკნელი აშკარა შეცდომაა, უნდა იყოს: მამი, შდრ. ინკლე hippie ვ. ი უნდა ვიკულებსშოპ, რომ უველა ეს სიტყვა მ-ბგერითან ვარიანტით

რომ უფილიყო რეალიზებული, შესაბამისი რაოდენობის ომონიმები ავტომატურად დავუკავებოდა. სამაგიეროდ, სხვა შემთხვევაში მ-ბგერითანი დიალექტური ვარიანტი წარსტობით გამოიყენება ლექსიკონში ომონიმად, მაგ., მამა (ამა ნაწილად თუშურ წარმოთქმასი). სწორედ იმის გამო, რომ სხვადასხვაგვარი ფორმაცვალება ვერ უზრუნველყოფს მუდმივ ომონიმურ მიმართებას სათანადო სიტყვებს შორის, ლექსიკოლოგიაში საფუძველი შეეცნა წმინდა ომონიმებისა და „ცრუ“ ომონიმების — ომონიმების მკაცრი დიფერენცირების მოთხოვნას (სინონიმებისა და ანტონიმების გამოყოფისას ხან მხედველობაში არ იღებენ კონტრასტულურ სინონიმ-ანტონიმებს! მათი რიცხვი უსასრულო შეიძლება იყოს). ამის კვალობაზე საფუძვლიანი ჩანს შესჯლობა იმზე, რომ ომონიმები ერთი მეტყველების ნაწილს ფარგლებს არ უნდა სცილდებოდეს, რათა ფორმაცვალებამ მადფორმირებელი გავლენა არ მოახდინოს ომონიმურ მიმართებაზე. ასეთი მეტყველების ნაწილები კი, უფრო სწორად, არსებითი სახედობა (შდრ. ბერძნ. *homos* — ერთნაირი, *heteros*, *heteron* — სახელა).

ომონიმთა ლექსიკონისა და მაქაშური რითმების ლექსიკონის შინაშესაბუნებობა აღჩვეა „ლექსიკონს“, ბუნებრივია, მწყობრი ხასიათს ვერ შესწენდა ფორმის მხრივაც. სხვა რომ არაფერი ვთქვათ, განუზოცრილებელი ხდება არა მარტო ერთიანი ფორმის შერჩევა სალექსიკონო ერთეულებისათვის, არამედ მათი რაოდენობის დადგენაც კი. მაგალითად, თუ ნამდვილი ომონიმია, ჩვეულებისამებრ, მხოლ. რიცხვის სახ. ბრუნვის ფორმით უნდა იყოს წარმოდგენილი, მაქაშური რითმების შემქმნელი სიტყვისა და შესიტყვების შემთხვევაში დასადგენია, მათგან რომელი უნდა იქნეს გამოკონილი სალექსიკონო ერთეულად, ან, ხაერთოდ, მხოლოდ ერთი მათგანი უნდა იქნეს შერჩეული საამისოდ თუ რივივ, და ეს საკითხი პოეტისას სპეციალისტმა უნდა გადაწყვიტოს — პოეტის მიზნებთან გამომდინარე.

„ომონიმების ლექსიკონში“ ამ მხრივაც სრული ქაოსია: სიტყვისა და შესიტყვების შემცველ რითმთაგან ხან შესიტყვება გტანილი სალექსიკონო ერთეულად (მაგ., ამ ოღის, ხან იერი, მეტი ჩარა, მე ცა ვარ, კარი ერისთვის, გაგვაჩინა რა), ხან კი — სიტყვა (ამჭარში, ანუ ეღსა, ამბოღსა! დაღა, დავითიანი, იმღეროს...). კაცს, შეიძლებაოა ეფიქრა, სალექსიკონო ერთეულად გტანილია პირველივე რითმში დადასტურებული ერთეული. მაგრამ არა: ეს „პრინციპი“ გარღვეულია. მაგ., სალექსიკონო ერთეულია რაცაა, მიტრედი რითმა კი არის: რა ცაა! ასევე, სალექსიკონო ერთეულია იმღეროს, მაგრამ

ილუსტრაციასი იგი ერთიგება წინაშეაღ შე- სიტყვებს იმ დროს და ა. შ.

მეშახლე, რითების ლექსიკონის შემდგე- ნებს ამ შენიშვნაში გადასაწვევტი იქნებოდა არა მარტო ის საკითხი, თუ რომელი ფორმა უნდა გაეტანა სალექსიკონო ერთეულად (რ ა ც ვ ა თუ რ ა ც ვ ა), არამედ ისიც, თუ რამ- ელი ფორმა იყო გასატანი (რ ა ც ვ ა ან რ ა ც ვ ა, თუ ორივე).

„ლექსიკონში“ შეტანილია პოლისემიური ანუ ერთზე შიტი მნიშვნელობის მქონე სიტ- ვყები, ვადატანითი მნიშვნელობით ნახმარი ერთეულები. მაგ., მ შ ვ ე რ ლ ა = 1. შეტყე- რებოდა; 2. დამწვერებოდა; ბ რ ა ლ ი ა = 1. დასახანია, შეხებაალისია; 2. დანაშაულია... განა აქ ერთი მნიშვნელობის სემანტიკურ გა- დაწვევასთან არა ვვაქვს საქმე? (შედრ.: ც რ - დ ვ ა = 1. დანაშაული; 2. შესაცადი).

ომონიმობის ცნების დადგენაში ქართულმა ენათმეცნიერებმა თავიანთი წვლილი შეიტანეს. როცა ომონიმოა აუცილებელი ნიშნად წარ- მ რ შ ბ ი ს ჯ ა ნ ს ნ ვ ა ვ ე ბ უ ლ ბ ა მ ი - ი ნ ი ნ ი ს (არ. ჩიქობავა, ბ. ფოჩხუა). ამის კვა- ლობაზე სხვაგვარად დიდგა საკითხი პოლისე- მიისა და ომონიმობის ურთიერთობის შესახებ (ი. ბ. ფოჩხუას სტეკუალური წერილი „პო- ლისემია თუ ომონიმია?“). ლექსიკოგრაფიულ ნაშრომში თანამედროვე ლექსიკოლოგიური მიდევნებაც სათანადოდ უნდა აისახოს.

სხვა პარტიი თიორიული საკითხი იყო გა- დასაწვევტი, ვიდრე ლექსიკონის შედგენას შეუდგებოდა ვადა. ასეთი საკითხია, საბელ- დობრ, კმინან თუ არა ომონიმებს არქაიზმები, დიალექტიზმები, საკუთარი სახელები და ა. შ.

„ლექსიკონის“ შემდგენლის ზედში ომონი- მებად იქცა ფონეტიკური თუ გრაფიკული დიალექტიზმები (და ეს მაშინ, როცა გარკვე- ული შერყეობა შეინიშნება თვით ლექსიკური დიალექტიზმების მიმართაც). აქ დგება სალი- ტერატურო ენისა და დიალექტების ურთიე- რთობის საკითხი. თუ სალიტერატურო ენის ფარგლებიდან ვავალთ და ამა თუ იმ სიტყვის ომონიმად მივიჩნევთ რომელიმე ერთ კუთ- ნეში გავრცელებულ სიტყვას ან ფორმას, რო- მელიც უფროა დამარჩენი კლავიტიზაციის და სალიტერატურო ენაში არ გამოიყენება, ამ ერთეულის ომონიმურობის საკითხი ემქვემე შედგება. ამ ფონზე ფონეტიკურ-გრაფიკული დიალექტიზმების ჩარაცხვა ომონიმებში სრუ- ლი გაუგებრობაა. „ლექსიკონში“ კი ვხვდებმა აშვარი „ომონიმები“: მ ა ა კ ვ ე ლ ე ვ ა ნ ე ბ ს (კახური ფორმა ზმინს კაუზტივიანა მ ა ა კ ვ - ლ ე ვ ა ნ ე ბ ს), შ ე მ ი წ ვ ა (შ ე მ ი წ ვ ა ვ ს ფორმის მნიშვნელობით), უ კ ა რ — ნ ა ც ვ - ლ ა I მარის ლიტერატურული ფორმისა ვ უ კ ა რ, წ ე რ ი — იმერული ფონეტიკური სახეხვაობა მ წ რ - სიტყვისა, თ ე ლ ი — გუ- რული ფორმა მ თ ე ლ - სიტყვისა, ე რ ა — ფო-

ური ვარიანტი იერ-სიტყვისა, გურული კი ე რ ა - სიტყვის ვარიანტი და ა. შ.

ახვეე გადასაწვევტი, საკუთარი სახელი შე- იძლება თუ არა მთავებლის ომონიმობის წყვილის (ან ჭვუთის) ორგანო კომპონენტად. საკუთარ სახელებს საზოგადო სახელთაგან სწორედ ც ნ ვ ბ ი თ ი მ ნ ი შ ე ვ ე ლ ო ბ ი ს უ ქ ო ლ ო ბ ა, ასემანტრობა გამოარჩენს (თუმცა წარმოშობით უმეტესობა სწორედ სა- ზოგადო სახელებს უკავშირდება). ცნებითო მნიშვნელობის გარეშე კი ომონიმები, ისევე როგორც სინონიმები და ანტონიმები, ენაში არ გააზარება.

„ლექსიკონში“ ომონიმებად უამრავი საკუ- თარი სახელი შედის — დაწვეული მსოფლი- ოს სხვადასხვა გეოგრაფიული სახელებიდან და გათავიებული, ასე ვასინჯო, ქართულ ანთრო- პონიმოა ქინობითი ფორმებით (მაგ., ფ ა რ ნ ა, ლ ე ლ უ კ ა...)

როგორც ვხვდეთ, „ლექსიკონის“ შემდგენ- ლისათვის არავითარი შემწეუდველი ძალა და დაბრკოლება არ არსებობს. ჭეშმარიტად შე- საშური იქნებოდა მისი ამგვარი სთამამე, ეს სიტყვა რომ ჭეშმარიტად შეეფერებოდად ლე- ქსიკონის შედგენის ასეთ გზას...

მაგრამ კიდევ რომ ვაულოდით „ლექსი- კონის“ შემდგენლის შიერ არჩეულ გზას ომო- ნიმებში საკუთარი სახელების ჩართვის თვალ- საზრისით, არათანამიმდევრულობას მაინც ვერ ავცდებოდით, და ეს არათანამიმდევრულობა სხვადასხვა სახით იჩენს თავს. კერძოდ, ამ ფონ- ზე გაუგებარი ხდება, რატომ არ უნდა შევგე- ტანა „ლექსიკონში“ ერთ-ერთ მნიშვნელობად იმ პირთა გვარები, რომელთაც უკავშირდება ამა თუ იმ ფიზიკურ სიდიდეთა ერთეულები: ო მ ი, ვ რ ლ ი დ და მისთ., რომლებიც „ლექ- სიკონში“ შეტანილია?

გაუმართლებელია აგრეთვე ეთნონიმებისა და ზოგი სხვა (მაგ., მითოლოგიური) სახელე- ბის ხმარება სხვადასხვა რიცხვის ფორმით — იმის მიხედვით, რომელი მათგანი ემთხვე- ვა სხვა სახელს. შდრ., მხოლო. რიცხვის ფო- რმები: ლ ა წ ი, ს ვ ა ნ ი, ქ უ რ თ ი... და მრავ- ლობითის ფორმები: უ დ ბ ი = 1. ზარმაცი, მცურარი; 2. კაკალიის აღბანეთის ერთ-ერთი ტომის წარმომადგენლები; პ ა რ კ ბ ი = 1. მცირე ტომრები; 2. (ლათ.) ბელ-ილბლის ქალ- ღმერთები...; 3. დიდი დეკორატიული ბადები... ამვე წარმატებით შეიძლება ლექსიკონში დეკ ა ნ ი ს ომონიმად შეგვეტანა დეკ ა ს (მცენარის) მრავლობითის ფორმა, თუკი „ლექ- სიკონის“ შემდგენლის ნებისმიერობის პრინციპს თანამიმდევრულად ვავტარებდით...

ახელი, რბილად რომ ვთქვათ, გაუგებრობე- ბი სხვაე ახადართია „ქართული ომონიმების ლექსიკონში“...

შემოთ ჩვენ შევეცადეთ გვეჩვენებინა, თუ რამდენი და რა ხანითის ლექსიკოლოგიური



თუ ზოგადენათმეცნიერული ამოცანები ჰქონდა გასათვალისწინებელი თუ ვადასწრებელი ამგვარი სპეციალური ლექსიკონის შემდგენელს, რამდენი წინაწარმი მოსამზადებელი სამუშაო — ჩასატარებელი ემსიოდ — ერთიანი შეცნობითი თვალსაზრისისა და ლექსიკონის აგების სათანადო პრინციპების გამოყენების გარეშე წარმოუდგენელია თანამდროვე ენათმეცნიერული აზროვნების შესატყვისი ლექსიკონის შექმნა. ეს მით უფრო ითქმის ახლა, როცა ჩვენში არსებობს ისეთ მაღალ დონეზე დამუშავებული ლექსიკონები, როგორცაა, მაგალითად: „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი“, მის საფუძველზე შედგენილი „ინვერსიული ლექსიკონი“, „რუსულ-ქართული ლექსიკონი“ აკადემიური გამოცემა, „ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონი“, შრავალი ტერმინოლოგიური, დიალექტური თუ სხვა სპეციალური ლექსიკონი. განა უზერხული არ არის, ამათ გაგრძელება ვიკარაუდოთ შემოსწინებელი ლექსიკონი? განა ეს უკან ვადადგმული ნაბიჯი არ იქნებოდა?

„ლექსიკონში“ არსებითი საქათებში რომ მოგვარებული იყოს, ადვილად გასწორდებოდა ანეთი ტენიური დამოყრდნობა, როგორცაა შემოყლებებსა და დამოყრდნობში გაპარული შეცდომა-უზუსტობანი, ანანური რიგის დარღვევა და ა. შ. რაც შეეხება განმარტებისეულ ხარვეებს ან მნიშვნელობათა დალაგებას მათი გავრცელების სიშირის მიხედვით და მისთ., მათ შესაბამ სიტყვის გაგრძელება ამ კონტექსტში შედგებ ფუფუნებად მიგვანია.

გაკვირვებას იწვევს, მეტი რომ არა ვთქვათ, ის ფაქტი, რომ შედგენლის შთავარი ლექსიკონგრაფიული წყარო — ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი — არც დამოყრდნობში და არც შემოყლებებში არა ჩანს! იქ, სადაც ეს ლექსიკონი სხვაობს სარეცენზო ლექსიკონთან (ხაყთარი სახელებსა და ზოგ სარგადო სახელში). წყარო ხან მიწერილია, ხან კი — არა, და ამ უკანასკნელ შემთხვევაში ეს მასალა შემდგენლის მათრ შეთხზულის შთაბეჭდილებას ტოვებს.

საქმისადმი არასერიოზული მიდგომა და „ლექსიკონში“ შეტანილი კურიოზული მასალა მკითხველში ანალოგიური მასლის მოზომობის დაუოყებელ სურვილს აღძრავს, მართლაც, არაფერი უშლიდა ხელს იმას, რომ ამ კრული მასალის გვერდით ე. წ. „ხალხური ეტიმოლოგიების“ გვეხილა (მით უფრო, რომ ზოგიერთი მათგანი ლიტერატურაშიც გვხვდება). მაგ: რ ა ვ ა რ ა კ ა (ა), შ ა მ შ ა რ კ ა ბ ა მ შ ა რ კ ა, არ ა გ ვ ი ს < ა რ ა გ ვ ი ს, მ ო ვ ა კ ა ნ ი < მ ო ვ ა კ ა ნ ი, და ო თ ე ა (ვაჟის სახელი და შესიტყვება „დათვი ახის“), გ უ რ ა მ ი (ვაჟის სახელი და მეგრ. „ზარზანი“) და ასე დაუსრულებლად.

დაიხ, ზემოთის გუნებაზე დამოყრდნობით, ნახვაროდ რომ გეკონდეს საქმე ერთობ, როცა კაცი სიყუთარი ხაზმუნებისათვის ვამოიბეტებს თავისუფალ დროს და მის მატარულ შემოქმედებას ამბარს, ხოლო შეიკრება, როცა ეს დრო ხმარდება ისეთ მომქანველად ეთო შეხედვით უმაღურ შრომას, როგორცაა ლექსიკონების შედგენა (ანეთი შრომატევადი სამუშაოს მატარება კი ავტარს უანგარობის შარავანდედით მოსავს საქმეში ჩაუბედავ გარეშე მართა თვალში): ძალიან კარგად გვეჩნის, რომ არასპეციალისტს ვერ აუკრძალავ ამგვარ გატაცებებს. მეტიც, ისტორიამ არაერთი მავალით იცის იმისა, რომ ისეთ პირებს მნიშვნელოვანი შრომებიც შეუქმნათ და, მათ შორის, ლექსიკონებაც გავისწილოთ. მავალითად, მწ წლის ინგლისელი ექიმის — როდეს ე. წ. თეზაურუსი — ინგლისური ლექსიკონის შემანატყური კლასიფიკაციის ხადუძ. ველზე შედგენილი ლექსიკონი (თუმცა ისიც უნდა მოვიფიქროთ, რომ ავტორს თავისი დროისათვის შესადგრისი განათლებაც ჰქონდა მისდებული ინგლისურ კლდეში: ამისთანავე, მან ეს ლექსიკონი სათანადო შევსებისა და დამუშავების შემდეგ — მხოლოდ 70 წლისა — გამოაქვეყნა). მაგრამ არც ის არის დასაწყვებელი, რომ შრომატევადი სამუშაოს შეტრდება კერ კლდე არ ვამაზღვრავს მის მაღალ ხარისხს...

სიმპტომური გვეჩვენა გურამ ფანჭიკიანს ამასწინანდელი წერილი ფსევდომეცნიერული ნაშრომების რეცენზირება-პუბლიკაციისთან დაკავშირებით (იხ. გზ. „ლიტერატურული საქართელო“, 80. XI, 1984). სავსებით გაზანაარებულია პატაცემული მწერლის გულისტაკივლი.

მიუხედავად იმისა, რომ განხილული „ლექსიკონის“ სახით საქმე გვაქვს აშკარა წუნთან, გამოქვეყნებული ფრაგმენტის შეფასებისგან, აღბათ, თავს შეეკავებდით (მით უფრო, რომ ერთხელ უკვე მოგვიბდა — უნივერსიტეტის ახალი ქართული ენის კათედრის დავალებით — ანალოგიური დასკვნის მიცემა მთლიანი სახით წარმოდგენილი ამავე შრომისათვის), რის გარემოება რომ არა:

კერ ერთი, ლექსიკონისათვის წამმდარებულ წინაქმეში (რომელშიც, თანდართულ სარეცენზო წერილზე დაურდნობით, ეს ლექსიკონი „სამაგიდო წიგნის“ პერსპექტივითაა აღჭურვილი) აღნიშნულია, რომ გამომცემლობა „განათლებლა“ იგი გამოსაცემად მოამზადა; მეორეც, ამ ლექსიკონის შედგენისა და შექმნეში მხედულობის ისტორია გამოაქვლის არ წარმოადგენს და ეხმარება ხოლო ხანებში გავრცელებულ ზოგიერთ ტენდენციას. კერძოდ,

მომხიარდა შენთვის, როცა სხვადასხვა სახის სპეციალური ლექსიკონების შედგენას ზედს ჰქონდა ხათანადო კვლითვისების უძონდო პირები (აქოდ, ენას ყველა ვითენებთ და ზიტყვებთან ყველასა გააქვს საქმეო).

რაც უფრო ნიშნადობლივია: მეცნიერული თვალსაზრისით ასეთი მოუშნადებელი პირები სხვა მხრივ, როგორც წესი, უფრო მოწინააღმდეგე და ფხიანები აღმოჩნდებიან ზოლზე: მათ დაუბრკოლებლად უფორმებენ ზედსეარულეების და ასევე დაუბრკოლებლად მიმდინარეობს ბეჭდვის საქმეც.

სამწუხაროდ, დაგვიანებული, თუნდაც შკაცრი რეცენზიებიდან გაყვთოლებს ვერ ვიღებთ: სანამ მკითხველი საზოგადოებრიობა მომხდარის განსჯა-განხილვაშია, ვიხედავ და — იგოვე ავტორი იმავე რედაქტორ-რეცენზენტებისა თუ სხვა გადღენიანი პირების ზედსეურობით ასეთივე სიძვეო ღირსების ახალი „ნაშრომის“ რედაქციას ეწვეა, ზოლო სანამისოდ მოწოდებულ სამეცნიერო დაწესებულებათა მიერ მოწინააღმდეგელი ლექსიკონები წლების მანძილზე რედაქტორების შავიღებს ვერ გასცილებიან (ლექსიკონი კი, ისევე როგორც ყველა სამეცნიერო ნაშრომი, თავისთავადაც ძველდება და აშიტომ მისი ზედსეურობა დაძველება უოლად მიუტყვებელია). ასე დაეშართა, შავალითად, რუსულ-ქართული ლექსიკონის აკადემიურ გამოცემას, რომელსაც 1958 წელს ძლივს ეღირსა გამოსვლა; ძალზე დაუგვიანდა წარმოებაში ჩაშვება ქართული

ლი საბჭოთა ენციკლოპედიის ხალისი კონსტრუქციის მიერ შედგენილი და ყოველივე შეიღი წლის წინათ სასტამბოდ გამოშვებულ ბერძნულ-ლათინური საკუთარი სახელების ლექსიკონსაც, რომლის გამოცემა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1970 წლის სპეციალური დადგენილებით იყო ხავარადღეო...

მკითხველისათვის უთუოდ ცნობილი იქნება, რომ ლექსიკონების მოსამზადებლად სამეცნიერო დაწესებულებებში სპეციალური განყოფილებები არსებობს — ლექსიკოლოგიისა, სამეცნიერო ტერმინოლოგიისა, თარგმნითი ლექსიკონებისა... შაშასადამე, ისიც გასაგები უნდა იყოს, რომ ასეთი უჭრდების გვერდის ავლით და მათი ვიზიტების გარეშე არამცთუ ამგვარი „ლექსიკონები“, არამედ უფრო კვალიფიკურად მოწინააღმდეგელი, არ უნდა დაიშვას გამოსაცემა: ამას მოითხოვს სალიტერატურო ენის უნიფიცირებისა და ნორმალიზაციის ინტერესები, საერთოდ, ერის კულტურულ წინსვლის ინტერესები.

„წმიდამან დედოფალმან მიჰყო ხელი ცხე-
დარსა მისისა შუფსა და მისცა ზელთა ნი-
ნოსთა“ (361). ნინო „მოგეგო ჩაი თავად
თვისად“, ზელში „ქკონდა ჭურბი იგი ვაზისაი“
(იქვე). „მოქცევაი ქართლისაჲს“ ნახსლევის
ჯვარჯიხა საუბარი. მაგრამ ეს „ნახსლევია“, ანუ
იგივე „მორჩი“ (შტო, ულორტი) — ვაზისაა
(გაეხსენებოთ: „შენ ზარ ვენახო, მორჩი კეთი-
ლი“).

„ჯვარი ვაზისა“ ქართული მითოლოგემა.
იგი წარმართულ ხანაშივე შეიძლებოდა შექმ-
ნილყო, რადგან კარგადა ცნობილი წარმარ-
თული ჭვარი (ტოლმელავებინი და არა ჭვარ-
ცმის სიმბოლიკის შესაბამისი). იგი იყო შვის
სიმბოლო, რომელი ვაზი იყო სიმბოლო შვის
სწორფერობისა, მწესთან ზიარებისა (იხ. რ. ს.
ქართული ესთეტიკის სექციისეკისათვის, „ცის-
კარი“, 1984, № 6). ასე რომ, ჭვარისა და ვა-
ზის „შეხვედრა“ წარმართულ საუფუძელზე
დაც სავსებით გასაგებია. ასევე ბუნებრივია ეს
ევაგელური სიმბოლიკით. მიუხედავად ამისა,
პრაქტიკულად ჭვარის მაინდამაინც ვაზისაგან
გაყვება მხოლოდ ქრისტიანული იდეის ვაზის
წარმართულ კულტთან შეგუებით შეიძლება
აიხსნას. ცნობილია, თუ რაოდენ ფართოდ იყო
ავრცელებული საქართველოში ვაზის კულტი.
ვაზი სიცოცხლის ზედ მორწმუნეთა და ეს თვით
ქართულ ქრისტიანულ ზელოვნებაშიც კი ასა-
ხელა (მაგალითად, ანაწურის ტაძრის დაბე-
ვლის დედის დეკორზე). ვაზის კულტი შვის
გაღმერთების გულისსიმბოლა.

2. სად შექმნა ნინომ ჭვარი ვაზისა? ეს იყო
მცხეთას, „შავლოვანში“, სადაც ნინო სამ
წელს ფარულად ილოცვოდა. ჭვარი თავდაი-
რებალად იერუსალიმის სატარაქშა გადასცა
ნინოს (გვ. 114). მაგრამ ეს იყო „სახე ჭვარი-
სა“ (შეადარე გვ. 151, შ. 153 და „სინური
მრავალთაჲ“, გვ. 281: „ხატი იგი ჭვარი-
სა“). შედეგ ჭვარს ნინომ მისცა ქართული
სახე და გააყვით იგი ვაზისაგან, ე. ო. ქართვე-
ლთათვის აბლომელი ფორმა შესცინა. ამას მო-
წოდებს უძველესი „ცხოვრება ნინოსა“, ხოლო

გვიანდელი მეტაფრასის
დვინისშობელმა გადასცა ჭვარი ვაზისაჲ, ამ-
გვარი ჭვარის გამართლების მიზნით უნდა
იყოს მოტანალი.

თუ კვლავ შემოადინებულ მიზნებს გავვხე-
ბით და წმინდა ნინოსთან დაკავშირებული
რელიგიით წარმართული კულტების („დე-
და-უფლის“) ხაზის აღდგენას ვეძებთ, ამ შე-
მთხვევაში შეზღვევ სურათს მივიღებთ: ქარ-
თული წარმართული პანთეონის მთავარ კულ-
ტობებსათან დაკავშირებული უკველსა ვაზის
კულტი. ვაზი იყო ნინოსი ნაყოფიერებისა და
ვიტალური ცხოველშეოფლობისა ვაზი დედა-
უფლის მზიურობით აღვსებლობის ნიშნაც იყო.
იქვე შემოდის ისიც, რომ ტრადიციული წა-
რმოდგენით, ნინოს ჭვარი ვაზისა თავისი
თემებით შეტყუარეს. თმაც მზიურობის სიმბო-
ლია ქალღმერთი დალის ოქროსფერია თმებაც
შის მზიურობის და ღვთიურობის გამომაბტე-
ლია.

«Волосы обладали определенной «энер-
гетической емкостью» — будь то энер-
гия эротическая, магическая, колдовская
или просто физическая мощь» (С. Ю. Не-
хлюдов. О функционально-семантической
природе знака в повествовательном фоль-
клоре. — Сб.: Семантика и художествен-
ное творчество, М., 1977, с. 217).

ასეთ კავშირებს ახამს ქართულ წარმართო-
ბასა და ქრისტიანობას შორის წმინდა ნინოს-
თან დაკავშირებული მითოლოგემა — ჭვარი
ვაზისა.

3. თავისთავად ცხადია, რომ ნინოს უმთავ-
რესი დამსახურება ჭვარის ქრისტიანული კულ-
ტის დანერგვა და, ამდენადვე, ჭვარის ძველ-
ბური თავყანისცემის შეცვლა იყო ერთგული
თვითშეოფობის დაკვეცა ახლებურად წარ-
მართობა. თვით ნინოს კულტთან, ერთად
დგებოდა ქართული იდეისის ავრცეფლო-
ბის საკითხი. იგი უკავშირდებოდა პენტარქიის
(ხუთი მთავარი საპატრიარქოს) იდეას, რომე-
ლიც ჩანს „მოქცევაი ქართლისაჲს“: შევე
კონსტანტინემო „წარაჯობა მოუკანებუდ ეთი-
კობოსთა იერუსალიმით, ანტიოქით, ჰრომით
და ალექსანდრით. და ნათელილო მან თავა-
დმან და დედამან მისმან ზნაყითურთ“ (გვ.
88, შ.). ამით გამოხატულია კონსტანტინოპო-
ლურ ქრისტიანობაში ხუთივე საპატრიარქოს
მოღიანობის იდეა. მართალია, სრულად გარ-
კვეული მიზნით, „მოქცევაი ქართლისაჲს“ —
ქართული ქრისტიანობის იერუსალიმური წა-
რმოშობის იდეა ჩანს, მაგრამ კონსტანტინე-
პოლთან კავშირაც ვერ იქმნებოდა უგულ-
ბელყოფილი. ამასთანვე თვით დასავლურ
ქრისტიანობასთან კავშირიც კია მინიშნებული.
ნინომ მიიღო წიგნები „პროკოთა წმიდისა სატ-
როარქისა“ (გვ. 147, შ.). „მოუვლანო პატრი-
მთავარდიაცონი“ ნინოსა და მეფეს.

საგულისხმოა, რომ კონსტანტინოპოლთან კავშირი „ნინოს ცხოვრებაში“ ნაჩვენებია ქვის აღმართის პერაპეტებთან დაკავშირებით, რომელიც ერთ-ერთი არსებითი ეპიზოდია ამ ნაწარმოებში. ე. ანკლიმოს ნაჩვენებია აქვს, რომ „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ავტორი იკნოსს და უკუნებს იოანე ოქროპირის თხზულებას“ გამოჩინებაჲ ჭურისაჲ“. ჩვენ ურბადლებას გავამაჯვლებთ ზოგიერთ დამატებით მომენტზე.

„ნინოს ცხოვრება“ განსაკუთრებულად ხაზგასმით კონკრეტულად ჭვრისა და ეკრპების დამირსპირების გვიჩვენებს და არ კმაყოფილება მხოლოდ ქრისტიანობის ზოგადი დამირსპირებით ერთბაშადანისმცემლობისადმი. ამით იგი ჭვრის სულიერი ბუნების დანერგვას ცდილობს. სხვა ვარემოებანთან ერთად ამას ითხოვდა წარმართული ჭვრების კულტის დამლევა. ამასაც ავტორი ახორციელებს იოანე ოქროპირის შემოშთათხებული ნაწარმოების გამოყენებით.

4. საერთოდ, საფიქრებელია, რომ ჭვრის მოტანა თუ აღმართვა და შთელი მოღვაწეობა ნინოსი ბიზანტიის დედოფლის ელენეს შთაგონებით უნდა მომხდარიყო. თვით დედოფალს დიდი ღვაწლი მიუძღვის ბიზანტიაში ქრისტიანობის გავრცელებაში. სწორედ ნინოს იერუსალიმში უოფნისას მიღის იქ ელენე დედოფალი და იქ მოუპოვებია გოლგოთის ჭვრები და მის ადგილას ტაძარი აუგია. (მერე მსგავს საქმეებს ხომ ნინოც ახორციელებს). ელენე დედოფალმა სამი ჭვარი იპოვა, მოგან უმთავრესი იყო „ჭვარი პატიოსანი“. ქართლში ნინოს კანონბითაც ხომ სამ ჭვარს აღმართავენ. „ქვარ-პატიოსანის“ სახელზე ეკლესია აშენდება ათილისში. ნინოს „საქმეა გამოიძია ჭელენე დედოფალმა“ (გვ. 83, შ. 3.) „ნინოს ელენე სერვილით უწოდა დედოფლად და თვისსა სწორად და სწორად წმიდათა მოციქულთა“ (გვ. 83, შ. 3). ქართლში მიხონერის იტორუსალიმთან გაგზავნა კონსტანტინოპოლის ინტერესებისათვის შესაბამისი იქნებოდა. რადგან ეს აშკარად აღარ გამოქვდავებოდა ვაქრიტიანებასთან დაკავშირებულ ბიზანტიურ პოლიტიკას. ქალის მიხონერობის დამცველი თვით ელენე დედოფალი უნდა უფალყო. გამორიცხვლად არ გვეჩვენება, რომ თვით მიხონისაც სცოდნოდა ნინოს გამომგზავრება. კონსტანტინოპოლიდან გამოგზავრება „ხატი მაცხოვრისა და ექლი ცხოვრებისა ნინოსთვის“ (გვ. 86, შ. 3). თვით ელენე დედოფალი წერილს უგზავნის ნინოს შემთხვევითი არაა ისიც, რომ ბიზანტიელი ისტორიკოსები იშთაგონებ დიდ ინტერესს იჩენენ ქართლის განაწათლებლისადმი.

5. „ნინოს ცხოვრებაში“ ჭვრის სასწაულუბრი უკავშირდება ზეციურ ნათლს, მნათობებს, ზეციურ ცეცხლს, ნათლის სვეტს. ეს ის ნიშ

ნებია, რომლებიც ქრისტიანულ სამსმეტროლოგიაში ლებას შეესაბამება და ამვე დროს აღრცევენ ახასიათებდა წარმართულ ჭვრებს.

„იხილეს სომრავლებან ქალაქისამან ზნელთა მათ ღამეთა და ამა ჩამოვიდეს ჭვარი ცეცხლისა და გავრცავინებული ვარსკვლავითა და დადგარის ზედა ეკლესიასა ვიდრე განთიადამდე“ (გვ. 148, შ. 3). „მარტიკლიის უკან“ ასეთი სასწაული უბილავთ: „სუეტის ნათლისაჲ სახედ ქუარისა და ზედა ქუარსა მას... ათორმეტნი ვარსკვლავნი დაგვირგვინებულ იყვნეს. ხოლო ბორცვი იგი ჭურისაი ერთ-სახედ კუმოდ სულენდელ... ვითარცა ცეცხლი დგა და ვითარცა ალი ეგზნებოდა ზედა თავსა ქუარისასა სამგზის შვისა უბრწყინვალესი“ (გვ. 155, შ. 3).

ჭვარი ისევე უკავშირდება ზეცას („ნათლის სვეტით“), როგორც წარმართული საკულტო ზე (მუხა). ეს იმიტომ, რომ ჭვარი და ზე სიმბოლურად იგივეობრივნი არიან. სადაც ჭვარი აღმართეს, იქ ადრე საკულტო ზე უნდა მდგარიყო. უკველვეც ეს ვრცელდება სვეტიცხოველზეც.

ჭვარი რომ შემართებულთა ზეცის და მიწის (ჭვარი „იკნოსის კიბეა“), ეს იდეა მუდამდებია თვით ანატოლის შერჩევითაც კი მცხეთის — ჭვრის ტაძრისათვის, და ამითაც, რომ მასზე ცენტრალური ადგილი უჭირავს ჭვრის ამაღლების კომპოზიციას.

კონსტანტინე მეფეც „მას ღამესა იხილა თუალითა გამოჩინებული ჭვარი, საუდართა შუენიერთა ზედა ბრწყინვალა“ („სინური მრავალთაჲ“; გვ. 287). ზეესურეთში, არხიტის ზეობაში, სოფ. კიბლაში არის „სვეტის ანგლოზის“, ანუ „იახსარ სვეტად ჩამოსულის“ ჭვარ-ხატი.

„ბორცვი იგი ქუარისაჲ ახარებდა ძლიერად და უკავდი ქუეყანას იძრვოდა და მითა და ბორცუთა და დელეთთა არ მურო სათონობისაჲ ადულოდა ცაზედა კლდენი შეიმურსვოდეს და სულენდებდა დიდ ძალი შიეფინებოდა უკველსა ქუეყანას“ (გვ. 155, შ. 3).

ადრე ველებს ასდიოდა „არმური ცდომისა“, ხოლო „მანი დეუფარნეს ნათლს ცდომისას“ (ქვე. თ. 111). ნინომ მოახერხა ამ შთების გარდაქმნა და ისინი ახალი თვისებებით აღიბეჭდნენ.

თვით სვეტიცხოველი აღუმართავთ „თაყვანისცემად“ ბორცვის ჭვრისა და მაუკლოვანის „ნახბლევი ჭვრისა“ (გვ. 101 კ.).

როგორც აღენიშნეთ, ნინომ სამი ჭვარი აღმართინა. იგივე სამი ნათელი, რაც „სამშრობიდან“ (ტრისულის) მომდინარეა. მოგან უმთავრესია „ბორცვის“ ჭვარი, ეს ძლევის ჭვარი, ანდა ჭვარი პატიოსანი (ეს ტერმინი „სინური მრავალთაჲსუცა“). ცეცხლოვანი ჭვარი ხელი წმინდას მოგვრის გამოხატულებად შე-



იძლეოდა ნათვალათ. ამიტომ შემთხვევითი არაა იმის აღნიშვნა, რომ მისი დღესასწაულები მარტვილითაა მოხუცად (გვ. 111). მარტვილია ხომ სულიწმინდის მოფენის დღესასწაულია. „სინურისხვე მრავალთაჲთა“ კირილე იერქუ სალინის საკითხავი „მარტვილისთაჲს“. მისა გაუღენა ჩანს „ნინოს ცხოვრებაში“ სწორედ მარტვილიის ეპის ცეცხლოვანი ნათლის მოფენით („სინური მრავალთაჲ“, გვ. 187).

XI. „სამბტი-ცხოველი“

1. სვეტი-ცხოველის აღმართვის ეპიწოდის რამდენიმე მომენტით ხისა და ნათლის კულტთან დაკავშირებულ უძველეს წარმოდგენებს ეხმარება და არა მხოლოდ ამით, რომ ხალხური გადმოცემის თანახმად, მის ადგილას მუხის საკულტო ხე მდგარა, არამედ თავისთავადაც, თავად სვეტი-ცხოველის წინააღმდეგობითაც.

მეფემ სამეფო ბაღში („სამოთხეში“) ტაძრის აშენება გადაწყვიტა. „მოპყუეთეს ნაჭი და შეშაღეს სუტად“ (გვ. 138, შ.), მაგრამ სუტო ვერ აღმართეს. ნინოს ღოცვის ძალით, თვრე „უღდა-მოაღჯა ჰაბუჯი ერთი უკვლადვე ნათლითა შემოსილი, და მოებღარდნა ცეცხლის სახედ ზეწარი, და არქუნა სამნი რამე სიტუანი ნეტარსა ნინოს... ზოლო ჰაბუჯმან მან მჰყო ზელო სუტისა მას და უწარა თავი და აღამალდა და წარიღო სიმაღლესა ცათას“ (გვ. 141, შ.). ამის შემდეგ „ნათლითა ბრწუინ-ვაღერი სუტეი იგი ჩამოვიდოდა ადგილად თვისა, რაცა თუ დიდჯა ზარისხსა თვისსა ზედა“ (გვ. 142, შ.), ხოლო „ზარისხად იყო მი-რა იგი მის, რომლისგან მოყუთილ იყო სუტეი იგი ცხოველი“ (გვ. 141-142, შ.).

ეს სურათი შექმნილია სხვადასხვაგვარ წარმოდგენათა მიხედვით. ბუნებრივია, რომ აქ აღდგომისა და ამაღლების მისტიკათა რემინისცენციებია. ასეთია, მაგალითად, ნათლით მოხილი ჰაბუჯი ან ცეცხლის ზეწარი (მარკოზ, 18, 6), ღუსა, 24, 50-51). იქვე არის არა-ევანგელური, თუმცა იკონოგრაფიული ტრადიციებით დაშვებულ წარმოდგენა, რომ ამაღლების კომპოზიციასი გამოისახოს მლოცველი ღვთისმშობელი („ორანტა“). სწორედ მის ადგილს აქ იტყრს ნინო. ევანგელური წარმოდგენით კი აღდგომის პირველმოწმენი იუვენე შენელსაცხებულ ქალები, რაიც ერთგვარად აქცია არცელი (გვ. 138, შ.).

სვეტი-ცხოველი ახალი ტაძრის მთავარი ბურჯი იყო. და რადგან ტაძარი ხომალდურად სამყაროს მიეროკუპირის წარმოადგენდა, ამიტომ „სვეტი-ცხოველი“ ჩათვლებოდა „ცხოვრების ხედ“ და სიმბოლოდ „ქოსმოსი ხისა“ (შტრ. იგზ. 21, 1-9; 21, 10-19; 3, 10-14; 4, 17-22; მთ. 13, 32). ის იყო შემკავშირებელი მიწისა და ზეცის. ჰაბუჯის მკლავს ზომ

სვეტი-ცხოველი ზეცას მოქვე, ეს წარმოდგენა შეიძლება დაკავშირებოდეს სვეტი-ცხოველის ტაძარზე არსებულ გამოსახულებას — მარჯვენა გონიით. „ნათელმოსილმა“ ჰაბუჯმა აღმართა სვეტიცხოველის ბურჯი, ზოლო არსაკიძემ სვეტი-ცხოველის ტაძარი. უკველივე ეს კი მოხდა ნინოს ძალისხმევით (ამას საგანგებოდ უხვამს ზაზ „იოანე ზედაზნელის ცხოვრება“, თ. 11).

2. სვეტი-ცხოველი იყო ზე, რომელიც იქვე სამოთხეში მოტრეს და შემდეგ იმავე ძირზე დააფუძნეს. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს მოთხეება არაა შემთხვევითი. ამაში თავისებურად ჩანს, თუ როგორ „იკვალა სახე წარმართულმა ხის კულტმა და გადაიქცა „სვეტი-ცხოველად“. თუმცა თავის ძველ ძირთან კავშირი არ დაუკარგავს.

„შესაქმეთა“ წიგნის მიხედვით, „ზე ცხოვრებისა“ სამოთხეში იდგა, მეფის „სამოთხეში“ იდგა სვეტი-ცხოველის ზეც, რომელიც შემდეგ ტაძრის ბურჯად აქცევს. „ნინოს ცხოვრების“ შეატრდული რედაქციაც (გვ. 200) და მომ. დევრო რედაქციებიც გვიჩვენებენ, რომ „სვეტი-ცხოველი“ ახალი ტაძრის მთავარი ბურჯი იყო (ეგვეც ჩანს „იოანე ზედაზნელის ცხოვრებდან“, თ. 111).

აქედან გამომდინარე ბუნებრივია სვეტი-ცხოველი დაუკავშირდეს ძველი ქართული საცხოვრისის დედა ზომს. დედაბოძი განასხვავდება ცხოვრების ხეს და დაკავშირებული იყო მზის კულტთან (ი. სურგულაძე). მასზე გამოისახებოდა ბორჯღალი, მზის სიმბოლო. დედაბოძი, ეთარცა ცხოვრების ზე. სამი სენლის კავშირს განასხვავებდა: ქვესენლისა (ხის ძირი), სენლისა (ტანი ხისა) და ზესენლისა. როგორც ცხოვრების ზე, ისევე დედა-ბოძიც ქალურ (დედურ) საწყისთან იყო დაკავშირებული. ეს თავისებურად უნდა ჩანდეს თვით სვეტი-ცხოველიც. სვეტი-ცხოველი ზეცური ჰაბუჯის მკლავით ამაღლდა. ანათელმოსილი ჰაბუჯის სახეში ზეცური „სახიმოსი“ სახე ჩანს (აქვე შემოდის სიმბოლიკა: ქალწული ნინო — ზეცური სახმლო). „სახიმოზე“ ასხარეზია სულიერი ქორწინების (მთ. 25, 1-12, ლ. 14, 18-24). მცხეთის ბაღი სწორედ ამგვარ აპოკალიპტურ სამოთხესა ჰგავს (გამოცხ. 21, 11, 18-21).

დედაბოძი უკავშირდება ზეცური ნათელს. მთელი დედაბოძი მზის ძალით აღვილიანას განასხვავებდა. ბორჯღალის გარდა, მის „ებანზე“ მზის მოძრაობის გრაფიკული გამოსახულებანიც იყო. ამ მხრივაც ძალიან ჰგავანს ერთმანეთს დედაბოძი და სვეტი-ცხოველი. სვეტი-ცხოველი ბრწყინვალე ნათლის სახით ჩამოდიოდა დაბლა. ზოლო რაცა ი აღიშარა, მეფემ „იხილა მუნ ნათელი ვიი, რცა ეღვდა ზეცამდე აღწევნული“ (გვ. 142, შ.). აქ ისიც შეიძლება აღინიშნოს, რომ მიიღოს-

რი წარმოდგენით ზეციური ნათელი, ცეცხლი და ელვა უკვეწოდებოდა ჰუბის კულტს, რასაც ჯ. ფრეზერი მრავალმხრივ წარმოაჩენს (გვ. 78).

ნათლის სვეტს რომ პარადიგმული სახის მნიშვნელობა მიეცა, ეს „ვეფხისტყაოსნიდანაც“ ჩანს („ინდოეთის ზეციით სინათლე წადგა მართ ვითა სვეტია“ (1617).

XII. წმინდა ნინო და „დედა-უფალი“

ნიკო მარის ცნობილი ნარკვევა „Вопи языческой Грузии“ ასეთი დასკვნით მთავრდება:

«Грузинский пантеон, как он описан в грузинских летописях и в их источнике Житии святой Нины, вмещает в себе арийских и семитских богов, но ни одного местного грузинского» (с. 28).

ბ. მარის ამგვარი დასკვნის ახსნა მხოლოდ იმით შეიძლება, რომ იმ დროს არ უფიქროვანდნენ შესწავლილი ქართული წარმართული პანთეონი და ამიტომ თვით „ნინოს ცხოვრების“ ცნობებიც უოვედითვის დამაჯერებელი არ ჰგებოდა.

„ნინოს ცხოვრებაში“ სხვა ღმერთთაგან საგანგებოდაა გამოყოფილი „ძუღენი ღმერთნი მამათა ჩუენთანი — ვაცი და ვა“ (გვ. 182, შ). ისინიც კი ბ. მარმა სემიტურ დეოტებებად მიიჩნია. მაგრამ ეს რომ ასე უფიქროვო, ამას თვით ავტორი აღნიშნავდა, რომელიც საერთოდ სიმბათით ახასიათებს ქართლის ებრაელობას. თანაც „ქართლის ცხოვრება“ გვაუწყებს, რომ ფარნაქშიც „გარდახდა სჭულსა მამათა ჩუენთას; არღარა მსახურებდეს ღმერთთა მჰურსებელთა ქართლისთა და შემოიღო დედული სჭული“ (გვ. 111). ეს სჭული დღეს სანარსულ ცეცხლთაუფანისმცემლობად მიიჩნეა (ა. ავაქიძე). მაშასადამე, „მამათა ჩუენთა სჭული“ სხვა იყო.

ასეც რომ არ იყოს და პირობითად რომც ვიციწმუნოთ ბ. მარის დასკვნები, მაინც ვითხვად რჩება: არის თუ არა ნინოს სახეში ისეთი ნიშან-თვისებანი, რომლებიც ქართული წარმართული პანთეონიდან უნდა მომდინარეობდეს? ბ. მარს ეს საკითხი არ გაურკვევია.

როგორც დავინახეთ, ნინოს სახიდან შესაძლებელია გამოიყოს, ერთის მხრივ, საკუთრივ ქრისტიანული და ამასთანავე წარმართობიდან მომდინარე ნიშნები. მთ შორის შინაგანი ეპიწორი არსებობს. ამგვარ ნიშან-თვისებათა მთლიანობაში გათვალისწინებით შესაძლებელია მივჩინოთ მოვანდინო რეკონსტრუქცია ქართული წარმართული პანთეონის მთავარი ქალღვთაობისა, ანუ დედა-უფლისა. „ნინოს ცხოვრებას“ მიხედვით რეკონსტრუირებული „დედა-უფლის“ სახე ბევრ საერთოს პოვნებს ამ წარსიგებთან, რომლებიც სადღესოდ მო-

პოვებულია უძველეს ქართულ ქალღვთაობათა შესახებ.

ახე რომ, „დედა-უფლის“ სახის რეკონსტრუქციისათვის ჩვენს მიერ არჩეული ვა საშინიერ ითხოვს დაცირებებს:

1. წმინდა ნინოსა და მისი სამოქმედო გარემოს იმ ნიშან-თვისებათა გამოყოფა, რომლებიც შებენ-წყობენ პარალელს პოვებენ წარმართულ ხანაში;

2. ამ ნიშან-თვისებათა მიხედვით „დედა-უფლის“ სახის აღდგენა;

3. ამგვარად წარმოსახული „დედა-უფლის“ სახის შეპირისპირება სადღესოდ შეცნობრებაში დადგენილ შეხედულებებთან ქართული წარმართული პანთეონის შესახებ.

1. პოლიანობაში შეგვიძლია შემდეგნაირად წარმოვადგინოთ წმინდა ნინოსა და მისი სამოქმედო გარემოს ის ნიშან-თვისებანი, რომლებიდანაც უნდა მოხერხდეს დედა-უფლისათვის საუარადო ატრიბუტების გამოყოფა: მცხეთაში ნინოს მოსვლის შემდეგ მოხდა არაპირისპირება ნინოს ძალისმხვედელ იყო საგულებელი ჰუბი, ქარი და სეტყვა, რომლებსაც „დაღწენა კეტანი იგი და დაუქნა და დარღვესა ზღუდენი იგი ქარმან სასტყამან და შთაყარა იგი კლდესა“ (გვ. 121, შ).

ამის შემდეგ მხოლოდ ერთი თვალ-პატიოსანი გადარჩა და ნინომ იგი ძველ ქალაქში წაპოილა. აქ „ბრინჯის“ („აჟკის“) ზე იდგა, რომელთანაც ნინო ლოცულობს.

„სამოთხეში“, ანუ საუფო ზღვაში, „ნამთა ქუეშე ბაბილოთა ადგილი არს“ (გვ. 123, შ). მის ქვეშ სასწაულმოქმედი მიწაა. ამ მიწით ნინომ ბაბს მცველის უშეიღო ცოლი გააყურა და მას მრავალი ძე და ასული ეყოლა.

ნინო იხილავს, რომ აქვე მდინარეში ფრინველები ბანაობენ, ბაბილოს და უვაილებს „მოისთულან“ და ადამიანის გასაჯებ ენაზე „დაადებენ“ (გვ. 123, შ). ნინოს ესმის მათი ენა.

კლდეზე იყო ზე, „მარტო მდგომარე“; მასაც სასწაულებრივად მყურნავი ძალა ჰქონდა, მონადირეები უვებოდნენ, რომ ისრით დაკრული ირბები მოდიოდნენ ამ ხის ძირას, მის თესლსა ქამდენ და იკრებოდნენ (ამ ხისგან შემდეგ სამი მთავარი ჭვარი გააყოფეს). თვითონ ნინოც ხომ მყურნალი იყო, იგი „ქუფდა კურნებთა მრავალთა“ (გვ. 131, შ).

საქვრე ზე საგანგებოდ გამოყოფილი ახ კაცს მოუჭრა 25 მარტს (გვ. 148, შ). ამ თარიღს ერთნაირად ადასტურებს „ნინოს ცხოვრების“ შატბერდულიცა და კელიშური რედაქციაც. ეს თარიღი ძლიერ უახლოვდება დიდი დედის კიხლას კულტთან დაკავშირებულ საკულტო ხის მოჭრის თარიღს (25 მარტი), რაც ფრივილიდან რომისკე კი უფიქროსა გაურკვევლელი (ქ. ფრეზერი).

ჭვრები მთებზე აღუშროთ. მთავარი მთა

იყო „ბორცვი ქუარისა“. ამ შთის ძირას, ძუძუს წყარო“ გამოდიოდა.

წინო თავდაპირველად მავლოვანში დამკვიდრებულა. მას უწოდებდნენ „დედოფალსა“ და „ტყვეს“. აქ აღსუშარით წინოს ჭვარი „ნასახლეთისა“, ანუ ქვარი ვაზისა.

სვეტიცხოვლის აღმართვაც წინოს ძალისხმევით ხდება. ნათელმოსილია კაბუცმა ზეცას წაიღო სვეტი, რომელიც შემდეგ ნათლის სახით დაეშვა დაბლა. იგი იქცა ახალი ტაძრის ძირითად ბოძად. წინომ სვეტიცხოვლის ძალით განკურნა რვა წლის სწეული „ხეფეწული“ (გვ. 142, 2).

2. ამგვარი ნიშანთა მიხედვით და სხვა მრავალი მომენტის გათვალისწინებით ჩვენ შევეცადეთ მოგვეხილა ქართული წარმართული პანთეონის მთავარი ქალღვთაებისა და შესაბამისი ვარტმოს რეკონსტრუქცია; ჩვენს წინაშე ასეთი შიპოთეზა გამოიკვეთა:

ქრისტიანობის წინაშე ხანაში ქართული ქალღვთაება დედა-უფალი უნდა ყოფილიყო და ამ დროს იგი წარმოდგენილი იყო უშუალოდ ანთროპომორფული სახით, თუცა მას მანამდე სხვაგვარი იერსახებიც უნდა ჰქონოდა. ზოომორფული სახე (იჩემი) და „სიცოცხლის ზე“ (ვაზი, მუხა თუ ალუა).

„დედა-უფალი“ უნდა მიეჩნიათ ასულად შვისა, ვითარცა უმთავრესი ღვთაებისა, რომელიც, მამრულ საწყისს განასახიერებდა. შვილობის ერთ-ერთი ნიშანი იყო თვლილ-მატონის ფორმა. „დედა-უფალს“ ხელეწიფებოდა ტიქა-ქუხილისა და ქარების აღჭერა, ამ ძალას კი მს. 24 „ნიჭებდა. მზესთან კავშირი შეარდებოდა დედასვით ბრწყინვალე ნათლის სვეტი, რომელიც საკულტო ზეზე ეფუძებოდა („ჩამოსვეტილებოდა“). ამგვარი ზე, საგულეებელია — მუხა, მცხეთაში მდგარი და სამეფო ბაღის („სამოთხის“) მზესთან წილნაყარობას მოასწავებდა. ამიტომ თვით ეს ბაღი საკულტო ადგილად ჩაითვლებოდა.

აქვე ზარობდა ალუა და ბაბილოც. ესენი ყველა „ცხოვრების ზეს“ განასახიერებდნენ, მხოლოდ „ნაწილაინი“ იუნენ და დედა-უფლის მცენარებელად ითვლებოდნენ.

„დედა-უფლის“ ზეები ქალურ საწყისს განასახიერებდნენ. ზეთა თაყვანისცემით თვით დედა-უფლისადაც თაყვანისცემაც გამოიხატებოდა. ძველ ქალაქში, შესაძლოა, მისი განასახიერებელი ჭვარც მდგარიყო, ტოლფერად ბორჭაღალიცხური ჭვარი, აქვე იყო „სანათლი“.

საკულტო ზე იდგა სამეფო ბაღში, ძველ ქალაქში და მათ ხალხი თაყვანსა სცემდა. მთავარი საკულტო ზე — მუხა მთავრ მდგარი. მიწაზე და ცვენილი მისი თესლი რებთა მურნალად ითვლებოდა. შთის ძირას გამოდიოდა მაგურის სამკურნალო წყარო („ძუძუს წყარო“).

თვით დედა-უფლის ადგილად მიიჩნეოდა საუფლო ბაღი და მთავარი საკულტო შიები (ალ

ბათ, მცხეთის-ჭვრისა) დედა-უფალი აქაურობის ადგილის დედადაც ითვლებოდა. მახვე მიეწერებოდა მაგურის ძალია მურნალობისა, რასაც ამგვანებდა საკულტო ზეებსქვეშა მიწა (სამეფო ბაღშიც, მთაზეც), საკულტო ხის თესლი და მოსჭევა წყარო.

ყოველი მარტის 25-ს ტარდებოდა საკულტო ხის შიპრის რიტუალი, რომელიც ქალაქში მიხილნდათ საგანგებოდ გამოყოფილ პირებს. ესეც დედა-უფლის, ვითარცა ბუნებისათვის კვლამაგანახლების ძალისმიცემი „დედა დედისა“ და ნაყოფიერების ქალღმერთის კულტთან იყო დაკავშირებული.

ცხადია, დედა-უფალს სხვა ნიშან-თვისებანიც უნდა ჰქონოდა, რომლებიც „წინოს ცხოვრებაში“ არ არცელია. დედა-უფალი საერთო ქართული ქალღვთაება უნდა ყოფილიყო.

3. „წინოს ცხოვრების“ მიხედვით რეკონსტრუირებული დედა-უფლის სახე მრავალმხრივ ესაზღვება იმ მონაცემებს, რომლებიც სადღენისოდ შეცნირებაში მოპოვებულია ქართული წარმართული კულტებისა და, კერძოდ, ქალღვთაებათა შესახებ.

მთელს ანტიკურ საქართველოში — ფაზიხიდან კამბეჩოვანამდე და საქართველოს მთაში — სვანეთიდან ფშავესურეთამდე ვარცხულებული ჩანს ქალღვთაების კულტი. არია, წეს ცნობით, „ფაზისში რომ შედიხარ, ბელმარცხნივ აღმართულია ფაზისელთა ქალღმერთის ქანდაკება“.

როგორც ოთარ ღორთქიფანიძე აღნიშნავს, „სწორედ ვანში აღმოჩენილ ქალაქს უნდა გულისხმობდეს ბერძენი გეოგრაფოსი სტრაბონი, როდესაც კოლხეთის აღწერისას ასახელებს ლეკოეთის მდიდარ სატაქრო ცენტრს. სავსებით აშკარაა, რომ ლეკოეთის სახელით აქ იხსენიება ადგილობრივი, ძველი წარმართული პანთეონის ღვთაება“ (თბ. ღორთქიფანიძე, ვანის ნაქალაქარი... — ვანი 1, თბ., 1972, გვ. 38). აქვე უზრადლებულია ის ფაქტი, რომ ბერძნები სხვა ხალხთა ღმერთებს თავიანდღვთებათა სახელით მოიხსენიებდნენ.

ფრონისპირა დედოფლის მონღერის ტაძარში იშინაო შენაწერი (იჩნის რქები) აღმოჩნდა, რაც აქაური ქალღმერთის, „შიურობის“ სემანტიკაზე მოუთხოვს.

ბ. კილანავამ მრავალმხრივ განიხილა ოკოკონისა და ტუშ-მუხის რაობა და საერთო მართველური ძირებიც მიაჩინა (მეგრულ-ქართულილოგოურ პერსონაჟთა გენეზისისათვის. — „რიწა“, 1988, № 2, გვ. 222).

ასეთთა ზოგადად საქართველოს ბარის ქალღვთაებთა ნიშან-თვისებანი, მათში ჩანს მზესთან წილნაყარობა, ნადირთ და ტუტთა მფარველობა და ადგილის დედის თვისებანი. არსებითად ასეთთა საქართველოს შთის ქალღვთაებათა სახეები.

დალი ნადირთმფარველი ღვთაებაა. მისი ზომორღული სახეა ირემია (ე. ვიარხალაძე). დალის ირემთმფარველობა და „ნინოს ცხოვრებაში“ ხისგან ირემთა განყურნება ერთ საერთო სემანტიკურ ველში შედის. ასევე ერთ სემანტიკურ ველს ქმნიან დალის შვიური თემები და ჭვარი ვაზისა, განსაკუთრებით კი — მისი შეყვრა თემებით (იხ. რ. ს. ქართული ესთეტიკის სეციფიკისათვის, — „ცისკარი“, 1984, № 7). ჩვენის აზრით, უძველეს ქართულ ორნამენტში უკვე დაფიქსირებულია შვიურობის საკრალური ნიშანი, რომელიც შემდეგში აბრთავრული „ჭარის“ მოხაზულობაშიც გამოვლენდა („S“). იგივე იყო ვაზის ქალური შობილობის გამოშატველი. ეს ნიშანი ჩანს დედაბოძების ორნამენტებზე (ე. სურგულაძე), რომელსაც „დედა-ბოძის“ სემანტიკაში ქალურობისა და შვიურობის კორელაციი შეაქვს. დედაბოძის მიმართებას მუსსთან („ქერია“, „ბორჯღალი“, ციური მზე) უნდა უკავ-

შირდებოდეს სვეტიცხოვლის სემენტაჟა: ქრისტიანული სიმბოლოური წყვილი — ნინო და სვეტი-ცხოველი უნდა ჩანაცვლებოდა ძველთაძველ ბინარულ შითოლოგებას — „დედა-უფალი“ და „დედა-ბოძი“.

ამრიგად, „დედა-უფლის“ სემანტიკაში შემდეგი ნიშნები შედიოდა: მზე, თვალ-პათიოსანი, ციდან ჩამოსვეტებული ნათელი, ხიანი შთა, მკურნალი თესლი ხისა, მკურნალი მიწა და წყარო, ირემი და ჭვარი...

უოველივე ეს უკავშირდება ნინოს სახესაც. ბევრი ამ ნიშანთაგანი ვეხვდება ბრინჯაოს უძველეს სარტყლებზე მოცემულ სიფურტებზე, რომლებიც ქალღმერთის კულტს უკავშირდება (მ. ხიდაშელი).

იგივე ნიშნებით დედა-უფლის სახე უკავშირდება ქალ-ღვთაებათა შრავაღვარ კულტს, მაგრამ უფრო მეტად ბერძნულსა და მცირე-აზიულ ქალღმერთებს, ბუნების „დიდი დედის“ (დემეტრე, კიბელა, ინანა) კულტებს.

საბოლოოდ წმინდა ნინოსი და დედა-უფლის ნიშან-თვისებანი ასე შეხვეწილია

შევაპირისპიროთ:

წმ. ნინო

დედა-უფალი

1. ჭვარი ვაზისა (ვაზი — ღვთისმშობელი, ჭვარი — ქრისტე). ჭვარი — შეყრული ნინოს თემები.
2. სვეტი-ცხოველი — ტაძრის ბურჯი, ნათლის სვეტი.
3. ნინო — მავლავანა და სამეფო ბაღში („სამოსხე“).
4. საქვრე მთები „მცხეთის-ჭარისა“ („ბორცვი ჭვარისა“), თხოთისა და უჭარმისა.
5. საქვრე ხე (აღვისა); ნაჭვი სვეტი-ცხოველისათვის, სალოცავი ხე („ბრინჯისა“, ანუ აუკის ხე) „ძველ ქალაქში“.
6. საქვრე ხის მოჭრა 25 მარტს.
7. მეფე იმერებს მონადირეთა რწმენას, ხის ნაოლი კურნავს, მომავლავ ირემებს. ნინოს მკურნალობს მიწით.
8. არშაზის მხვრევა, შვის დახნელება.
9. ბივრტიტის წამოღება ნინოს შიერ არშაზის მხვრევის შემდეგ.
10. ნინო — თითქოსდა, არშაზის ასული.

1. ბორჯღალი დედაბოძებზე (ცხოვრების ხე) აქედან — დედა-უფლის შვიურობის სიმბოლო. დალის ოქროსფერი თემები.
2. დედა-ბოძი — შემერთებული ცისა და მიწის, ხატთა „ჩამოსვეტება“ (ხევსურეთის სალოცავები).
3. დედა-უფალი — ადგილის დედა.
4. შთა — დედა-უფლის საკულტო ადგილი. შითოლოგება: ხიანი შთა. შთა „შილიწენებით“.
5. საკულტო მუხა ქართულ წარმართულ პანთეონში. ხე დედა-უფლის ქალური კორელატი, ხე და ჭვარი — ხე და მზე.
6. მუხის საკულტო დღე — ვაჭაჭულის დღესასწაული (22 მარტს).
7. ირემი — დედა-უფლის ზომორღული სახეა. მიწით მაკურნო მკურნალობა.
8. მზე უმთავრესი უარსაოფი ღვთაებაა.
9. თვალ-პათიოსანი დედა-უფლის შვიურობის ნიშანი.
10. დედა-უფალი — ასული შვისა (შეადარე: ლუკროთა, ან დალი).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარეობს შემდეგი არსებითი დასკვნაც: წინის სახე კმნიდა ეროვნული აზროვნებისთვის მრავალმხრივი პერსპექტივის მქონე პარადიგმას, რადგან ამ სახეში კონდენსირებული იყო შეტად მნიშვნელოვანი წარმოდგენები: მითოლოგიური, რელიგიური, კოსმოლოგიური და ადამიანთმცოდნეობითი. წინის სახესთან მიმართებაში გამოვლინდა ეროვნული წარმოდგენები კოსმოურ

ნათელსა და ამქვეყნიური ცხოვრების წარმოდგენებს. მცენარეულსა თუ ცხოველთა სამყაროზე, რელიგიურ რწმენასა და ქალის იდეალებზე, ამგვარ წარმოდგენათა ანთროპომორფული გამოხატვა თავად კმნიდა ქართული აზროვნების სპეციფიკას, ხოლო ის, რაც წინის სახეში გამოვლინდა, მანამდე არსებობდა დღევანდლის სახეში და სამომავლო პერსპექტივაც მქონდა. ✓



მოგონება ილიაზედ

ილიას სურათიდანვე „ზეცადა“ ვთვლიდი, ამიტომ მასთან შეხვედრას ვერაღებოდი, არ შემერყვებ მასზე შედგენილი წარმოდგენა-მეთქი. მიუხედავად ამისა, ცხოვრების მიმდინარეობამ რამდენჯერმე შემახვედრა. მას.

I

გასული საუკუნის უკანასკნელ ათეულ წლებში აღიჭრა საკითხი ტფილისის სემინარიის ახალი შენობის აგებისათვის (ქერ ლუკრის გორაზედ, შემდეგ ვაკეში). ამასთან დაკავშირებით, ქართლ-კახეთის ეპარქიის სამღვდელთაგან 1898 წლის კრებამ მოისურვა სემინარიის ძველი შენობის (პუშკინის ქუჩაზე) ბანკში დაგირავება, აღებული ფულით შენობის შეკეთება და შემდეგ მისი ექსპლუატაცია. დამიბარეს კრებაზედ და მიბრძანეს მღვდლებს ვას. კარბელაშვილით და ა. თოთიბაძესთან ერთად წავსულიყავ ილიასთან, ჩემს განცხადებაზე — საკითხს არა ვარ გაცნობილი და ნუ გამწავნიო-მეთქი, მიიასუბეს: საკითხი კარგად აქვს შესწავლილი მ. ვ. კარბელაშვილსა.

მივედიო ილიასთან, მიგვიღო დაუყოვნებლივ და გვკითხა: რისთვის გარჩილხართ? მ. კარბელაშვილმა თქვა, რაც ჰქონდა სათქმელი, ილიამ აკითხა: ექსარხოზი რა აზრისა არისო? მამა ვასილმა უპასუხა: შენობა ეკუთვნის საქართველოს სამღვდელთაგან, ექსარხოზს რა ესაქმებაო? ილიამ თვალი გადმოგვავლო საშივეს და თქვა: რამდენადაც მე ვიცი, სამღვდელთაგან, როგორც იურიდიული პიროვნება, გარეშე ეპარქიის მეთაურისა (ამ შემთხვევაში ექსარხოზისა) არ არსებობსო. რასა ბრძანებთო, მიუფო მ. ვასილმა, მაშული იმ ფულით არის ნაყიდი, რომელიც ექსარხოზობის შემოდებაზედ ჰქონდა საქართველოს ეკლესიასო. — მშსაქმე უფრო რთული ყოფილა, ვინც მე შეგონაო, თქვა ილიამ, — საჭირო იქნება უწმიდესი სინოდის ნებართვაო. მამა ვასილი გაჩუმდა. თქვენ რას ბრძანებთო, შემომგვიტოხა ილია. მოვახსენე: საეკლესიო საშუალების ბანკში დაგირავება რომ სინოდის ნებართვას საჭიროებს, — ეს დანამდვილებით ვაყი. ესეც ვიცი, რომ მაშულის შექმნა-განთავისების საქმეში სამღვდელთაგან უმღვდელმთავროდ ვერას გაარიგებს; რაც შეეხება ჩვენს სემინარიის შენობას, მხოლოდ გამაგონია, რომ მისი ნაყიდობის ჭადალი დაწერილია „Грузинское духовное и учебное заведение“-ს სახელბანზე. მაშასადამე მისი დაგირავებისათვის სინოდის ნებართვა აუცილებელია-მეთქი. ილიამ გააცინა და გვითხრა: თქვე ყურთხეულებო, ქერ საკითხს შეისწავლდით, ექსარხოზს შეუთანამდებოდით და მერე მობრძანებოდით ჩემთანო. ყოველსავე

საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის ქალისტრატი ცინცაძის (1866-1952) წინამდებარე „მოგონებებს“ დედანი დაუტოლა კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტში (კ. ცინცაძის პირადი საარქივო ფონდი, № 109). როგორც ავტორისეული მინაწერი გვამცნობს, თხზულებებს პირველი გვერდის არშიაზე, იგი ქურნ. „მწათობისათვის“ ყოფილა დაწერილი ე. ბაქაძის დაბადების 100 წლის იტობილეს გამო. მასილა დისამღვდელ მოამზადა ზენობისაგანტელ ინსტიტუტის მეცნიერმა თანამშრომელმა ნუგზარ პაპიაშვილმა.



შეშთხვევაში, თუ რითიმე გამოგადგებით, მიგულეთ თქვენ შემწედ და დამხმარებელს. ადგა და გვოსურვა შევიდობა.

თქმა ოკი შერტყენილად ვიგძენ, მაგრამ მაინც კმაყოფილი დავრჩი: ილია ახლოდაც ისეთივე „სეკაცი“ აღმოჩნდა, როგორადაც ვთვლიდი შორიდან.

II

1904 წ. შემოდგომაზე მოხდა „გაფიცვა“ სასულიერო სემინარიაში. ამ ამბის გაგებისთანავე, აღექვი ექსარქოსი მიხულებო სემინარიაში, შეეკრება მოწაფეები და ერჩია, თავი დატენებინათ გაფიცვისათვის. მოწაფეებს უარი განეცხადებინათ. მაშინ ექსარქოსს ამოერჩია 12 მოწაფე და იქვე გამოცხადებინა: თქვენ გარიცხული ხართ სემინარიიდანო. დანარჩენების შესახებ გაეცა განკარგულება: პედაგოგურმა საბჭომ იქონიოს მსჭედილობა. როგორც პედაგოგიური საბჭოს წევრი, შიშინვეის იმ სადამოს სემინარიაში. საბჭომ, მოკლე თათბირის შემდეგ, დაადგინა: მოწაფეები გარიცხულ იქმან სემინარიითგან, თვით სემინარია კი დაიხუროსო. რეკტორის (ნიკანდრე არქიმანდრიტის) თხოვნით, ექსარქოსს მიეშარათა აღმინისტრაციისათვის — გარიცხული მოწაფეები გააძვეთ ტფილისითგანო. იმ მოწაფეებს, რომელთაც არ უნდოდათ წასვლა ტფილისითგან, ეთხოვნათ ილიასათვის, გვიშუამდგომლეთ, აქ ღაგვარჩინონო. ილიას ამ საქმის მოგვარება მიენდო გუბერნიის შარშლის თ. ა. ჭამბაკურთან-არბელიანისათვის, რომელმაც მთხოვა წავყოლოდი გუბერნატორთან. გუბერნატორმა, პოლოდინკმა სტეჩინმა, მიგვიღო შინაურულად (ბინაზე) და აღვითქვა სემინარიეტების ტფილისში დატოვება.

რუსთველის პროსპექტზე რომ ჩამოვედით, დავაპირე შინ წასვლა, მაგრამ აღექსანდრე ორბელიანმა არ გამიშვა, — ილია ჩემთან იქნება სადილად და თქვენც წაშოდით: „ანგარიში“ ჩავხატოთო. ილია ცუდ გუნებაზედ დაგვიხვდა. როცა ჩვენი ანგარიში მოისმინა, თქვა: — საკვარეველია, ქრისტეს მოციქული — გუბერნატორობას ეწევა, გუბერნატორი კი — ადა. მიწობასა და კაცთმოუყვარეობას იჩენსო. მიგვიწვიეს სადილზედ. ვერც დიასახლისის გულითადაც მასპინძლობამ და ვერც „საშოკის“ ოხუნჩობამ ილიას ღრუბელი ვერ გადაუარეს შუბლითგან. ზოლოს მასპინძელმა ვეღარ მოითმინა და პირდაპირ მიშარათა ილიას: კაცო, რა ცხვირ-პირი ჩამოგტობის, სიდედარ იგლოვ თუ სიმაშრსო? ილიამ უპასუხა: წარმოიდგინე, სიმაშრესთან ახლო ხარ: სიდედარ-სიმაშრის მიერ დატოვებული საგურამოს მამულე გამიხდა დარბისა და მწუხარების სახაბალო — გუშინ მომივიდა უწყება, ვინაითგან საგურამოს მამული შეიცავს ამდენსა და ამდენს ღვთაებრივ ფართობს (აუჭერ თუ თხოუმტეტერ მეტს, ვიდრე სინამდვილესია), უნდა ამდენი და ამდენი ასეთი მანეთი შეიტანო ხაზინაშიო. დღევანდელი დღე იმის მტკიცებას მოყვნი, რომ საგურამოში არა მაქვს მაგდენი მამული, განიხილეთ საბუთები, გააწორეთ შეცთობა და მიიღეთ, რაც გერგებათ-მეოქო, მაგრამ პასუხი ერთი იყო: ჭერ მოთხოვნილი ფული შეიტანეთ და მერე მამულის რაოდენობაზე გვექნება მსჭედილობა. იმდღებულნი ვიქმენ, ხაზინაში, დეპოზიტის სახით, შეიტანა ის, რაც კანონით ერგებათ, მაგრამ ძალიან შევწუხდი, — შე რომ ასე შეტყვევან, შე, რომელიც საბოლოოდ სამართალს ვიპოვო, რა დღეს დააურთან იმ საცოდვეებს, რომლებსაც არც ჩემოდენა ცოდნა აქვთ და არც მოხერხება შესწევთო. — აი ჩემი ცხვირ-პირის ჩამოტარების მიზეზი და არა სიდედარ-სიმაშრის სიკვდილი, რომელთაგან პირველი არც კი მინახავს და მეორე დიდი ხანია გამოვიგლოცეო. ცხადი იყო: ილია მემამულეს, ისე როგორც ილია პეტეს.

ერის წყლული უჩნდა წყლულად.
ერვა მის ტანჭეთ სული...

* ჩემი ცალკე აზრი (რომელიც გაიზიარა ორმა თუ სამმა წევრმა) — „მოწაფეები დათხოვნილ იქმნან 1905 წლის იანვრის შეიღამდე (შობა-ნათლისღების არდადეგების შემდეგ, ამ რიცხვში, განახლებოდა ზოღუე სწავლა), ვინც გამოცხადდება დანიშნულ ვადაზე, დაბრუნებულ იქმან სემინარიაში უყოყმანოდ, ზოლო ვინც არა, — ჩაითვალოს სემინარიითგან თანგან ნებთ გასულად“, უმრავლესობის მიერ უარყოფილი იქმნა და ძლიერ შეეატანენ სტრომის ფურნალში.

იქვე აღენიშნება ვინაითგან გაფიცვა რუსეთის სემინარიებშიაც მოხდა, ათი თუ ხუთმეტადღის შენდევ, სწორედ ასეთი შინაარსის ცირკულარი მოვიდა სინოდისაგან (აქაც და ქვემოთაც შენიშვნა კ. ცინცაძისა).

III

1905 წ. აპრილის პირველ რიცხვებში გრიგოლ ნიკოლოზის ძე დიასაშიძემ („თემის“ რედაქტორმა) მიმართა შეილის მოსაწათლავად. ჩემს მიხედვას, საღამოს 8-9 საათზედ, უკვე დიდძალი ხალხი შეკრებილყო. იყვნენ აკაკია და ილიაც. ერთობოდა, ნათლობა სახზად გამოცუენებინათ მიტინგის გამართვისათვის; ნათლობის შემდეგ ვაიმართა კამათი: როგორ შეეჭვდეთ ახლად დანიშნულ შეუისნაცვალის გრაფ ვორონცოვ-დაშკოვის მანიფესტს — საზოგადოების წარმომადგენლებს მოვიწვევოთ და მათ ვეთათბირებთ, თუ როგორ მოწესრიგდეს დღევანდელი არტვ-დარტული მდგომარეობა; უნდა წავიდნენ შეუისნაცვალთან მოწვეულნი, თუ არა? ბევრი დამარჯვის შემდეგ მიმართეს ილიას: ვორონცოვ-დაშკოვი უძველესად თქვენ მიგიწვევსო, მაგრამ ნუ წახვალთო. რატომო, აკეთხა ილიამ. მიუგვის: შატომ, რომ დროა ჩვენც გავვიწიოთ ანგარიში, მოგვმართონ და თქვენზე უკეთესს ანა ვის ვავაზდეთო. შერე თქვენ ვინ ბრძანდებთო, კიდევ აკეთხა ილიამ. ქართველი ერის წარმომადგენელნი, ქართველი ინტელიგენციო, იყო პასუხი. ილიამ თავისებურად ცილია და თქვა: რომელი მისამართით უნდა მოგვებნის ვორონცოვ-დაშკოვა: რუსეთში ცხოვრობდა მოდებთა ვადანაურთა, მოქალაქეთა, სამღვდელთა, გლეხთა, მაგრამ სავსებით უცნობა ინტელიგენტთა მოდებთა, რომელსაც შეუისნაცვალს, კიდევაც რომ შოინდომოს, ვერ შექმნისო. ჩა. მოვარდა საქმოდ ხანგრძლივი სიჩუმე, რომელსაც დაარღვია დიასაშიძის მიმართებამ, — ჩაიწე მოხრძანდითო.

IV

1905 წ. ილია პეტერბურდს მიემგზავრებოდა, სახელმწიფო საბჭოს წევრების არჩევანში მონაწილეობის მისაღებად. ორიოდე დღის წინად შემოეთვალა, საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის შესახებ რაც რამ წერტილებითი საბუთები მოგვეკოცება, წამოიღე და მოდი ჩემთანო. თათბში შესვლისთანავე მომართა: შეგაწუხ მისთვის, რომ პეტერბურდში უძველესად მომხიბდება სინოდის თავმჯდომარესა და ობერპროკურორის ნახვა, და მსურს ავტოკეფალიის საკითხში გარკვეული ვიყო. დავრჩი თითქმის ორ საათს, რომლის განმავლობაში ილია ჩემს თვალში უფრო და უფრო იზრდებოდა. მისთვის ახალ რასმეს ერთბაშად ითვისებდა და რამდენიმე წუთის შემდეგ საფუძვლად იუენებდა ახალი დასკვნებისათვის.

როგორ ზაიარა ანტონ მიტროპოლიტთან დარბაზობამ, არ ვიცი, ბოლო ობერპროკურორთან ზაისის შესახებ გ. დ. უფრულმა გადამოცა შემდეგი: ერთ საღამოს ილიამ ობერპროკურორთან წამოიყვანა. გააცნო თავად ობოლენსკის, თუ რა მდგომარეობაში ჩაყარდა საქართველოს ეკლესია ექსპროსიების ბედში, რომლებიც შეგნებულად უსაობდნენ ხალხს საშუალებას, — ვაცნობოდნენ ქრისტეს მოძღვრებას სამშობლო ენაზე; ხასწავლებლებში, სამრევლო და პირველ დასაწყის სკოლებშიაც კი, სადეთო სჭულს რუსულად აწვავლიან, ქალაქის თითქმის ყველა ეკლესიაში ღვთისმსახურებას სლავიანურ ენაზე აწარმოებენ, სოფლებში, იშვიათი გამონაკლისის გარდა, უფიცსა და მოუზადებელ მღვდლებს გზავნიანო, რასაც შედეგად მოყვა სარწმუნოების და წინაგების დაყენაო. ამ, ქვეყნისა და თვით სახელმწიფოს, საზიანო მოვლენას რომ მოვდოს ბოლო, ჩვენი ხალხის გულშემატკივარმა შეილებმა წამოაყენეს საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობის აღდგენის საკითხი, რომელსაც, იმედია, ანგარიშს გაუწევთ თქვენცა და თქვენი ინიციატივით მოწვეული საეკლესიო კრების წინასწარი თათბირი, რომელიც ამჟამად ამზადებს მასალას საეკლესიო კრებისათვისო. ობერპროკურორი გულმოდგინედ და განცვიფრებით* ისმენდა ილიას დღაგებულ და დამატარებულ სიტყვებს და ხშირად იმეორებდა: „სამწუხაროა, სამწუხაროა, ამას უნდა უძველესად მოვდოს ბოლო“.

* თ. ა. დ. ობოლენსკი სისულერო უწევებისათვის ახალი კაცი იყო. ის წინად საკრედიტო და საფინანსო დაწესებულებებში მუშაობდა. სინოდის ობერპროკურორად დანიშნა 1905 წ. ოქტომბერში, ე. პ. პოპედონოსკევის შემდეგ. საეკლესიო კრებებს წინასწარი თათბირის მოწვევაში დიდი შრომა მიუძღვის.

ილიას, სიტყვის დამთავრების შემდეგ, ობერპროკურორი შეეკითხა: გამოგონია, „სარწმუნოების სიმბოლოს“ მეცხრე წევრი ქართულად რაღაც სხვანაირად არის წითარგმნილ, რამდენად განსხვავდება იგი ჩვენი სლავიანური თარგმანიდანო? ილიამ გადმოშხედა და მარძმობინა. — მე არ ვიცი და იქნება შენ იცოდეთ. მეც თვალებით ვანიშნე, მეც შენს მდგომარეობაში ვარ. შეთქო. ილიამ არც კი შეამჩნევინა ობერპროკურორს, თუ რა გაკვირებაში ჩაგვაყენა და თავისებურად, დინჯად მიუგო: აჲ მოგახსენეთ, როგორ არის დაზიანებული ჩვენი სარწმუნოების შეთვისების საქმეო. იძულებული ვარ კვლავ მოგახსენოთ: ბავშვობისას სახლში ქართულად ნახვადელი „მრწამსი“ სკოლაში გადამავიწყეს და ამიტომ თქვენს შეკითხვაზე ვერც მე მოგცემთ პასუხს და ვერც, ვფიქრობ, ჩემი თანამემამულეო. მე სინწრადით დავუდასტურებ სინოდის ობერპროკურორს ჩემი უცოდინარობა, და საჩქაროდ გამოვეთხოვეთ გულკეთილ, მაგრამ თავის თანამდებობისთვის ნაკლებ მომზადებულს თავად ობოლგნესკისაო...

ტფილისი
 1937. IV. 17.

* ქართულად: ბრწამს ერთი წმიდა, კათოლიკე და სამოციქულო ეკლესია. სლავურად: Верую во едину, святую, Соборную и Апостольскую церковь.

საბატაპო ფიზნი ქართულად

შარშან ქართულად გამოიცა რუსული ხალხური ეპოსის ცნობილი სპეციალისტის ვლადიმერ პროპის ფართოდ გახმაურებული მონოგრაფიული ნაშრომი „ზღაპრის მორფოლოგია“. ეს გამოყვლევა ფოლკლორისკონსერვაციის განვითარების ისტორიაში კვნიშარბიტად საეტაპო მნიშვნელობისა. იგი 1928 წელს გამოქვეყნდა და ქადოსნური ზღაპრის ტიპოლოგიური სტრუქტურის საესესებით ორიგინალური ხასიათის საკანწო პრობლემურ საკითხთა საგანგებო შესწავლას მიეძღვნა ამ საკითხთა ამოსავალი პოზიცია ქადოსნური ზღაპრის სტაბილურ ელემენტთა (ინვარიანტთა) სტრუქტურული სქემების დადგენა-გამოწმეუტება, ანუ, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მოქმედ პირთა ფუნქციების ერთგვარობა-იდენტურობის გამოვლინება-გამოაშკარავება.

მუდმივი სიდიდის პარალელურად ქადოსნური ზღაპრის სამუაროში შედარდება ცვლადი სიდიდეც, როშელაც პერსონაჟთა ნომენკლატურასა და მათთან დაკავშირებულ ცალკეულ ატრიბუტებს აღნიშნავს, მაგალითად, შეიძლება შეიცვალოს პერსონაჟი (იგი შეიძლება იყოს ხელმწიფის ვაჟი, ვაჟარი, მოკამაგირი და სხვ.), ასევე შეიძლება შეიცვალოს ის ობიექტი, რომლის შემწეობითაც მოქმედება სრულდება (მტრინაჟი ხალიჩა, ზღაპრული რაში, ხომალდი და სხვ.), მაგრამ მოქმედების შინაარსი შარშან უცვლელ სახეს ინარჩუნებს. აქედან გამომდინარე, ერთად, ერთი სახელმწიფოდან მერორე სახელმწიფოში შეიძლება სხვადასხვა პერსონაჟი (ხელმწიფის ვაჟი, ვაჟარი, მოკამაგირი და სხვ.) გადავიდეს სხვადასხვაგვარი საშუალებით (გადაფრინებს მტრინაჟი ხალიჩით, ზღაპრული რაშით, გადაცუროს ხომალდით და ა. შ.), მაგრამ გადასვლა, როგორც მოქმედებაცვლედან ერთნაირია, ვ. პროპი ქადოსნური ზღაპრის ამ მუდმივ და ცვლად სიდიდების ერთმანეთს უპირისპირებს და საინტერესო განმარტავადებილი დასკვნაც გამოაქვს. მკვლევარის აზრით, „ზღაპრის შესასწავლად მნიშვნელოვანია საკითხი: რას აკეთებენ ზღაპრული პერსონაჟები, ხოლო საკითხები ვინ აკეთებს და როგორ აკეთებს — შესწავლისათვის უკვე მერორეპარისხოვანია“. ვ. რ. აქ დომინი-

რბულ როლს პერსონაჟის მოქმედება; ქცევა, ანუ ფუნქცია, ასრულებს — იგი ვ. პროპის მიერ ქადოსნური ზღაპრის მუდმივი, განმეორებად ელემენტთადაა სახელდებული, ხოლო თვით ქადოსნური ზღაპრის მორფოლოგია, ანუ კომპოზიცია, ამ ფუნქციათა გაკვეთელ თანმიმდევრობის ემეარება.

ვ. პროპის მიერ ქადოსნური ზღაპრის სტრუქტურულ-ტიპოლოგიურ კანონზომიერებათა აღმოჩენა მკვლევარის დიდ მეცნიერულ ნიჭზე, ფართო განსწავლელობასა და გასაოცარ შინაგან მამებლურ ალღოზე შეტყულებს. ზოგადად კი უცვლევარ კანონზომიერებათა აღმოჩენა, ვ. პროპის სიტყვებით რომ ვთქვათ, მეცნიერების გვირგვინს წარმოადგენს.

ვ. პროპი თავის ნაშრომში ალაგ-ალაგ მის მიერ აღმოჩენილ კანონზომიერებათა ცალკეულ ნიუანსებს კიდევ უფრო აზუსტებს, შათს დამატებით ინტერპრეტაციის ოქლევა.

სხვაგან მკვლევარი ენება ფუნქციათა უმრავლესობის ვ. წ. მარბოლობო (წყვილობით ანუ ბინარულ) პრინციპს, მისი მიგნება-შემუშავებაც უზეი ემპირიული მასალების ფონზე აგრეთვე ვ. პროპის მახვილგონიერული მეცნიერული დაკვირვების შედეგს წარმოადგენს.

ვ. პროპი თავის წინამორბედ მკვლევარებს უდიდესი პატივისცემით ეკიდება, მაშინაც კი როდესაც შათს ამა თუ იმ მოსაზრებას არ იზარებას. ასე, მაგალითად, იგი ვესელოვსკის პოეტის იმ კომპონენტს აკრიტიკებს, რომლის მიხედვითაც პოეტია უმარტივეს დაუფოფად თბრობით ერთეულთადაა მიჩნეული, და იქვე ამტკიცებს, რომ პოეტია იზღვიდა, ნაწევარება. საწინააღმდეგო შინაარსის შენიშვნას გამოთქვამს ვ. პროპი აგრეთვე სიუეტების ვესელოვსკისეული გაგების ღიშართაც, მაგრამ თავისი მოწოგაფის დასკვნით ნაწელში დასძენს, რომ ჩემი დებულებებიც ვ. ვესელოვსკის მიერ წინასწარ ინტერტურად იყო განჭერტილიო. ეს ფაქტი ვ. პროპის უდაღეს მეცნიერულ კეთილსინდისიერებაზე შინაინშნებს.

აღნიშნული ნაწარმოების პოპულარობას ვ. ნაბრობებს ის ვარემოება, რომ ეს მონოგრაფია წარმოადგენს კვლეუის განსხვავებულ მეთოდებით შესრულებულ, ახლებურა კუთხით გააზრებულ ფრიად სოლიდური ხასიათის მეცნიერულ ნაშრომს; მისი ქართულად შთარგმნების — ცილა კარბელაშვილის სიტყვებითა



რომ ვთქვათ, ვ. პარპის „ზღაპრების მორფოლოგია“ უაღრესად ნათელი, ვასაგები, ნატიფი და ტევადი სტილით არის დაწერილი. ამ ცხადმეტყველებასთან ერთად მის ახსიათებს კომპაქტური აზროვნებაც, სადაც მაქსიმალური შინაარსი მინიმალურ მოცულობაში სახიერდება.

რაც შეეხება ვ. პარპის „ზღაპრის მორფოლოგიის“ ქართულ თარგმანს, საბოლოო ვერსიის უნდა აღინიშნოს, რომ ცილა კარბელაშვილმა ვლადიმერ პარპის მონოგრაფია არა მარტო სულთა დაწმენდილი ქართული ხმით ააშტყველა, მან აგრეთვე თვალნათლად დაგვანახა ეგზოტაქურ ოკეანეში სასწაულთა და საოცრებათა კუნძულის — ქადოსნური ზღაპრის მდიდარი და მრავალწახანგოვანი მოსიყა, ხიზლი და ფერადოვნება, რომელიც ოცნების რომანტიკული ხომალდით უვლავს თავისივე საზოგადოროდ იწვევს, სადაც უვლავს საკუთარი მწერბარი, მომაქადობელი ნავსადგური და ამ კუნძულზე მისთვის მომხიზვდელი ადგილი ელოდება.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ ქართულ თარგმანს წამქდარბული აქვს მთარგმნელის მიერ საქმის ღრმა ცოდნით დაწერილი წინასიტყვაობა, სადაც მოკლედ, ამომწურავად არის მიმოხილული ვ. პ. პარპის ამ საქვეყნოდ აღიარებული წიგნის როლი და მნიშვნელობა ხალხური სიტყვიერებისადმი მიძღვნილი თეორიული ხასიათის გამოყვლევათა შორის.

სურადღებას იქცევს მთარგმნელის შემოქმე-

დებითი მიდგომა სპეციალური ტერმინების ვარიაციული გამოყენების თვალსაზრისითაც. კერძოდ, იგი ტერმინებს შერჩევისას პარიტიტს ანიჭებს თვით ტერმინის ტრადიციულ ქართულ ელერადობას, მის ემოციურ სისხარტესა და შინაარსის შეფარდებით სიჭუსტეს. ამ კრიტერიუმების გათვალისწინებით იმპარტება მასთან არსულ ტერმინ „ааратеа“-ის ქართულ შესატყვისად „მწუქებელი“ (ამ ტერმინის სხვა ქართული სინონიმებია: მხოქებელი, მწუალობელი, მომწუქებელი, მომადლებელი). ასევე ტერმინ „помощник“-მ აღებული აღქვარტების — „დახმარაქ“ და „ქომაცის“ ნაცვლად აქ გამოყენება უფრო მკაფიო, ექსპრესიულობით დაზუბტული შესატყვისი „შემწე“ და ა. შ.

ამრიგად, ქართულ ენაზე უკვე გავქვს ვლადიმერ პარპის საუფრადღებო მონოგრაფიული ნაშრომი „ზღაპრის მორფოლოგია“, რომელიც სინქრონიული პრინციპით ქადოსნური ზღაპრის სტრუქტურულ-ტიპოლოგიური საკითხების შესწავლას ეძღვნება. მატრამ პარპმა გამოაქვეყნეა სხვა გამოყვლევაც „ქადოსნური ზღაპრის ისტორიული ფესვები“ (1946 წ.), რომელიც დიპქრონიულად ქადოსნური ზღაპრის ისტორიულ-გენეტაქური ასპექტებით განხილავს შეიყავს და არსებითად „ზღაპრის მორფოლოგიის“ ლოგაქურ გაგრქვლებას წარმოადგენს, როგორც შევიტყუთ, ვ. პარპის ეს მკორე მონოგრაფიული გამოყვლევაც თარგმნილია და საჭიროა მისი გამოცემის დაქარტება.

გიორგი შუთაბარო

რედაქციის მისამართი: თბილისი, რუსთაველის პარსპექტი, № 12.

ბალეფრონები: რედაქტორის — 98-55-11, მთ. რედ. მოადგილის — 92-55-13, პ/მგ. მდივნის და ვანყოფილებების — 98-55-15; 98-55-17, *3-55-20.

საქ. კ. ცუ-ის გამოცემლობა, 1985.

გადეცა ასაწოზად 20. 12. 84 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 24. 01. 85 წ. ანაწოპის ზომა 71/4X12, ქალაღის ფორმატი 70X108, ფოზეიური ნაბეჭდა ფურცილი 11, პარობითი ნაბეჭდი ფურცილი 15,5. საღარ-საგამომცემლო თაბაბი 16,58.

უე 05408. ტრაქი 35.000. შექ. 2887. სიქარ-თეღლის კ. ცუ-ის გამოცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

ფანო 80 კპ.

637/22



ქართული
ენების
სამეცნიერო
ცენტრი
თბილისი
76128

«М Н А Т О Б И»

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ

ИЗДАТЕЛЬСТВО ЦК КП ГРУЗИИ